ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორიის ფაკულტეტი

# აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები

## II

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 1976

კრებული მომზადებულია თსუ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის თანამშრომელთა მიერ; მასში გაშუქებულია აზიის ქვეყნებში (პაკისტანი, ინდოეთი, ნეპალი, ბირმა, ჩინეთი, კორეა, იაპონია) მიმდინარე პოლიტიკური, ეთნო-კონფესიონალური და კულტურული განვითარების პროცესები; ნაჩვენებია საქართველოს მიერ ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან ურთიერთობის დამყარების ცდები და ალ. დადეშქელიანის მოღვაწეობა შორეულ აღმოსავლეთში.

განკუთვნილია სტუდენტების, მეცნიერ მუშაკებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებისათვის.

The Proceedings are prepared by the staff-members of the Chair of History of Asian and African countries.

The Proceedings clarify the processes of ethnic, confessional, political and cultural evolution taking place in modern Asian countries (Pakistan, India, Nepal, Burma, China, Korea, Japan).

The Proceedings are designed for Post Graduates, Research Associates and readers, concerned with these issues.

რედაქტორი: ალბერტ მენთეშაშვილი

რეცენზენტები: დ. გოჩოლეიშვილი
დ. სააკაძე

# შინაარსი


1. ქეთევან ხაჟალია. ეროვნული უმცირესობანი და ეროვნული საკითხი პაკისტანში . . . . . . . . 9
2. ეკა ყანჩელი. ეროვნული საკითხი ინდოეთში კოლონიალურ ხანაში . . . . . . . . . . . . 14
3. ნინო აფციაური, ალბერტ მენთეშაშვილი. პაკისტანის საზოგადოებრიობის რეაქცია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე მოვლენებზე . . . . . . . 26
4. ქეთევან ხაჟალია. ისლამი და სამხედრო დიქტატურა პაკისტანში 1977–1987 წლებში . . . . . . . 34
5. მარინა პაქსაშვილი. ბირთვული ფაქტორის როლი თანამედროვე ინდოეთის საგარეო პოლიტიკაში . . . . . 43
6. ლია გიგაური. ალექსანდრე დადეშქელიანი და რუსეთის პოლიტიკა ავღანისტანსა და კორეაში . . . . . 48
7. ქეთევან ხაჟალია. ახალგაზრდული მოძრაობა პაკისტანში მ. ზიაულ ჰაკის დიქტატურის პერიოდში . . . . . 54
8. ეკა ყანჩელი. ეროვნულ-ეთნიკური საკითხის რელიგიურ-პოლიტიკური ასპექტები თანამედროვე ინდოეთში . . . 64
9. მარინა პაქსაშვილი. ნეპალი 90-იანი წლების დასაწყისში . 80
10. ქეთევან ხაჟალია. არმია და სამოქალაქო მმართველობა პაკისტანში 80-იანი წლების მიწურულს . . . . 84
11. ეკა ყანჩელი. არალეგალური ეთნიკური ემიგრაციის საკითხისათვის თანამედროვე ინდოეთში . . . 109
12. ივანე მენთეშაშვილი. საქართველოს მიერ ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან ურთიერთობის დამყარების ცდები XVIII ს. II ნახევარში . . . . . 117
13. ალბერტ მენთეშაშვილი. ბირთვული ფაქტორის როლი თანამედროვე პაკისტანის საგარეო პოლიტიკაში . . 144
14. მარინე იკრიაშვილი. ჩინური დიასპორის მოღვაწეობის პოლიტიკური ფაქტორები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში . 145
15. ბაქა მენთეშაშვილი. 1925–1927 წლების რევოლუცია ჩინეთში . . . . . . . . . . . 153

16. რუსუდან მეგრელაძე. სიკხური სეპარატიზმის კონფესიური და პოლიტიკური ასპექტები თანამედროვე ინდოეთში . . 215

17. რუსუდან მეგრელაძე. რაჯივ განდი და სიკხების საკითხი . . . . . . . . . . 222

18. ბაზა მენთეშაშვილი. პაგანთა სამეფოს სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია ბირმაში (1044–1369 წწ.) . . 230

19. ლალი უთარაშვილი. ბრუნეი-მშვიდობის სასუფეველი (ისტორიული ცნობა) . . . . . . . . 251

20. ზაზა მენთეშაშვილი. იაპონიის კულტურა 1945–1965 წლებში . . . . . . 260

## Contents

1. Ketevan Khajalia, Ethnic minorities and national problems in modern Pakistan ........................ 9

2. Eka Kancheli, National problem in India during the British Raj .................................... 14

3. Nino Aptsiauri, Albert Menteshashvili, Reaction of Pakistani society on risings in former Soviet Republics in 1989-1990 .............................. 26

4. Ketevan Khajalia, Islam and military dictatorship in Pakistan in 1977-1987 ......................... 34

5. Madona Paksashvili, The role of the nuclear factor in foreign policy of modern India ................. 43

6. Lia Gigauri, Alexandre Dadeshkeliani and Russian policy towards Amur basin and Korea ................ 48

7. Ketevan Khajalia, Student movement in Pakistan during Zia ul Khak's dictatorship ................... 54

8. Eka Kancheli, Religious and political peculiarities of ethnic problems in modern India ............... 64

9. Madona Paksashvili, Nepal in early 90s of the 20th century .................................... 80

10. Ketevan Khajalia, Civil government and army in Pakistan in late 80s ............................ 84

11. Eka Kancheli, Some issues on secret ethnic emigration in modern India ............................ 101

12. Ivane Menteshashvili, Georgia's attempts to make contacts with the British East India Company in the second half of the 18th century .............. 117

13. Albert Menteshashvili, The role of nuclear factor in foreign policy of modern Pakistan ........ 144
14. Marine Itriashvili, The factors of the political activity of Chinese population in Southern-Eastern Asia .................................................. 148
15. Zaza Menteshashvili, Revolution of 1925-1927 in China .................................................. 153
16. Rusudan Megreladze, Confessional and political aspects of Sikh separatism ...................... 215
17. Rusudan Megreladze, Rajiv Gandhi and Sikh question .................................................. 222
18. Zaza Menteshashvili, Social and political organization of Pagan Kingdom in Burma (1044-1369) ... 230
19. Lali Utarashvili, Bruney (Historical inquiry).... 251
20. Zaza Menteshashvili, Japanese culture in 1945-1965s .................................................. 260

ქეთევან ხაჯალია

# ეროვნული უმცირესობანი და ეროვნული საკითხი თანამედროვე პაკისტანში

თანამედროვე პაკისტანში პუშტუნები და ბელუჯები, ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ. მათი პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკასთან, რომლის შედეგად 1849 წ. ანექსირებულ იქნა ამჟამად პაკისტანში შემავალი მისი ჩრდ.-დასავლეთ რაიონების პროვინციები, ხოლო უკვე XIX ს-ის II ნახევარში აქ ვავრცელდა ინგლისის ხელისუფლება და გავლენა როგორც ბელუჯისტანზე, ისე აღმ. პუშტუნების მთიანი რაიონების ტომებზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული პუშტუნ-ბელუჯთა ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ანტიინგლისურ პანისლამისტურ და ხალიფატის ორგანიზაციებთან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ინგლისელ კოლონიზატორთა ძალაუფლების გადაგდებას. ამ მოძრაობის ლიდერები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ავღანელი ხალხის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ იყო, რომ 1926-27 წწ.; ჩრდ. - დასავლეთ სასაზღვრო პროვინციების მიერ შექმნილი ორგანიზაცია "პუშტუნ ჯირგა" (პუშტუნის კონფერენცია)[1], მხარს უჭერდა ავღანეთის ემირის ამანულა-ხანის საგარეო პოლიტიკას და ცდილობდა განემტკიცებინა ავღანეთის ავტორიტეტი ჩრდ.-დას. სასაზღვრო პროვინციების პუშტუნის მოსახლეობასთან, რომელიც მაშინ ბრიტანეთის ინდოეთის შემადგენლობაში იყო.

30-იანი წლების დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თანდათან ჩაებნენ ბრიტანეთის ბელუჯისტანის პუშტუნებიც. ისინი სახლობდნენ ისეთ პროვინციებში, როგორიც იყო კვეტა, პიშინი, ლორალაი, ჟობი). მათ სათავეში ჩაუდგა 1934 წ. შექმნილი ნაციონალისტური პარტია "ანჯუმან-ი ვატანი" (სამშობლოს

---

1 მისი ხელმძღვანელი იყო აბდულ გაფარ-ხანი (იხ. 1, თავი 3).

საზოგადოება). მან მიზნად დაისახა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. იგი მოითხოვდა აგრეთვე არისტოკრატიული რეჟიმების ჩაკარებას, პუშტუნის რაიონების შეერთებას ბრიტანეთის ბელუჯისტანის დას. და ჩრდ. სასაზღვრო პროვინციებთან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ინგლისელთა დახმარებით შეკაზე ნადირ შაჰი (1929-33) მოვიდა ავღანეთის მთავრობის სათავეში, მან შეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა, პუშტუნის მოძრაობის ლიდერებმა უარი თქვეს ამ დაგეგმილებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ალმ. პუშტუნთა მიწების სახელმწიფოებრივ კავშირებას ავღანეთთან.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, როდესაც აშკარა გახდა ინგლისელთა მიერ ინდოეთის დატოვება, პუშტუნ ნაციონალისტთა წინაშე დადგა საკითხი ბრიტანეთის ინდოეთის მომავალი სახელმწიფოს მიკუთვნებაზე. 40-იან წწ. პუშტუნთა მოძრაობაში მოხდა განხეთქილება. ხელმძღვანელთა ძირითადი ნაწილი გამოდიოდა თავისუფალ ინდოეთის ფედერაციის ან კონფედერაციის შექმნის მომხრედ, რომელიც შედგებოდა ავტონომიური ერთეულებისაგან (ლინგვისტურ საფუძველზე) ერთი მათგანი გახდებოდა პუშტუნისტანი ე.ი. პუშტუნების მიერ დასახლებული ტერიტორია ბრიტანეთის ინდოეთის ჩრდ-დას. მხარეს. ამასთან ერთად რადიკალურად განწყობილნი მოითხოვდნენ დამოუკიდებელი პუშტუნისტანის შექმნას. ლიდერთა ერთი ნაწილი მოითხოვდა პაკისტანისათვის მხარდაჭერას. 1946 წ. ავღანეთი იძულებული გახდა პუშტუნისტანის დამოუკიდებლობისათვის დაეჭირა მხარი.

1946-47 წწ. ავღანეთის მთავრობამ მიმართა ინგლისს წინადადებით, გადაეხედათ პუშტუნთა საკითხისათვის, ამასთან იგი საჭიროდ თვლიდა ჩრდ.-დას. სასაზღვრო პროვინციებში ჩაეტარებინა რეფერენდუმი, რომლითაც უნდა გაერკვეულიყო არა პუშტუნთა ტერიტორიების შეერთება პაკისტანთან ან ინდოეთთან. ავღანეთი კი

მოითხოვდა პუშტუნებისათვის შექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო , რომელიც შემდეგ ავღანეთს შეუერთდებოდა.

ინგლისმა უარყო ავღანეთის მმართველი წრეების მოთხოვნები. ამას მხარი არ დაუჭირა ინდოეთის ყველაზე მსხვილმა პარტიამ, ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა და მუსლიმურმა ლიგამ, და 1947 წ. აქ ჩაატარეს რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც აღმ. პუშტუნთა მიწები პაკისტანის შემადგენლობაში შევიდნენ. ინგლისელები პუშტუნის ხანებსა და მალიქებს ყველა პრივილეგიების შენარჩუნებას და ფულადი სუბსიდიების გადახდას ჰპირდებოდნენ. ამ წინადადებას მიემხრნენ ხან დირა, ვალი სვატა, რელიგიური ლიდერები, ბრიტანეთის ბელუჯისტანის პუშტუნთა ტომების ხანები და მალიქები.

ავღანეთის მმართველი წრეების პოზიციამ პუშტუნისტანის საკითხზე გაამძაფრა ურთიერთობა ავღანეთ-პაკისტანს შორის. 1947 წ. შემოდგომაზე ერთადერთი ქვეყანა იყო ავღანეთი, რომელიც პაკისტანის გაეროში შესვლის წინააღმდეგი წავიდა. მ. დაუდის მმართველობის დროს (1953-63) ავღანეთის პოზიცია პუშტუნთა და ბელუჯთა საკითხთან დაკავშირებით უფრო დაიძაბა, რადგან საზღვარგარეთელი პუშტუნები, ავღანეთის მხარდაჭერით, იკრიბებოდნენ და ითხოვდნენ თვითგამორკვევის საკითხს. ავღანელები პუშტუნისტანს უერთებდნენ ჩუნ ბელუჯისტანს და ამას იმით ხსნიდნენ, რომ ბელუჯები პუშტუნი ხალხის ნაწილიაო (2, გვ. 13).

თანამედროვე ეტაპზე პუშტუნ-ბელუჯთა საკითხი მთავარი გახდა პაკისტან-ავღანეთის ურთიერთობაში. ბელუჯთა და პუშტუნთა მოძრაობათა შორის მოხდა განხეთქილება. პუშტუნი ხანები და მალიქები იზიარებდნენ თავიანთი ხელმძღვანელობის პოლიტიკას, ანალოგიურ კონსერვატულ პოზიციებს ბელუჯისტანში იკავებენ ბელუჯ-ბრაგუითა სარდარები, ვადერა და მუკადამი. მათი აზრი თანხვდებოდა მხოლოდ ერთ საკითხში: შეენარჩუნებინათ თავიანთი პრივილეგიები ხელში-

უხებლობა. მათ კარყვეს "დიდი პუშტუნისტანის" შექმნა მასში შემავალი ბელუჯისტანით. ასე რომ 70-იანი წწ. დასაწყისში პაკისტანში პუშტუნ და ბელუჯთა მოძრაობა გახლეჩილი იყო რამდენიმე ფრაქციად.

ავღანეთ-პაკისტანის ურთიერთობა უფრო დაიძაბა 1973 წ. 12 მაისს. მას შემდეგ, რაც ქაბულში გამოცხადდა საზღვრების ჩაკეტვა პაკისტანთან ორი კვირით, ვითომცდა "ადმინისტრაციული მიზეზებით". ეს პაკისტანში მძაფრად აღიქვეს, რადგან გააძლიერა აქ ანტიავღანური მოძრაობა. ამ ორ ქვეყანას შორის თითქოს განახლდა ურთიერთობა 70-იან წწ. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია ისევე, როგორც პაკისტანში მომხდარ 1978 წ. გადატრიალებას და აქ ახალი მთავრობის მოსვლას. 1980 წლის 14 მაისს ავღანეთმა ორმხრივი მოლაპარაკება მოითხოვა, რაზედაც პაკისტანისაგან უარი მიიღო[2]. პაკისტანის პოზიცია არც მაშინ შეიცვალა, როცა 1985 წ. შეიქმნა დასავლეთზე ორიენტირებული სამხედრო-სამოქალაქო რეჟიმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ უმცირესობათა საკითხში პაკისტანის მთავრობის დამოკიდებულებას იზიარებენ ქვეყნის მსხვილი ოპოზიციური საერთოპაკისტანური პარტიების ლიდერებიც და აგრეთვე დემოკრატიის აღდგენისათვის მოძრაობაც, რაზეც მეტყველებს ბენაზირ ბჰუტოს არაერთგზისი გამოსვლები[3].

განვლილ დროში მდგომარეობა ავღანეთის საკეთილდღეოდ არ შეცვლილა. პაკისტანში კვლავინდებურად გრძელდება 50-იან წლებში

---

2 ასეთივე წინადადება წამოაყენეს 1981 წლის 24 აგვისტოს, რომელიც ასევე უპასუხო დარჩა პაკისტანის ხელისუფლების მხრიდან. დიალოგის გამართვა უარყოფილ იქნა. ყოველივე ამას ადასტურებენ "საშიშროებით ჩრდილოეთიდან" (იხ. 3, გვ. 17; 4, გვ. 37).

3 იხ. ბ. ბჰუტოს 1986 წლის 11 ივლისის ინტერვიუ გაზეთ ნიუ იორკ ტაიმსისადმი (5).

დაწყებული აღმოსავლეთ პუშტუნებისა და ბელუჯების რაიონების პაკისტანის სხვა რაიონებთან ინტეგრაციისა და შერწყმის პროცესი. არც პუშტუნებისა და არც ბელუჯების მასობრივ ეროვნულ მოძრაობას პაკისტანში ადგილი არ აქვს. 70-იან წლებში ბელუჯისტანში მიმდინარე შეიარაღებულმა აჯანყებამ მოიცვა ამ რაიონის მხოლოდ 10% და მას უფრო ლოკალური ხასიათი ჰქონდა (დაწვრილებით იხ. 6, გვ. 33-40).

პალესტინაში, არაბულ ქვეყნებში, დას. ევროპაში, სადაც არსებობს ბელუჯთა ემიგრაცია, ისინი მომხრენი არ არიან ავღანეთის პოზიციის - ნეპერთის ბელუჯისტანი პუშტუნისტანის. დღეს ავღანეთის პოზიციები საკმაოდ შესუსტებულია. შექმნილ ვითარებაში ავღანეთმა პუშტუნ-ბელუჯის საკითხები უნდა მოაგვაროს არა ამ პრობლემის რეანიმაციით, არამედ პაკისტანთან ურთიერთობის ნორმალიზაციით იმ პრინციპების საფუძველზე, რომელიც მიიღო ჯერ კიდევ ბანდუნგის კონფერენციამ 1954 წელს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Ганковский Ю.В. Национальный вопрос и национальное движение в Пакистане. М., 1967, гл.Ш.
2. Ганковский Ю.В. Пуштунское движение в Пакистане. Спецбюллетень ИВ АН СССР № 8, (171), М., 1975.
3. Hussain S.S. Alvi A.H., Rizvi A.H., Afghanistan under Soviet Occupation, Islamabad, 1980.
4. Chaliand G. Report from Afghanistan. New York, 1982.
5. The New York Times, 11.07.1986.
6. Harrison S.S. In Afghanistan's shadow: Baluch Nationalism and Soviet Temptations. N.Y. 1981.

ეკა ყანჩელი

## ეროვნული საკითხი ინდოეთში კოლონიალურ ხანაში

XX საუკუნის დასაწყისი ინდოეთის ისტორიაში ღირსშესანიშნავი პერიოდია, ვინაიდან სწორედ ამ დროს დაიწყო ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი. იგი მოამზადა იმ სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა, რომელიც მოხდა ინდოეთის ცხოვრებაში XIX-XX სს. მიჯნაზე. მან ობიექტურად მოამზადა წანამძღვრები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლისათვის. ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობები. საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობათა განვითარების მსვლელობაში სულ უფრო ძლიერდებოდა მოთხოვნა მოესპოთ ქვეყნის კოლონიალური დამოკიდებულება და არსებული ფეოდალური ურთიერთობათა გადმონაშთები. ამავე დროს სულ უფრო მკვეთრად გაიზარდა კოლონიალური ექსპლოატაცია და ეროვნული ჩაგვრა. კოლონიალური ადმინისტრაცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზებული ძალის შეჩერებას ცდილობდა თავისი ნაცადი "დაჰყავი და იბატონე" პოლიტიკის გამოყენებით. ამავე დროს სულ უფრო ძლიერდებოდა ეროვნული თვითშეგნებისა და თვითგამორკვევის იდეების გავლენა. მრავალეროვან ინდოეთში ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქვეყანაში ეროვნული საკითხი და რელიგიურ-თემური ურთიერთობა კვლავინდებურად მოსაგვარებელი იყო. კოლონიალური ჩაგვრის მოსპობისა და ეროვნული პრობლემების გადაჭრისათვის დაწყებულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ჯერ კიდევ 1855 წელს დაარსებული ინდოეთის ეროვნული კონგრესი.

ეროვნული კონგრესის რიგებში გაერთიანებული იყო ინდოეთის ყველა ერი და ხალხი და ამიტომ მას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ცალკეული ეროვნული მოძრაობების მოთხოვნებისათვის.

ჯერ კიდევ 1903 წელს ბენგალიის მოსალოდნელი გაყოფის პროტესტის ნიშნად, ეროვნულმა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ბენგალიელებით დასახლებულ ტერიტორიების ერთ პროვინციად გაერთიანებას[1].

ეროვნული კონგრესის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდა 1928 წ. კომიტეტის საერთო პარტიულ კონფერენციაზე ე.წ. "ნერუს კონსტიტუციაში". მასში ნათქვამი იყო: "ყველამ იცის რომ არსებული პროვინციების ტერიტორიულ დაყოფას არა აქვს რაციონალური საფუძველი. იგი შემთხვევითია და ხელს უწყობს ბრიტანეთის ძალაუფლების განმტკიცებას ინდოეთში. საერთოდ არა აქვს არავითარი კავშირი გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეკონომიკურ და ენობრივ საზღვრებთან და ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც არ არის მიზანშეწონილი. ამავე კონფერენციაზე შემოთავაზებული იქნა პრინციპი, რომლის მიხედვითაც უნდა გარდაქმნილიყო ინდოეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფა. მთავარი ყურადღება უნდა მიექციათ ხალხის სურვილისათვის და შესაფერისი რაიონის ენისათვის." აღიარებულია, რომ კულტურის განვითარების და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება დამოკიდებულია ენაზე. თუ გვინდა, რომ პროვინციები სწრაფად განვითარდნენ ცალკე მუშა-

---

1 1920 წელს ეროვნულმა კონგრესმა თავისი ორგანიზაციების ქსელი გარდაქმნა ქვეყნის ეროვნულ-ენობრივი დაყოფის მიხედვით, რითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება ცალკე ბრიტანეთის ინდოეთის ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფის გარდაქმნის თაობაზე. იგი მოითხოვდა ქვეყანა დაყოფილიყო ლინგვისტური ნიშნის საფუძველზე.

ბა მათ ენაზე უნდა წარიმართოს. ამასთან უნდა ვეცადოთ, რომ პროვინციები მოვაწყოთ მოსახლეობის ენაზე დაყრდნობით. ენა, როგორც წესი ემთხვევა კულტურის ნაირსახეობას, ტრადიციებს, ლიტერატურას" (1, გვ. 62).

1931 წელს ყარაჩიში დამტკიცებულ რეზოლუციაში "ძირითადი უფლებების შესახებ" რომელიც ფაქტობრივად ეროვნულ კონგრესის პროგრამას წარმოადგენდა ნათქვამი იყო: "უმცირესობათა და სხვადასხვა ენობრივი რაიონებისათვის გარანტირებულია ენის, კულტურისა და შრიფტის განვითარება" (82, გვ. 15). კონგრესის წესდებაში ნათქვამი იყო. "ქვეყნის საერთო ენად უნდა ჩაითვალოს ჰინდი, ხოლო პროვინციებში უნდა ფუნქციონირებდეს ადგილობრივი ენა" (იქვე).

ჯერ კიდევ 1945 წ. ეროვნული კონგრესის წინა საარჩევნო მანიფესტში აღინიშნა: "კონგრესმა განიხილა საკითხი თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ძირითად უფლებებს. კონგრესის აზრით, სახელმწიფოს მოწყობა უნდა იყოს ფედერალური, მისი შემადგენელი ნაწილებისათვის ავტონომიის მინიჭებით და არჩევითი საკანონმდებლო ორგანოებით. ინდური ფედერაცია უნდა წარმოადგენდეს მისი შემადგენელი ნაწილების ნებაყოფლობით კავშირს. ამასთან მანიფესტში განსაზღვრული არ იყო ფედერაციის ნაწილები (3; 6).

ეროვნული კონგრესის მმართველ წრეებში თავს იჩენდა ეროვნულ პრინციპზე ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის პროცესის შეყოვნება. მაგალითად, 1935 წ. 25 ივნისის რეზოლუციაში გამოტანილია შემდეგი გადაწყვეტილება: "ვარწმუნებთ ანდჰრას, კარნატაკის და კერალის ხალხს იმაში, რომ ცალკეული პროვინციების შექმნა ენის საფუძველზე განხორციელდება, როგორც ინდოეთის სახელმწიფო მოწყობის მისაღები სქემა, იმ დროიდან, როდესაც კონგრესს

ექნება ამის განხორციელების უნარი. ამავე დროს კონგრესი მოუწოდებდა მათ თავი შეეკავებინათ შემდგომი აგიტაციისაგან ამ მიმართულებით (4, გვ. 130).

X ეროვნულ კონგრესში თავს იჩენდა აზრთა სხვადასხვაობა ადგილობრივ ორგანიზაციებსა და მმართველ წრეებს შორის. განსაკუთრებით საკითხში სამთავროების შესახებ. კონგრესმა არცერთ თავის რეზოლუციაში მხარი არ დაუჭირა კარნატიკის, მხარაშტრის და ქერალის ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნებს სამთავროების გაუქმების შესახებ.

ჯერ კიდევ 1916 წ. ეროვნულმა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება საერთო ინდურ მეჭლევითი ორგანოების ენად ინგლისურის მაგივრად გამოეცხადებინა ჰინდი (5, გვ. 150). ჯ. ნერუ ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: "ერთადერთი შესაძლო საერთო ენად შეიძლება ჩაითვალოს ჰინდი. ამ ენაზე უკვე 120 მილიონი ლაპარაკობს. იგი ნაწილობრივ ესმით სხვა ათობით მილიონ მცხოვრებლებს, და მათ ვინც არ იცის, ხომ შეუძლია შეისწავლონ იგი უფრო ადვილად ვიდრე სხვა ნებისმიერი უცხო ენა (5, გვ. 250)". ამ აზრს იზიარებდა, როგორც განდი ისე ეროვნული კონგრესის მართველი წრეები[1].

კამათი საერთო ინდური ენის გარშემო ეროვნული კონგრესის შიგნით გამოხატავს მასში არსებულ ორ ურთიერთ საპირისპირო ტენდენციას – ფედერალიზმისა და ცენტრალიზმის. კონგრესში ამ ორი ტენდენციის ბრძოლა ასახავს წინააღმდეგობებს გუჯარათულ-მარვარული ბურჟუაზიისა, რომელიც მიისწრაფოდა საერთო ინდურ ბაზარზე ბატო-

---

1 მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები ზოგიერთი პროვინციებისა მაგ. მახარაშტრასი, კარნატიკის, ქერალის, ანდხრაპრადეშის, თამილის და განსაკუთრებით ბენგალიის წარმომადგენლები ამ აზრს არ ეთანხმებოდნენ. ვინაიდან მიაჩნდათ, რომ უფრო მდიდარი ლიტერატურის მქონე მათი ენა მეორე პლანზე არ უნდა ყოფილიყო გადატანილი, რათა ხელი არ შეშლოდა მის შემდგომ განვითარებას.

ნობისათვის და სხვა ხალხთა უფრო სუსტ ბურჟუაზიას შორის, რომე-
ლიც ცდილობდა გაენთავისუფლებინა ეროვნული ბაზარი არა მხოლოდ ინგლისური, არამედ გუჯარათულ-მარვარული კაპიტალისაგან.

ეროვნული კონგრესის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოადგენდა კომპრომისს ამ ორ ტენდენციას შორის. ეროვნულ კონგრესს მაშინ არ შეეძლო არ მიეღო მხედველობაში ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნები და ამიტომ ყოველთვის მხარს უჭერდა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფის გარდაქმნის პროგრამას და პირდებოდა პირობები შეექმნა ინდოეთის ყველა ხალხის ენისა და კულტურის განვითარებისათვის. მაგრამ არც-ერთ თავის რეზოლუციაში მან არ დააყენა საკითხი ერთა თვითგა-მორკვევის და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შესა-ხებ, ამასთან ეროვნულ კონგრესის არა ერთი წევრი, მეორე მსოფლიო ომის დროს აქტიურად მონაწილეობდა მოძრაობაში - "განუყოფელი ინ-დოეთი", რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ჰინდუ მაჰასა-ბხას ლიდერები (7).

1944 წელს რაჯა გოპალაჩარიამ კონგრესში მოაწყო კამპანია ინდოეთის მუსლიმური ოლქების გამოყოფის უფლების თაობაზე. მაჰათ-მა განდიმ მას მხარი დაუჭირა და მოლაპარაკება გამართა ჯინას-თან. ასეთი ქმედებისათვის ეროვნული კონგრესის ცენტრალური ორგა-ნოს წევრმა გამორჩენილმა მოღვაწემ ისინი დაგმო. ეს ფაქტი მაჩვე-ნებელია ეროვნული კონგრესის ცენტრალურ ორგანოებზე გუჯარათულ-მარვარული დაჯგუფების ძლიერი გავლენისა[1].

მაშინ, როდესაც ეროვნული კონგრესი პრინციპულად მხარს უჭერდა ეროვნულ ოლქების შექმნას და მხოლოდ აყოვნებდა ეროვნული

---

1 ცოტა ხნის შემდეგ მოხდა ეროვნული კონგრესის მარჯვენა დაჯგუ-ფებების დაახლოვება ჰინდუ მაჰასაბხასთან. ეს დაახლოვება იგრძნობოდა ბენგალიის, პენჯაბის, ასამის და სინდის პროვინ-ციებში, რომელთა შეყვანას პაკისტანში მოითხოვდა მუსლიმური ლიგა.

მოძრაობის განვითარებას, პინჯე მაკასაბხა და მრავალი სხვა ლიბერალი მხარს უჭერდნენ არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფას ინდოეთში[1].

ინდოეთის ეროვნული მოძრაობა თავისი ხასიათით ანტიფეოდალური და ანტიკოლონიალური იყო. იგი მიზნად ისახავდა ინდოეთის სხვადასხვა ერებისა და ხალხების განვითარების გზაზე მდგარი სიძნელეების დაძლევას. ამიტომ ინგლისის მმართველი წრეები რელიგიურ-თემური უთანხმოებათა გაღვივებით და ფეოდალური თავადების მხარდაჭერით ხელს უშლიდნენ მის განვითარებას.

ინგლისის კოლონიალური მმართველობის აპოლოგეტი, კაუპლენდი თავის ნაშრომებში ყველაზე მკვეთრად გამოხატავდა ინგლისური მმართველი წრეების თვალსაზრისს ეროვნულ მოძრაობაზე ინდოეთში. იგი წერდა: "როგორი ბუნებრივიც არ უნდა იყოს ეს მოძრაობა მას შეუძლია ძალზე შორს წაგვიყვანოს, უდავოდ მოხერხებულია, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციის ყველა წევრი ერთ ენაზე ლაპარაკობს. სინდის ბომბეისაგან და ორისას ბიჰარისაგან გამოყოფა ამ მიზეზითაა გამართლებული. მაგრამ ეს ერთადერთი მიზეზი არ იყო ამისათვის და ნუ ვიფიქრებთ, რომ მსგავსი შემთხვევები შეიძლება სხვაგანაც განხორციელდეს. ეს იქნებოდა შეცდომა, რომელიც გარკვეულ წილად არის თანამედროვე მსოფლიოს შეშფოთების მიზეზი. ეს ნიშნავს გა-

---

1 მაგალითად, ბენარესის უნივერსიტეტის პროფ. ბენია პრასადი თავის ნაშრომში "ინდუსურ-მუსლიმური საკითხი" წერდა: "ინდოეთის ადმინისტრაციული დაყოფის რეორგანიზაციის იდეა ეროვნული ნიშნის მიხედვით უბიძგებს ძალზე მცირე ხალხთა ჯგუფს, მათი განსხვავებული დიალექტების არსებობის საფუძველზე, სეპარატისტულ ტენდენციებისაკენ". ეჭვ გარეშეა, რომ ბენი პრასადი ამ შემთხვევაში გამოდიოდა ისეთი საერთო ინდური კაპიტალისტური კომპანიების იდეოლოგად როგორებიც არიან ტატა, ბირლა და სხვა (6; 9).

ვაიგივოთ კულტურა და პოლიტიკა კულტურული თავისუფლება და თვითმართველობა, ერი და სახელმწიფო" (7, გვ. 39).

კაუპლენდი ცდილობს თავის ნაშრომებში დაამტკიცოს, რომ ინდოეთის არსებული პოლიტიკური - ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც ძალზე ხელსაყრელი იყო ინგლისის მეტროპოლიისათვის, არც ისე ცუდი იყო. იგი წერს: "პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც თავდაპირველად თითქოსდა ხელოვნურად არიან შექმნილნი, დროთა განმავლობაში ჩვევების ჩამოყალიბებასთან ერთად იძენენ რაღაც ბუნებრიობას. თარბიდან თავისავე არსებული ძლიერი პროვინციული მართველობა და მისი კანონები, სასამართლოები, უნივერსიტეტები, საზოგადოებრივი სამსახურები, მაღალი და დაბალი რანგის პროვინციული მოხელეები, ჯგუფები აძლევენ გამაერთიანებელ მოქმედებას შეიქმნას სახელმწიფოებრიობის გრძნობა". ასე ასხამს ხოტბას და ამართლებს ინგლისელი მმართველი წრეების მიერ კოლონიალური ბატონობის ხანაში ქვეყნისათვის თავს მოხვეულ ბიუროკრატიული ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ დაყოფას (იგივე, გვ. 40).

ინგლისური მმართველი წრეების უარყოფითი დამოკიდებულება, ინდოეთის ადმინისტრაციული დაყოფის გარდაქმნის მიმართ პროვინციების ეროვნული ერთგვაროვნების საფუძველზე, აიხსნება იმით, რომ იგი ემუქრებოდა ინგლისის ბატონობის ძირითად ბერკეტის–ინდური სამთავროების და რელიგიურ–თემური შუღლის მიშლას.

(1947 წლის ივნისში განხორციელებულმა კანონმა "ინდოეთისათვის ძალაუფლების გადაცემის წესის შესახებ" ვერ გადაწყვიტა ეროვნული საკითხი. ინდოეთის გაყოფა პაკისტანად და ინდოეთის კავშირად განხორციელდა მხოლოდ მოსახლეობის რელიგიურ-თემური შემადგენლობის გათვალისწინებით.) მისი ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინების გარეშე. (ამ გაყოფის შედეგად ცენტრალური ფენჯაბის ტერიტორია, რომელიც ერთ პროვინციის შემადგენლობაში იყო, შუაზე

გაიყო ორ დომინიონს შორის. ასევე ორ ნაწილად გაიყო ბენგალია. გაყოფის შემდეგ არც პაკისტანი და არც ინდოეთის კავშირი არ წარმოადგენენ ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ერთგვაროვან პოლიტიკურ ერთეულებს[1].

პაკისტანში შევიდა სინდის მთელი ტერიტორია და პათანების ქვეყნები. როგორც აღინიშნა პენჯაბისა და ბენგალიის ტერიტორიები გაყოფილი იქნა ორ დომინიონს შორის. ქაშმირის გამო დღემდე გრძელდება დავა ინდოეთის კავშირსა და პაკისტანს შორის. ამასთან ინგლისი და აშშ ქაშმირელების სურვილის საწინააღმდეგოდ ამ სადავო საკითხში მხარს უჭერენ პაკისტანს.

ამგვარად ინგლისური მთავრობის ამ აქტმა ახალი სიძნელეები წარმოშვა ეროვნული საკითხის გადაჭრის საქმეში (8; 11).

პაკისტანში დღესაც განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი პათანების პრობლემაზე. თავის დროზე ავღანეთის მთავრობა მხარს უჭერდა დამოუკიდებელ პათანისტანის შექმნას. პაკისტანის მთავრობა ავღანეთის ხალხს – აფრიდიებს და ვაზირებს იყენებდა ბრძოლაში ქაშმირისათვის, რითაც მათი ყურადღება გადაჰქონდა პათანისტანის საკითხისაგან. შემდეგ დაიწყო მოძრაობა ბენგალიის გაყოფილ მხარეების შეერთებისათვის. ქაშმირის, პენჯაბის პრობლემებს კიდევ დიდხანს იყენებდნენ გარეშე ძალები იმისათვის, რომ გაემწვავებინათ ურთიერთობები ინდოეთსა და პაკისტანს შორის.

ინდოეთის კავშირის შიგნით შენარჩუნებული იყო ძველი ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც ანაწევრებდა მასში შემავალ ინდურ ერებს მცირე ნაწილად.

ინდოეთის მთავრობა წარმოადგენდა მსხვილ, ძირითადად გუჯარათულ-მარვარულ ბურჟუაზიის მთავრობას, რომელიც არ ჩქარობდა

---

1 ინდოეთის კავშირში მთლიანად შევიდა თამილების, კანარეზების, მალაიალების ტერიტორიები. აგრეთვე მაჰარაშტრა, გუჯარათი, ორისა, რაჯასთანი, ჰინდუსტანი და ბიჰარი.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. გარდა ამისა, ეშინოდა რა ეროვნული მოძრაობისა, იგი ცდილობდა მიეღწია შეთანხმებისათვის მსხვილ სამთავროებთან მათი ძალაუფლების აღიარებისა და ტერიტორიების შენარჩუნების საფუძველზე. მაშინდელი ინდოეთის მთავრობა წავიდა იმაზე, რომ გააუქმა ორისის სამთავრო და შეერთებული პროვინციები და გააერთიანა დეკანისა და კატხიავარის სამთავროების ნაწილები. ეს ღონისძიებები არ იყო დაკავშირებული მძაფრ კონფლიქტებთან. ამაზე მთავრები თვითონ იყვნენ თანახმანი, რადგანაც გრძნობდნენ თავიანთი მდგომარეობის სისუსტეს. ისინი მზად იყვნენ დაეთმოთ პრივილეგიები გარკვეულ კომპენსაციის სანაცვლოდ, დაეტოვებინათ კერძო მფლობელობაში საკუთარი მიწები. მაგრამ ინდოეთის ბურჟუაზიული მთავრობა ვერ ბედავდა ხელი ეხლო ისეთ სამთავროებისათვის, როგორიც იყო ჰაიდარაბადი; მაისური, ტრავანკური, კოჩინი, ბაროდა, გვალიორი, რომელთა გაუქმების გარეშე ვერ შესძლებდა მარატხების, კანარელების, ტელუგუების, მალაიელების და სხვათა ეროვნული მიწების გაერთიანებას (10; 11; 12).

თანდათან ინდოეთში გაძლიერდა ისეთი რეაქციული ხასიათის ორგანიზაცია როგორიც იყო ჰინდუ მაჰასაბჰა, რომელმაც ანტიინგლისური მოძრაობის აღმავლობის დროს 1945–1946 წლებში თითქმის შეწყვიტა მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ მას განდის მკვლელობაში ედება ბრალი, იგი ისევ მოქმედებდა. იმ გაზეთებმა და ჟურნალებმა, რომლებიც იდეოლოგიურად მხარს უჭერდნენ ამ ორგანიზაციას, გააჩაღეს მძლავრი პროპაგანდა. მოითხოვდნენ ჰინდის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. როდესაც ლაპარაკია ინგლისურის გამოდევნაზე ინდოეთიდან, ეს აზრი გასაგებია, მაგრამ როდესაც ჰინდი უპირისპირდება სხვა ინდურ ენებს, მაშინ იგი უკვე გამოხატავს ინდოეთის მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელურ ტენდენციას.

(ინდოეთის დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც გამოხატავდა გუ-ჯარათელ - მარვარული ბურჟუაზიის თვითმპყრობელურ მისწრაფებებს, გამოაცხადა ინდოეთის სახელმწიფო ენად ჰინდი და ინგლისური. ინდოეთის ახალ საკანონმდებლო დაწესებულებებში დეპუტატებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეძლეოდათ უფლება გამოსულიყვნენ მშობლიურ ენაზე. ამგვარად ინდოეთის ბურჟუაზია, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული უცხოელთა ბატონობისაგან, თვითონ ატარებდა ეროვნული უთანასწორობისა და ჩაგვრის პოლიტიკას.)

ლორდ მაუნტბეტენის გეგმის მიხედვით გუჯარათელ-მარვარული ბურჟუაზია, რომელიც შეუთანხმდა ინგლისურ კაპიტალს ინდოეთის ბაზრის გაყოფის თაობაზე, ცდილობდა გაეფართოებინა თავისი გავლენის სფერო, ამ ბაზარზე უფრო სუსტი ეროვნული ბურჟუაზიის იქიდან გამოდევნის გზით, ამიტომ იგი აყოვნებდა იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც მიიღო ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა ქვეყნის გაყოფამდე.

(ინგლისის თითქმის 200 წლიანი კოლონიალურმა ბატონობამ ვერ დააყოვნა კაპიტალიზმის განვითარება ინდოეთში. კაპიტალიზმი კოლონიურ ინდოეთში განვითარდა სამი ძირითადი ნავსადგურის მიმდებარე ეკონომიკურ ცენტრებთან: კალკუტა, ბომბეი და მადრასი.) ამ რაიონებიდან ახლოს მცხოვრებ ხალხების განვითარება და ერებად ჩამოყალიბება დაჩქარდა. მათ რიცხვშია ბენგალელები, ორისელები, ასამელები (აღმოსავლეთ ინდოეთში), მარატხელები და გუჯარათელები (დასავლეთ ინდოეთში), თამილები, ტელუგუები, კანარელები და მალაიალელები (ჩრდილო ინდოეთში), სინდხები, ავღანელები და პენჯაბელები (ჩრდილო დასავლეთ ნაწილში). ისინი მთელი ინდოეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ (9).

(ზღვის სანაპიროდან დაცილებულ რაიონებში კაპიტალიზმის განვითარება კიდევ უფრო შეყოვნდა. ასეთებია მდ. განგის აუზისა

და პენჯაბის რაიონებში მცხოვრები ხალხები, რომლებიც ერად ჩამოყალიბების სტადიაში იყვნენ. მათ შორისაა: პენჯაბელები, რაჯასტანელები, ჰინდუსტანელები, ბიჰარელები, რომლებიც მთელი ინდოეთის მოსახლეობის 48%-ს შეადგენდნენ.

მთიან რაიონებში დასახლებული ხალხები კიდევ უფრო სუსტად განიცდიდნენ კაპიტალიზმის გავლენას. ისინი მოსახლეობის 5% შეადგენდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ბელუჯელები, ბხილები, სანტალები, ორაონები და სხვები.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებიდან ინდოეთში დაიწყო აქ მოსახლე სხვადასხვა ხალხების ეროვნულ გამანთავისუფლებელი მოძრაობა. ყველაზე უფრო განვითარებული სახე ამ მოძრაობამ მიიღო ბენგალელებს, მარატხელებს, ანდხარებს, მალაიალებს, ორიაელებს, კაშმირელებს, სინდხებს და ავღანელებს შორის. იგი ნაკლებად ძლიერად მიმდინარეობდა თამილებსა და გუჯარათებს შორის.

ამ მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები იყო: 1. ინდოეთის ადმინისტრაციულ პოლიტიკური დაყოფის გარდაქმნა და ყოველი ერის ერთ ადმინისტრაციულ პოლიტიკურ ერთეულში გაერთიანება. 2. სახელმწიფო ორგანოებში ყოველ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულიდან წესაბამისი ეროვნების ადამიანების მიზიდვა და საქმეთწარმოების შემოღება ალგილობრივ ენაზე. 3. ეროვნული ენისა და კულტურის განვითარების შემაფერხებელი დაბრკოლებების მოხსნა და სკოლებში ზემოდან ქვემოთ განათლების წარმოება ეროვნულ ენებზე.

კაპიტალიზმის არაერთგვაროვანი განვითარება ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში განაპირობებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ძალით განვითარებას. გუჯარათელების, ჯაინების და მარვარის ბურჟუაზია გაბატონდა საერთო ინდურ ბაზარზე და ნაკლებად იყო დაინტერესებული საკუთარი ეროვნული ბაზრის განვითარებაში. აქედან გამომდინარეობდა მისი ცენტრისტული პოზი-

ცია ინდოეთის სახელმწიფო მოწყობის საქმეში. იგივე მიზეზით ეროვნული კონგრესის მართველობითი ორგანოები მხარს არ უჭერდნენ ინდოეთის ერებისათვის სრული უფლებების მინიჭებას თვითგამორკვევისათვის და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის.

ინგლისის კოლონიალიზმისა და ინდოეთის მსხვილ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ეროვნული ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა ინდოეთის გაყოფის შემდეგ პაკისტანად და ინდოეთის კავშირად. ამ ორი ქვეყნის შორის ეროვნული საკითხი ყველაზე საჭირბოროტო საკითხად დარჩა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. "All parties conference 1928, Report of the committee", Allahabad, 1928.
2. Nehru J. Eighteen months in India. Allahabad, 1938.
3. "Census of India 1951", Paper No 1, pt. 12.
4. "Modern review", Calcutta, July, 1938.
5. "Gandhi M.K. Speeches and writings, Madras, 1922.
6. "Census of India 1931", vol.I, pt III, Simla, 1935.
7. Coupland, Report on the constitutional problem in India, The Indian Problem, 1833-1935, part I-III, L., 1942-1945.
8. "Census of India, 1961", vol.IV, Bihar, Delhi, 1965.
9. "Census of India", vol.I, Delhi, 1943.
10. "Census of India, 1921", vol.I, Calcutta, 1923, p.1.
11. "Census of India, 1951", vol.II, Allahabad, 1953, p.1.
12. "Census of India, 1951", Paper No 1, Languages, Delhi, 1954.

ნინო აფციაური, ალბერტ ბენდელაშვილი

# პაკისტანის საზოგადოებრიობის რეაქცია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე მოვლენებზე

მწვავე ვითარება, რომელიც შეიქმნა 1989–1990 წლებში, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ანუ ისლამის ტრადიციულად გავრცელების რეგიონებში, მოჰყვა ფართო გამოძახილი პაკისტანში.

ეს აიხსნება პირველ რიგში თვით ქვეყნის იდეოლოგიის ხასიათით, ცნობილია, რომ პაკისტანის შექმნას ამართლებდნენ იმით, რომ ინდოეთში მცხოვრებ მუსლიმებს მოეწყოთ თავიანთი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება ისლამის მოთხოვნათა შესაბამისად. მეორე მხრივ, იგი აიხსნება პაკისტანის საზოგადოებრივი შეგნების მიერ ყოფილ საბჭოთა კავშირის ამ რეგიონში მომხდარი ყველა ამბების განსაკუთრებული ემოციური აღქმითაც–ძველთაგანვე შუა აზია აღიქმება, როგორც ნაწილი ყოფილი ერთიანი მუსლიმური სივრცისა, რომელსაც პაკისტანთან აქვს საერთო ისტორიული, კულტურული, რელიგიური და გენეალოგიური ფესვები–და ბოლოს, იგი აიხსნება როგორც შედეგი, პოლიტიკურ და რელიგიურ წრეებში ფართოდ გავრცელებული აზრისა პაკისტანის ერთგვარი განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა შუა აზიისა და ამიერკავკასიის მუსლიმების ბედის გამო.

რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ გამოცემათა იმ შეზღუდული ნაწილის მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ჩვენთვის, პაკისტანის პრესა მთლიანად (მემარცხენე გამოცემათა უმნიშვნელო ნაწილის გამოკლებით) მსგავსი მნიშვნელობით განმარტავდა ურთიერთობის გამწვავებას აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღის გამო და აგრეთვე შუა აზიაში და, განსაკუთრებით, კავკასიაში ოპოზიციურ–ეროვნული და რელიგიური ძალების წინააღმდეგობას ცენტრის მიმართ

აღნიშნულ რეგიონში დაწყებული მღელვარებები განიხილებოდა როგორც "ისლამური განმათავისუფლებელი ძალის შემადგენელი ელემენტი და ლოგიკური გაგრძელება ისევე, როგორც ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე "ინტიფადა", ქაშმირში ანტიინდური მოძრაობა ან ავღანეთში - მოჯაჰედების ბრძოლა. მეორე მხრივ, ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოქმნილ არასტაბილურობას პაკისტანელი პოლიტოლოგები განიხილავდნენ როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს, ანდა მისი შიდა კავშირების დასუსტებისა და ნაციონალიზმის საერთო ზრდის პროცესის ნაწილს.

ურდუს ენაზე გამომავალი კონსერვატული და რელიგიური პრესისათვის[1] განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საბჭოთა შუა აზიაში და აზერბაიჯანში მომხდარ ამბებზე, როგორც დაწყებულ ჯიჰადზე, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა რწმენისათვის მებრძოლ მუსლიმების მიერ საბჭოთა არმიაზე ავღანეთში გამარჯვებისაგან (1, 1990, 20.01).

რაც შეეხება პაკისტანის ცენტრისტულ ინგლისურენოვან პრესას[2], ისევე როგორც ოფიციოზურ "პაკისტან თაიმსს", 1990 წლის იანვრამდე, სანამ გამწვავდებოდა კონფლიქტი აზერბაიჯანში, მათ მთლიანად ლოდინის პოზიცია ეკავათ. პრაქტიკულად ისინი არც აქვეყნებდნენ საკუთარ და სარედაქციო კომენტარებს თუ რაიმე ინფორმაცია ქვეყნდებოდა აღნიშნული რეგიონის შესახებ, მას აწოდებდნენ "როიტერის" სააგენტოს ან საკდესის, აგრეთვე მთელ რიგ აზერბაიჯანელ ჟურნალისტების შეტყობინებათა საფუძველზე.

---

1 ურდუს ენაზე პაკისტანში გამოდის გაზეთები: "ნავა-ე-ვაკთ" და "ჯასარათ", ჟურნალი "ზინდაგი", აგრეთვე ინგლისურ ენაზე "ნეიშნ"-ი.

2 "Dawn", "Muslim", "Frontier Post", "The Pakistan Times".

იანვრის მეორე ნახევრის შემდეგ ქვეყნის ინგლისურენოვანი პრესა ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მასალებს განიხილავდა, როგორც ცენტრალურისა და პაკისტანელი მკითხველისათვის (ძირითადად საშუალო ფენებისათვის) ყველაზე უფრო საინტერესოს.

ამავე დროს. იმავე წლის გაზაფხულზე ტაჯიკეთში, კერძოდ დუშანბეში მომხდარ მღელვარებებისა და უწესრიგობათა შესახებ ინფორმაციას ისევე აქვეყნებდნენ პირველ გვერდზე, მაგრამ მცირე მოცულობით.

პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების შემდეგ ამიერკავკასიის მოვლენების შესახებ, ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პოზიცია გამკაცრდა. ადასტურებდა რა სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, ერთდროულად პაკისტანი აცხადებდა, რომ მის ხალხს არ შეუძლია გულგრილად უყუროს "მუსლიმი მოსახლეობის ტანჯვას, სადაც არ უნდა ხდებოდეს მსოფლიოში". ოფიციალურ განცხადებაში გამოთქმული იყო იმის იმედი, რომ მ. ს. გორბაჩოვი და მთავრობა შეეცდებიან პრობლემის მოგვარებას იმ სიბრძნით და შორსმჭვრეტელობით, რომლითაც გამოირჩევა მათი მოღვაწეობა (5; 02.01.1990). პაკისტანის ეს განცხადება იმას ნიშნავდა, რომ იგი აცხადებდა პრეტენზიას შეესრულებინა მომრიგებლის როლი საზღვარგარეთის ქვეყნების მუსლიმური მოსახლეობის საშინაო საქმეებში. მაშინ საბჭოთა მხარემ ეს შეაფასა როგორც პაკისტანის ჩარევა და გადაჭრით უარყო იგი (8; 03.01.1990).

პაკისტანის პრესის მიმომხილველთა აზრით, მ. ს. გორბაჩოვის და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა აზერბაიჯანის მიმართ მცდარი და კერძოდ სახალხო ფრონტისადმი როგორც პარტიისადმი, ატარებდა აშკარა დისკრიმინაციულ ხასიათს. მათი აზრით, ცენტრის მოქმედებაში არ იგრძნობოდა თავშეკავებულობა და მზადყოფნა კომპრომისებისადმი, რაც დამახასიათებელი იყო ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიმართ

გატარებული კურსისათვის (2, 22.01.1990). ამასთან დაკავშირებით, პრესაში კითხულობენ ჯარის ლტოლვას მოლაპარაკებაზე იმის თაობაზე, რომ უფრო მეტი სუვერენიტეტი მიეცათ იმ რესპუბლიკებისათვის, რომელთა მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმია. "ჯარის ასპექტია – აღნიშნავდა ცნობილი პაკისტანელი ჟურნალისტი მუშაჰიდ ჰუსეინი," – რუსების სამხედრო აქცია ბაქოში... აიძულებს მუსლიმებს სერიოზულად დააყენონ საკითხი ორმაგ სტანდარტების შესახებ, რომელსაც იყენებდა თვით გორბაჩოვი თავისი ქვეყნის არარუსი მოქალაქეების მისწრაფებების მიმართ (6, 10-16.02.1990).

პოლიტოლოგების უმეტესობა რელიგიურ ასპექტს გადამწყვეტად როგორც მთავარ და განმსაზღვრელს (უფრო ენაზე პრესაში სხვაგვარი მოსაზრებები პრაქტიკულად არ იყო). ცენტრს ადანაშაულებენ მისწრაფებაში ჩაეხშო საბჭოთა პერიოდში მიღწეული მცირე ისლამური აღორძინება. "კრემლის რელიგიური არჩევანი უმეცრობაა," რადგან მის ობიექტს წარმოადგენს ასობით მილიონი მუსლიმური მოსახლეობა, რომელიც დაუნდობელი ჩახშობის გამო მტრულად იქცა"–აღნიშნავდა გაზეთი "მუსლიმი" თავის სარედაქციო სტატიაში (3, 22.01.1990). ამასთან დაკავშირებით, ღიად გამოთქვამდნენ გაფრთხილებებს, რომ კონფრონტაციამ სსრკ-ში 70 მილიონ მუსლიმანთან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც თავისი სიმძიმით აღემატება ავღანეთში მუჭრას. ანალოგიური პოზიციიდან განიხილავდნენ იმ დაძაბულობას, რომელიც წარმოიქმნა მთიან ყარაბაღში დაწყებული კონფლიქტის გამო. ხშირად ადგილობრივ პრესაში დაპირისპირების უნიკურ და ისტორიულ ფესვებს არ იხილავდნენ როგორც კონფრონტაციის გამომწვევ ფაქტორს. მათი აზრით, აღნიშნული კონფლიქტი ამიერკავკასიის ორ რესპუბლიკას შორის წარმოიშვა რელიგიური მოტივით; რადგან მუსლიმი აზერბაიჯანელები ებრძვიან ქრისტიან სომხებს სალოცავების ნიშნის გამო და ეს ბრძოლა იქცევა რელი

სისხლიანი - წერდა ვინმე ნასირ ზეხრა გაზეთ "მუსლიმში" (3, 21.01.1990). "შემწყნარებლობა" ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიმართ და კურსის გამკაცრება აზერბაიჯანსა და შუა აზიაში მთელ რიგ გაზეთების კომენტარებში აიხსნებოდა, როგორც მ. გორბაჩოვის უნარი და სურვილი გამოენახა საერთო ენა ქრისტიანებთან და მისი "მიუქ-ცევლობა" მუსლიმების მიმართ; გადაწყვეტილება ბაქოში წესრიგის დასამყარებლად ჯარების გაგზავნის შესახებ; იქ მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ; ცალსახად განმარტებული იყო, როგორც ცენტრალური მთავრობის ანტიაზერბაიჯანული და ანტიმუსლიმური პოზიცია. ამასთან ვლინდებოდა იმის ტენდენცია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ მუსლიმი ექსტრემისტების საქციელის დაგმობა და მათი შესაბამისი განცხადებები აეხსნათ კრემლის მისწრაფებით მოეპოვებინათ პოლიტიკური ქულები დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ს თვალში (4, 22.04, 1994).

"იმის მაგივრად, რომ შეესრულებინა არბიტრის როლი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობათა მოსაგვარებლად გორბაჩოვმა დაიკავა ერთი ქვეყნის საწინააღმდეგო პოზიცია და საჯაროდ გაკიცხა და დაადანაშაულა მუსლიმი "ფუნდამენტალისტები" წესრიგობათა გაღვივებასა და საბჭოთა კავშირიდან გასვლის სურვილში იმ მიზნით, რათა შეექმნათ საკუთარი ისლამური რესპუბლიკა, საბჭოთა ლიდერმა იცოდა, რომ მსგავსი განცხადებები ძალიან კარგად აღიქმება დასავლეთში". იქცეოდა რა ასე გორბაჩოვი, როგორც ჩანს, მიისწრაფოდა დასავლეთის თანაგრძნობის მოსაპოვებლად თავისი საშინაო პრობლემების მოგვარების საქმეში და უფრო მეტი დახმარების მისაღებად ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების სახით - აღნიშნავდა გაზეთი "მუსლიმი" (3, 23.01.1990).

ამავე დროს მ. გორბაჩოვი ადგილობრივი პრესის სიტყვებით, არასოდეს არ გმობდა ლიდერებს, როგორც "ქრისტიან ფანატიკოსებს"

(6, 16.03.1990). ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი საქმიანი წრეების ორგანო გაზეთი "დოონი" არაერთხელ აღნიშნავდა, რომ დასავლეთი ყოველთვის მზად არის მოიწონოს ამიერკავკასიასა და შუა აზიაში ჩახლართული პრობლემების გადაჭრის ძალისმიერი მეთოდები, ხოლო გმობდა ნებისმიერ ასეთი სახის წამოწყებას ლიტვასა და საერთოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

პაკისტანის პრესა ყველაზე მეტად აფიქრებდა დასავლეთის და საბჭოთა კავშირის შესაძლებელი "ანტიისლამური ალიანსი". ფართოდ ავრცელებდნენ თეორიას დასავლეთსა და დეიდეოლოგიზირებულ აღმოსავლეთს შორის პოლიტიკური "კონვენციის" შესახებ. "ნეიშენის" და "პაკისტან ენდ გალფ ეკონომისტის" მიმომხილველები ამტკიცებდნენ, რომ თითქოს "კომუნიზმის" შეკავების დოქტრინის სანაცვლოდ მოდის "ერთიანი დასავლეთის" ახალი იდეოლოგია – "ისლამის შეკავება" (1, 27. 01. 1990; 5, 26.01. 1990). გორბაჩოვის ქცევა – განაგრძობდნენ პაკისტანელი ჟურნალისტები – ეს საშიში ფენომენია, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სერიოზული შედეგები მთელ მუსლიმური სამყაროსთვის, თუ აღმოჩნდა, რომ მიუკოვება. მეორე ზესახელმწიფოს, აშშ სახით, იპოვა პარტნიორი ე.წ. "ისლამური ფუნდამენტალიზმის" იზოლაციის საერთო საქმეში – აფრთხილებდა მკითხველებს გაზეთი "მუსლიმი" (3, 20.01.1990). თავის მეორე სარედაქციო წერილში "კიდევ ერთი სისხლიანი ჰყლელი", იგივე გაზეთი ბაქოს ამბებთან დაკავშირებით, მიუთითებდა: "ათასობით აზერბაიჯანელ მუსლიმთა ბარბაროსული ხოცვა მუქარას უქმნის იმ ზესახელმწიფოთა შორის მომხდარი განმუხტვის "ევროცენტრისტულ" სტაბილურ ზემოქმედებას მესამე სამყაროს ქვეყნებზე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს თანამედროვე სამყაროში არნახული პოლარიზაცია მსოფლიო ეთნიებს შორის რელიგიურ საფუძველზე" (3, 22.01.1990).

ყურადღებას იქცევს რიგი სხვა მნიშვნელოვანი 1990 წლის იანვარ-თებერვალში მომხდარი ამბების უფრო კერძო ასპექტები. გაზეთების მიერ არაერთხელ აღინიშნა ადგილობრივი "კომუნისტი ლიდერების" მზარდი მისწრაფება - ხაზი გაუსვან ისლამური რწმენისა და ნაციონალური იდეების შემწყნარებლობას. მათი აზრით, ეს ფენომენი აიხსნება სხვადასხვა სახალხო ფრონტებში გაერთიანებულ ძალთა მზარდი დაწოლით. პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე უცხოურ სახელმწიფოთა, განსაკუთრებით ირანის რეალურ და წარმოსახვით როლის განხილვას დაძაბულობის წარმოქმნაში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ისლამური რევოლუციის იდეების წარმატებული ექსპორტი ირანიდან, რომელიც საბჭოთა კავშირში კომუნიზმის ავტორიტეტის დაცემის შემდეგ წარმოქმნილი იდეოლოგიურ-სულიერი ვაკუუმის შევსების საშუალებას იძლეოდა. გაზეთ "მუსლიმის" აზრით, ირანის ლიდერებმა შესძლეს ასეთი მიეწოდებინა როგორც "დინამიური, სოციალური, რევოლუციური და ღვთაებრივი იდეოლოგია, რომელსაც შეეძლო დაემარცხებინა იმპერიალიზმი ყველა სფეროში და დაეცვა ღარიბთა მასების უფლებები" (3, 15.01.1990). "აზერბაიჯანელების მიერ დაწყებული მსვლელობა რელიგიისაკენ საბოლოოდ დამთავრდა საზღვრების რღვევით და მათი მუსლიმ ძმებთან შეერთებით". ყველა გაზეთებმა პირველ ფურცლებზე გამოიტანეს ირანის განცხადება აზერბაიჯანის ამბებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა საბჭოთა მთავრობის გაფრთხილებას, მუსლიმების მიმართ "სტალინური მეთოდების" გამოყენების საწინააღმდეგოდ.

ზოგიერთი, მემარცხენე გამოცემები და რიგი დამოუკიდებელი დამკვირვებლები ცდილობდნენ ყურადღება მიექციათ შუა აზიის რეგიონთან არაპირდაპირ დაკავშირებული სხვა პრობლემებისათვის. ასე ცნობილი მემარცხენე ყოველკვირეულის "ვიუპოინტის" კომენტარიატი კონტექსტს ხსნიდა რესპუბლიკებში კორუმპირებული ელემენტე-

ბის გავლენით, რომლებიც კონფლიქტებს თავისი ინტერესებისათვის აღვივებდნენ. რელიგიურ და ეთნიკურ ფაქტორს "ვიუპოინტის" რედაქტორი მაზხარ ალი ხანი განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან, მაგრამ არაგადამწყვეტ ფაქტორებს (7, 18.01.1990 N 23, გვ. 7). გაზეთ "მუსლიმის" ავტორი, მიმომხილველი აკბარ ნაკვი, 1990 წლის თებერვალში ტაჯიკეთში მომხდარ შეტაკებათა კომენტირებისას ხაზს უსვამდა იმას, რომ თუმცა მიმდინარე "რევოლუციის" ხასიათი აუცილებლად განისაზღვრება რწმენით და ხალხთა კულტურული და ისტორიული თავისებურებებით, მაინც არ შეიძლება ამ მოვლენებში არ დავინახოთ ეროვნული და საერთოდემოკრატიული ელემენტები (3, 24.02.1990). მაგრამ ის გამოცემებიც კი, რომლებიც ტრადიციულად პროგრესულად მიიჩნეოდნენ ყარაბაღის პრობლემების ანალიზისას, მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ ძალისმიერი მოქმედებების გამოყენებაზე, მაგრამ მაინც მხარს უჭერდნენ კონფლიქტში აზერბაიჯანულ მხარეს.

ამრიგად, მოტანილი მასალა მოწმობს იმას, რომ პაკისტანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მთლიანობაში თავს არიდებდნენ ეთნოკონფლიქტების ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ფესვების ღრმა ანალიზებს, მათში უფრო ჭარბობდა საკითხისადმი ემოციონალური და ზედაპირული მიდგომა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. "Nation",
2. "Dawn",
3. "Muslim",
4. "Frontier Post",
5. "The Pakistan Times",
6. "Pakistan and Gulf Economist",

7. "Viewpoint", Lahor.

8. "Известия"

ლევან ბაძალა

## ისლამი და სამხედრო დიქტატურა პაკისტანში 1977-1987 წლებში

პაკისტანის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია ის პერიოდი, როდესაც გენერალ ზია-ულჰაკმა მოახდინა სამხედრო გადატრიალება და დაამყარა თავისი მმართველობა.

ზია ულ-ჰაკის 10 წლიანი დიქტატურა პაკისტანში საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ იმაზე, რომ მას მხარს უჭერდა არა მარტო პაკისტანის არმია და აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, არამედ ქვეყანაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პარტიაც - "ჯამაათ-ი-ისლამი"[1] ("ისლამის საზოგადოება"). ეს ისლამური ტრადიციონალისტური პარტია გამოდიოდა როგორც დამყარებული სამხედრო დიქტატურის ლეგიტიმურობის გარანტი, ადგილობრივი მოსახლეობის მასებთან რეჟიმის დამაკავშირებელი არხი და ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ინტერპრეტატორი. გარდა ამისა ის იყო სოციალური კონფლიქტების (განსაკუთრებით ისეთ ფეთქებადი ფენებისა, როგორიც იყვნენ სტუდენტობა და მოჯაჰედები) ამარიდებელი ან მომგვარებელი. მაგრამ ამ პარტიის მთავარი დამსახურება მაინც იმაშია, რომ იგი გამოდიოდა მმართველი რეჟიმის იდეოლოგიად და ხელს უწყობდა მისი ინტერესების განხორციელებას. როცელე ამ მუსლიმური პარტიის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ გადაექცია პაკისტანი ჭეშმარიტ ის-

---

1 იგი შეიქმნა 1941 წელს. მისი დამაარსებელი იყო ცეიდ აბუ ალა მაუდუდი

ლამურ რესპუბლიკად[1].

ულემები იყვნენ და არიან პაკისტანის იდეოლოგიის ყველაზე უფრო თანმიმდევრი დამცველები. მოძრაობა პაკისტანის შექმნისათვის ულემების დაწყებული იყო. ამ სახელმწიფოს დამაარსებელი მ. ჯინა და მისი თანამებრძოლები ოცნებობდნენ პაკისტანში თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ინტერპრეტაცია ოფიციალურ დოკუმენტებში გვხვდება მხოლოდ 1977 წლის შემდეგ ე. ი. ზია ულ-ჰაკის მიერ სამხედრო დიქტატურის დამყარების შემდეგ. მანამდე იგი გვხვდებოდა მხოლოდ ჯამაათ-ი-ისლამის ცალკეულ ლიდერების წარმოთქმულ სიტყვებში და აშკარა ხასიათს არ ატარებდა.

იმ სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომელთა შედგენაშიც ჯამაათ-ი-ისლამიმ მიიღო მონაწილეობა, ზია-ულ-ჰაკის რეჟიმი განიხილება, როგორც "ნიზამ-ი-მუსტაფა" ანუ "სამართლიანობის მმართველობა", ხოლო 1977 წლამდე პერიოდი, როგორც მოსამზადებელი საფეხური. ავტორთა აზრით, პაკისტანის ისტორიაში ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ სამი მთავარი ფაქტი: 1) 1949 წელს დამფუძნებელი ასამბლეის მიერ რეზოლუციის მიღება ქვეყნის შემდგომი მიზნების შესახებ; 2) 1951 წელს 31-ე ულემების მიერ ხელისუფლებისათვის წარდგენილი 22-პუნქტიანი პროგრამა, სადაც პარტიას (ჯამაათ-ი-ისლამის) უნდა მიეღო დიდი მონაწილეობა იმ პრინციპების საფუძველზე, რაც იყო მიზნების რეზოლუციაში; 3) ზია ულ-ხაკის მიერ ისლამიზაციის პოლიტიკის გატარება. პაკისტანის ისტორიის ამ მონაკვეთმა მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება (2, გვ. 174).

ზია ულ-ხაკმა ნება მისცა ჯამაათ-ი-ისლამის, რომ მათ თავიანთი თავი ისტორიაში როგორმე გაეკეთილშობილებინათ. ამის გაკეთე-

---

1 სწორედ ეს იყო ნათქვამი განათლების სამინისტროს ერთ-ერთ ცირკულარში, რომელიც მოუწოდებდა სტუდენტებს შეეტანათ თავიანთი წვლილი ამ მიზნების განხორციელებაში (იხ. 1, გვ. 165).

ბა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისტორიის "გადაწყვეტის" დროს წაშლიდნენ ზღვარს "ისლამურ სახელმწიფოს" და "მუსლიმთა სახელმწიფოს" ცნებებს შორის, მაშინ როდესაც ისინი არა მარტო გამორიცხავდნენ ერთმანეთს, არამედ სრულიად საწინააღმდეგოდაც კი აღიქმებოდნენ. სწორედ აქედან იყო მიმართული ამ პარტიის ხელმძღვანელთა მთავარი ძალისხმევა. "ჯამაათ-ი-ისლამის" თეორეტიკოსები არასოდეს არ იხსენებენ იმის შესახებ, რომ მ. ჯინასათვის მუსლიმთა სახელმწიფოს დაარსება არ ნიშნავდა ისლამურ სახელმწიფოს ამ სიტყვის ფუნდამენტალისტური, თეოკრატიული გაგებით, თუმცა მის მიმდევართა შორის იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს შექმნას პერსპექტივაში განიხილავდნენ როგორც პაკისტანისათვის ბრძოლის დასასრულს.

შეურიგებელი დაპირისპირება არსებობდა სეკულარისტებსა და "ჯამაათ-ი-ისლამის" (ჯ. ი.) შორის ნაციონალიზმის საკითხებში. ჯ. ი. იბრძოდა სეკულარისტული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რადგანაც მასში ისლამური სახელმწიფოს შექმნის უარყოფის საშიშროებას ხედავდა, ჯინას მიერ დაარსებულ მუსლიმური ლიგის პოლიტიკურ ელიტაში ხედავდა ამ იდეის მთავარ მოწინააღმდეგეს. ჯ. ი. ცდილობდა ხალხში ჩაენერგა ეროვნული თვითშეგნება. ამ პარტიის ამჟამინდელი ბელადი (ამირა) მიიან ტუფაილ მუჰამედი, რომელმაც თავის დროზე მ. ჯინა და მისი მომხრეები გამოაცხადა ცოდვილებად პაკისტანის მთავრობის შექმნისათვის, 1986 წ. თავის გამოსვლაში ტელევიზიით განაცხადა, რომ თითქოს პაკისტანისათვის ბრძოლის დროს ჯინასა და ჯ.ი. შორის აზრთა სხვადასხვაობა ატარებდა ტაქტიკურ ხასიათს და საერთო მიზანს ისახავდა[1].

ამ პარტიის დამაარსებელი ა. მაუდუდი ნაციონალიზმს არ მიიჩნევდა შემაკავშირებელ ფუნდამენტად აღმოსავლეთის ქვეყნებისა-

---

1 მ. ჯინას აზრს მკვეთრად ეპირისპირდებოდა ა. მაუდუდის შეხედულებები.

თვის. ამ მისიას იგი აკისრებდა მხოლოდ რელიგიას. მისი აზრით, მოძრაობა სახალიფოს შექმნისათვის გაიშალა და წარუმატებელი აღმოჩნდა არაბული და თურქული ნაციონალიზმის გამთიშველი ზეგავლენის გამო (იხ.: 3, გვ. 32-35).

რელიგიური ერთობაც მას ესმოდა როგორც კომუნიზმს, კაპიტალიზმსა და ინდუს-მუსლიმური ერთიანობა განუხორციელებელ იდეებად. ზისმა ამ განცხადებამ კიდევ უფრო გაამწვავა ინდუს-მუსლიმთა შუღლი და მტრობა.

თეოკრატიული, "ჭეშმარიტად ისლამური" სახელმწიფო, მაუდუდის აზრით უნდა დამყარებულიყო შემდეგ ელემენტებზე: 1) უზენაესის სუვერენიტეტი; 2) თეოდემოკრატია, ე.ი. ძალაუფლება მხოლოდ ყურანისა და სუნას შესაბამისად; 3) მმართველის კანდიდატის შერჩევა ხალხის უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე აყვანა; 4) სახელმწიფოს მოწყობა სახალიფოს პრინციპით, 5) სრული მორჩილება; 6) სახელმწიფოს სამი ძირითადი სტრუქტურის - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემების არსებობა.

ისლამური სახელმწიფოს აუცილებელი თანმხლები ატრიბუტი, მაუდუდის აზრით, არის იძულება. არც პარტიებია საჭირო, ვინაიდან ისლამური თანასწორობის ქვეყანაში არ იქნება კონფლიქტები კაპიტალისტებსა და მუშებს, მემამულეებსა და გლეხებს და სხვათა შორის[1].

ფაქტიურად მაუდუდის უნდოდა თეოკრატიული ტირანიის ჩამოყალიბება და ამის მიღწევა არა მარტო კონსტიტუციური, არამედ ძალისმიერი მეთოდებითაც.

ყოველი მოძრაობა, რომელიც არ ეთანხმება ჯ.ი.-ის კონცეფციებს და რომელიც საფუძვლად არ უდებს მათ თავის მოღვაწეობას,

---

1 ეს პრინციპები ა. მაუდუდის დამუშავებული აქვს თავის შრომებში (იხ. 4).

ცხადდებოდა საღვთო მთავრობად, ხოლო მისი მტრები – ცოდვილებად (იხ. 5, გვ. 9). სწორედ ამიტომაც ჯ.ი. უარყოფდა თვით პაკისტანის იდეას და მისი შექმნის შემდეგაც კი უწოდებდა მას "ნა-პაკისტან"-ს (არა პაკისტანი) ანუ უწმინდურთა სახელმწიფოს. გასამართლების დროს ა. მაუდუდიმ პირდაპირ განუცხადა სამხედრო ტრიბუნალს[1], რომ ჯ.ი. მიზნად ისახავს მთავრობის დამხობას და მის შეცვლას ისეთი ხელისუფლებით, რომელიც უპასუხებდა მისი პარტიის შეხედულებებს ისლამური მთავრობის შესახებ.

ჯამაატ-ი-ისლამის იდეოლოგიური მიმართულება ბევრად იყო განსაზღვრული მაუდუდის მჭიდრო კავშირით საუდელთა დინასტიასთან. საუდელთა ხელშეწყობას უნდა მიეწეროს ის, რომ ა. მაუდუდი სარგებლობდა მუსლიმური კონგრესის ტრიბუნით მექაში, ხოლო საუდის არაბეთს იგი მუსლიმურ სახელმწიფოთა მეთაურად აცხადებდა. სწორედ მექაში იგი გამოვიდა თეზისით იმის შესახებ, რომ რელიგიას აქვს პრიორიტეტი ნაციონალიზმზე. ეს თეზისი ძალზე მახლობელი და მისაღები იყო საუდის არაბეთისათვისაც (6, გვ. 19–24).

აიუბ-ხანის მმართველობის დროს ჯამაათ-ი-ისლამი იმყოფებოდა ღია კონფრონტაციაში ხელისუფლებასთან, რის შედეგადაც 1970 წლის არჩევნებში ეროვნულ ასამბლეაში 300 ადგილიდან მიიღო მხოლოდ 4. ეს იყო კატასტროფა, რამაც აიძულა პარტიის ლიდერები შეეცვალათ ტაქტიკა.

1977 წლის 5 ივლისის სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძვლიანად შეცვალა მათი მდგომარეობა, მიანიჭა რა მათ ახალი ფუნქცია და როლი ოპოზიციური ძალებიდან ისინი არმიის პარტნიორებად გადაიქცნენ. რატომ მოხდა ამ პარტიის პოპულარიზაცია?!

---

1 იგი გაასამართლეს ანტიაჰმადიური მღელვარების მოწყობაში მხილებისათვის.

1965 წლის ომის შემდეგ, როდესაც პაკისტანის არმიის რიგები ოფიცერთა ახალი კორპუსებით შეივსო, ახალგაზრდა ოფიცრებში ბევრი იყო ისლამური თეოკრატიული რესპუბლიკის მომხრე. პარტიამ კი ძალზე ფარული მუშაობა ჩაატარა არმიაში და მომხრეთა რიგები გააფართოვა.

როგორც ორმა წინა სახელმწიფო გადატრიალებამ აჩვენა, არმიას არ შეეძლია დამოუკიდებლად მართვა. მას აუცილებლად სჭირდება იდეოლოგი, ბიუროკრატიული აპარატი. ამიტომ ზია ულ-ჰაკმა ამისათვის მონახა ისეთი პარტნიორები, რომლებსაც ჰყოლებოდათ განშტოებული აპარატი პერიფერიებში. ასეთები აღმოჩნდნენ ჯამაათ-ი-ისლამი და მუსლიმური პარტია (პაგარო), რომელიც 1986 წელს "ოფიციალური" პარტია გახდა.

ჯამაათ-ი-ისლამის, მიუხედავად ყველაფრისა, არ ჰქონია ის ძალაუფლება, რომ მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს მართვაში. იგი ასრულებს უმცროსი პარტნიორის როლს.

1983 წელს პარტიამ სცადა დაეჭირა მკაცრი პოზიცია ხელისუფლების მიერ სტუდენტური კავშირების აკრძალვის მიმართ[1], მაგრამ ზია ულ-ჰაკი არავითარ დათმობაზე არ წავიდა.

ჯამაათ-ი-ისლამის იდეოლოგია დიდ სამსახურს უწევდა მმართველ წრეებს. იგი ამცირებდა ოპოზიციური პარტიების შექმნის შესაძლებლობას. მაგრამ გენერალიტეტისა და პარტიის პოზიციები ყველაფერში არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

ზია ულ-ჰაკის რეჟიმს აწყობდა ჯ.ი. იდეოლოგია, რომელიც ასრულებდა ხელისუფლებისათვის მეტად ძვირფას ფუნქციას: ამცირებდა მძლავრი ოპოზიციური მოძრაობების აღმოცენებას ისლამური ლოზუნგე-

---

1 ჯ.ი. ახალგაზრდულ ორგანიზაციას ეწოდებოდა "ჯამიათ-ი-ტულაბა", რომელსაც ჰქონდა ძლიერი პოზიციები უნივერსიტეტებში.

ზის ქვეშ. ზია ულ-ჰაკმა გამოიტანა გაკვეთილი აიუბ-ხანის გამოცდილებიდან. როგორც ცნობილია, აიუბ-ხანი უგულებელყოფდა ჯ.ი-ს და ამით თავისი რეჟიმი ამ ძლიერი და გავლენიანი პარტიის, განსაკუთრებით კი მისი სტუდენტური ორგანიზაციის სამიზნედ გადააქცია. მაგრამ სოციალური თვალსაზრისით ზია ულ-ჰაკის სამხედრო რეჟიმსა და ჯ.ი. შორის გარკვეული წინააღმდეგობებიც არსებობდა. თუმცა არმიის სოციალური სტრუქტურა 60-70-იან წლებში, წვრილი ბურჟუაზიული ფენის წარმომადგენელთა ზრდის ხარჯზე, ზოგიერთი ცვლილებები განიცადა. ოფიცერთა კორპუსი უპირატესად ყალიბდებოდა პაკისტანის ელიტის წარმომადგენლებისაგან. მასში წარმოდგენილი იყო მიწის არისტოკრატიული და მსხვილი ბურჟუაზიული, აგრეთვე რამდენადმე პოზიციადაკარგული, მაგრამ მრავალრიცხოვანი ბიუროკრატია. ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ მაშინ არმიის გენერალიტეტსა და ჯ.ი. იდეოლოგებს ერთნაირი საბოლოო მიზნები ჰქონდათ.

ერთ-ერთი პაკისტანელი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ მმართველ წრეებს სურდათ ისლამიზაცია შეერწყათ კაპიტალიზმის განვითარებასთან, ანუ შეექმნათ "კაპიტალისტური, ბურჟუაზიული ისლამი" (7, გვ. 122) ისეთი ცნებები, როგორიცაა "ისლამური ეკონომიკა", "ისლამური განათლება", "ისლამური მეცნიერება", "ისლამური საბანკო სისტემა", "ისლამური დემოკრატია", იმისათვის გამოიგონეს, რათა საერთაშორისო კაპიტალიზმისათვის ისლამი მიეწოდებინათ გასაგები და მისაღები ფორმით. არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ზია ულ-ჰაკი მხოლოდ ფორმალურად ემხრობოდა ქვეყნის ისლამიზაციას. ძალზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული მის პირად სურვილზე, ხოლო ეს ადამიანი კი ეზიზღებოდა ათეისტურ მსოფლმხედველობას, ყოველნაირ სოციალისტურ იდეებს. იგი ამბობდა, რომ "ნიზამ-ი-მუსტაფა" განახორციელებს ისლამურ დემოკრატიას. ამას რა თქმა უნდა, არავითარი საერთო არ ჰქონდა საპარლამენტო დემოკრატიასთან.

იდეოლოგიური ბრძოლა პაკისტანში და საერთოდ მთელ მუსლიმურ თემში სამ მთავარ ფაქტორს ეყრდნობოდა: 1) ისლამის რელიგიური იდეოლოგიის, როგორც სუბკონტინენტის მუსლიმური მოსახლეობის უმრავლესობის საზოგადოებრივი შეგნების არსებობა; 2) დასავლეთის დიდი გავლენა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის ისლამური თემის საზოგადოებრივ აზრზე; 3) მუსლიმური თემის ბურჟუაზიის შედარებითი სისუსტე, სხვა თემების, კერძოდ, ინდუსურ ბურჟუაზიასთან შედარებით.

სამხრეთ აზიაში ისლამის ფართო გავრცელებამ განაპირობა ის, რომ პაკისტანში, სადაც მოსახლეობის 90% ისლამს აღიარებდა, მუსლიმურმა იდეოლოგიამ წამყვანი ადგილი დაიკავა ადამიანთა მსოფლმხედველობის განსაზღვრაში.

მეორე მხრივ, პაკისტანი განიცდიდა დასავლეთის დიდ გავლენას ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების მხრივ. ქვეყანაში ბევრია დასავლურად განათლებული ხალხი, მოქმედებს ინგლისელებისაგან გადაღებული სამართლის სისტემა. დასავლეთის იდეებმაც, პარლამენტური დემოკრატიის შესახებ, ინტელიგენციის ფენაში ღრმად გაიდგეს ფესვები, გადაიქცნენ იდეურ საფუძვლად სამხრეთ აზიაში მუსლიმთა სახელმწიფოს მოდელის შესაქმნელად.

მესამე ფაქტორი ის არის, რომ მუსლიმური ბურჟუაზია, რომ ძლიერი ყოფილიყო, ისლამური ნაციონალიზმი ქვეყანაში ფეხს ვერ მოიკიდებდა.

ამიტომ პაკისტანის პოლიტიკური რეჟიმის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ მასში სამივე ფაქტორი იყო გაერთიანებული.

ისლამიზაცია და კაპიტალიზმის განვითარებისკენ აღებული რეჟიმის სტრატეგიული ხაზი ძნელად უთავსდებოდა ერთმანეთს და მიმდინარეობდა მათი ურთიერთადაპტაცია. ისლამური სახელმწიფოს ფორმალური ნიშნები იარსებებენ მანამ, სანამ მმართველ წრეებს

დასჭირდებათ ისინი ისლამის პროპაგანდისა და მუსლიმთა მასაზე ზემოქმედებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Pervez Amiral Hoodhoy and Abdul Hamid Naygar, Rewriting the History of Pakistan. In: Asghar Khan, Islam, Politics and the State. 1980.
2. იქვე, გვ. 174.
3. Sayyid abul Ala Maudoody, Twenty nine years of Jama'at-i-Islami, The Criterion, Karachi, 1970, pp. 32-35.
4. The Economic Problem of Man and Islamic Solution; Islamic Law and Its Introduction in Pakistan; Islamic Law and Constitution; The Process of Islamic Revolution, Political Theory of Islam, etc.
5. Munir M. Pakistan: from Jinnah to Zia, Lahor, Vanguard Books, 1979, p.76.
6. Abul Ala Maudoody, The Unity of Muslim World, Islamic Publications, Lahore, 1967.
7. Zia ul-Hakke. Islamisation of Society in Pakistan. L.

თამარ პაქსაშვილი

## ბირთვული ფაქტორის როლი ინდოეთის საგარეო პოლიტიკაში

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ინდოეთის ხელმძღვანელობაში თავი იჩინა იმის ნიშმა, რომ შუა-აზიაში (დღეს უკვე იხსენიება ცენტრალურ აზიად) დაგროვილი ბირთვული აღჭურვილობანი და მასალები შესაძლებელია. გადაეციღეს პოლიტიკურად არასტაბილურ, ისლამურ სახელმწიფოებში, რომლებიც ინდოეთის დასავლეთით მდებარეობენ.

მიუხედავად ამისა, კარგად ინფორმირებული დიპლომატიური წყაროების მიხედვით, ინდოეთი თვითონ არის დაკავებული გამდიდრებული ურანის წყაროების ძიებით ცენტრალურ აზიაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, ინდოეთმა მოსინჯა ნიადაგი ერთ-ერთ რესპუბლიკაში. (სავარაუდოა ყაზახეთში, თუმცა დიპლომატიური წყაროები არ აკონკრეტებენ ამ რესპუბლიკის სახელს), მიიღო მტკიცე უარი. ინგლისური გაზეთი "ფარ ისტერნ ეკონომიკ რევიუ" (29. 10. 1992) გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ინდოეთი გააგრძელებდა გამდიდრებული ურანის წყაროების ძიებას სხვა რეგიონებშიაც.

ყოფილ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გაფანტულია ბირთვული დანადგარები. ისინი წარმოადგენენ მომარაგების პოტენციალურ ალტერნატიულ წყაროებს პირდაპირი გზით, ან ისეთი შუამავალი ქვეყნების მეშვეობით, როგორიც ირანია[1].

ინდოეთის მიერ შუა აზიაში წარმოებული ბირთვული საწვავის საიდუმლო ძიებები - ერთ-ერთი მიზეზია გაძლიერებული საერთაშორი-

---

1 ინდოეთისათვის ურანის მიწოდების ახალ წყაროდ შეიძლება გადაიქცეს ჩინეთი, რომელიც შეპირდა ინდოეთს მიყიდოს 30 ტ დაბალგამდიდრებული ურანი (3, გვ. 41).

სო დაწოლისა დელიზე. ეს დაწოლა აიძულებს ინდოეთს მოაწეროს ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც ითვალისწინებს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას; დათანხმდეს საერთაშორისო სააგენტოების ატომური ენერგიის ინსპექციის მიერ (საეინ) მისი ყველა ბირთვული ობიექტის ინსპექტირებაზე.

1992 წელს მაღალი დონის შეხვედრებზე, სადაც მონაწილეობდნენ აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია – არწმუნებდნენ ინდოეთის წარმომადგენლებს ხელი მოეწერათ ამ ხელშეკრულებაზე. ასეთი დაწოლა ალბათ გაგრძელდება ინდოეთის ყველა პარტნიორის მხრიდან ეკონომიკისა და ინვესტიციების სფეროში.

ამ მხრივ, ინდოეთისთვის ყველაზე გადამწყვეტი იყო მისდამი პოლიტიკის მკვეთრი შეცვლა ფრანგებისა და რუსების მხრიდან, რომელთაც წინათ უფრო მოქნილი პოზიცია ეკავათ ინდოეთისათვის ბირთვული მასალებისა და ტექნოლოგიის მიწოდების საქმეში. ახლა უკვე ორივე ქვეყანამ გადაწყვიტა იხელმძღვანელოს "ყოვლისმომცველი გარანტიების" პრინციპით, ყოველი შემდგომი შეთანხმებისას ამგვარ მიწოდებებზე. საფრანგეთმა შეცვალა თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ შეუერთდა გასულ წელს მიღებულ შეთანხმებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. რაც შეეხება მოსკოვს, ამ ცვლილებამ ასახვა ჰპოვა პრეზიდენტ ბორის ელცინის მიერ გამოცემულ ბრძანებულებაში.

"ყოვლისმომცველი გარანტიები"-ს პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ბირთვული მასალების მიმღები ვალდებულია მისცეს თანხმობა საეინ-ს კონტროლზე და ინფორმაცია მიაწოდოს მას თავის ყველა ბირთვულ დანადგარზე. ინსპექცია უნდა დარწმუნდეს, რომ ბირთვული მასალები არ გამოიყენება ბირთვული იარაღის საწარმოებლად. ადრე საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი ითხოვდნენ გარანტიებს მხოლოდ ცალკეული ატომური ელექტროსადგურებიდან ან ბირთვული ობი-

ქვეყნებიდან, სადაც გამოიყენებოდა შემოტანილი მასალები (1, 29.10 19[illegible]).

ინდოეთს აქვს ბირთვული ავტონომიის მაღალი დონე. მან დამოუკიდებლად საკუთარი ძალებით შექმნა ბირთვული რეაქტორები, რომლის საწვავად გამოიყენება ბუნებრივი (გაუმდიდრებელი) ურანი. ეს რეაქტორები არ საჭიროებენ საერთაშორისო კონტროლს, ხოლო დამუშავებული ღეროების გადამუშავება, როგორც ასკვნიან, იძლევა პლუტონს, რომლის გამოყენება შეიძლება ატომური ბომბის დასამზადებლად[1].

ინდოეთის ბირთვულ ენერგეტიკას მაინც აქვს სუსტი ადგილები და სწორედ ამითვე ხდება ძლიერი დაწოლა აშშ-ისა და ფრანგების მიერ მიღებული ვალდებულებების შესრულება. ერთ-ერთ ასეთ სუსტ წერტილს წარმოადგენს პირველი ინდოეთში ატომური ელექტრო სადგური ტარაპურში, ბომბეის მახლობლად, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1969 წელს. მას გააჩნია 160 მეგავატი სიმძლავრის 2 რეაქტორი, რომლის მომწოდებელია ამერიკული კომპანია "ჯენერალ ელექტრიკ"-ი. ამ რეაქტორებში საწვავად გამოიყენება იმპორტირებული გამდიდრებული ურანი და ჩვეულებრივი წყალი, როგორც შემანელებელი და გამაგრილებელი საშუალება. 1963 წლის სამმხრივი შეთანხმების (აშშ, ინდოეთი, მაგატე) საფუძველზე ამ იმპორტზე ვრცელდება შესაბამისი გარანტიები.

1970-იანი წლების ბოლოს, კერძოდ 1974 წელს ინდოეთმა მოახდინა ბირთვული მოწყობილობის აფეთქება. ამერიკის მთავრობამ პრეზიდენტ ჯიმი კარტერის დაწყებული [illegible] პოლიტიკის გატარება გარანტიებზე. აშშ-მ [illegible] შეწყვიტა, აშშ შეუწყვიტეს გამდიდრებული ურანის მიწოდება ტარაპურის აეს-ს,

---

1 უნდა აღინიშნოს, რომ 1974 წელს [illegible] ინდოეთში განხორციელდა "მშვიდობიანი" ანუ "ექსპერიმენტალური" ბირთვული აფეთქება. ეს წარმოადგენს ინდოეთის ბირთვული პროგრამის [illegible] გარკვეული ნიშანი გახდა.

როცა იგი 30 წლის განმავლობაში უნდა მოემარაგებინა.

საფრანგეთმა შესთავაზა ინდოეთს გრძელვადიანი შეთანხმება, რომელიც ადრინდელი სამმხრივი კონტროლის სისტემაზე იქნებოდა დამყარებული. ამ შეთანხმების ვადა სრულდება მომავალ წელს და ამ დროისათვის მიღებული იქნება მხოლოდ ერთი პარტია გამდიდრებული ურანისა, რომელიც უზრუნველყოფს ტარაპურის აეს-ის მუშაობას 1995 წლამდე. ინდოეთის ატომური ენერგიის კომისია ფიქრობდა, რომ აღნიშნული აეს-ს შეეძლო ფუნქციონირება 2005 წლამდე. თუ ეს ასეა ინდოელები დიდი პრობლემის წინაშე დადგებიან. ბოლო ათი წლის განმავლობაში - აეს-ს არ ექნება საწვავი (2, 26.II.1992).

ინდოელების მეორე სუსტ ადგილად შეიძლება იქცეს მძიმე წყლის უქონლობა. მძიმე წყალი, როგორც შემანელებელი და გამაგრილებელი საშუალება - საჭიროა აეს-თვის, რომელიც მდებარეობს რაჯასთხანის შტატში. ამ აეს-ის რეაქტორები დამზადებულია კანადაში და მათ საწვავად გამოიყენება ბუნებრივი ურანი. 1974 წ. პირველი მოწყობილობის აფეთქების შემდეგ კანადამ შეუწყვიტა ინდოეთს მძიმე წყლის მიწოდება. აღსანიშნავია, რომ მოსკოვიც ამარაგებდა მას მძიმე წყლით (1, 29.10.12).

როგორც რაჯასთხანის, ასევე ინდოეთის სხვა ყველა აეს-ებში გამოიყენება სამამულო წარმოების კანადური რეაქტორების პროტოტიპი, რომლებიც დიდი რაოდენობით საჭიროებენ მძიმე წყალს. ინდოეთი თვითონაც აწარმოებს მძიმე წყალს, მაგრამ ეს არასაკმარისია და ამიტომ ინდოეთი 1980 წ. იძულებული იყო 2-ჯერ შემოეტანა ნორვეგიიდან მძიმე წყალი ფიქტიური გარიგებით. თუ ეს ნაკლებობა შემდგომშიც გაგრძელდება, რუსეთის მოთხოვნები ყოვლისმომცველ გარანტიებზე სერიოზულ პრობლემებს შექმნის ინდოეთს.

ამ დილემიდან, - რომელიც ტარაპურის აეს-თანაა დაკავშირებული, თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება ინდოეთისათვის შე-

რეული საწვავის (პლუტონის ოქსიდის, რომელიც მიიღება მძიმე წყლის ნარჩენების გადამუშავების შედეგად - ბუნებრივ ან გამდიდრებულ ურანთან შენარევი) გამოყენების ტექნიკის ათვისება იქნება.

ინდოეთის ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარის რ. ჩიდამბარამის განცხადებით, ინდოეთს შეუძლია აწარმოოს ასეთი საწვავი გრანულებში (პ. 24.08.1995).

თუმცა ეს გაცილებით უფრო ძვირადღირებული საწვავია, ვიდრე გამდიდრებული ურანი და გამოიწვევს ელექტროენერგიის ღირებულების გაზრდას მომავალში. ამასთანავე ისეთი აეს-ი, როგორიც არის ტარაპურში არ შეიძლება მუშაობდეს მხოლოდ შერეულ ოქსიდურ საწვავზე, ვინაიდან პლუტონის მაღალი რადიაციის გამო, საჭირო გახდებოდა უფრო საიმედო და გარანტირებული დამცავი საშუალებანი. გრანულების დამზადებით 70%-ს ფუძეში მაინც იქნება გამდიდრებული ურანი. ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ინდოეთის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი შუა-აზიაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 18 წლის მანძილზე 1972-დან 1990 წლის ჩათვლით, ინდოეთში სულ გაშვებულ იქნა 3 ატომური რეაქტორი. ეს მეტად მოკრძალებული შედეგია ისეთი ქვეყნისათვის როგორიც ინდოეთია. მიიჩნევენ, რომ მან წამოაყენა საკმაოდ ამბიციური გეგმა, რომელსაც განსახავდა, რომ აეს მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წარმოება XXI საუკუნის დასაწყისისათვის აიყვანდა 10.000 მგვტ სიმძლავრემდე. ეს მეტად რეალური ამოცანაა, თუ საერთოდ შესაძლებელია მისი განხორციელება, გასათვალისწინებელია ის, რომ ინდოეთი აპირებს 1997 წლისათვის სულ სიმძლავრე გაზარდოს სულ მხოლოდ 3 ათას მგვტ-მდე, რომელსაც ჩაემატება მშენებარე ახალი ორი, რეაქტორები კაიგასა (კარნატაკის შტატი) და რავატბჰატაში (რაჯასთანის შტატი).

## გამოყენებული ლიტერატურა


1. "Far Eastern Economic Review", Honkong.
2. "Компас" № 229, М., 1992.
3. Котов Л. Ядерная энергетика Индии: достижения проблемы. "Компас" № 61.


ლია გიგაური

## ალექსანდრე ბეზობრაზოვი და რუსეთის პოლიტიკა ამურისპირეთსა და კორეაში

*XIX ს-ის I ნახევრიდან გაძლიერდა მსოფლიოს უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების დაინტერესება შორეული აღმოსავლეთით, აშშ და ინგლისი ამ რეგიონში თავის ერთადერთ ძლიერ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ რუსეთს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ესაზღვრებოდა აღმოსავლეთ აზიის მთელ რიგ ქვეყნებს. აქედან გამომდინარე, რუსეთი პრეტენზიას აცხადებდა მის მიმდებარე ტერიტორიებზე. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო რუსეთის ურთიერთობა ჩინეთსა და კორეასთან, აგრეთვე მისი მოლაპარაკებანი ჩინეთთან საზღვრების გამო, რის შედეგადაც 1858–1860 წლებში საბოლოოდ გადაწყდა ამურისპირეთის საკითხი.*

*რუსეთს აღმოსავლეთში თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის წარმატებით გატარებისა და თანაც გულმოდგინედ შენიღბვის მიზნით ესაჭიროებოდა გამოცდილი სამხედრო და აზიასთან დიპლომატიაში გათვითცნობიერებული პერსონალი. როგორც ჩანს, მეფის მთავრობას ამ საქმისათვის სპეციალურად შერჩეული საიმედო ხალხი ჰყავდა.*

მათ შორის იყო ალექსანდრე დადეშქელიანიც - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ტოპოგრაფი და გეოგრაფი, მას დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის თავადაზნაურთა სამხედრო სასწავლებელი. "კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობის დახასიათებით, ალექსანდრემ სრულყოფილი რუსული აღზრდა მიიღო, შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას... ოფიცრად მსახურობის პერიოდში არცერთი ჯარიმა და შენიშვნა არ მიუღია, რაც მთავარია, გამოირჩეოდა "ბუნებრივი ნიჭით". სწორედ ეს ნიჭი და მორჩილება აინტერესებდა რუსეთის მთავრობას."

ალექსანდრე დადეშქელიანი დაბადებული იყო სვანეთში 1826 წელს ჩუბეხევის მფლობელის - ციოყის სახლში, სოფელ ფარში.

1843-1857 წლებში ალ. დადეშქელიანი იმყოფებოდა სვანეთში ხანგრძლივი შვებულებით. 1857 წლიდან კი, როდესაც მისმა უფროსმა ძმამ - კონსტანტინემ მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ა. გაგარინი, ალექსანდრე გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, კერძოდ, ირკუტსკში. თავიდან იგი ბაიკალის კაზაკთა ცხენოსან ლეგიონში მსახურობდა და მალე მოიპოვა აქაური გენერალ-გუბერნატორის - მურავიოვ - ამურსკის ნდობა. ალ. დადეშქელიანს მურავიოვი ჯერ კიდევ კავკასიაში შეფისნაცვლად ყოფნის ჟამს გაეცნო და კარგად უწყოდა რა მისი ერთგული სამსახურისა და მტკიცე ხასიათის ამბავი, თავისი ადიუტანტობაც მას შესთავაზა. ასე პატივისცემით მიიღეს ალექსანდრე რუსებმა სამსახურში და შემდეგ ბოლომდე გამოიყენეს მისი ნიჭი ციმბირსა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად.

ამურისპირეთის ტერიტორია რუსეთისა და ჩინეთის სასაზღვრო რაიონი იყო. 1689 წლის ნერჩინსკის ხელშეკრულებით, რუსეთი იძულებული იყო, ცინების იმპერიისათვის დაეთმო ამურისპირეთი ალბაზინის სავოევოდოს მიწები და მანჯურიელებს აქ დასახლების

უფლებაც მიეცა, ამურისპირეთის დანარჩენი ტერიტორია კი გასაყო-
რჩებოდა, XIX ს-ის I ნახევარში ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ აგრეთვე ინგლისი და აშშ, რომელთა მიზანი იყო - წყნარი ოკეანის იმპერიის შექმნა. სწორედ ამან დააჩქარა რუსეთის მხრიდან ამურისპირეთში ექსპედიციის გაგზავნა გ. ნეველსკის ხელმძღვანელობით, მისი მიზანი იყო აქ რუსეთის პოზიციების განმტკიცება. ამ პერიოდში გ. ნეველსკიმ პირველმა დაადგინა, რომ სახალინი კუნძულია. 1850 წელს რუსებმა დააარსეს ქალაქი ამურის ნიკოლაევსკი, 1851 წელს კი რუსეთის მთავრობამ აცნობა ცინების მთავრობას, რომ მის მიერ ამურისპირეთისა და სახალინის გამოკვლევა გამოწვეული იყო რაიმე მტრულად განწყობილი ქვეყნების (იგულისხმება ინგლისი და აშშ) პოლიტიკის საპირისპიროდ. ყირიმის ომის წლებში ინგლის-ფრანგულმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა, მართლაც სცადეს კამჩატკის დაკავება და ამურისპირეთის ხელში ჩაგდება, მაგრამ მისი ექსპედიცია მარცხით დამთავრდა. 1858 წელს რუსეთ-ჩინეთს შორის დაიდო აიგუნის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მდინარე ამურის მარცხენა სანაპირო მდ. არგუნიდან დაწყებული ელ-ქამდე, ჩაიწერა რუსეთის საკუთრებად, ხოლო უსურის მხარე დარჩა საერთო მფლობელობაში. იმავე წელს დაიდო ახალი ტიანძინის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა მიიღო ღია პორტებში ვაჭრობისა და საკონსულოების გახსნის უფლება. ეს უკანასკნელი ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა 1860 წლის პეკინის ხელშეკრულებით. მან დაამტკიცა რუსეთ-ჩინეთის საზღვარი მდ. უსურზე და ამ ორი სახელმწიფოს [illegible] შუა აზიაში. შემდეგ ეს საზღვრები იურიდიულად გაფორმდა შემდეგ რიგ საბუთებში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ წლებში (1858-1860) არ. [illegible] [illegible] გეზერნა-[illegible] [illegible] კავკასია [illegible] და ქართვ-

ვნა ამურის მხარის დასათვალიერებლად – ამურის სათავეების შესასწავლად. გენერალ-გუბერნატორისვე ანგარიშებში ჩაწერილია, რომ ალ. დადეშქელიანმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მისია – შეისწავლა ირკუტსკისა და ამურის ნიკოლაევსკს შორის არსებული ტერიტორია და შეადგინა ტოპოგრაფიული რუკა.

ასევე, ამურისპირეთის სამხედრო ოლქის უფროსის წერილში გენერალ-გუბერნატორისადმი აღნიშნული იყო, რომ ალ. დადეშქელიანის ექსპედიციამ აღწერა მდ. ამურის, ამგუნისა და ბურეის შორის არსებული სივრცე და იქ მცხოვრები ხალხები, სადაც მანამდე არცერთ ევროპელს არ დაედგა ფეხი.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ალ. დადეშქელიანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის მხრიდან ამურისპირეთის დაკავებისა და შემდგომ მისი გამოკვლევის საქმეში.

1880–1884 წლებში ალ. დადეშქელიანი გამგზავრებულა კორეას. რითი უნდა ყოფილიყო გამოწვეული მისი ექსპედიციის გაგზავნა აღმოსავლეთ აზიის ამ რეგიონში?

XIX ს-ის 60–70-იან წლებში კორეაში მკაცრად იცავდნენ იზოლაციონიზმის პოლიტიკას, სანამ მისთვის არ მოიცალეს ფრანგებმა და ამერიკელებმა. ამ უკანასკნელებს ძალზე ემარჯვებოდათ აზიის იზოლირებული ქვეყნების ძალით გახსნა. ქვეყნის იზოლაცია იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ რუსეთსაც დააგვიანდა ამ ქვეყანაში შეღწევა. მით უმეტეს, რომ 70-იან წლებში ჩრდილოეთ კორეაში დაწყებული მოძრაობის მონაწილეთა უმრავლესობამ თავი შეაფარა სწორედ მანჯურიასა და რუსულ პრიმორსკის მხარეს.

მურავიოვი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ ალექსანდრეს სახით მას ჰყავდა ისეთი ადიუტანტი, ვისთვისაც შეიძლებოდა ურთულესი საქმის დავალება და ამიტომ ირჩევდა მას თავის დასაყრდენად იაპონიასა და ჩინეთში გამგზავრების წინ.

ალ. დადეშქელიანის ექსპედიციის საქმიანობის უშუალო შედეგად გვესახება ჩვენ 1884 წელს რუსეთის მხრიდან სავაჭრო ხელშეკრულების დადება კორეასთან, რომლითაც რუს ვაჭრებს ეხსნებოდა ქალაქები - ინჩონი, ვონსანი, პუსანი, სეული, იანხვაჯინი. ამ ექსპედიციას უნდა, ეთამაშა დიდი როლი სეულის რუსული მისიის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში.

უცნაურია 80-90-იან წლებში რუსეთის მთავრობის არაერთი განცხადება იმაზე, რომ ისინი არ მიიღებდნენ აგრესიულ ზომებს კორეის მისამართით და არ განიზრახავდნენ სუსტი მეზობლის დაპყრობას, მაინც ნაკლებად სარწმუნოა, რომ ეს ექსპედიციები მარტოდენ ვაჭრობისა და რუსული მისიის დაარსების საკითხებით იყვნენ შეწუხებულნი.

რუსეთში, კერძოდ, პეტერბურგის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია უამრავი საბუთი ალ. დადეშქელიანის თავდადებული სამსახურის დასამოწმებლად, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, აზიისა და აფრიკის ახალი ისტორიის რუსულ სახელმძღვანელოებში არსად არ არის მოხსენიებული მისი სახელი. ასევე არ არის მითითებული მის უანგარო ღვაწლზე ამ სახელმძღვანელოების სპეციალურ ქვეთავებში, რომლებიც უშუალოდ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას ეძღვნება. ჩვენი გაოცება გამოიწვია მისი სახელის მოუხსენიებლობამ კორეის ისტორიოგრაფიაში. ალ. დადეშქელიანს დაუწერია სრული კორეის გეოგრაფიულ-პოლიტიკური მიმოხილვა, შეუდგენია მისი ტოპოგრაფიული რუკა. რუს ავტორებს პირველ რიგში მისი ჩანაწერები უნდა გამოექვეყნებინათ მით უმეტეს, რომ ალ. დადეშქელიანი გადასახლების შემდეგ მუდმივად ცხოვრობდა ირკუტსკში.

კორეის ისტორიოგრაფიული ანალიზისას უპირველესად ასახელებენ ე.წ. ცენტრალურ წყაროს - პ. ციროჩიევსკის შრომას "თარ-

ჯობნის ჩანაწერები, რომელიც მან შეადგინა საოლქო სამმართველოში კუნძულ ცუსიმაზე იქანი კივორი" და მ. პოჯიოს წიგნს "კორეის ნარკვევი", სადაც შეკრებილია დიდი ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მასალა. ეს ცნობები იბეჭდებოდა 1895-1896 წლებში შემდეგი სახელწოდებით: "აზიის გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და სტატისტიკური მასალების კრებულები", რომლებიც ხელახლა გამოიცა 1958 წელს.

ამ დადეშქელიანის მოღვაწეობით დაინტერესებულ ქართველ ავტორთა რიცხვი საკმაოდ მცირეა. უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ 1966 წელს გამოცემული გ. ზარდალიშვილის წიგნი "გამოჩენილი ქართველი მოგზაურები და გეოგრაფები", გ. ავალიანის "რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან" და გ. კასტიანის "ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან", სადაც უფრო დაწვრილებით, საარქივო მასალების მოშველიებით, მიმოხილულია ალ. დადეშქელიანის მოღვაწეობა და ეს გაკეთებულია დადეშქელიანთა მთელი საგვარეულოსა და მის გამოჩენილ წარმომადგენელთა ცხოვრების ისტორიული აღწერილობის ფონზე.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XIX ს-ის 40-50-იან წლებში ჩამოყალიბებულმა რუსულმა არქეოლოგიურმა და გეოგრაფიულმა საზოგადოებებმა თავიანთი ფილიალები გახსნეს ირკუტსკში, ტროიცკოსავსკო-კიახტინსკსა და პრიმორსკში. იმედია, რომ ირკუტსკის არქივში ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა იქნება შემონახული ალ. დადეშქელიანზე, მის ოჯახზე, მოგზაურობაზე. გამოქვეყნებას ელის მისი ამურის მხარის გეოგრაფიული გამოკვლევა და ჩვენთვის ასევე საინტერესო კორეის გეოგრაფიულ-პოლიტიკური მიმოხილვა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ЦГИАЛ -ის მასალები ციტირებული გ. გასვიანის წიგნში "ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან", თბილისი 1991, გვ. 60-64.
2. Новая история стран Зарубежной Азии и Африки, Ленинград, 1971.

ქეთევან ხაჯალა

## ახალგაზრდული მოძრაობა პაკისტანში გენერალ მ. ზიაულ-ჰაკის დიქტატურის პერიოდში

70-80-იან წლებში პაკისტანში გაჩაღებული პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეები სტუდენტები იყვნენ. მათმა მოძრაობამ ხელი შეუწყო საერთო-დემოკრატიული პროცესის განვითარებას ქვეყანაში.

ქვეყნის ახალგაზრდობის ყველაზე უფრო პოლიტიკურად აქტიურები კოლეჯების და უნივერსიტეტების უფროსი კურსის სტუდენტები არიან. ისინი შეადგენდნენ ქვეყნის მთელი მოსახლეობის (95 მლნ) მხოლოდ 1%-ს და გახდნენ ერთ-ერთი მონაწილე იმ ოპოზიციური მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო გენერალ მ. ზიაულ-ჰაკის რეჟიმის წინააღმდეგ (3, გვ. 10, 429).

სინდხების, პუშტუნების და ბელუჯების უკმაყოფილების ზრდა, დემოკრატიული უფლებების და თავისუფლების შეზღუდვა პაკისტანში - ყველა ეს ფაქტორი აძლევდა სტიმულს ახალგაზრდულ გაერთიანებათა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ აქტიურობას ქვეყანაში. ფასების ზრდა, განათლების საფასური, რომელიც იზრდებოდა ყოველ წელს, მო-

მავლის გაურკვევლობა, დიპლომირებული სპეციალისტებს შორის უმუშევრობა, ყველაფერი ეს ობიექტურად უბიძგებდა ახალგაზრდობას ეძიათ სოციალური სამართლიანობის გზები. სტუდენტობა ხვდებოდა იმის აუცილებლობას, რომ უნდა დაეწყო ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლა თავისი უფლებებისათვის. ამავე დროს ტარდებოდა სხვადასხვა სახის ექსტრემისტული ქმედებები, მაგალითად, ისეთი, როგორც ავტობუსებისათვის ცეცხლის წაკიდება, გზების პიკეტირება, მეცადინეობების ბოიკოტი და ა.შ. (2, გვ. 81).

პაკისტანის ახალგაზრდული მოძრაობის რამდენიმე დამახასიათებელი თვისება ბოლო ათწლეულის მანძილზე იყო: 1) საზოგადოებაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობა, მაგალითად, 70-იანი წლების შუაში პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობით სტუდენტთა კავშირის წევრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში, 1983 წლის შემოდგომაზე ისინი მონაწილეობდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართულ დემონსტრაციებში სინდში და სხვა. 2) პოლიტიკური პარტიების გავლენის ქვეშ ახალგაზრდობის პოლიტიზირების გაძლიერება და მათ შორის გამართული ბრძოლა.

სამხედრო რეჟიმის წლების მანძილზე ახალგაზრდული მოძრაობა სამჯერ აქტიურად გამოვიდა, როგორც პოლიტიკური ძალა, რომელიც იცავდა, როგორც თავის, ისე საერთო დემოკრატიულ მოთხოვნილებებს. პირველი პერიოდი მოიცავს 1978–1979 წწ. როდესაც იგი იბრძოდა არჩევნების ჩატარების პირობებში. მეორე - 1979 წ. ბოლო - 1983 წწ. სტუდენტთა ორგანიზაციების მოქმედებები პოლიტიკური პარტიების ბრძოლის პირობებში, ოპოზიციური ალიანსის შექმნა სამხედრო ადმინისტრაციის წინააღმდეგ და აქტიური მონაწილეობა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიის დროს 1983 წ. მესამე - - 1984 წწ. სტუდენტთა კავშირების აკრძალვის შემდეგ ახალგაზრდე-

ლი მოძრაობის აღმავლობა.

დიდი სოციალური აქტიურობა მოსწავლე – ახალგაზრდობის, მისი მონაწილეობა საერთოდემოკრატიულ მოძრაობებში–პაკისტანის პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშნებია. ამის გათვალისწინებით, სამხედრო ადმინისტრაციამ გადადო სტუდენტთა კავშირებში არჩევნები 1978 წ. აპრილისათვის, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 1977 წ. ნოემბერში და მოახდინა იდეოლოგიური შეტევა ახალგაზრდობაზე ისლამის დაცვის დროშის ქვეშ. 1977 წ. 5 ოქტომბერის ჩატარებულ კონფერენციაზე "ისლამის პრინციპების ცხოვრებაში შემოტანა და პაკისტანის იდეოლოგიის დაცვა გარიხილებოდა, როგორც განათლების ეროვნული მიზნები". ფართოდ დაიწყო შესწავლა არაბული ენის, ისტორიის და ისლამის ტრადიციებისა. იყო მნიშვნელოვნად შემცირდა ასიგნირება ეროვნული კადრების მომზადებისათვის. სამხედრო რეჟიმის დროს იყო გახსნილი მხოლოდ ორი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებლებისთვის იყო დამახასიათებელი სწავლების, კოლეჯების და უნივერსიტეტების გადატვირთვა სტუდენტებით, სწავლაზე დიდი გადასახადის არსებობა და სხვა.

ქვეყანაში სამხედრო რეჟიმის დამყარება, 1973 წლის კონსტიტუციის მუხლების შეჩერება, სამოქალაქო სასამართლოების ფუნქციების გადაცემა სამხედრო ტრიბუნალებისთვის და ისლამის სასამართლოებისთვის, მთელი რიგი პროგრესული გამოცემლობების დახურვა და ჟურნალისტების დაპატიმრება პაკისტანის სახალხო პარტიისადმი წევრების მასობრივი რეპრესიები, მრეწველობის დენაციონალიზაციის კურსი – ყველა ეს იწვევდა 1978 წლის შემოდგომაზე მუშათა აჯანყებების ახალ ტალღას და ხელს უწყობდა სტუდენტთა კავშირების მოქმედების აქტივიზაციას. ლახორის ჟურნალი "Viewpoint" წერს: ფენჯაბის უნივერსიტეტის სტუდენტები დღეს ძალიან მგრძნობიარე არიან პოლიტიკურ ტენდენციებისადმი. აქ, როგორც ყველგან ხედავენ სხვაობას დემოკრატიული და არადემოკრატიულ ძა-

ლებს შორის, რადიკალებსა და მათ შორის ვინც იცავს სტატუს-კვოს (1, 01.10, 1978).

სამხედრო რეჟიმის პერიოდში ახალგაზრდულ სფეროში ხდებოდა ძალთა პოლარიზაცია, რამაც გამოხატვა ჰპოვა ორ ძირითად ბანაკის ბრძოლის დროს. ერთ-ერთ მათგანს მეთაურობდა სტუდენტთა ორგანიზაცია "ისლამი ჯამაათ-ი ტულაბა" (იჯტ), მემარჯვენეთა რელიგიური პარტიის ჯამაათ-ი ისლამი-ს (ჯი) ახალგაზრდული ფრთა, რომელიც ღიად იცავდა რეჟიმს, მეორე ბანაკს წარმოადგენდა ახალგაზრდული დემოკრატიული ორგანიზაციების ფართო ალიანსი. 1978 წ. ჩატარებული არჩევნები სტუდენტთა კავშირებში და მათში მემარცხენეთა გამარჯვება იყო აშკარა გამჟღავნება იჯტ-ს ორგანიზებული პოლიტიკური ოპოზიციის და სამხედრო ადმინისტრაციისა.

დემოკრატიული ძალების გამარჯვებამ სტუდენტთა კავშირების ქვეყნის წამყვან სასწავლო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად შეარყია იჯტ პოზიციები. გახშირდა შეტაკებები მოწინააღმდეგე დაჯგუფებებს შორის, რომლებიც ხანდახან ღებულობდნენ მახინჯ ფორმებს: კონფერენციების, მიტინგების შემოქმედებითი საღამოების ჩაშლიდან დაწყებული სტუდენტთა გაერთიანებათა აქტივისტების მკვლელობით დამთავრებული.

ჯამაათ-ი ისლამის მიერ კარგად ორგანიზებული, ფინანსირებული იჯტ არ იზღუდებოდა მხოლოდ ახალგაზრდულ სფეროში [illegible] [illegible], [illegible], არასასურველ პირთა ცემით. ახალგაზრდა [illegible] დამახასიათებელი თვისება გახდა სწავლის საბოტაჟი და საპროტესტო მიტინგების მოწყობა, კოლეჯის მასწავლებლისა და ადმინისტრაციის საწინააღმდეგოდ.

70-იან წლებში ახალგაზრდულ აუდიტორიაში წამყვანი პოზიციების დაკარგვა გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მათ დაეწყებინათ "რაციონალური ტერორიზმის პროგრამა". ამ პერიოდში იჯტ-მ

დაიწყო ბრძოლა საწვრთნელი ბანაკებისა, სადაც ახალგაზრდები სწავლობდნენ ძიუდოს, კარატეს, ციგი და ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებას. ჯამაათელები აგრეთვე გადიოდნენ სამხედრო სწავლებას ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანაკებში.

ბოლოხანში სამხედრო ძალაუფლება იყენებდა ამ გასამხედროებულ, ექსტრემისტულ ორგანიზაციას პროგრესული სტუდენტთა გამოსვლების საწინააღმდეგოდ.

სამხედრო ძალები, რომლებიც თავის მხრივ, იყვნენ დაინტერესებული იმათ მხარდაჭერაში, ყოველმხრივ ცდილობდნენ გაეძლიერებინათ მათი პოზიცია ახალგაზრდების საზოგადოებაში. რაც სამხედრო ძალები დაეხმარნენ კი აღედგინათ ლიდერული მდგომარეობა ქვეყნის მთელ რიგ სასწავლო ორგანიზაციებში. სტუდენტთა საზოგადოება ქვეყნის ოპოზიციური ძალთა შორის პირველი გამოვიდა სამხედრო ადმინისტრაციის საწინააღმდეგოდ.

ახალგაზრდების დაჯგუფების სხვა და სხვა გაერთიანებები (ნაციონალური; პროფესიონალური; მემარცხენეთა; რადიკალთა და სხვა) მოითხოვდნენ სამხედრო რეჟიმის შეცვლას და პარტიულ საფუძველზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. თან პირველად ხდებოდა დემოკრატიული, სტუდენტთა და ეროვნულ ორგანიზაციების გაერთიანება, 1977 წლამდე ისინი იყვნენ პროვინციებში პოლიტიკური მოწინააღმდეგეები (სახალხო სტუდენტთა ფედერაცია, ახალგაზრდული ფრთა "ჯაი სინდ", სინდის სახალხო სტუდენტური ფედერაცია, სინდის ეროვნული სტუდენტური ფედერაცია, ბელუჯის სტუდენტური ორგანიზაცია). შემდეგ დაიწყო მოსწრაფება ქვეყნის მასშტაბით დემოკრატიული სტუდენტთა ორგანიზაციების გაერთიანებისაკენ. ამ ტენდენციის მნიშვნელოვანი ილუსტრაცია გახდა ალიანსის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდა ქვეყნის 15 ახალგაზრდული ორგანიზაცია: ბელუჯური სტუდენტური ორგანიზაცია, ფენჯაბელ სტუდენტთა ფედერაცია,

პუშტუნთა სტუდენტური ფედერაცია, სინდხთა ეროვნული სტუდენტური ფედერაცია, სოციალისტური სტუდენტური ლიგა, ინგილაბი მაზდურ-ი-ტულაბა, ნაციონალური სტუდენტური ორგანიზაცია მელიკოსთა სტუდენტური ალიანსი, ეროვნული სტუდენტური ფედერაცია (პენჯაბი) სინდხთა ნაციონალისტური სტუდენტური ფედერაცია, პაკისტანის ნაციონალური სტუდენტური ფედერაცია, კარაჩის პროგრესული ფრონტი, ისლამაბადის, პროგრესული სტუდენტური ორგანიზაცია, სინდხი შახიდ ტეხრიკ, ბახავალპურის პროგრესული ფრონტი (5, გვ. 17).

სამხედრო ძალაუფლების ბატონობის პირველ წლებში პაკისტანის ახალგაზრდული მოძრაობა არ იყო ისე გახლეჩილი, როგორც ეს იყო 1977 წლამდე. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა სცადა ამოცანას მიეწყო საერთო გამოსვლები მუშებთან, აგრეთვე გლეხებთან, ინტელიგენციასთან და სხვა ფენებთან ერთად არსებული სამხედრო რეჟიმის საწინააღმდეგოდ. მაგრამ მის პრაქტიკული განხორციელებისათვის მან თვითონ ვერ გადადგა ნაბიჯი პოლიტიკური უმწიფრობის, მმართველი კლიკის მუდმივი ცდის, მასებთან პრაქტიკული მუშაობის გამოუცდელობის, სამრეწველო პროლეტარიატთან და პროფკავშირული მოძრაობასთან სუსტი კავშირის უქონლობისა და თავის რიგებში არსებული ფრაქციული ბრძოლის გამო.

სამხედრო რეჟიმის გამკაცრებისას, განსაკუთრებით 1979 წ. აპრილში ზ. ა. ბჰუტოს დასჯის შემდეგ, გენერალ მ. ზია ულ-ჰაკის ადმინისტრაციამ აიღო კურსი პოლიტიკური უფლებების მკაცრ შეზღუდვაზე, სასტიკად ახშობდნენ ოპოზიციის ნებისმიერ გამოხდომებს. ციხეში იქნენ მოკლულები ნაზირ აბასი, სინდხის ეროვნული, სტუდენტური ფედერაციის ერთ-ერთი მეთაური, პაკისტანის კომუნისტური პარტიის წევრი ნასარ აჩაკზაი, 7 წელი მიესაჯა დემოკრატიული სტუდენტური ფედერაციის ლიდერებს - მერ მოჰამედ ზახიროს,

კაპიდ ბალეჩს. მოხდა სტუდენტური პოლიტიკური აქტივობის დაცემა. მას რიგებში ფრაქციული მუშაობის გაძლიერება. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, პროგრესული ორგანიზაციების მუშაობის დასუსტება, ისლამის ბუმი, პაკისტანის მემარჯვენეების მოძრაობის გაძლიერება. მექმნეს ხელსაყრელი პირობები არსებული ძალაუფლებასთან შეთანხმებლობის იდეებისათვის, დაიწყო მოძალება მარქსისტი ტენდენციებისა, რეფორმისტული გაწმენდა. ამ პერიოდში კანონზომიერი ხდება 1979 წ. "შავი არწივები"-ს სტუდენტური ორგანიზაციის გამოსვლა, რომელიც მიზნად ისახავდა შექმნა ულასო საზოგადოება დაფუძნებული ისლამის პრინციპზე, დემოკრატიზმზე და თანასწორუფლებიანობაზე (1, 12.10.1987).

80-იანი წლების დასაწყისში შეიმჩნევა სტუდენტური კავშირების განახლება, ისინი იდგნენ ლიბერალურ პოზიციებზე, როგორც მაგალითად, ნაციონალურ-სტუდენტური ორგანიზაცია, დაარსებული ფენჯაბის უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1968 წ. გაძლიერდა აზრთა სხვადასხვაობა სოციალისტური სტუდენტური ორგანიზაციის და სხვა პროგრესული ახალგაზრდული ორგანიზაციებს შორის (1, 12.02.1978).

ახალგაზრდული მოძრაობის სხვა დამახასიათებელი თვისება გახდა მისი უფრო მჭიდრო კავშირი ოპოზიციურ პარტიებთან. ბევრი გამოსვლები მოსწავლე ახალგაზრდობის ხდებოდა მათ მეთაურობის ქვეშ. პოლიტიკური პარტიების მუშაობის აკრძალვის პერიოდში სტუდენტური ორგანიზაციები პირდაპირ ისახავდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში [illegible] ფართოდ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ კამპანია. პარტიები [illegible] ლეგალური კავშირის [illegible]ლება [illegible] და ახალგაზრდებთან. პარტიული ლიდერები [illegible] ახალგაზრდობის [illegible], ხშირად [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible]

კური პატიმრების განთავისუფლების მოთხოვნები და სხვა.

1981 წ. თებერვალში პოლიტიკური პარტიების ალიანსის შექმნისას, რომელიც ქვეყნის სამოქალაქო მმართველობის აღდგენისათვის. დემოკრატიის აღდგენის მოძრაობა (დამ), დემოკრატიული სტუდენტობა იღებდა მონაწილეობას მის შექმნაში, რის შემდეგაც შეძლო დაეგროვებინა მასებთან პრაქტიკული სამუშაოს გარკვეული გამოცდილება, როგორც ქალაქში, ავრეთვე სოფლებში, აგიტაციური განმარტებებით სამუშაოების ფართო ჩატარებისას (4, გვ. 59).

პაკისტანის ახალგაზრდული მოძრაობის აღმავლობა დაედება სტუდენტთა ორგანიზაციების აკრძალვას სამხედრო ადმინისტრაციის მიერ 1984 წ. სინდში და პენჯაბში ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1982 წ. აკრძალეს სტუდენტთა კავშირები. სტუდენტური კავშირების აკრძალვა გახდა როგორც ინციდენტი იქ და პროტესტი სტუდენტებს შორის.

1983 წელს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიის დროს, მასობრივი სახალხო გამოსვლების წინააღმდეგ ჯარის გამოყენების შემდეგ, დემოკრატიული სტუდენტობა დასუსტებული იყო, მაგრამ გამოხატა თავისი უთანხმოება ადმინისტრაციის გადაწყვეტილების მიმართ [illegible] მიტინგებით და სააპროტესტო მარშებით.

ყველა ორგანიზაციების [illegible] აკრძალვით, სამხედრო ძალაუფლება დარტყმის ქვეშ აყენებდა იქ, რამაც გამოიწვია მისი მკაცრი კრიტიკა. აცხადებდნენ იმის შესახებ, რომ ისინი ნებისმიერ ხერხით მიაღწევენ ბრძოლების გაგრძელებას, პაკისტანის დიდ ქალაქებში ახალგაზრდობამ ჩაატარეს რიგი [illegible] აქცია, გაამართეს თავიანთის საწინააღმდეგო პოლიტიკა, რომლის [illegible] დროს აწყობდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის კამპანიებს.

სტუდენტური მებრძოლები ორგანიზაციები იღებენ აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში. [illegible] ბრძოლის [illegible] სამხედრო ადმინისტრაციის [illegible]

ზაკის მმართველობის წლებში. 80-იან წლებში განმტკიცებული მემარ-ცხენე მოსწავლე ახალგაზრდობა წინა ათწლეულთან შედარებით იყო ძა-ლიან არაერთგვაროვანი. ის იყო წარმოდგენილი ფართო ორიენტაციის სპექტრით - მემარცხენე ექსტრემისტულიდან ზომიერებამდე. ძირითადი ბრძოლა მოსწავლე ახალგაზრდობაზე გავლენისათვის ხდება სოცია-ლისტური სტუდენტური ორგანიზაციის (პაკისტანის სოციალისტური პარ-ტიის ახალგაზრდული ფრთა) და დემოკრატიული სტუდენტური ფედერაციას შორის (6, გვ. 151).

ცდილობდნენ რა გაეწიათ ორგანიზებული წინააღმდეგობა სამ-ხედრო ადმინისტრაციისათვის, ჯერ კიდევ 1982 წლის იანვარში, უთანხმოების მიუხედავად დემოკრატიულად განწყობილი ახალგაზრდობა შეეცადა გაერთიანებულიყო. ახლა დემოკრატიული სტუდენტური ფედე-რაცია (დსფ), რომელიც აკრძალეს 1954 წელს. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ეროვნულ სტუდენტური ორგანიზაციები ფენჯაბის, სინდის და ბელუჯების სტუდენტების ნაწილი. დსფ-სადმი სიმპათიით განწყო-ბილნი შევიდნენ მის შემადგენლობაში პუშტუნის ნაციონალური სტუ-დენტური ორგანიზაციის წევრებიც და პაკისტანის კომუნისტური პარ-ტიის ახალგაზრდული ფრთაც, დსფ მონაწილეობდა არა მარტო საერთო საქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიის მომზადებაში 1983 წ. არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მეთაურობდა ანტიმთავრობისეულ დემონსტრაციებს, მონაწილეობდნენ სამხედრო ქვეგანაყოფებთან შე-იარაღებულ შეტაკებებში.

დსფ ლიტქმის ერთადერთი პროგრესული ახალგაზრდული ორგანი-ზაცია იყო პაკისტანში, რომლის მონაწილეობა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არ იყო დაკავშირებული დემოკრატიულ მოძრაობასთან ქვეყანაში. სხვა ახალგაზრდულ კავშირებთან შედარებით, საქალა-ქო დაუმორჩილებლობის კამპანიის [illegible] და სტუდენტური კავშირის აკრძალვის შემდეგ პეშავარში ჩატარდა ქვეყნის დსფ-ს

ნაციონალური კრება, რომელზეც იყო განხილული რიგი ორგანიზაციების გაძლიერების საკითხი. ბევრი წევრი, მათ რიგში ხელმძღვანელები იყვნენ დაპატიმრებული და დასჯილი. ნახევარზე დაწესებული იყო პოლიციური მეთვალყურეობა. ფედერაციის ამ მძიმე პერიოდშიც კი მისი წევრები აგრძელებდნენ ბრძოლას, იცავდნენ და მოუწოდებდნენ ქვეყანაში დემოკრატიის შენარჩუნების შესახებ.

მთლიანობაში პაკისტანის ახალგაზრდული მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე არ იყო ერთიანი. მთავარი რაც აკავშირებდა სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის, ახალგაზრდულ კავშირებს, - იყო ბრძოლა ქვეყანაში სამხედრო ძალაუფლების რეალური შენარჩუნების წინააღმდეგ.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გაფართოვდა პაკისტანის სტუდენტობის და ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირები.

აღნიშნული პერიოდის პაკისტანის ახალგაზრდული მოძრაობისთვის დამახასიათებელი იყო ანტიიმპერიალისტური განწყობის განმტკიცება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Viewpoint, Lahor.

2. Pakistan year-book, 1980–1981, Karachi-Lahore.

3. Pakistan year-book, 1986–1987.

4. Pakistan year-book, 1987–1988.

5. Ближний и Средний Восток. История, экономика, политика. М., "Наука", 1987.

6. Спецбюллетень № I (252), М., 1988.

ეკა ყანჩელი

# ეროვნულ-ეთნიკური საკითხის რელიგიურ-პოლიტიკური ასპექტები თანამედროვე ინდოეთში

რელიგიის გაძლიერება წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთ საერთო თავისებურებას თანამედროვე ეტაპზე. უკანასკნელ წლებში ეს განსაკუთრებით შესამჩნევია აღმოსავლეთის ქვეყნებში, (ინდოეთი, პაკისტანი, ირანი, ავღანეთი, სუდანი და ა.შ.) სადაც არაერთხელ წამოყენებიათ რელიგიური, კერძოდ ისლამური ლოზუნგე-ბი. მსოფლიოს პროგრესული მოაზროვნე საზოგადოებრიობა ყოველთვის პატივისცემით ეკიდებოდა იმ ადამიანების რელიგიურ რწმენებს, რომ-ლებიც აღიარებენ ისლამს, ისევე როგორც სხვა რელიგიებს. მთავარი იმაშია, რა მიზნებს ისახავენ ის ძალები, რომლებიც აცხადებენ ამა თუ იმ ლოზუნგებს.

ცნობილია, რომ ისლამის დროშის ქვეშ შეიძლება გაიშალოს განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამის შესახებ მეტყველებს ისტორიის გამოცდილება, მათ შორის არც თუ ისე შორეული, მაგრამ იგი იმაზეც მიუთითებს, რომ ისლამური ლოზუნგებით სარგებლობს რეაქციაც, რომე-ლიც აწყობს შეიარაღებულ ამბოხებებს. მთელი საქმე იმაშია, თუ როგორია ამა თუ იმ მოძრაობის რეალური შინაარსი.

საერთოდ-კოლონიალურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიული გამოც-დილება უტყუარად მეტყველებს იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელსაც ასრულებს რელიგია მათი ცხოვრების ყველა სფეროში და პირველ რიგ-ში ამ ქვეყნების ფართო სახალხო მასების საზოგადოებრივი შეგნები-სა და სოციალური ფსიქოლოგიის ფორმირების საქმეში.

იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებშიაც ცხოვრობენ არსებით რიცხვს აღიარებს რელიგია, მათ შორის ისლამი, მიეკუთვნება აზიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო - ინდოეთის რესპუბლიკა.

მართალია, უკანასკნელ წლებში საბჭოთა ორიენტალისტიკაში ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები – ინდოლოგიის ცალკეულმა სპეციალისტებმა დაიწყეს მნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევა აღნიშნულ პრობლემატიკისადმი, რასაც მოწმობს მათი კოლექტიური თუ ინდივიდუალური ნაშრომები (1;2;3), მაგრამ მიუხედავად ამისა ისეთი საკითხი როგორიც არის ინდუს-მუსლიმთა ურთიერთობანი თანამედროვე ინდოეთში, ჯერ-ჯერობით ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალურად არავის შეუსწავლია და ამჟამად ჩვენი კვლევა-ძიება არის იმის პირველი ცდა, რათა ნაწილობრივ მაინც შეივსოს ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი.

ინდოეთში თავისი თითქმის ორსაუკუნოვანი ბატონობის მანძილზე დიდი ბრიტანეთი შეგნებულად აქეზებდა ადგილობრივ ინდუსებსა და მუსლიმებს ერთმანეთის წინააღმდეგ, ხელოვნურად აჩაღებდა მტრობას მათ შორის ანდა იყენებდა მათ შორის გამოწვეულ შუღლს როგორც იარაღს თავისი "დაჰყავი და იბატონე"-ს პოლიტიკის გასატარებლად, როგორც საშუალებას ინდოელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის გასათიშად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიაღწია თავის დიდ აღმავლობას და მისი ზეგავლენის შედეგად საბოლოოდ შეირყა ინგლისელთა ბატონობა. ინგლისელ კოლონიზატორთა გაძევებას თან ახლდა ინდოეთის დაყოფა ორ სახელმწიფოდ ინდუსტანად და პაკისტანად რელიგიური ნიშნის მიხედვით. სწორედ ამ დროს მოხდა ყველაზე ფართომასშტაბიანი და თავისი ტრაგიკული შედეგებით საშინელი სისხლისმღვრელი შეტაკებები ინდუსებსა და მუსლიმებს შორის. ეს შეტაკებები მრავალ ათასს ინდოელს დაუჯდა სიცოცხლის ფასად, ხოლო სახელმწიფოებმა განიცადა დიდი მატერიალური ზარალი.

ქვეყანამ დომინიონის სტატუსი მიიპოვა 1947 წელს, ხოლო 1950 წელს აქ მიიღეს კონსტიტუცია, რომლის თანახმად ინდოეთი გა-

მოაცხადეს საერო რესპუბლიკად, იგი ეფუძნებოდა სეკულარისტულ დემოკრატიის პრინციპებს. მაგრამ ამ ისტორიულმა მოვლენებმა ავტო-მატურად ვერ მოსპეს რელიგიურ თემებს, განსაკუთრებით ქვეყნის ორ უდიდეს თემებს – ინდუსურსა და მუსლიმურს – შორის არსებული ყვე-ლა წინააღმდეგობა, ვერ გააფანტეს მათში ჩანერგილი ეჭვები. 1947 წელს გაჩაღებული რელიგიურ-თემური შეტაკებების ხანძრიდან დარჩე-ნილი ნაკვერცხალი კვლავინდებურად ღვიოდა დამოუკიდებელი ინდოე-თის პოლიტიკაში[1].

იყენებენ რა ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ღვთის-მოსავობას, რაც შეადგენს მათი სოციალური ფსიქოლოგიის უმნიშვნე-ლოვანეს ელემენტს, კომუნალიზმის იდეოლოგები მიისწრაფოდნენ მთაეგონებინათ მათთვის, თითქოს ყველა სოციალურ უბედურებაში დამნაშავე იყოს ესა თუ ის რელიგიური თემი, თითქოს მათ სასიცო-ცხლო ინტერესებს ებრძვიან ქვეყანაში მცხოვრები სხვა სჯულის მიმდევრები. ამ ძალების მიერ გაღვივებული რელიგიური შოვინიზმი და თემური სეპარატიზმი წარმოსახულია როგორც მთავარი საშუალება არსებული სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-იდეოლოგიური პრობ-ლემების გადასაჭრელად. პრაქტიკულად ეს გამოიხატება რელიგიურ--თემური შუღლის სპორადულ აფეთქებებში, რომელთა ინსპირირებას ახ-დენდნენ მემარჯვენე ძალები (4, 6, 6, 7).

ადგილობრივი პრესის მოწმობით, მარტო 1967–1973 წლებში ინ-დოეთში აღინიშნა 3400 რელიგიურ-თემური შეტაკებანი, ე. ი. საშუა-ლოდ წელიწადში დაახლოებით 283 შეტაკება (8, 30.08.1981). აღსა-ნიშნავია, რომ მათი ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის იმ შტატებზე, სადაც ინდუსებთან ერთად ცხოვრობენ სხვა სარწმუნოების მიმდევრები

---

1 მას დაბეჯითებით ავრცელებდნენ მემარჯვენე, რეაქციული ძალები და უწინარეს ყოვლისა ინდუისტური და მუსლიმური კომუნალისტური პარტიები.

განსაკუთრებით მუსლიმები. ისიც ხაზგასასმელია, რომ რელიგიურ-თემური შეტაკებების ყველაზე დიდი რიცხვი მოდის შიდაპოლიტიკური ბრძოლის გამწვავების პერიოდზე, მაგალითად, 1969–1970 წლები (10, 8.04.1979). ამასთან დაკავშირებით, ინდოელი მკვლევარი საბხამბრი სამართლიანად შენიშნავს, რომ ინდოეთის საზოგადოების პოლირელიგიურ ხასიათს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. "რელიგიათშორისი ურთიერთობის საკითხები ინდოეთში, – მისი აზრით, – არ შემოიფარგლება ადამიანისა და შემოქმედის კავშირით, არამედ ეხება საბოლოო ანგარიშში პოლიტიკური ხელისუფლების მოქმედებას. რელიგიათა სიმრავლეს თავისთავად არ მივყავართ რელიგიათშორის განხეთქილებამდე (სამოქალაქო ომი), მაგრამ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან შეერთებისას, შიდარელიგიური დაპირისპირება ინდოეთში ქმნის ფეთქებადსაშიშ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას"-ო (9, გვ. 52).

ადგილობრივი სტატისტიკური მასალები მეტყველებენ იმაზე, რომ რელიგიურ-თემური შუღლი ინდოეთის რესპუბლიკაში თითქმის ყოველდღიურ რეალობას წარმოადგენს ამიტომ ქვეყნის პროგრესული საზოგადოების წინაშე დგას ისეთი შიდაპოლიტიკური კურსის შემუშავების საკითხი თემების და განსაკუთრებით ე.წ. რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიმალურად ხელშემწყობ პირობებს მათი განვითარებისათვის და აცილებდა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილ ნებისმიერ კონფლიქტებს.

ინდური სინამდვილის კონტექსტში ეს პრობლემა განსაკუთრებით რთულად გამოიყურება; საქმე იმაშია, რომ ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც სათავეში ედგა ანტიკოლონიალურ, გამათავისუფლებელ მოძრაობას ფართოდ იყენებდა რელიგიურ სიმბოლიკას, უპირველეს ყოვლისა ინდუისტურს, რათა დაესაბუთებინა და დაეყვანა მასების შეგნებამდე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზები და საშუალებანი. ამასთან ერთად მუსლიმური ბურჟუაზიის გარკვეული წრეები ისლამის პრინციპებ-

ზე დაყრდნობით ცდილობდნენ მუსლიმი მასების მხარდაჭერის მოპოვე-
ბას თავიანთი სეპარატისტული მიზნების მისაღწევად. ახასიათებდა-
რა XX საუკუნის 20-იანი წლების ინდოეთში შექმნილ ვითარებას, ჯ. ა.
ნეჰრუ აღნიშნავდა: "არ შეიძლება არ გაგიკვირდეს ის, თუ როგორ მო-
ახერხეს ინდუსმა და მუსლიმმა ბურჟუაზიამ, რელიგიის წმინდა სა-
ხელის გამოყენებით, მიეღწიათ იმ თანაგრძნობისა და მხარდაჭერისა-
თვის, რომელიც აღმოუჩინეს მასებმა მათ პროგრამებსა და მოთხოვ-
ნებს"-ი (15, გვ. 154). მოგვიანებით 1961 წელს ქვეყანაში გამთიშ-
ველი და სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებასთან დაკავშირე-
ბით, ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი
ა. გხოში ხაზს უსვამდა იმას, რომ ანტიკოლონიალურ ბრძოლის პერი-
ოდში პროპაგანდა და აგიტაცია მნიშვნელოვანწილად ხორციელდებოდა
იმ იდეების ნიშნით, რომელიც დაკავშირებული იყო ინდუისტურ რელი-
გიასთან. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა გამათავისუფლებელი
მოძრაობისაგან მუსლიმი მოსახლეობის ჩამოშორებას (16, გვ. 294).

XX ს. პირველ მესამედისათვის ინდოეთში უკვე ჩამოყალიბდა
ინდუსური თემის განცალკევებულობის იდეოლოგია. იგი თანდათან ვი-
თარდებოდა და მისი გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ
ცხოვრებაზე ანტიკოლონიალური ბრძოლის სხვადასხვა საფეხურზე სხვა-
დასხვანაირი იყო.

20-იან წლებისათვის თემურ სეპარატიზმს ჯერ კიდევ არ ჰქონ-
და თავი გამოვლენილი ამ მოძრაობაში, მიუხედავად იმისა, რომ ინ-
დოელ პატრიოტების (როგორც ექსტრემისტულად განწყობილების, ისე
ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ არსებულ რევოლუციური წრეების
ზომიერი წრეების ჩათვლით) დიდ ნაწილს შეადგენდნენ ინდუიზმის
მიმდევრები.

მაშინ მათ თავიანთ პროგრამაში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შე-
ტანილი და წინ წამოწეული რელიგიური თემების ინტერესების დაპი-

რისპირების იდეა. უფრო მეტი, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ინდუსი რადიკალები არაინდუსებს, პირველ რიგში მუსლიმებს, შორის ანხორციელებდნენ თავის საქმიანობას თემური ორგანიზაციების ფარგლებში.

ყველა სარწმუნოებათა გაერთიანება მათი პოლიტიკური პლატფორმის არსებით ნაწილს შეადგენდა (იხ. 12), მაგრამ ქვეყნის განვითარების ისტორიულმა თავისებურებებმა განაპირობეს სეპარატისტული ტენდენციების ჩასახვა და განვითარება. განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდგომ ეტაპზე 20-30-იან წლებში აქ ორ უდიდეს რელიგიურ თემს შორის ურთიერთობის პრობლემა, მათი ადგილი და როლი ანტიკოლონიალურ ბრძოლაში გახდა მეტად აქტუალური.

ყოფილ საბჭოურ ინდოლოგიაში თემური სეპარატიზმის აღმოცენებისა და გაძლიერების მიზეზები განხილულია მთელ რიგ შრომებში (11, 12, 13, 14), რომელშიც ნაჩვენებია, რომ კომუნალიზმის ჩასახვა როგორც ინდური სინამდვილის სპეციფიური მოვლენისა დაკავშირებულია უპირატეს ყოვლისა იმ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან, რომელიც შეიქმნა პოლიკონფესიურ კოლონიურად დამოკიდებულ ქვეყანაში.

ცნობილია, რომ ინდოეთში ისლამის შემოჭრა დაიწყო ჯერ კიდევ X საუკუნეში. აქაური მუსლიმები, რომლებიც წარმოადგენდნენ უფრო ზოგიერთ ხალხების შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ ეთნოგრაფიულ ჯგუფის წევრებს, ფლობდნენ საერთო ნიშნებს სულიერ კულტურისა და სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში. ეს სრულებითაც არ გამორიცხავდა ინდუსებთან დაახლოების ურთიერთგავლენის, მატერიალური და სულიერი კულტურის საერთო ფასეულობათა შექმნის ტენდენციას.

რელიგიურმა პრობლემებმა მიიღეს მწვავე ხასიათი მას შემდეგ, რაც ინდოეთი მოექცა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ რაიონებში, რომლებიც უპირა-

მეტად დასახლებული იყო ინდუსებითა და მუსლიმებით კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება მიმდინარეობდა უთანაბროდ; ბრიტანული კოლონიალური ადმინისტრაცია განზრახ მონაცვლეობით მხარს უჭერდა ხან ერთ, ხან მეორე რელიგიურ თემს. მოლონივრებულ ბურჟუაზიულ კლასის შიგნით არსებული კონკურენცია თავს იჩენდა განსხვავებულ კონფესიებისადმი კუთვნილების ფონზე, ხოლო სოციალური ანტაგონიზმი გადახლართული იყო სარწმუნოებრივ განსხვავებულობასთან.

ეს სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ინდუს-მუსლიმურ კონფლიქტების წარმოშობას, აღიქმებოდა დამახინჯებულად. ორივე თემის წევრები ცდილობდნენ შეემკოთ ერთმანეთი უარყოფითი დახასიათებებით, დაესაბუთებინათ იგი პირველ რიგში რელიგიურ წარმოდგენათა განსაკუთრებულობით. თანდათან ვითარდებოდა ინდუსებისა და მუსლიმების ეკონომიკური ინტერესების სტატუსის დამახინჯებული იდეოლოგიური ასახვის ფორმებიც[1].

რელიგიური გრძნობების გაიგივება ეროვნულთან, ხელს უწყობდა რელიგიის როლის განუწყვეტელ გაძლიერებას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენი საუკუნის დასაწყისში სწორედ ინდუიზმი გამოვიდა ქმედით ძალად ეროვნული შეკავშირებისა. მისი რეფორმაცია დაეტყო არა მარტო რელიგიურ რწმენებს, არამედ ინდოელი ხალხის პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

---

1 მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ორივე სარწმუნეობა ორგანულად დაკავშირებული იყო სოციალურ-ეთნიკური ევოლუციით. მართლაც უკვე XIX ს. მეორე ნახევარში ინდოეთში დაიწყო დიდი ეროვნებების (ბენგალური, მარატხული და სხვა) ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ ინგლისელთა კოლონიალური ბატონობის პირობებში იგი მიმდინარეობდა მეტად უთანაბროდ და სხვადასხვანაირად იმ რაიონებში, რომლებიც დასახლებული იყო ინდუსებით ანდა მუსლიმებით. მორწმუნეების გონებაში ეს პროცესები წარმოისახება, და როგორც უწყვეტი შინაგანი კავშირი ეროვნებასა და რელიგიას შორის.

ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ახალი წარმოდგენა ამ რელიგიის მნიშვნელობის შესახებ. საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში იგი აღიქმებოდა როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თეორიული საძირკველი.

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე რადიკალური წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები (ბ. ტილაკი, ა. გხოში, ლ. რაი და სხვა) აიგივებდნენ ნაციონალიზმსა და ინდუიზმს (17, გვ. 119-121). მოგვიანებით, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მაჰათმა განდი, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მოსახლეობის ფართო მასებში ხშირად აღიქმებოდა როგორც ინდუიზმის აღორძინებისათვის წარმოებული ბრძოლა, განდიზმის გავრცელება არ ნიშნავდა მასში სეკულარისტული პოტენციების უარყოფას. პირიქით როგორც აღნიშნავდა ყოფილი საბჭოთა ინდოლოგი ა. ლიტმანი, სეკულარიზმი განდიზმის შემადგენელი ელემენტი იყო (11, გვ. 30).

XX ს. პირველ მეოთხედისათვის ინგლისელ კოლონიზატორების ცდა დაეპირისპირებინა ინდუსი და მუსლიმები ერთმანეთისათვის, რომელიც მათ დაიწყეს ჯერ კიდევ XIX ს. უკანასკნელ მესამედში, წარმატებებს აღწევდა. იგი უკვე მკაფიოდ აისახებოდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში - სახელმწიფო-სამართლებრივი (მაგალითად, რელიგიური კუთვნილების დოკუმენტში აღნიშნა, არათანაბარი შესაძლებლობანი განათლების მიღების და სამუშაოდ მოწყობაში, 1932 წლიდან არჩევნებში რელიგიური კურიების შემოღება), სოციალურ-ფსიქოლოგიურში (საზოგადოებრივი აზრი, ტრადიციების ფსიქოლოგია და ა.შ.). ყველაფერი ეს იწვევდა სეპარატიული ტენდენციების გამოცოცხლებას და თემობრივი მოძრაობა იწყებს გაფართოებას, ამაზე მიუთითებდა "არია სამაჯის", რელიგიურ-რეფორმატორული საზოგადოების[1] ანტი-მუსლიმური

---

1 ეს საზოგადოება დააარსეს ჯერ კიდევ 1875 წ. დასაწყისში. იგი [illegible] ატარებდა ანტიმუსლიმურ ხასიათს. მთელი რიგი რეგიონალური ინდუსური პარტიებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო 1906 წ. საერთო მუსლიმური ლიგის შექმნას.

მოღვაწეობა.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ინდუსურ თემურ ორგანიზაციებს შორის დაწინაურდა "ჰინდუ მაჰასაბჰა ("ინდუსების დიდი კავშირი" - ილკ), ადრე იგი არ თამაშობდა დიდ როლს. მას შემდეგ რაც იგი შეიქმნა (1908 წ.), თავის საქმიანობაში იგი ძირითადად ყურადღებას აქცევდა სოციალურ-ყოფითი რეფორმების გატარებას ინდუსურ თემების შიგნით.

20-იანი წლების დასაწყისში (1922 წლიდან), მას შემდეგ რაც შეწყდა ინგლისურ კოლონიალურ ადმინისტრაციის წინაღმ დაუმორჩილების კამპანია, ქვეყანაში დაიწყო მასობრივი მოძრაობის დაქვეითება, რამაც ხელი შეუწყო კომუნალისტური განწყობილების ზრდას. ინდოეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა "სანგატჰანის"[1] და "შუდხის"[2] მოძრაობებმა. ერთდროულად გააქტიურა თავისი ანტიინდუსური პროპაგანდა მუსლიმურმა ლიგამ. ნერუს სიტყვებით, "ერთი მხრივ, შესამჩნევი იყო მუსლიმთა შიში ინდუსთა უმრავლესობის წინაშე, ხოლო მეორე მხრივ, - ინდუსთა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ისინი ამას განიხილავდნენ როგორც დაშინებას მუსლიმთა მხრიდან. მაჰასაბჰას ენერგიული მოღვაწეობა, თავის მხრივ, მუსლიმთა რელიგიურ-თემურ სულისკვეთების სტიმულირებას იწვევდა და ასე ამგვარად, ისინი განაგრძობდნენ ზემოქმედებას ერთმანეთზე და ამწვავებდნენ შუღლს რელიგიურ თემებს შორის ქვეყანაში" (15, გვ. 177-178).

30-იანი წლებიდან ჰინდუ მაჰასაბჰა გადაიქცა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად, ხოლო თემური იდეოლოგია იწყებს გამოსვლას როგორც საზოგადოებრივი აზრის დამოუკიდებელი მიმდინარეობა (18).

---

1 სანგატჰანა - მოძრაობა ინდუსური თემის გაერთიანებისთვის.

2 შუდხი - მოძრაობა ინდუიზმის წიაღში იმათ დაბრუნებისათვის, ვინც სხვა სარწმუნოებაში გადავიდა.

ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას გამხდარიყო საერთო ინდური მასშტაბის მუსლიმთა ორგანიზაცია, ვერ ჩააბა თავის მოძრაობაში ქვეყნის მუსლიმთა ძირითადი მასა. მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მოსახლეობის მუსლიმური ნაწილის შესახებ არაფერი იყო თქმული.

ინდუსურ კომუნალიზმის იდეოლოგიას ჰყავდა თავისი შემოქმედი, ბ.ჰლის სახელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ იდეოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება. ეს არის ვინაიაკა დამოდარა სავარკარი, რომელიც დაიბადა 1883 წელს მახარაშტრაში, ქ. ნასიკას ახლოს გაღარიბებულ ბრაჰმანის ოჯახში. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დააარსა მეგობრობის საზოგადოება ("მიტრა მელა"), რომელსაც მალე გადაარქვეს "ახალგაზრდა ინდოეთი" (აბჰინავა ბჰარატ). ეს საზოგადოება უფრო ტერორისტული ხასიათისა იყო. მას ჰქონდა თავისი განყოფილებანი ისეთ ქალაქებში როგორიცაა ბომბეი, პუნა, ჰაიდარაბადი. მისი წევრები ბაძავდნენ - იტალიის XIX ს. გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადებს ჯ. მაძინისა და ჯ. გარიბალდის, სწავლობდნენ ინდოეთის ეროვნული გმირების - შივაჯის, რამ დასის, რანის ლაკშმი ბაის ბიოგრაფიებს, აწარმოებდნენ ლექციებს პატრიოტულ თემებზე, ბეჭდავდნენ ანტიკოლონიალური ხასიათის მასალებს, მოუწოდებდნენ მოსახლეობას დაეწყოთ მზადება აჯანყებისათვის ინგლისელთა კოლონიალური ბატონობის წინააღმდეგ.

მოკლედ "ახალგაზრდა ინდოეთის" წევრები ქვეყნის დამოუკიდებლობის მისაღწევად გადამწყვეტ საშუალებად მიიჩნევდნენ ინდივიდუალურ ტერორს, ხალხთა მასების პატრიოტულ სულისკვეთებით აღზრდას და მათ მზადებას შეიარაღებული აჯანყებისათვის (23).

სავარკარმა გამოსცა რამდენიმე წიგნი, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ინდუიზმზე და ინდუსობაზე. მისი წარმოდგენით, ინდუს-კონფესიური რელიგიური ორგანიზაციის წევრია;

რაც შეეხება ინდოეთის სხვა რელიგიების მიმდევრებს – მუსლიმებს, ქრისტიანებს და სხვებს ისინი არ არიან ინდუსური ერის" ნაწილი. ინდუიზმი, მისი აზრით, არის ძირითადი და განუყოფელი ნაწილი ჰინდუტვისა (ინდუსობის), ინდუსური ცხოვრების წესის კულტურის, სამართლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების სპეციფიკური ნიშანი (22; გვ. 92). მანვე წამოაყენა ახალი თეზისი – "ჰინდუდომ" (ინდუსური სამყარო), რომლითაც აღნიშნავდა იმ ხალხებს, რომლებიც აღიარებენ ინდუიზმს. იგი წერდა: "ჩვენ – ინდუსებს, მიუხედავად ჩვენი ყველა განსხვავებისა, გვაქვს რელიგიური, კულტურული, ისტორიული, რასობრივი, ლინგვისტური ერთობა და რიგი ასეთები, ვქმნით ჰომოგენურ ერთობას და ვუპირისპირდებით არაინდუსებს, იქნებიან ისინი ინგლისელები, იაპონელები ან თუნდაც ინდოელი მუსლიმები (22; გვ. 101).

სავარკარის მტკიცება რელიგიური, კულტურული და ისტორიული ერთიანობის შესახებ აშკარად გაზვიადებული და მისტიფიცირებულია. ფართოდ ცნობილ ფაქტებს ასევე ეწინააღმდეგება მისი მტკიცება ინდური საზოგადოების რასობრივი და ლინგვისტური ერთიანობის შესახებ. რასობრივი მხრივ, მაგალითად, ჩრდ. ინდოეთის ინდუსებსა და მუსლიმებს პრაქტიკულად ვერ განასხვავებენ და მათ არ აქვთ არაფერი საერთო თავიანთ ერთმორწმუნეებთან სამხრეთ ინდოეთიდან. ქვეყნის მოსახლეობა ეთნიკური და ლინგვისტური აზრით არ არის ერთგვარი. ის ენები, რომლებზეც ლაპარაკობენ სამხრეთელი და ჩრდილოეთელი ინდუსები მიეკუთვნებიან სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს (ინდოევროპულსა და დრავიდულს).

სავარკარი აცხადებს, რომ ინდუსების ისტორიული ბედის ტრადიციის, სოციალური ინსტიტუტების და რაც მთავარია რასობრივი და რელიგიურ-კულტურული ერთობა გამოყოფს მათ ქვეყნის სხვა ჯგუფების მოსახლეობისაგან და აქცევს მათ ერთ მთლიან ერად. იგი ამტკი-

ცებს, რომ ინდუსები ქმნიან ერს, რომელიც ჩამოყალიბდა საერთო კულტურის, ისტორიის, ენის, ქვეყნისა და რელიგიის საფუძველზე (22, გვ. 126-127).

მართალია ის, რომ ინდუიზმის როგორც მაკონსოლიდირებელი ფაქტორის როლი განსაკუთრებით დიდია ქვეყანაში არსებული ეროვნული, ეთნიკური და კულტურული სიჭრელის გამო, რაც ამუხრუჭებს კოლონიური ქვეყნის მოსახლეობაში ერთიანი კუთვნილების გრძნობის ჩასახვას.

XX ს. დასაწყისისათვის ინდოეთში ერები უკვე ჩამოყალიბებული იყვნენ, ხოლო მთელი რიგი ეთნიკური ერთობანი ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდნენ. მაგრამ ამავე დროს შემორჩენილი იყო აგრეთვე ტომები და ხალხები, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დაკავშირებული ქვეყნის ცხოვრებასთან საერთოდ. თუმცა ინდოელების უმრავლესობა ინდუიზმს აღიარებდა, ის საერთო , რაც აერთიანებდა მის ყველა მიმდევარს, დამაჯერებელი კრიტერიუმად ვერ გამოდგებოდა ეროვნული კუთვნილების მცნებას რომ ეხებოდა.

XX ს. პირველ ნახევარში რელიგიური და ეროვნული მომენტების ურთიერთკავშირის პრობლემის გადაჭრას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა ინდოეთისათვის. ეროვნულის რელიგიურით შეცვლა აიხსნება იმ დროის საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროთი, ეროვნულისა და რელიგიურის გაიგივებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ განსხვავებით მსოფლიო რელიგიებისაგან (ქრისტიანობა, ბუდიზმი, ისლამი), ინდუიზმმა ვერ მოიპოვა ფართო გავრცელება ინდოეთის ფარგლებს გარეთ. მართალია, ინდუსთა თემები არსებობენ ინდოეთის მეზობელ ნეპალსა და ბუტანში, აგრეთვე ინდონეზიასა და ტიბეტში, მაგრამ იქ ინდუსურმა ნორმებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია.

სავარკარის თეორიის თანახმად, თუ ინდოეთს შეუძლია ინ-

დუსების ქვეყნად, რამდენადაც იგი მათი სამშობლოა და რელიგიური თაყვანისცემის ადგილი, მაშინ ის არ შეიძლება იყოს სამშობლო არც მუსლიმანებისათვის და არც ქრისტიანებისათვის, რომელთა წმინდა ადგილები მნიშვნელოვნად დაცილებულია ინდოეთს. როგორც სავარკარმა გამოხატა ის ერისათვის საკმაოდ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მუსლიმანი ინდოეთის პატრიოტები კი არა მისი პოტენციური მტრები არიან (20, გვ. 24) და ინდოეთზე ნებისმიერ თავდასხმის დროს დაიცავენ მათ თანამორწმუნეებს. მუსლიმანებისათვის ინდოსტანი ყოველთვის იყო უცხო ქვეყანა, მტრების ქვეყანა - აცხადებდა სავარკარი (23, გვ. 61).

ქვეყანაში ანტიკოლონიური მოძრაობის განვითარებასთან ერთად, რელიგიური სეპარატიზმის ორივე სახე განიცდიდა ევოლუციას სულ უფრო აშკარად იდეურ და ორგანიზებულ გაფორმებისაკენ.

30-იან წლებში "ინდური ერის" თეორიის მომხრენი მუსლიმებსაც განიხილავდნენ როგორც "ერს". 1937 წ. სავარკარი ამბობდა: "ინდოეთში არ შეიძლება ჩავთვალოთ ჰომოგენურ ერად. პირიქით, ქვეყანაში არსებობს ორი ერი - ინდუსი და მუსლიმური". მაგრამ როდესაც "მუსლიმური ნაციონალიზმის" იდეოლოგებმა მოითხოვეს ინდოეთის დაყოფა ორად რელიგიური ნიშნის მიხედვით, სავარკარმა უარი თქვა თავის პირვანდელ თვალსაზრისზე და მუსლიმებს უწოდა ეროვნული უმცირესობა (19, გვ. 131-134). ინდოეთის დამოუკიდებლობის მოპოვებას იგი უკავშირებდა მხოლოდ ინდუსური თემის მოღვაწეობას, მუსლიმები კი, მისი აზრით, იყვნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რიგების მიღმა და მიზნად ისახავენ მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების საწინააღმდეგო მიზნებს. პატრიოტი ინდუსი კი შეიძლება არ იყოს პატრიოტი ინდოელი, მაშინ როდესაც მუსლიმი რჩება მუსლიმად და არასოდეს არ გახდება ინდოელი.

უდავოა, რომ თავის იდეოლოგიურ და პრაქტიკულ მოღვაწეობას სავარკარი განსაზღვრავდა ინდუსური თემის ინტერესების პოზიციიდან. მაგრამ ინდუსური რეპარატიზმი განამტკიცებდა ერთიან ერთობისადმი კუთვნილების გრძნობას, ინდუსთა შემჭიდროვებასა და კონსოლიდაციას. სავარკარი სავსებით უარყოფდა საერთო მიზნების არსებობას მუსლიმებსა და ინდუსებს შორის.

საერთოდ კი ორივე თემის იდეურ ხელმძღვანელთა მიერ წამოყენებული დებულება იმის შესახებ, რომ ერთიანი თვითშეგნება უნდა ეფუძნებოდეს რელიგიურ სოლიდარობას, ანტიკოლონიალური ბრძოლის დამამთავრებელ ეტაპზე გახდა თემური სეპარატიზმის იდეოლოგიური ბაზა.

სავარკარის კომუნალისტურ იდეებს არ იზიარებდნენ და საჯაროდაც აკრიტიკებდნენ ინდოეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი აღიარებული ლიდერები როგორიც იყვნენ მაჰათმა განდი და ჯავაჰარლალ ნერუ. ჯ. ნერუ განიხილავდა კომუნალიზმს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში. იგი სამართლიანად უწოდებდა კომუნალიზმს ორივე რელიგიური თემის ზედა ფენების ინტერესების გამომხატველ იდეოლოგიას. იგი მიუთითებდა, რომ მუსლიმური და ინდუსური თემების ლიდერები "არიან მოკავშირენი ყველაზე რეაქციული ელემენტებისა, როგორც ინდოეთში, ისე თვით ინგლისშიც, ისინი გამოდიან პოლიტიკური და სოციალური პროგრესის წინააღმდეგობაში. ის წერდა, რომ "ინდუსთა სახელმწიფო", რომლის შექმნისაკენ მოუწოდებენ კომუნალისტები, საქმით ნიშნავს, შუა საუკუნეობრივი იდეალებისაკენ დაბრუნებას.

თემური სეპარატიზმის ნეგატიური ასპექტები თავს იჩენდნენ მით უფრო აშკარად, რაც უფრო მწვავე ხდებოდა ინდოეთის ხალხის ანტიინგლისური ბრძოლა.

ინდუსებისა და მუსლიმების ერთმანეთთან დაპირისპირება იზი-

ექვერად შეესაბამებოდა კოლონიზატორების ინტერესებს, უნდა აღინიშნოს, რომ სავარკარი უარყოფდა ბრიტანული კოლონიალური ადმინისტრაციის როლს რელიგიურ-თემური შუღლის გაღვივების საქმეში. იგი აცხადებდა, რომ კომუნალისტური პრობლემები შედეგია მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებული კულტურული, რელიგიურ და ეროვნული მტრობისა მუსლიმებსა და ინდუსებს შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე კომუნალისტური მოძრაობა წარმოადგენდა ალტერნატივას იმ პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა ინდოეთის ეროვნული კონგრესი თემების გაერთიანებისათვის. ფაქტობრივად ჰინდუ მაჰასაბჰა წარმოადგენდა იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად გაფორმებულ ოპოზიციას ინდოეთის ეროვნული კონგრესისადმი (ი.ე.კ)

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მურთაზ ტაიარი, ინდუს-მუსლიმთა ურთიერთობის გამწვავება ინდოეთში თანამედროვე ეტაპზე - "ისტორია და თანამედროვეობა", თბ., 1993.
2. რუსუდან მეგრელაძე, კონფლიქტი ინდოეთსა და პაკისტანს შორის ქაშმირის გამო, - "ორიენტალისტური ძიებანი", კრებ. II, თბ., 1994.
3. მაია შაბურიშვილი, ქაშმირის სადავო საკითხის ინტერნაციონალიზაციისათვის - "ორიენტალისტური ძიებანი", კრ. 3-4, თბ., 1995.
4. Studies in South Culture, vol. 5, Iconographic Dictionary of the Indian Religions, Leiden, 1976.

5. The Aligarch Muslim University: Its Past, Present and Future, 1951.

6. Бонгард-Левин Г.М. Древнеиндийская цивилизация. Философия, наука, религия, М., 1980.

7. Культура древней Индии. М., 1975.

8. "New Age" (Weekly).

9. Brambhri C.P., Ideology and Strategy for Indian Secularism.- "Secular Democracy", Annual-73, New Delhi, vol. VI, 1973, No2.

10. Bhupeash G. Challenge before Committee on Communal Problem - "New Age", 2.08.1978.

11. Литман А.Д. Секуляризм в Индии: мировоззренческие аспекты - "Религия и общественная жизнь в Индии". М., 1983.

12. Актуальные проблемы идеологии национально-освободительного движения в странах Азии и Африки. М.,1982.

13. Ашрафян К.З. Религия и коммунизм в Индии. -"Народы Азии и Африки", М., № 4, 1980.

14. Бельский А.Г. Опасное оружие индийской реакции - "Азия и Африка сегодня", М., № 10, 1983.

15. Неру Дж. Автобиография, М., 1955.

16. Гхош А.К. Статьи и речи. М., М., 1962.

17. Рыбаков Р.Б. Буржуазная реформация индуизма. М.,1981.

18. "Indian National Congress, Resolutions on states' reorganisation 1920-1956". New Delhi, 1956.

19. Ambedkur B.R. Pakistan or the Partition of India, Bombay, 1946. Davis K. The Population of India and Pakistan, Princeton (New Jersey), 1951.

20. Gandhi M.K. Muslim Conspiracy. Bombay, 1941.

21. Rasen G. Democracy and Economic Change in India, N.Y., 1967.

22. Savarkar V.D. Hindutra, Poona, 1942.

23. Anand V.S. Savarkar, A Study in the Evolution in Indian Nationalism. L., 1967.

ბაჩანა კაქაშვილი

## ნეპალი 90-იანი წლების დასაწყისში

ამჟამად ნეპალი იმყოფება ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური კრიზისის წინ, როცა 1990 წლის შემდეგ აჯანყებამ კატმანდუში დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და შექმნა დემოკრატიული მთავრობა (6, გვ. 49). ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ივლისში; გირიჯა პრასად კოირალამ ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, დაკარგა რა ხმების აუცილებელი უმრავლესობა პარლამენტში, დაშალა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, და, ყველას გასაკვირად, დანიშნა საყოველთაო არჩევნები ნოემბრისათვის.

დემონსტრანტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ დისიდენტებსა და ნეპალის კომპარტიას (გაერთიანებული მარქსისტული ლენინური

პარტია), რომელიც შეადგენს ძირითად ოპოზიციურ ძალას, პროტესტს აცხადებდნენ, რადგანაც კოირალამ შეძლო დაერწმუნებინა ნეპალის მეფე მიენიჭებინა უფლება შეესრულებინა პრემიერის მოვალეობა[1] არჩევნებამდე. პრემიერმინისტრის მტრები მიიჩნევდნენ, რომ იგი არჩევნების დროს მოახდენდა შედეგების მანიპულირებას (4, გვ. 5).

მას შემდეგ რაც ოპოზიციამ და დისიდენტებმა ვერ შეძლეს უმაღლესი სასამართლო დაერწმუნებინათ აღედგინა უფლებაში ძველი პარლამენტი, მთავრობამ დაიწყო მზადება დემონსტრაციების ახალი ტალღის მოსაგერიებლად.

ეს კრიზისი ნაწილობრივ წარმოადგენდა ნეპალის კონგრესის პარტიის გულგატეხილობას და ნაწილობრივ ასახავდა საზოგადოების უფრო ღრმა დაავადებას იმის გამო, რომ დემოკრატიის არსებობის 3 წლის განმავლობაში ნეპალელთა უმრავლესობამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო რაიმე უპირატესობა ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ სფეროში.

კოირალა ცნობდა ამ პრობლემის არსებობას: - "ისეთი ღარიბი ხალხისთვის, როგორნიც ნეპალელები არიან, მთელი ხალხის იმედის დაკმაყოფილება შეუძლებელია", - წერდა ამასთან დაკავშირებით,-ინგლისური ფაინენშელ ტაიმსი "გადასვლა თვითმპყრობელობიდან დემოკრატიაზე მძიმე მდგომარეობაში აყენებს მთავრობას" აღიარებდა იგი (1, 19.09.94).

სამმა უხუცესმა, რომლებიც კონგრესის პარტიას ხელმძღვანელობენ, კერძოდ 70 წლის კოირალა, კრიშნა პრასად ბჰატარაი - ერთ-

---

1 გ. პ. კოირალა არის უმცროსი ძმა ბ. პ. კოირალასი, რომელიც იყო მთავრობის მეთაური ახლანდელი მეფის მამის მახენდრას მმართველობის დროს (6, გვ. 50). მახენდრა, - თანამედროვე სიტყვებით, არასოდეს დაუშვებდა კონსტიტუციურ გარდაქმნებს ნეპალში (იქვე).

ნული კონგრესის თავმჯდომარე (ისიც 70 წლის) და 80 წლის და ეროვ-ნული კონგრესის უმაღლესმა ლიდერმა განეშ მან სინგხმა ვერ გაიყ-ვეს ხელისუფლება. დაპირისპირებამ აპოგეას მიაღწია თებერვალში, როცა ბჰატარაი, რომელმაც ვერ დააგროვა დეპუტატობისთვის საჭირო ხმების რაოდენობა, ბრალი დასდო კოირალას, არჩევნების შედეგის ფალსიფიცირებაში. ბჰატარაის სინგხის მხარდაჭერით მოაწყო ხმაური-ანი კამპანია კოირალას წინააღმდეგ, რომლის შედეგად.. პრემიერის მიერ შემუშავებული "ყოვლისმომცველი გარდაქმნის გეგმა" ჩავარდა პარ-ლამენტში.

კომპარტიას და სხვა მემარცხენე რადიკალურ ჯგუფებს იმედი ჰქონდათ არჩევნებში გამარჯვებისა. მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ ყველაზე მეტ სარგებელს ამ გაუგებრობისას ნახავდა როიალის-ტური მემარჯვენე პარტია, რომელიც მონარქის მხარდამჭერის ზომიერ ტალღაზე ქულებს აგროვებდა.

ის ვინც არჩევნებში გაიმარჯვებს, იგი მემკვიდრეობით მიიღებს ეკონომიკას რომელიც ძალზე წარუმატებლად ვითარდებოდა ბოლო წლებ-ში. კოირალას მთავრობა აქტიურად ატარებდა საბაზრო ეკონომიკისა-კენ მიმართულ რეფორმებს, თუმცა ნეპალი წარმოადგენს ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას ვიდრე ინდოეთი, მაგრამ ზოგ მნიშვნელოვან დარგებში, ნეპალი მეტად სწრაფად მიიწევს წინ ვიდრე დიდი მეზობე-ლი, განსაკუთრებით პრივატიზაციაში. 7 სახელმწიფო საწარმო იქნა გაყიდული კერძო პირებზე, მათ შორის ავეჯისა და მოსაპირკეთებელი ფილების ქარხანა.

კოირალამ აგრეთვე შეამცირა სახელმწიფო სესხი, და ინფლა-ციის დონე დაიყვანა 10%-მდე. გატარდა რეფორმები ელექტრო-მექანი-კური მრეწველობაში, რომელიც კომერციულ საწყისებზე გადავიდა (3, გვ. 64). მოსალოდნელია, რომ ხელი მოეწეროს ხელშეკრულებას მსოფ-ლიო ბანკთან 760 მლნ. დოლარის კაშხალზე მდინარე არუნზე ჰიდრო-

ელექტროსადგურის ასაშენებლად, თუმცა ეს გეგმა კამათს იწვევს საზოგადოებაში. ბევრი ნეპალელის აზრით, ეს გეგმა ძალზედ ამბიციურია. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ბოლო ინვესტიცია იქნება ნეპალში. მიუხედავად ამ წარმატებისა ქვეყანა საშინელ ეკონომიკურ სიძნელეებს აწყდება. მთავარი პრობლემა 19 მილიონი ნეპალელის ბედის გაუმჯობესებაა. ნახევარი მათგანი ღატაკია. ხოლო $\frac{1}{3}$ წერა-კითხვის უცოდინარი. მხოლოდ ნეპალელთა 10% აქვს სახლში ელექტრობა (5, გვ. 36).

2 წლის შემდეგ შეინიშნება ეკონომიკური აღმავლობა, რაც გამოიწვია გვალვამ, ხოლო 1994 წლის ივლისიდან შეიმჩნევა ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობა, რომლის ტემპი 7,7% აღწევდა. მაგრამ მოსახლეობის მატება შეადგენდა 2,1% წელიწადში. ამის გამო ნეპალს ეკონომიკური ზრდის უფრო დიდი ტემპი სჭირდება, რომ შეძლოს რესურსების შევსება სახელმწიფო ინვესტიციებისთვის.

საზღვარგარეთელი დახმარება, რომელიც წელიწადში 300000000 დოლარს შეადგენს, რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს "სასიცოცხლო რესურსად" ქვეყნისათვის. 1993-94 წლის ექსპორტის მოცულობა, რომელმაც შეადგინა 400 მლნ. დლრ ჩქარი ტემპით იზრდებოდა, უმთავრესად მზა ტანსაცმლის რეალიზაციის სწრაფი ზრდით. აგრეთვე ხელით დამზადებული ხალიჩებისაც. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია "ხალიჩების ინდუსტრიისა" ბავშვის შრომის გამოყენების გამო (5, გვ. 37).

ტურიზმი, ქვეყნის სავალუტო რესურსების შევსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. ქვეყნის მთიანი რელიეფი ხელს უშლის ტრანსპორტირებას, რაც იწვევს კონკურენციის უნარიანი ქარხნების განვითარების ტემპების ნელ ზრდას.

ნეპალისთვის უმჯობესი იქნებოდა ეწარმოებინა ვაჭრობა მეზობელ ინდოეთთან და მიეღო ინვესტიციები იქიდან, მაგრამ ნეპალე-

ლები შიშობენ რომ "ღია კარის" პოლიტიკა გამოიწვევს ინდოეთის არასასურველ გავლენას ქვეყანაში. ამის მაგალითია კოირალას ხში-რი კრიტიკა, ინდოეთთან საზღვარზე ასაშენებელი დამბების ერთობ-ლივი გამოყენების თაობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


I. "Financial Times",

2. Рецко И. "3-я поправка к конституции Непала и выборы в Национальный пентаят", - Восток и современность, № 5, М., 1981.

3. Восток и современность. Научно-информационный бюллетень, № 3 (33), М., 1984.

4. Raymajhi K.J. Inaugural speech, delivered at the V-th Congress of the Communist Party of Nepal, May 31, 1983.

5. "Компас", № 155, М., 1994.

6. "Компас", № 161, М., 19.10.1994.


ქეთევან ხატალა

## სამოქალაქო მმართველობა და არმია პაკისტანში 80-იანი წლების მიწურულს

1988 წლის ბოლოს პაკისტანში ჩატარდა საერთო სახალხო არ-ჩევნები პარტიულ საფუძველზე და ჩამოყალიბდა უმაღლესი ხელისუფ-ლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. ეს იყო უკვე მეოთხე დამყარებული მმართველობის სამოქალაქო კონსტიტუციურ-სა-პარლამენტო ფორმა. მანამდე არსებულ პაკისტანის სამხედრო რეჟი-

ებს ჰქონდათ რაღაც საერთო ერთმანეთთან, მაგრამ ისინი არსებითად განსხვავდებოდნენ კიდეც ერთმანეთისაგან. იგივე შეიძლება ითქვას პაკისტანის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ევოლუციის ასპანდელ ეტაპზე, თუ მას შევადარებთ ქვეყნის ისტორიის ანალოგიურ პერიოდებს[1].

პარტიულ-პოლიტიკური სტრუქტურის მიხედვით თანამედროვე ეტაპი განსხვავდება წინამორბედებისაგან. დამოუკიდებლობის პირველი წლების გარდა, როცა ბატონობდა ერთი პარტია - მუსლიმური ლიგა, რეალურად ამოქმედდა მრავალპარტიული სისტემა. მომდევნო ორ პერიოდში მრავალპარტიული სისტემა მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. მთელ ხელისუფლებას ფლობდა ერთი პარტია (მუსლიმური ლიგა და პაკისტანის სახალხო პარტია შესაბამისად). 1988 წლიდან პაკისტანში არსებითად დაიწყო განმტკიცება ორპარტიულმა სისტემამ. სხვა პარტიებთან შედარებით მხოლოდ ორს მიეცა შესაძლებლობა პრეტენზია განეცხადებინა ხელისუფლებაზე. ამიტომ, როგორც ინდოეთში, ასეთი სისტემა ხასიათდებოდა იმით, რომ მისი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი იყო ფართო პარტიული კოალიცია.

თითოეული ამ სტრუქტურებიდან შეესაბამებოდა პაკისტანის საზოგადოების განვითარების დონეს და უპასუხებდა გაბატონებული სო-

---

1 მმართველობის ფორმის თვალსაზრისიდან გამომდინარე დამყარებული რეჟიმი წარმოადგენდა საპარლამენტო რესპუბლიკის ტიპს, იმის მსგავსად, რომელიც ფუნქციონირებდა პაკისტანის სახელმწიფოს არსებობის პირველ ათწლეულში (1947–1958 წლები). პერიოდი 1962 წლიდან 1969 წლამდე ხასიათდებოდა - როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ზ.ა. ბჰუტოს მმართველობის დროს (1972 წ. - 1977 წ.) საპარლამენტო მმართველობის ფორმა სერიოზულად იყო დეფორმირებული. კერძოდ უზომოდ დიდი იყო პრემიერ-მინისტრის უფლებები.

ციალური ძალებისა და დაჯგუფებების ინტერესებს. პაკისტანის ჩამოყალიბების შემდეგ მის სახელმწიფოებრივ კურსს განსაზღვრავდნენ მსხვილი სავაჭრო ბურჟუაზია და ნახევრადფეოდალური მიწის მაგნატები. ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ არსებული წესები. ამ ჩანაფიქრების განხორციელების საშუალებას იძლეოდა მრავალპარტიული საპარლამენტო სისტემა, რომელსაც პაკისტანში არ გააჩნდა ტრადიციები და გამოცდილება. მმართველმა დაჯგუფებამ მოახერხა ბლოკირება გაეკეთებინა იმ წინადადებებისათვის, რომლებიც რეფორმებს ეხებოდა და შეინარჩუნა სტატუს კვო[1].

70-ან წლებში ზ. ა. ბჰუტომ გაატარა საკმაოდ რადიკალური რეფორმები სოფლისა და ქალაქის საშუალო მეწარმეების ინტერესების შესაბამისად. ზ. ა. ბჰუტოს მმართველობის დაცემაში მთავარი როლი ითამაშეს: მსხვილმა ბურჟუაზიამ, მიწის არისტოკრატიამ და მთავრობის რადიკალიზმით შეშინებულმა პაკისტანის სახალხო პარტიის (პსპ) ხელმძღვანელობამ.

1988 წლის შემდეგ პაკისტანის სახელმწიფოებრივი კურსი განისაზღვრებოდა არა მარტო სახალხო პარტიით, არამედ ისლამური დემოკრატიული ალიანსითაც (იდა), ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაითვალოს ოპოზიციურად, რადგან იგი მართავდა ფენჯაბში, არსებით გავლენას ახდენდა მთავრობის კურსზე ბელუჯისტანში. ბოლო პარლამენტში მას ჰქონდა ადგილების უმრავლესობა სენატში. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ სახელმწიფოებრივი კურსის წარმართვასა და გატარებაში მონაწილეობას იღებდნენ: არმია და სამოქალაქო ბიუროკრატია – პრეზიდენტით სათავეში, გამოდის, რომ ხელისუფლებაში წარმოდგენილი იყო ბურჟუაზიულ-მემამულური ბლოკის სოციალურ დაჯგუფებათა ფართო სპექტრი.

---

1 ამის გამო პირველ ათწლეულში არ გატარებულა რაიმე ცვლილებები, ფაქტიურად უცვლელი დარჩა აგრარული ურთიერთობები, ბიუროკრატიული სისტემა და სხვ.

მთავარი, რითაც ხასიათდებოდა პაკისტანის შიდაპოლიტიკური სიტუაცია - ეს არის მეტისმეტად მძაფრი ბალანსი მთავრობას, უმაღლეს ბიუროკრატიასა (პრეზიდენტით სათავეში) და არმიის მეთაურობას შორის. თითოეული ამ ელემენტებიდან სარგებლობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით. მაგალითად, მემარჯვენე ოპოზიცია - ფუნდამენტალისტები გამოდიოდნენ ბიუროკრატიის მხარეზე. მთავრობას მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი პაკისტანისათვის[1]. პაკისტანში საკმაოდ დიდია არმიის როლი. არმია არ ახორციელებს პირდაპირ კონტროლს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე, მაგრამ მან შეინარჩუნა თითქმის კონტროლი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმეებზე. იგი ხორციელდება ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ოპოზიციურად განწყობილი კონსერვატორებისა და სახელმწიფოებრივ სამსახურში მყოფი ტრადიციონალისტების მეშვეობით. ისეთი გამოცდილება, როგორიც ქონდა არმიას, არ გააჩნდა არცერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას ქვეყანაში. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა არმიის მეთაურობა ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიის არჩევის დროს. საკმაოდ დიდი იყო მისი გავლენა პაკისტანის საგარეო პოლიტიკაზე - განსაკუთრებით ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა - ურთიერთობა ინდოეთთან, ავღანეთის პრობლემა, სამხედრო-პოლიტიკური კავშირები ამერიკის შეერთებულ შტატებთან. უნდა აღინიშნოს, რომ არმიის და-

---

1 ვაშინგტონს ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობა პაკისტანის დიქტატორულ რეჟიმებთან. გაცილებით ხელსაყრელი იყო კავშირის დამყარება არჩეულ ხელისუფლებასთან, რომელიც შეესაბამებოდა მმართველობის კონსტიტუციურ-საპარლამენტო ფორმას. აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურდა პაკისტანში ტრადიციონალისტების გაძლიერება (3, გვ.68; № 3, გვ. 168).

ჟინებული მოთხოვნით ბენაზირ ბჰუტოს მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილი დაიკავა მ. იაკუბ-ხანმა (გადამდგარი გენერალი, ზია-ულ-ჰაკის რეჟიმის ცნობილი მოღვაწე).

შინაგანი არასტაბილურობის მდგომარეობაში, დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების სისუსტის დროს, არმია გამოდიოდა როგორც – არსებული პოლიტიკური სტრუქტურის გარანტი[1]. არმია დაინტერესებული იყო იმით, რომ შენარჩუნებულიყო სტატუს-კვო, და არმიის მოქმედებაც ამით იყო განპირობებული. იგი მხარს უჭერდა წონასწორობას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. არმია ოპოზიციას მხარს უჭერდა იმ შემთხვევაში, როცა მმართველ პარტიას ჰქონდა შესაძლებლობა – დარტყმა მიეყენებინა ოპოზიციისათვის, განსაკუთრებით ოპოზიციის ძირითადი ძალისათვის – ნავაზ შარიფის მთავრობისათვის ფენჯაბში. ამავე დროს არმიის ხელმძღვანელობა ხელს უწყობდა ოპოზიციის ცდებს – დაემხოთ ბენაზირ ბჰუტოს მთავრობა (1989, 1990 წ.წ.), რადგან ხელისუფლების დამხობა გამოიწვევდა მწვავე კრიზისს ქვეყანაში, მასობრივ უწესრიგობას, გართულებებს საგარეო პოლიტიკაში და საბოლოოდ არმიის წინაშე დადგებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი შემდეგში. ამის გამო არმიას სურდა შენარჩუნებულიყო ისეთი მდგომარეობა, როცა იგი ფორმალურად იმყოფებოდა "ყაზარმებში", სინამდვილეში კი არსებითად გავლენას ახდენდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ კურსზე. ამავე დროს არსებული პოლიტიკური ძალები დაინტერესებულნი იყვნენ არმიის კეთილგანწყობაზე. საერთოდ, არმიის ამგვარი მოღვაწეობა ყოველთვის დაფარული

---

1 სწორედ არმიის მხარდაჭერაზე, მის პოზიციაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მთავრობის და ოპოზიციის მოღვაწეობა. არმია მომხრე იყო იმისა, რომ შენარჩუნებულიყო ხელისუფლების ახლანდელი სისტემა, ძალზე ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც იყო "ყაზარმებში შესვლა", ე.ი. უარი თქვა ქვეყნის პირდაპირ მართვაზე.

და, პაკისტანში კი, პირიქით, – ყველანაირად დაუფარავი, არმიის პოლიტიკური როლი – როგორც პოლიტიკური პროცესის გარანტისა და უმაღლესი არბიტრისა ქვეყანაში – მუდმივი სალაპარაკო თემა იყო თვით სამხედრო მეთაურებისათვის, მთავრობის წარმომადგენლებისათვის, ოპოზიციისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის. ძნელია მოიძებნოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც არმიის ხელმძღვანელი პოლიტიკურ შეფასებას აძლევს მთავრობის მოღვაწეობას. სწორედ ასე მოიქცა გენერალი მ. ა. ბეგი (პაკისტანის სახმელეთო ჯარების მთავარი შტაბის უფროსი) 1989 წ. აგვისტოში, როდესაც განაცხადა, რომ: "ახლანდელი მთავრობა ჭკვიანურად უძღვება სახელმწიფოებრივ საქმეებს" და "წარმატებით მიემართება დემოკრატიული პროცესისაკენ" (5, 31, 08.1989). მთავარ ამოცანად გენერალს მიაჩნდა საჭირო პირობების უზრუნველყოფა ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის (4, 11,04,1989). ცნობილი მიმომხილველი სალამათ-ალი აღნიშნავდა, რომ, რადგან გენერალი ბეგის განცხადებით, არმია მხარს უჭერს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ პროცესებს – იგი გამოდის – როგორც უმაღლესი კონსტიტუციური ორგანო (7, 07.09.1989).

ასევე უცნაურად გამოიყურება ერთი ფაქტიც. კერძოდ, ბენაზირ ბხუტო გამოვიდა "ანგარიშით" სპეციალურ ორგანიზებულ შეხვედრაზე სამი სახის ჯარების შტაბების სარდლებთან. ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან რ. განდისთან მოლაპარაკების შემდეგ. რაჯივ განდი პაკისტანში იმყოფებოდა 1989 წლის ივლისში. სამხედრო ხელმძღვანელობამ მოიწონეს მთავრობის მეთაურის მოქმედებანი ამ მოლაპარაკებებში.

1989 წლის დეკემბერში გენერალმა ბეგმა განაცხადა, რომ პაკისტანი თავდაცვითი სტრატეგიიდან გადადიოდა შეტევით-თავდაცვით სტრატეგიაზე. ცხადია, ასეთი განცხადება, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების ძირეულ პრობლემებს, უნდა გაეკეთები-

ნა ან გ. ისხაკ-ხან-როგორც პრეზიდენტს და ქვეყნის მთავარსარდალს; ან ბენაზირ ბჰუტოს, როგორც პრემიერ-მინისტრს. და თავდაცვის მინისტრს. პრაქტიკულად არ არის რამდენადმე მნიშვნელოვანი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური საკითხი ქვეყანაში, რომლის განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობას არ იღებდეს პაკისტანის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა.

როდესაც 1990 წ. მდგომარეობა გართულდა ინდოეთის შტატში ჯამუსა და კაშმირში, შექმნილი სიტუაცია იანვრის ბოლოს განხილულ იქნა სპეციალურ სხდომაზე. აქ ესწრებოდნენ: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, არმიის შტაბის ხელმძღვანელები. შემდეგში კონფლიქტის გარშემო კვლავ იმართებოდა სხდომები და მათ ესწრებოდნენ ქვეყნის ხელმძღვანელები, ოპოზიციური პარტიების ლიდერები და აუცილებლად უმაღლესი სამხედრო პირები. უფრო მეტიც, აპრილში სამხედრო ხელმძღვანელობამ მოუწოდა მთავრობას და ოპოზიციას – შეეწყვიტათ ურთიერთდაპირისპირება და გაემართათ დიალოგი. სამხედროები უშუალო მონაწილეობას ღებულობენ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კონსულტაციებში მთავრობის წარმომადგენლებთან და ოპოზიციასთან. 1989 წ. ფენჯაბში გართულდა პოლიტიკური ვითარება – ბენაზირ ბჰუტომ სცადა ძალაუფლებისაგან ჩამოეშორებინა ნ. შარიფის პროვინციული მთავრობა. ამასთან დაკავშირებით მოეწყო ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელების შეხვედრა გენერალ ბეგთან (მან მოახერხა პრემიერის მცდელობის აღკვეთა). 1990 წელს არმიის ხელმძღვანელობა შუამავლად გამოვიდა დაპირისპირებულ ძალებს შორის სინდში. პაკისტანის სახალხო პარტიის (პსპ) კოალიციის დაშლის შემდეგ 1989 წ. მაისში მუჰაჯირების ეროვნული მოძრაობის (მემ) ლიდერებმა პირდაპირ მიმართეს პრეზიდენტს და არმიის შტაბის ხელმძღვანელობას – მიეღოთ ზომები "მუჰაჯირთა სიცოცხლის დასაცავად". შემდეგში ისინი თვლიდნენ უშუალოდ ჩარ-

ბათ არმია სინდში მიმდინარე პროცესებში.

პაკისტანის სამხედრო ხელმძღვანელობა ეწეოდა აქტიურ საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას. როდესაც არმიის ხელმძღვანელები იმყოფებიან საზღვარგარეთ, ისინი ხვდებიან არა მარტო კოლეგებს, არამედ უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკურ ხელმძღვანელებს. თავის მხრივ, პაკისტანში ჩამოსული უცხოელები ხვდებიან ამ ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობას. მაგალითად, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რ.კიმმიტი 1990 წ. იმყოფებოდა პაკისტანში, იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა - პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და არმიის შტაბის ხელმძღვანელობასთან. გენერალი ბეგი იმყოფებოდა რიგ ქვეყნებში - ამერიკის შეერთებულ შტატებში, იორდანიაში, ირანში. ირანში მისი ინტენსიური მოლაპარაკებები ამ ქვეყნის უმაღლეს სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებთან შეეხო ბევრ საკითხს, მათ შორის სსრკ-ს მაშინდელი არის საქმეთა მინისტრის ე.შევარდნაძის წინადადებას, რომელიც ეხებოდა ავღანეთის პრობლემის მშვიდობიან მოგვარებას. ბეგი შეხვდა შვიდეულის ლიდერებსაც (6, ტ.21, N 2, გვ.23).

ბენაზირ ბჰუტოს მთავრობას მოღვაწეობა მოუხდა მეტად შეზღუდულ პირობებში. არსებობდა მრავალი დამაბრკოლებელი ფაქტორი. კერძოდ, - კონფრონტაცია ოპოზიციასთან, მემარჯვენეთა ზეწოლა, ფუნდამენტალისტური ძალების მოქმედება, კრიტიკა მემარცხენე დემოკრატიული ძალების მხრიდან, რთული ურთიერთდამოკიდებულება პრეზიდენტთან და არმიის ხელმძღვანელობასთან - ეს ყველაფერი სერიოზულად ზღუდავდა მთავრობის მოქმედებას.

ამის გარდა მისი მრავალი ნაბიჯი გაუბედავი და არათანამიმდევრული იყო. პაკისტანის სახალხო პარტია ხელისუფლებაში ყოფნის დროს ცდილობდა არ დაერღვია პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფ ძალებს შორის არსებული ბალანსი - ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ხელისუფ-

ლებაში ყოფნის დროს პარტიას ქვეყნის შიგნით არ გაუტარებია სერიოზული გარდაქმნები. მიღებულ იქნა ზომები, რათა სამხედრო რეჟიმი საპარლამენტო მმართველობით შეცვლილიყო. განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, აღდგა პრესის უფლებები. მოსახლეობის ნება დაერთო სტუდენტურ ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს. გაუქმდა საგანგებო კანონმდებლობა, სასამართლო ორგანოები კონტროლს ახორციელებდნენ ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე.

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიღებულ ზომებს, აქ შეგვიძლია დავასახელოთ "სახალხო პროგრამა" - ეს არის საზოგადოებრივ სამუშაოთა კომპლექსი, რომელთა ჩასატარებლად გამო-იყო 2 მილიარდი რუპია[1].

საკმაოდ შესამჩნევი იყო პაკისტანის მთავრობის მოღვაწეობა საგარეო პოლიტიკის სფეროშიც. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბენაზირ ბჰუტომ განაცხადა, რომ დაგეგმილი ჰქონდა - პაკისტანის საგარეო პოლიტიკის პოზიტიური მხარეების განვითარება, ავღანეთის პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარება, საბჭოთა კავშირთან - თანამშრომლობის განვითარება, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება ინდოეთთან. მაგრამ ამ ჩანაფიქრების განხორციელება საკმაოდ

---

1 მიუხედავად დიდი ფინანსური სიძნელეებისა მთავრობა არ შეეხო თავდაცვის ხარჯებს. გათვალისწინებული იყო 1988 - 98 წლების ბიუჯეტის 2,3 მილიარდი რუპიით გაზრდა. ნარკობიზნესთან ფართომასშტაბიანი ბრძოლის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ ეს კამპანია საკმაოდ გაუბედავად წარიმართა, რადგან წააწყდა წინააღმდეგობას ავღანური ოპოზიციის, პაკისტანის ძლიერი ნარკომაფიისა და შემარჯვენე ოპოზიციის მხრიდან (2, გვ. 119).

ძნელი აღმოჩნდა, რადგან ყოველივე ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ სხვადასხვა ძალები: ფუნდამენტალისტები, უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატია, და საერთოდ ყველა, ვინც დაინტერესებული იყო შენარჩუნებულიყო ზია-ულ-ჰაკის რეჟიმი. შემარჯვენე ოპოზიცია მოითხოვდა, რომ გატარებულიყო მკაცრად განსაზღვრული კურსი ინდოეთთან და ავღანეთთან დაკავშირებით, მოჯაჰედებისათვის დახმარების გაწევა უფრო ფართო მასშტაბებში და სხვ. საბოლოოდ, პაკისტანის პოზიცია ძველებურად სერიოზულად აბრკოლებდა ავღანეთის პრობლემის მოგვარებას. ეს კი, თავის მხრივ, ზღუდავდა პაკისტანისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაფართოებას.

არ გამართლდა იმედები იმის შესახებ, რომ განვითარდებოდა ორმხრივი ურთიერთობები პაკისტანსა და ინდოეთს შორის[1]. შემარჯვენე ოპოზიცია გამოვიდა ინდოეთთან დაახლოების კურსის წინააღმდეგ. მათ მთავრობა და მმართველი პარტია, აგრეთვე მისი მეთაური დაადანაშაულეს ქვეყნის ინტერესებისა და ისლამის პრინციპების "გამყიდველობაშიც" კი. არმიის ხელმძღვანელობა გამოვიდა წინადადებით - გაეძლიერებინათ შეიარაღებული ძალები, რათა მას შესძლებოდა "აგრესიის მოგერიება". სამხედრო ხელმძღვანელობამ გამოაცხადა პაკისტანის გადასვლა შეტევით-თავდაცვით სტრატეგიაზე. გატარდა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მანევრები.

---

1 უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისში მიღებულ იქნა ზომები პაკისტანისა და ინდოეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. შემდეგ შეხვედრები რაჯივ განდისა და ბენაზირ ბჰუტოს შორის, მიღწეულ იქნა შეთანხმება ორივე მხრიდან ბირთვულ ობიექტებზე თავდაუსხმელობის შესახებ, ტერორიზმთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის შესახებ, კულტურული ურთიერთობების განვითარების შესახებ, ორმაგი დაბეგვრის გაუქმების შესახებ. მაგრამ მალე ინდოეთ - პაკისტანის ურთიერთობებმა შეფერხება იწყეს.

ასეთ მდგომარეობაში ბენაზირ ბჰუტოს მთავრობამ ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია მეწილისათვის. ის ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო ინდოეთთან ურთიერთობის განვითარებისაკენ, შესუსტდა, ადრე დადებული ხელშეკრულებები ვერ სრულდებოდა. გააქტიურდა მოქმედება, რომელიც მოუწოდებდა მთავრობას მხარი დაეჭირა "ჭეშმარიტი მოკავშირეებისათვის" - ესე იგი აზიის პატარა სახელმწიფოებისათვის, რომლებიც პაკისტანთან ერთად წინააღმდეგობას უწევდნენ "ინდოეთის ჰეგემონიზმს". 1989 წ. ზაფხულში, როდესაც გამწვავდა ინდოეთ-ნეპალის ურთიერთობები, იაკუბ-ხანი იმყოფებოდა ნეპალში-კატმანდუში, სადაც მან განაცხადა, რომ პაკისტანი მზად იყო ნეპალისათვის გაეწია ნებისმიერი სახის მხარდაჭერა. 1989 წ. ოქტომბერში შედგა ბენაზირ ბჰუტოს ვიზიტი ბანგლადეშში. საკმაოდ მცირე პერიოდის განმავლობაში (1989 წლის ბოლო - 1990 წლის დასაწყისი) პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის ყველა პატარა ქვეყანაში. უნდა ითქვას, რომ პაკისტან-ინდოეთის ურთიერთობაზე გარკვეული გავლენა იქონიეს ინდოეთის შოვინისტურმა ელემენტებმა. შემდგომში ჯამუსა და კაშმირში წარმოებული კონფლიქტის გამო ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა.

ბენაზირ ბჰუტოს მთავრობის ძირითადი მოღვაწეობა მიმართული იყო საკუთარი პოზიციების განმტკიცებისაკენ. გარდა ამისა მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა არა მარტო ოპოზიციასთან, არამედ მმართველი კოალიციის შიგნითაც, კერძოდ სახალხო პარტიის შიგნით (პსპ)[1].

---

1 1989 წ. გამწვავებული ბრძოლის გამო კოალიციიდან გამოვიდა ორგანიზაცია, რომელიც იცავდა მუჰაჯირების ინტერესებს. მაისში მუჰაჯირთა ეროვნულმა მოძრაობამ დატოვა მთავრობის კოალიცია სინდში, ხოლო ოქტომბერში გამოვიდა ცენტრიდანაც.

ოპოზიციაში ჩადგა აგრეთვე სახალხო-ეროვნული პარტია ა. ვალი-ხანის მეთაურობით. შექმნილი დანაკლისის შევსება ბენაზირ ბჰუტომ მალე მოახერხა. მან მოიპოვა დამოუკიდებელი დეპუტატების დიდი ნაწილისა და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა. თვით პარტიის შიგნით მისი ხელმძღვანელობა ბრძოლას აწარმოებდა მრავალრიცხოვან ფრაქციებთან და დისიდენტებთან. მუდმივად მიმდინარეობდა ცვლილებები პარტიულ ხელმძღვანელობაში და ხელისუფლების იმ ორგანოებში, რომლებსაც მეთაურობდა პაკისტანის სახალხო პარტია (პსპ). მთავრობის პოლიტიკური ბაზის გაფართოების მიზნით მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ ოპოზიციის ზომიერი წარმომადგენლები.

თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ბენაზირ ბჰუტომ თავისი დედა-ნუსრატ ბჰუტო დანიშნა უფროსი მინისტრის პოსტზე, რომელიც ფაქტიურად იკავებდა მთავრობის მეთაურის მოადგილეს, თუმცა კონსტიტუციით ასეთი მოვალეობა პაკისტანის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში არ იყო გათვალისწინებული[1].

მმართველ დაჯგუფებასა და სამხედრო-ბიუროკრატიულ მმართველობას შორის მიღწეულ იქნა საერთო შეთანხმება და პსპ-ს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ორივე ძალის ცენტრები აწარმოებდნენ ბრძოლას საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახალმა მთავრობამ სამსახურიდან გადააყენა სამხედრო-

---

1 ბენაზირ ბჰუტო დაჟინებით ცდილობდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები არმიის ხელმძღვანელობასთან და სამოქალაქო ბიუროკრატიასთან მიმართებაში. ისინი, გამოდიოდნენ რა სტატუს კვოს მომხრედ, უფრო მეტ პატივს სცემდნენ პსპ-ს როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას. ასევე სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიის ინტერესებს უპასუხებდა პსპ-ს და ოპოზიციურ ბლოკებს შორის კოალიციის შექმნა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

და დიდი ჯგუფი, ეს გაკეთდა კანონიერების საფუძველზე, რადგან მათ მიაღწიეს საპენსიო ასაკს, მაგრამ მთავრობის ეს ნაბიჯი მიუთითებს მის მისწრაფებაზე თვითმყოფადობისაკენ. ამავე დროს ახალი ხელისუფლება განთავისუფლდა ძველი რეჟიმის მომხრეებისაგან. მთავრობამ მოაწყო საუწყებათაშორისო დაზვერვა. ზია-ულ-ჰაკის რეჟიმის დროს ასეთმა დაზვერვამ დიდი გავლენა მოიპოვა. მას უწოდებდნენ "სახელმწიფოს სახელმწიფოში". ბენაზირ ბჰუტომ თავდაპირველად შეზღუდა დაზვერვის ფუნქციები, ხოლო 1989 წ. მაისში მიაღწია იმას, რომ დაზვერვის ხელმძღვანელობას ჩამოაშორა საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი გენერალი ხამიდ გული და მისი უახლოესი თანამშემწეები. მის ადგილზე დანიშნა შ.რ. კალლუ, რომელიც ზია-ულ-ჰაკთან უთანხმოების გამო სამსახურიდან იყო გადამდგარი. ასე, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოსტზე აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც უშუალოდ არ ექვემდებარებოდა სამხედრო ხელმძღვანელობას. ამ აქციას არ გამოუწვევია აქტიური წინააღმდეგობა უმაღლესი სამხედრო და ადმინისტრაციული პირების მხრიდან, ეს უკანასკნელნი უკმაყოფილებით ადევნებდნენ თვალს ხამიდ გულის გავლენის ზრდას. ამავე დროს ხამიდ გული პასუხისგებაში მისცეს - როგორც ავღანეთის ოპოზიციისა და პაკისტანის მთელი სამხედრო მოღვაწეობის კოორდინატორი, რადგან ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შემდეგ ჩაიშალა მოჯაჰედების გეგმები, რომლებიც მიმართული იყო ხელისუფლების ხელში ჩაგდებისაკენ, წარუმატებლად წარიმართა საქმე ჯელალაბადშიც.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბენაზირ ბჰუტომ შეეცადა გადაეყენებინა ზოგიერთი პირი უმაღლეს სამხედრო ეშელონში, მაგრამ წააწყდა დიდ წინააღმდეგობას შეიარაღებული ძალებისა და პრეზიდენტთან არსებული დაჯგუფების მხრიდან. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 1989 წლის აგვისტოში ბენაზირ ბჰუტომ როგორც პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა ადმირალ ი.ა. სიროხის გადადგომის

შესახებ. ი.ა. სიროხი აქამდე იმყოფებოდა პაკისტანის შეიარაღებული ძალების შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. დაგეგმილი იყო, რომ მის ნაცვლად უნდა დაენიშნა გენერალი, რომელიც იქნებოდა ჯარის მომხრე. სიროხის გადაყენების მოტივს ხსნიდნენ იმით, რომ მთავრდებოდა ამ პოსტზე მისი ყოფნის ვადა (კანონით 3 წელი). თუმცა ამ დროში მას ევალებოდა ისიც, რომ იმყოფებოდა სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. სავარაუდოდ, მთავრობის ამ ნაბიჯის წინააღმდეგ გამოვიდნენ პრეზიდენტი და უმაღლესი სამხედრო პირები.

ადმირალ სიროხისთან დაკავშირებულმა საკითხმა გამოააშკარავა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა - ვის კომპეტენციაში შედის თანამდებობის პირთა დანიშვნა უმაღლეს სამხედრო პოსტებზე - მთავრობის, თავდაცვის სამინისტროსი თუ პრეზიდენტის? ფორმალურად, კონსტიტუციის თანახმად ყველა დანიშვნას აწარმოებს პრეზიდენტი, ოღონდ მისი ეს ნაბიჯი, როგორც მისი სხვა მოქმედებანი შეთანხმებული უნდა იყოს მთავრობასთან და მის მეთაურთან (1, გვ. 22), მაგრამ კონსტიტუციის პირველადი ტექსტისაგან განსხვავებით, სადაც მკაცრად იყო გათვალისწინებული პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრის უფლებები, ზია-ულ-ხაკის ვარიანტმა პრეზიდენტის მოვალეობანი საკმაოდ განუსაზღვრელი ფორმით წარმოადგინა (VIII შესწორება, 1985წ.) ამავე დროს, პრეზიდენტმა მიიღო უფლება მოეთხოვა კაბინეტისათვის მათი რეკომენდაციების გადასინჯვა (9, 27.10.1985). ასე, რომ უპირატესობა აღმოჩნდა პრეზიდენტის მხარეზე, რომელსაც მხარს უჭერდა სამხედრო ხელმძღვანელობა და ბენაზირ ბჰუტოს ცდა გაენეიტრალებინა თავის გეგმები (შეეზღუდა არმიის ხელმძღვანელობა, შეექმნა ხელსაყრელი პრეცედენტი პრეზიდენტთან ბრძოლებაში, მოეპოვებინა უმაღლესი სამხედრო და სახელმწიფო პირების დანიშვნის უფლება) წარუმატებლად დამთავრდა. ამ წარუმატებლობას მოჰყვა სხვა უარყოფითი

შედეგების. ამ შემთხვევაზე დაყრდნობით რამდენიმე თვის შემდეგ პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციების გარეშე დანიშნა უმაღლესი სასამართლოს 2 წევრი. პრემიერის ცდამ სადავოდ გაეხადა პრეზიდენტის ეს აქცია სამართლებრივ საფუძველზე – შედეგი არ გამოიღო. ამ შემთხვევის შემდეგ შეწყდა მთავრობის პოზიციების განმტკიცების პროცესი არმიასთან მიმართებაში და დაიწყო საწინააღმდეგო ტენდენციების განვითარება. ყოველივე ამაში განსაკუთრებით უარყოფითი როლი ითამაშეს სინდში მიმდინარე მოვლენებმა. მწვავე სიტუაცია აქ ადრეც არსებობდა, მაგრამ იგი განსაკუთრებით გამძაფრდა 1989 წელს. ამ დროს სინდი გადაიქცა პაკისტანის ყველაზე "ცხელ წერტილად". კონფლიქტს საფუძვლად ედო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებმაც ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გამო ეროვნებათაშორისი დაპირისპირების სახე მიიღეს. მიმდინარეობდა უმწვავესი ბრძოლა ძველ, ძირითად მოსახლეობასა და სხვა რაიონებიდან გადმოსახლებულებს, ანუ მუჰაჯირებს შორის. სიტუაციის გაუარესება გამოიწვია სინდში იარაღისა და ნარკოტიკების შეტანამ, აგრეთვე ავღანელი "მეურიგებლების" მოქმედებამ[1]. მთავრობა ცდილობდა კონფლიქტის მოგვარებას. არ გაურბოდა არმიის გამოყენებასაც. ხელისუფლება ცდილობდა შეემსუბუქებინა კონფლიქტი დაპირისპირებულ მხარეებს შორის. რეპრესიული ძალის როლში გამოდიოდა პოლიცია, რომლის რიცხვი პროვინციაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა და მაისის ბოლოს მთავრობამ მოუწოდა არმიას აღედგინა სინდში "კანონიერება და წესრიგი". ამ აქციამ უფრო მეტად შეზღუდა მთავრობის დამოუკიდებლობა,

---

1 განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა, რომელსაც თან ახლდა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი, დაიწყო 1990 წლის თებერვალში. მასობრივი სისხლის ღვრის ასპარეზად იქცნენ ამ პროვინციის ქალაქები, განსაკუთრებით – ყარაჩი, რომელიც მეთვალყურეთა აზრით თანდათან ემგვანებოდა ბეირუთს (4 ; 15.03.1990).

გაიზარდა დამოკიდებულება შეიარაღებულ ძალებზე. გაჩნდა შიში იმის გამო, რომ არმიაში გაიზარდა სურვილი ხელისუფლებაში მისვლისა (10, 08.03.1990). შიში ამის შესახებ გაძლიერდა მას შემდეგ, რაც არმიის ხელმძღვანელობამ მოითხოვა "იურიდიული უფლებამოსილებანი" სინდში თავისი "სამშვიდობო მოღვაწეობისათვის". ე.ი. ამის ქვეში იგულისხმებოდა საგანგებო სამხედრო მდგომარეობის შემოღება სინდში, ან მის ნაწილში[1].

სინდში მიმდინარე მოვლენებს და სეპარატისტულად განწყობილი ჯგუფების მოქმედებებს მოჰყვა საკმაოდ უარყოფითი შედეგები. იმატა ნაციონალიზმმა სხვა პროვინციებში. ფენჯაბში გაძლიერდა თავდასხმები ბენაზირ ბჰუტოს მთავრობაზე. იყო ბრალდება იმის შესახებ, რომ ირღვეოდა ფენჯაბელთა ეროვნული ინტერესები. ბელუჯისტანში მოითხოვდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციიდან ბელუჯების განდევნას და ამავე პროვინციის საზღვრების გადასინჯვას მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე. დაიწყო პროპაგანდა მოწოდებით – შექმნილიყო დამოუკიდებელი პუშტუნისტანი. ასე, რომ სინდში მიმდინარე მოვლენებმა სერიოზული არეულობა გამოიწვიეს. მთავრობისათვის საფრთხე მომდინარეობდა პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდანაც, რომელიც მოითხოვდა პაკისტანის სახალხო პარტიის მთავრობის ლიკვიდაციას. როგორც ყოველთვის პაკისტანში ცენტრისტულ პოზიციებზე მდგომი მთავრობისათვის რეალური საფრთხე მომდინარეობდა მემარჯვენე ოპოზიციიდან. მემარცხენე ოპოზიცია სუსტი და არაორგანიზებული იყო. მისი მდგომარეობა გართულებული იყო შინაგანი ფრაქციული და პარტიათაშორისო ბრძოლებით, ამბიციური ლიდერების დაპირისპირებით, საგარეო პოლი-

---

1 არმიის ამ მოთხოვნის შესრულება ნიშნავდა სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლიდან არმიის გამოსვლას, სამხედრო ტრიბუნალების შემოღებას და ა.შ. სამხედროების მოთხოვნას მხარს უჭერდა მემარჯვენე ოპოზიცია.

ტიკის სფეროში მემარცხენე ოპოზიცია გამოდიოდა მოთხოვნით: უსწრაფესად მოგვარებულიყო ავღანეთის პრობლემა, გაფართოებულიყო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, ნორმალურად წარმართულიყო ინდოეთ--პაკისტანის ურთიერთობები. თუმცა მემარცხენე ოპოზიციას არ შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა მთავრობის მოქმედებებზე, მთავრობა მათ (მემარცხენე ოპოზიციას) იყენებდა პოლიტიკურ ბრძოლაში მემარჯვენეების წინააღმდეგ.

მემარჯვენე ოპოზიცია მოითხოვდა ძველი ხელისუფლების პოლიტიკის გაგრძელებას მცირე ცვლილებებით. იგი ეყრდნობოდა ტრადიციონალისტებს. ჰქონდა არმიის და ბიუროკრატიის განსაზღვრული წრეების ნდობა. მემარჯვენე ოპოზიციას მნიშვნელოვანი ბაზები ჰქონდა ოი პროვინციაში. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ სერიოზულ პლაცდარმებს მმართველი პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ისლამური დემოკრატიული ალიანსი (იდა) სარგებლობდა იმით, რომ კონსტიტუციით პროვინციებს მინიჭებული ჰქონდათ ფართო უფლებები და ამიტომ იდა და მისი მოკავშირეები ხელს უშლიდნენ ცენტრალურ მთავრობას სხვადასხვა ზომების მიღებაში. ასე, რომ მთავრობას საშინაო კურსი სერიოზულად აღმოჩნდა შეზღუდული. მაგალითად, ფენჯაბში არ გატარებულა "სახალხო პროგრამა". ადგილობრივი ხელისუფლება ხელს უშლიდა ისეთი საქმეების განხილვას, როგორიცაა გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთა და ნარკობიზნესი. იდა-ს მომხრეები აქტიურად იყენებდნენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა - დაშინება, შანტაჟი, მოსყიდვა. ამ დაჯგუფებებს ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად გააჩნდათ საკმაოდ დიდი შესაძლებლობები, ეს დაჯგუფება მართავდა ფენჯაბში. იგი იყენებდა სხვადასხვა საშუალებებს ყველაზე მდიდარი პროვინციიდან, აქ ცხოვრობენ დიდი მატერიალური შესაძლებლობების მქონე პირები. თვითონ შარიფი ძმებთან ერთად ითვლებოდა კომპანია - "იტეფაკის" მესაკუთრედ, რომელიც დიდი ბიზნესის ორბიტაზე ზიაულ-

-ხაკის რეჟიმის დროს გამოვიდა[1].

ერთდროულად გაძლიერდა ძალისხმევა იმისათვის, რომ ფენჯაბში გადაეტანათ ის უმსხვილესი მონოპოლისტური გაერთიანებები, რომლებიც ტრადიციულად განლაგებული იყო ყარაჩში – მემარჯვენე ოპოზიციის საკმაოდ მძლავრ იარაღს ისლამი წარმოადგენდა. იგი გამოდიოდა ისლამის დამცველის როლში იმ "უღმერთო სახალხო პარტიისაგან", რომლის სათავეში იდგა ქალი-ბენაზირ ბჰუტო. მთავრობისა და მმართველი პარტიის მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა 1990 წელს. ამ დროს გააქტიურდა კამპანია "შარიათის კანონის" და კაშმირის მოვლენების გამო[2].

წლების განმავლობაში ეს კანონპროექტი პრაქტიკულად დაივიწყეს, 1990 წ. მაისში სენატმა, სადაც ოპოზიციას ჰყავდა უმრავლესობა, მიიღო იგი და უარყო პსპ-ს დეპუტატთა ყველა შესწორება. შემდეგ ზემოაღნიშნული კანონპროექტი ეროვნულ კრებას გადაეცა. მმართველი პარტია რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კანონპროექტის წინააღმდეგ გამოსვლა უფრო მეტ წინააღმდეგობას წარმოშობდა ტრადიციონალისტების მხრიდან, ხოლო დათმობა გამოიწვევდა სხვადასხვა ძალებისაგან მხარდაჭერის შესუსტებას მთავრობის მიმართ (დემოკრატიული საზოგადოება, ქალთა ორგანიზაციები, მასობრივი პროპაგანდის საშუალებები), რა თქმა უნდა, პსპ-ს მოქმედებანი ოპოზიციასთან მიმართებაში ჯენტლმენური არ ყოფილა. პოლიტიკური ბრძოლის დროს მაქსიმალურად იყო გამოყენებული ხელისუფლების ცენტრალური

---

1 ნ. შარიფმა ფენჯაბის პროვინციაში გააღვივა ნაციონალიზმი და ბენაზირი ბჰუტოს მთავრობას ბრალი დასდო ამ პროვინციის მიმართ აშკარად ამგვარ დამოკიდებულებაში. ასევე ბრალი დასდო იმაშიც, რომ მთავრობის შემადგენლობაში ცოტა ფენჯაბელი შედიოდა.

2 კანონპროექტი, რომლის ძალითაც შარიათი უნდა გამოცხადებულიყო ქვეყნის უზენაეს კანონად, პარლამენტში შეტანილ იქნა ჯერ კიდევ ზია-ულ-ხაკის რეჟიმის დროს.

ორგანოები. კომპანია "იტაეფაკი" ჩიოდა, რომ სახელმწიფო ბანკები მას არ აძლევდნენ კრედიტს, ხოლო რკინიგზები დაბრკოლებას უქმნიდნენ ტვირთის გადაზიდვას. 1989 წელს დააპატიმრეს იდა-ს ერთ-ერთი ლიდერი, წარსულში ზია-ულ-ხაკის რეჟიმის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე, გადამდგარი გენერალი ფაზლი-ხაკი. მას ბრალად ედებოდა თანამონაწილეობა პოლიტიკურ მკვლელობაში. ოპოზიციის მსგავსად მმართველი პარტიაც იყენებდა მოსყიდვის, დაშინებისა და შანტაჟის მეთოდებს. დიდ მასშტაბებს მიაღწიეს მიტინგებმა და დემონსტრაციებმა, რაზეც დიდი ფინანსები იხარჯებოდა. თითოეული მხარე ცდილობდა თავისი პოპულარობის დემონსტრირება მოეხდინა "მტრის ტერიტორიაზე". მაგალითად, 1990 წელს ისლამურმა დემოკრატიულმა ალიანსმა მოაწყო მიტინგი ყარაჩში. ამის საპასუხოდ პსპ-მ ჩაატარა გრანდიოზული მსვლელობა ლახორში. ზია-ულ-ხაკის სიკვდილიდან ერთი წლის თავზე ისლამურმა დემოკრატიულმა ალიანსმა მოაწყო ხალხმრავალი მანიფესტაციები - ლახორში, პეშევარში და სხვაგან თავის მხრივ, პაკისტანის სახალხო პარტიამ მოაწყო მიტინგები ქვეყნის ყველა მხარეში.

ოპოზიციაც და მმართველი პარტიაც ყველანაირად ცდილობდნენ ერთმანეთის ჩამოშორებას დაკავებული პოზიციებიდან. 1989 წლის მარტში პსპ შეეცადა უნდობლობის ვოტუმი გამოეცხადებინა ნ. შარიფის მთავრობისათვის ფენჯაბის საკანონმდებლო კრებაში, მაგრამ საჭირო ხმების მოგროვება ვერ შეძლო. თავის მხრივ, იდა-მ იგივე გაუკეთა ცენტრალურ მთავრობას[1].

1990 წლის მარტში ოპოზიცია შეეცადა გამოეწვია მთავრობის კრიზისი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ზია-ულ-ხაკი

---

1 პირველ ნოემბერს ოპოზიციამ კენჭისყრაზე დააყენა ბ.ბ-ის უნდობლობის ვოტუმი. მაგრამ ვერ მიაღწია მის განხორციელებას.

თავისი რეჟიმის ტრანსფორმაციას ახდენდა სამოქალაქო-საპარლამენტო სტრუქტურის მეშვეობით. მას გათვალისწინებული ჰქონდა გარდამავალი პერიოდი.- 5 წლის ვადით. ეს პერიოდი იწყებოდა 1985 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან, არჩევნები ჩატარდა სამხედრო მდგომარეობაში, არაპარტიულ საფუძველზე. 1990 წელს უნდა ჩატარებულიყო თავისუფალი არჩევნები პარტიულ საფუძველზე, რომლის შედეგად საკანონმდებლო კრების წევრები აირჩევდნენ პრეზიდენტს და ქვეყანაც დაამთავრებდა მმართველობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფორმაზე გადასვლას. თუმცა იმის გამო, რომ ზია-ულ-ჰაკმა 1988 წლის მაისში დაითხოვა ეროვნული კრება, რამდენიმე ხნის შემდეგ კი თვითონ დაიღუპა ავიაკატასტროფაში, ნოემბერში შედგა ახალი არჩევნები პარტიულ საფუძველზე. კონსტიტუციური სისტემის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა და აირჩიეს პრეზიდენტი. სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო 5 წლიანი პერიოდის ათვლა. ეს ხუთი წელი გათვალისწინებული იყო ახალ არჩევნებამდე, ოპოზიცია კი ამტკიცებდა, რომ გარდამავალი პერიოდი გრძელდებოდა და დამთავრდა მხოლოდ 1990 წელს.

იგი მოითხოვდა გადამდგარიყო ბენაზირ ბჰუტოს მთავრობა და ჩატარებულიყო ახალი არჩევნები. მმართველი პარტია გადამწყვეტი უარით გამოვიდა ამის წინააღმდეგ, მას მხარი დაუჭირა ქვეყნის საზოგადოებრიობამ. მთავრობის მხარეზე გამოვიდა პრეზიდენტიც, რადგან ოპოზიციის გეგმების განხორციელება ემუქრებოდა მის ხელისუფლებასაც. ოპოზიციას მხარი არ დაუჭირა არმიამაც, რადგან ოპოზიციის გეგმების შესრულება გამოიწვევდა დესტაბილიზაციას. საბოლოო ჯამში, ოპოზიციის ცდა - ჩამოეგდო ბ. ბჰუტოს მთავრობა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

შემდეგ პერიოდში მთავრობის მდგომარეობა გართულდა. ამ ამბის მთავარი მიზეზი გახდა პოლიტიკური ხასიათის ფაქტორები. ეკონომიკური კონიუნქტურა ხელსაყრელიც კი აღმოჩნდა. გაიზარდა საკვე-

ბი პროდუქტების, სხვა პირველი მოხმარების საგნების წარმოება; შემცირდა ინფლაციის ტემპები და ფასების ზრდა (11, 14.04.1990). ოფიციალური პროპაგანდა ფართო რეკლამას უკეთებდა საშუალო სიშორის რაკეტების წარმატებით გამოცდას და პირველი პაკისტანური თანამგზავრის გაშვებას (ჩინეთის ტერიტორიიდან). მაგრამ არ შემცირებულა უმუშევრობის დონე, იზრდებოდა საგარეო ვალიც. მთავრობის პოზიციების გაუარესება უშუალოდ იყო გამოწვეული სინდის მოვლენებით და კაშმირის გარშემო წარმოებული კონფლიქტის შედეგებით. სინდში არსებულმა სიტუაციამ გააძლიერა მთავრობის დამოკიდებული მდგომარეობა არმიაზე. ინდოეთთან არსებულმა კონფლიქტურმა სიტუაციამ საკმაოდ უარყოფითი შედეგები მოუტანა მმართველ პარტიას. თავიდან, არცთუ წარუმატებლად, მთავრობა ცდილობდა კაშმირში არსებული მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ოფიციალურმა პროპაგანდამ გაავრცელა ლოზუნგი – "ხალხის ერთიანობა საგარეო საფრთხის წინაშე". ქვეყანაში იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, სადაც სოლიდარობას უცხადებდნენ კაშმირის ხალხს. მიტინგებში მონაწილეობდა ყველა, განურჩევლად იმისა, თუ ვინ რომელ პარტიაში შედიოდა. კაშმირის მდგომარეობის გამო მთავრობამ ჩაატარა სხდომა, სადაც მოწვეულნი იქნენ ოპოზიციის ლიდერები და სამხედრო ხელმძღვანელები. პაკისტანის სახალხო პარტია (პსპ) სათავეში ჩაუდგა მოძრაობას – "საერთო ეროვნულ ერთიანობას", ამით მან ოდნავ გაიმაგრა თავისი პოზიციები. კაშმირში გამწვავებულმა ისლამურმა ტრადიციონალიზმმა ძალიან უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე. პირველ ადგილზე გადაინაცვლეს საშინაო პრობლემებმა, პირველ რიგში სინდის პრობლემამ, რომელიც მალე მწვავე კონფლიქტად გადაიქცა.

პაკისტანის პოზიციამ კაშმირის მიმართ, ასევე "თავისუფლების მებრძოლთა" მხარდაჭერამ ძალიან დაამწვავა პაკისტან-ინდო-

ეთის ურთიერთობა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია მთავრობის მდგომარეობის გაუარესება. მთავრობა ორმაგი კრიტიკის არეალში მოექცა. მემარჯვენეები მას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი არ იყო გადამწყვეტი. მემარცხენეები მთავრობას მოუწოდებდნენ – წასულიყო ჭკვიანურ კომპრომისზე ინდოეთთან. გამოსავლის ძიების დროს ბენაზირ ბჰუტო შეეცადა მხარდაჭერა მოეძებნა საერთაშორისო ასპარეზზე. მრავალ ქვეყანაში გაიგზავნა მისი სპეციალური წარმომადგენელი. იგი თვითონ გაემგზავრა სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნებში. მაის-ივნისში იგი იმყოფებოდა: ირანში, თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ეგვიპტეში, ლიბიაში, ტუნისში. შემდეგ გამგზავრება ჩაშალა სინდის მოვლენებმა. იგი განახლდა ივლისში. ბენაზირ ბჰუტო იმყოფებოდა: ერაყში, ქუვეითში, მაროკოში, ალჟირში. ზოგიერთმა ქვეყანამ მხარდაჭერა გამოთქვა პაკისტანის პოზიციისადმი, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება მოუწოდებდა პაკისტანს გადაეჭრა კონფლიქტი, მოეხდინა ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობათა ნორმალიზაცია ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე[1].

ინდოეთმა არსებითად გააუმჯობესა დამოკიდებულება სამხრეთ-აზიის სხვა ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა ნეპალთან. ყოველივე ამან ბენაზირ ბჰუტოს მთავრობა განაწყო იმისკენ, რომ ეძებნა პრობლემის გადაჭრის გზა. ამის გამოხატულება იყო 19–20 ივლისს ჩატარებული პაკისტან-ინდოეთის მოლაპარაკება ისლამაბადში. სადაც მონაწილეობდნენ ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები. მთავრობის ამ ქმედებამ პაკისტანში გამოიწვია მემარჯვენე ძალების უკმაყოფილება.

სამხედრო ხელმძღვანელობა და პრეზიდენტის დაჯგუფება, მოდიოდნენ რა საგარეო და საშინაო გართულებებიდან, დაინტერესე-

---

1 მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ამ ხნის განმავლობაში მთელ სუბკონტინენტზე პაკისტანი მარტოდმარტო აწარმოებდა კონფლიქტს ინდოეთთან.

ზული იყვნენ ქვეყნის სტაბილიზაციით. ამიტომ მხარს უჭერდნენ პსპ-ს, რადგან მას თვლიდნენ იმ ორგანიზაციად, სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით, რომელსაც შეეძლო მიზნისათვის მიეღწია. სინდის მოვლენების გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ შეიქმნა გამოუვალი მდგომარეობა კაშმირის კონფლიქტთან დაკავშირებით, უმაღლესმა სამოქალაქო და სამხედრო წრეებმა გადასინჯეს თავისი დამოკიდებულება პსპ-თან და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პაკისტანის სახალხო პარტიას (პსპ) არ შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისული ვითარებიდან და უზრუნველყოს სტაბილიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ იმ გეგმების განხორციელება, რომლებიც მიმართული იყო ზ. ბხუტოს მთავრობის გადაყენებისაკენ, დააჩქარა საერთაშორისო მოვლენებმა. კერძოდ, ამ დროს დაიწყო ერაყის აგრესია ქუვეიტის წინააღმდეგ და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებაც ამ მოვლენას მიეჯაჭვა. სხვა შემთხვევაში ბენაზირ ბხუტოს გადაყენება გამოიწვევდა საერთაშორისო საზოგადოებრიობის უკმაყოფილებას, განსაზღვრულ დემარშს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. პსპ-ს მოწინააღმდეგეებმა შეარჩიეს ისეთი ხელსაყრელი მომენტი, რომ პაკისტანის მოვლენებს ყურადღება არავინ მიაქცია. ამავე დროს მთავრობის ლიკვიდაცია ფორმალურად "კანონიერი გზით" ჩატარდა[1].

ახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ეროვნული კრების დათხოვნიდან 90 დღის შემდეგ, ამ დროს შეიძლება ემოქმედა დროებით მთავრობას - პრეზიდენტის მიერ დანიშნულს. და ბოლოს, პრეზიდენტს შეეძლო შემოელო საგანგებო მდგომარეობა, თუ მივიდოდა იმ

---

1 კონსტიტუციის თანახმად (ზია-ულ-ხაკის "მერვე შესწორება"), პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს ეროვნული კრება, გადააყენოს მთავრობა, თუ შეიქმნება ისეთი ვითარება, როცა მთავრობას არ შეუძლია კონსტიტუციის თანახმად მოქმედება.

დასკვნამდე, რომ პაკისტანის უსაფრთხოებას ემუქრება საგარეო აგრესია, ან საშინაო უწესრიგობა (9, 27.10.1990). ამ გარემოებების საფუძველზე მოქმედებდა პრეზიდენტი გ. ისხაკ-ხანი, როცა 1990 წლის 6 აგვისტოს გამოაცხადა ეროვნული კრების დათხოვნა და მთავრობის გადაყენება, მან მთავრობა დაადანაშაულა კორუფციაში და კონსტიტუციის დარღვევაში. შემოიღო საგანგებო მდგომარეობა. 24 ოქტომბრისათვის დაინიშნა ეროვნული კრების არჩევნები. შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ოპოზიციის ლიდერი პარლამენტში – გ. მ. ჯატოი.

პრეზიდენტის მოქმედება განხორციელდა არმიის მხარდაჭერითა და დახმარებით. ახალი ხელისუფლება, ბიუროკრატია და სამხედროები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ ყოფილი მმართველი პარტიის დაბრუნება ხელისუფლებაში. მიდიოდა ფართომასშტაბიანი პროპაგანდისტული კამპანია პსპ-სა და ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ. ახალი ხელისუფლება ყოფილ მთავრობას ბრალს სდებდა კორუფციაში, არაკომპეტენტურობაში და სხვ. სახელმწიფო აპარატიდან განთავისუფლდა ბევრი მოხელე, რომლებიც პსპ-ს მმართველობის დროს იყვნენ დანიშნულნი. მათი ადგილები დაიკავეს პსპ-ს მოწინააღმდეგეებმა. დევნა განიცადა თვით ბენაზირ ბჰუტომ. დააპატიმრეს მისი მეუღლე. ემიგრაციაში წავიდა ბენაზირის დედა ნუსრატ ბჰუტო. იყო ბენაზირ ბჰუტოზე თავდასხმის ცდები. ამ ყოველივეში თავისი წვლილი შეიტანეს სასამართლო ორგანოებმაც.[1] 15 ოქტომბერს პენჯაბის უმაღლესმა სასამართლომ უარყო ბენაზირ ბჰუტოს პეტიცია, რომელიც

---

1 სულ სხვა საქმეა, თუ უმაღლესი სასამართლოს შეეძლო განესაზღვრა – შეესაბამებოდა თუ არა ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ის ქმედება, რომელსაც წარმართავდა პრეზიდენტი. თუ ეს ასე არ იყო, მაშინ პრეზიდენტის მოქმედებანი უნდა გამოცხადებულიყო არაკანონიერად. თუმცა უმაღლესი სასამართლო დიდ იმედებს არასოდეს აძლევდა "გადაყენებულ" მთავრობებს.

სადავოდ ხდიდა პრეზიდენტის 6 აგვისტოს ქმედებებს. საბოლოოდ, სასამართლომ პრეზიდენტის მოქმედებანი მართებულად სცნო.

პსპ-ს წინააღმდეგ გამოვიდნენ პაკისტანის გავლენიანი ფუნდამენტალისტური ძალები. ისინი მთავრობას ბრალს სდებდნენ ისლამის პოლიტიკიდან გადახვევაში. ამ პოლიტიკას აწარმოებდა ყოფილი დიქტატორი ზია-ულ-ჰაკი. თვით ბენაზირი განიხილებოდა – როგორც "ისლამიდან განმდგარი", ამტკიცებდნენ, რომ იგი არ დაეშვათ მუსლიმური კურიის არჩევნებზე. მოეწყოთ მისთვის გამოცდა ყურანში და სხვ. ვაძლიერდა იმ თეზისის პროპაგანდა, რომლის ძალითაც არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ქალის მთავრობის მეთაურის პოსტზე ყოფნა მუსლიმურ ქვეყანაში.

ამ ყველაფერმა და პსპ-ს მიერ დაშვებულმა რიგმა შეცდომებმა განაპირობეს მისი მარცხი ეროვნული კრების არჩევნებზე. მისთვის არახელსაყრელი აღმოჩნდა არჩევნების შედეგები პროვინციულ საკანონმდებლო კრებებშიც. ისლამურმა დემოკრატიულმა ალიანსმა ჩამოაყალიბა ცენტრალური მთავრობა, და მინისტრთა კაბინეტი ფენჯაბში. დანარჩენ პროვინციებში იდა შევიდა მთავრობების კოალიციებში. პაკისტანის პრემიერ-მინისტრი გახდა იდა-ს ლიდერი, ფენჯაბელი ბიზნესმენი - მიან ნავაზ შარიფი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. The Constitution of the Islamic Republic of Pakistan, Karachi, 1973.
2. Economic Survey 1988-89, Islamabad, 1989, Statistical Appendix.
3. "Foreign Affairs", N.Y. 1989.
4. "The Pakistan Times", Lahore.
5. "The Nation", Lahore.
6. "Herald", Karachi, February 1990.

7. "Far Eastern Economic Review", H.K.
8. "Viewpoint", Lahore.
9. "Dawn", Karachi.
10. "Christian Science Monitor", Boston.
11. Pakistan and Gulf Economist, Karachi.

ეკა ყანჩელი

## არალეგალური ეთნიკური ემიგრაციის საკითხისათვის თანამედროვე ინდოეთში

ასამის, ბიჰარის და მათი მოსაზღვრე შტატების ერთერთ თავსატეხ პრობლემას წარმოადგენს არალეგალური ემიგრაცია მეზობელ ბანგლადეშის ისლამური რესპუბლიკიდან. ინდოეთის მთავრობას იგი მიაჩნია უკანონო ემიგრაციად და ებრძვის მას სასაზღვრო ზოლებში.

ამ ემიგრაციის პრობლემებს გრძელი ისტორია აქვს. მიაჩნიათ, რომ ემიგრანტების პირველი ტალღა მოზღვავდა ინდოეთში აღმოსავლეთ პაკისტანიდან ჯერ კიდევ 1950 წელს, როდესაც აქ ურდუს ენა გამოცხადდეს სახელმწიფოს ენად მის მთელ ტერიტორიაზე (11, გვ. 26).

მეორე ეტაპი დაუპატიჟებელი ემიგრანტებისა დაიწყო 1971 წელს, ე.ი. მას შემდეგ რაც პაკისტანის დიქტატურამ დაიწყო ბენგალიელების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სისხლში ჩახშობა, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და ბანგლადეშის შექმნას. მაშინ სხვადასხვა მონაცემებით ინდოეთის საზღვარს კვეთდა 7-დან 9 მილიონამდე ლტოლვილი, რო-

მელთაგანაც დაახლოვებით ხუთი მილიონი დაბრუნდა სახლში პაკის-ტანზე ინდოეთის გამარჯვების შედეგად, ხოლო დანარჩენი გაითქვი-ფა ინდოეთის მოსახლეობასთან ჩრდილო-დასავლეთ შტატებში, ასევე დასავლეთ ბენგალიაში, ბიხარში, უტარ პრადეში, მახარაშტრაში, ფენჯაბში და დელის მოკავშირე ტერიტორიაზე.

აქედან მოყოლებული განუწყვეტლივ გრძელდებოდა შეუმოწმებე-ლი, გაუკონტროლებელი გადასვლები ინდოეთისა და ბანგლადეშს შორის არსებულ საზღვარზე, რომელიც გადაჭიმულია 4095 კმ-ზე. მეტად რთუ-ლია გავცეთ პასუხი კითხვას თუ რა რაოდენობის ემიგრანტებისა მო-დის ბანგლადეშიდან ინდოეთში. კალკუტის გაზეთ "ტელეგრაფის" (20.10.93) მონაცემებით ეს ციფრი მერყეობს 15-დან 20 მილიონამ-დე. მემარჯვენე "ბჰარატია ჯანატა პარტია" (ბ ჯ პ) ყველაზე ხმა-მაღლა მოითხოვს ინდოეთიდან არაკანონიერად გადასახლებულების სასწრაფო გამოვლინებასა და დაუყონებლივ განსახლებას, ამავე დროს ამტკიცებდა, რომ რიცხვი 20 მილიონი შეგნებულად არის შემცი-რებული.

"ტელეგრაფზე" (22.10.93) დაყრდნობით, დამოუკიდებელი წყა-როებისაგან მიღებული მონაცემების საფუძველზე ასკვნიან, რომ 10 წლის მანძილზე ინდოელ უსახლკაროთა მუდმივი არმია შეივსო 10 მილიონი ინდუსი ლტოლვილით ბანგლადეშიდან.

გაზეთ "სტეიტსმენს" (24.10.93) მოჰყავს სხვა დასაბუთება, მას მიაჩნია, რომ ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცე-მებით გადმოსახლდა 14 მილიონი ემიგრანტი ბოლო 10 წლის განმავლო-ბაში, როგორც ფიქრობენ ქ. დელიშიც კი შეძლეს დაეფუძნებინათ 500 ათასი ბანგლადეშელი, რომელთა უმრავლესობა ცხოვრობდა სამინელ ქოხ-მახებში. საინტერესოა გავარკვიოთ როგორ ახერხებენ ისინი ინდოეთში შეჭრას? იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ამ კითხვაზე უნდა

წარმოუდგენლად საზღვარი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, ეს არის 4.000 კილომეტრის სიგრძეზე მეტი ძნელადგასავალი ჯუნგლები, მთები, მდინარეები და ჭაობები. არცერთ ძალას არ შეუძლია აკონტროლოს ასეთი საზღვარი, ამასთან ერთად თვალსმიუფარებელი სასაზღვრო ტყის ბილიკები და გასასვლელები ჭაობზე, რომელიც კარგადაა ცნობილი საზღვრის ორივე მხარისათვისა და არა მარტო მათთვის.

როგორც აცხადებს ყოველკვირეული "ილუსტრირებული უიკლი ოფ ინდია", (27.10.1993) ამ საქმესთან დაკავშირებული არიან დიდი რაიონების მაკავშირებლები, შუამავლები და საქმოსნები, რომლებიც ანხორციელებენ ბიზნესს საზღვარზე ნებისმიერი არაკანონიერი გადაყვანით. როგორც იტყვიან, მოთხოვნა ბადებს წინადადებას. არადა ეს მოთხოვნა უცვლელად მაღალია. 100 ათასობით ბანგლადეშელს მისჯილი აქვთ სიღატაკე, ცხოვრების ბოლომდე ერთ-ერთ მსოფლიოს უღარიბეს ქვეყანაში. ისინი შესცქერიან მეზობელ ინდოეთს ისეთივე იმედით, რომლითაც შესცქეროდნენ მექსიკელები, უკეთეს ცხოვრებას აშშ-ში.

და სწორედ ამ დროს მომრავლდნენ შუამავლები, რომლებიც აღწერდნენ საზღვრის მეორე მხარეს არსებულ მდიდრულ ცხოვრებას. შუამავლები ორივე ქვეყნიდან თავაზობენ კლიენტებს ფართო სპექტრის მომსახურეობას, მათ შესაძლებლობასთან დამოკიდებულებით. ჩვეულებრივ გადაყვანა საზღვარზე ჯდება 500 000 რუპია (15-30 აშშ-ის დოლარი) როგორც წესი, ნაწილი ამ ფულისა მიდის მესაზღვრეების მისყიდვაზე. უფრო უკეთესია დათმო ცოტა რაოდენობის ფული და გახვიდე, გადაკვეთო საზღვარი ღამით ბრინჯის ყანაზე, ვიდრე გასწიო რისკი ღამით ჭაობზე. უფრო შეძლებულ ბედნიერების მაძიებლებს სთავაზობენ ბილეთებს მატარებელზე ინდოეთის ნებისმიერ წერტილში, ასევე ყალბ დაბადების მოწმობებს, სავაჭრო ბარათებს, პასპორტებსა და ნებისმიერ სხვა საბუთებს.

როგორც წესი, უკეთესი ცხოვრების ილუზია ეფანტებათ, რამოდენიმე დღის შემდეგ როგორც კი გადაკვეთენ საზღვარს. მაგრამ მალე დიდი რაოდენობით ემიგრანტების მოზღვავება გაზეთ "ტელეგრაფის" (30.10.1993) თქმით, – არწმუნებს მათ იმაში, რომ ინდოეთში მათთვის არ არის ადგილი, რომ ქვეყანაში 60 მილიონიანი უმუშევართა არმია და მათ არა თუ ელიან, არამედ ისინი არავის სჭირდებათ. ისინი რწმუნდებიან, რომ მათთვის განკუთვნილი აქაური ცხოვრება არაფრითაა უკეთესი იმ ცხოვრებაზე, რომელსაც ისინი გაურბნენ ბანგლადეშიდან. ინდოეთში შემოსული "არალეგალები", რომლებიც შემორჩნენ დას. ბენგალიაში, ასამში, ტრიპურსა და ბანგლადეშის მოსაზღვრე სხვა შტატებში, ხდებიან სეზონური სასოფლოსამეურნეო მშრომელები, მოჯამაგირეები. ისინი არ არიან კანონით დაცულ და ინდოეთის სახელმწიფოს დოკუმენტებით უზრუნველყოფილი. ფაქტობრივად ისინი ხდებიან უმართავ და იაფ მუშახელად. და ამიტომ მზად არიან იმრომონ მიწათმფლობელთა პლანტაციებში უმნიშვნელო შემოსავლისათვის. ხშირად სასოწარკვეთამდე მისული ემიგრანტები ვერ იმართებიან წელში 12-14 სთ-ის განმავლობაში. დღე-ღამეში ისინი იღებენ გროშებს, რითაც ცდილობენ როგორმე არჩინონ საკუთარი თავი და ოჯახი.

სწორედ ეს აქაა ჩადებული შენელებული მოქმედების "ეთნიკური ბომბი" ადგილობრივი მოსახლეობა ვერ უძლებს იაფ სამუშაო ძალასთან კონკურენციას და რჩება უსაქმოდ, ჩვეულებრივი სეზონური სამუშაოების დაკარგვის გამო.

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებსა და "უცხოებს" შორის გარდაუვალი ხდება შეკამათება, უსიამოვნება, რომელსაც ხშირად მოსდევს სისხლიანი შეჯახება. ცხადია, რომ დიდხანს ასეთი დაძაბული ვითარება ვერ გასტანს. აღსანიშნავია, რომ საომარი დაჯგუფებათა დიდი ნაწილი გამოდის ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში

ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნით: ან დამოუკიდებლობა ან ფართო ავტონომია დელისაგან და დაჟინებით მოითხოვენ ემიგრანტების დეპორტაციას.

ის ემიგრანტები, რომლებსაც უფრო გაუმართლდათ, აღწევენ დიდ და პატარა ქალაქებში და ქმნიან ახალ ღარიბულ დასახლებებს დელში. ასეთი დასახლებები განლაგებული არიან ძირითადად მდ. ჯამნის ნაპირზე. ქოხები აგებულია ყუთებისაგან, მუყაოსაგან, ფიცრებისა და დაჟანგებული მუყაოს ნაჭრებისაგან.

ელექტრობაზე, წყალგაყვანილობაზე და კანალიზაციაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ფეხშველი ბავშვები ისე ბინძურად არიან, რომ მხოლოდ ქიმწმენდა თუ მოახერხებს მათ დასუფთავებას. ჰაერში მძიმე სუნია. ასეთი ღარიბული დასახლებები ქმნიან დანაშაულის საფუძველს, ეპიდემიების წყაროებსა და იაფ მეძავთა ბუდეს.

კაცთა ნაწილი არალეგალური ემიგრანტებისა ხშირად იცვლის თავის სამუშაოს. ისინი არიან ხან მტვირთავები, ხან მეძველმანეები, ერთდღიანი სამუშაო მუშახელი, იშვიათად ველოსიპედისა და ჭურჭლის მრეცხავები ყველაზე იაფ სასაუზმეში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მალე ეკედლება დამნაშავეთა სამყაროს. ასე რომ კალკუტის პოლიციის მონაცემებით, რომელსაც აქვეყნებს გაზეთი "ჰინდუსტან თაიმსი" (2.11.1993) 90%-მდე, მცირე დანაშაული, რომელიც ხდება დასავლეთ ბენგალიაში, კერძოდ, მის დედაქალაქში, მოდის ე.წ. არალეგალებზე ბანგლადეშიდან. როგორც გვიჩვენებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, მაგალითად ქ. კალკუტის მოსახლეობის ემიგრანტების რიცხვის ზრდას უკავშირებს გაუპატიურების რაოდენობის სწრაფ ზრდას. შევახსენებთ, რომ ბანგლადეშიდან ყველაზე იოლია თავის შეფარება დასავლეთ ბენგალიაში, რადგანაც აქ არ არსებობს ენობრივი ბარიერი. დამნაშავეობა სასოწარკვეთილ და უსახლკარო ემიგრანტთა შორის დღითი-დღე იზრდება.

მრავალმილიონიანი დაუპატიჟებელი სტუმრების მოზღვავება ქმნის ინდოეთისა და სხვებისათვისაც სერიოზულ პრობლემას. არამარტო დასავლეთ ბენგალიაში, არამედ რიგ სხვა შტატებში, შეიქმნა ანკლავები, რომელთა უდიდეს ნაწილს შეადგენენ ბანგლადეშის მკვიდრნი.

გაზეთ "ინდიან ექსპრესის" (3.11.1993) მონაცემებით, მარტო დელში 13 საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდა 128000 პირი, რომელსაც არ გააჩნდა ინდოეთის მოქალაქეობა, რაც არ აძლევთ მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. უმეტესობა მაინც ბანგლადეშელები არიან. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი რომელი პოლიტიკური ძალა ცდილობდა გამოეყენებინა მათი ხმები, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის, რომ "არალეგალებმა" ყალბი დოკუმენტები მიიღეს მაღალი მფარველობის წყალობით. ყოველ შემთხვევაში ბხარატა-დალი პარტიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მილიონი ემიგრანტი ბანგლადეშიდან ცვლის ინდოეთის დემოგრაფიულ ვითარებას და ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესს არჩევნების დროს.

ასეთი სურათი აღინიშნება არამარტო დელში. შემარჯვენეთა ყოველკვირეულის, "ორგანაიზერის" (10.11.1993) მონაცემებით, ასამში, სულ მცირე 50 საარჩევნო უბანში ემიგრანტებს შეეძლოთ გადამწყვეტი ზემოქმედება მოეხდინათ არჩევნების შედეგებზე. კუშანგანჯის ოლქში (ბიხარის შტატში) შემოსულები ისე გაძლიერდნენ, რომ დაბეგრეს ადგილობრივი მოსახლეობა გადასახადებით. ამავე ჟურნალის მონაცემებით, დასავლეთ ბენგალიაში ემიგრანტები შეადგენენ იმათ 17%-ს, ვინც კი შეყვანილია საარჩევნო სიაში. "ორგანაიზერი" ამტკიცებს, რომ ამ შტატში გუშინდელ ბანგლადეშელებს გაძლიერებულად მფარველობენ "ნაქსალიტები" ანუ აქტიური მონაწილენი შემარცხენე პროკომუნისტური დაჯგუფებებისა. უწინარეს ყოვლისა შეუძლებელია გამოვლენა მილიონობით შემოსულისა, თითქმის 900 მილიონიან მოსახლის მქონე ქვეყანაში, სადაც პასპორტში ჩა-

ნერის ბეჭედს არ სვამენ და არც არავის მიუკრავს ამაზე ყური. ექსპერიმენტალური და სრულიად წარუმატებელი ნაბიჯი ამ მხრივ ინდოეთის მთავრობამ მაინც გააკეთა.

რამდენიმე წლის წინ მან დაიწყო ოპერაცია "გამოძევება", რომელიც ითვალისწინებდა არაკანონიერი ემიგრანტების გამოაშკარავებას, გამოვლენასა და ძალდატანებით დეპორტაციას. ასეულობით "არალეგალები" მიჰყავდათ სასაზღვრო დაწესებულებებში და დაჟინებით თავაზობდნენ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში, მაგრამ ბანგლადეშის მთავრობამ კატეგორიულად უარყო გამოძევებულთა მიღება. დაკამ შეაფასა დელის აქცია, როგორც არაკანონიერი დეპორტაცია ბენგალურ ენაზე მოლაპარაკე ინდოელი მოსახლეობისა, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს ბანგლადეშის მოქალაქეობასთან. ამის შედეგად ნეიტრალურ ზოლზე მოკირებულ იქნა ათეულობით უბედური, რომელიც კვირეების მანძილზე იკვებებოდა ბანანითა და საზღვრის ორმხრივ გულმოწყალე სოფლის მაცხოვრებელთა ნაწყალობებით.

ოპერაციამ, "გამოძევება", გამოიწვია საერთაშორისო გამოხმაურება და ინდოეთი აღმოჩნდა არასახარბიელო მდგომარეობაში. "სტეიტსმენმა" (10. 25. 1959) აღნიშნა, რომ "ბევრის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ინდოეთი უცბათ აღმოჩნდა ყრუ დაევაში, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო ასპარეზზე "გაძევების" ოპერაციის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ბანგლადეშის მკვიდრთა დეპორტაცია თავიანთ სამშობლოში იყო კანონიერი და მორალურად გამართლებული.

შემდეგ ბანგლადეშის პოზიციაში მოხდა ცვლილებები. გამოცხადებულ იქნა, რომ ბანგლადეში არ მიიღებს არც ერთ თავის ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც იცხოვრა ინდოეთში 10 წ-ზე მეტი და ერთხელ მაინც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, თითქოს დანარჩენებისათვის კარი ღია იყო. მილიონობით ემიგრანტის "საპერნი" გაყარება და იმის დადგენა თუ ვინ ვინ არის ზათ მხრის, უპძი-

მესი წრომაა, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და უამრავ ხარჯს ინდოეთის მთავრობის მხრიდან.

შეიქმნა ისეთი ვითარება, რომლისგანაც გამოსავალი დღევან-დელ დღემდე არ არის მონახული. სჩანს, რომ ინდოეთში ცოტას სჯე-რა, რომ მოიძებნება ისეთი გზა, რომლის შედეგადაც ჩაატარებენ ბანგლადეშში მილიონი ადამიანის დეპორტაციას უმტკივნეულოდ. ამ-ჟამად უფრო იმაზე ფიქრობენ თუ როგორ გაარჩიონ ლტოლვილების შემ-დეგი მოზღვავება, რომელიც მატულობს ყოველდღიურად.

ამასთან დაკავშირებით წამოაყენეს სხვადასხვა პროექტები, რომელთა დიდი ნაწილი არარეალურია. "სტეიტსმენმა" ეხლახან გამო-ცხადა თითქოს ინდოეთის მთავრობამ სერიოზულად გამოიტანა საკით-ხი ბანგლადეშთან საზღვრის დანაღმვის შესახებ, მაგრამ ამ მოსაზ-რებაზე უარის თქმა მოუწიათ, რადგან მისი განხორციელება ნიშნავ-და ომის გამოცხადებას საკუთარი ხალხისადმი. მათთვის სამაგიეროდ გაჩნდა ახალი აზრი, აეშენებინათ ეკლიანი მავთულის ღობე მთელი საზღვრის სიგრძეზე. საქმე ეხება დიდ ფინანსურ დანახარჯებს. ეს შემოღობვა უნდა მოხდეს საზღვარზე, რომლის სიგრძე 896 კმ. მის აგებაზე იყენებენ ასტრონომიულ თანხას - 8 მილიარდ 310 მილიონ რუპიას (დაახლოებით 260 მილ. აშშ-ის დოლარი).

მილიონობით არაკანონიერი ემიგრანტის პრობლემა მძაფრდება და დროდადრო ამოტივტივდება ხოლმე ხან ინდოეთის პრესის ფურცლებ-ზე, ხან პარლამენტის დებატებზე და ხან ინდოეთისა და ბანგლადეშის ოფიციალურ პირთა მოლაპარაკებისას, რაც არასახარბიელოს ხდის დამოკიდებულებას ორ მეზობელ ქვეყანას შორის, ზოგიერთის აზრით, შენელებულ მოქმედების "ეთნიკური ბომბი" ჩადებულია და რჩება მხოლოდ ვიმკითხაოთ იმაზე თუ როდის აფეთქდება იგი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Буланцев С. Нелегальные иммигранты из Бангладеш в Индии. Компас ИТАР=ТАСС, № 208, 22.12.1993.
2. "The Telegraph".
3. "The Statesman".
4. "The Illustrated Weekly of India".
5. "The Hindustan Times".
6. "Indian Express".
7. "Organiser".

ივანე მენთეშაშვილი

## საქართველოს მეფე ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან ურთიერთობის დამყარების ცდები XVIII საუკუნის II ნახევარში

საუკუნეების მანძილზე საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს მისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია წარმოადგენდა. მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული ქრისტიანული ქვეყანა დაჟინებით ცდილობდა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან კავშირის დამყარებას. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, საქართველო უფრო მორჩილი მოთხოვნების როლში გამოდიოდა, ვიდრე პერსპექტიული მოკავშირისა, რომელთან ურთიერთობითაც შეიძლებოდა საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილება. შეიძლება ითქვას, რომ ყველა სახელმწიფო, სადაც კი წარგზავნილი იყო საქართველოს ელჩობა, თავისებურად იყო დაინტერესებული კავკასიით; დასავლეთ ევროპაში უკვე XVI საუკუ-

ნეში ამინებდათ რუსეთის წინსვლას შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და მის საპირისპიროდ, შემაკავებელ ძალად კავკასიაში მტკიცე პოზიციების მქონე ოსმალეთი და სპარსეთი მიაჩნდათ (1, გვ. 10). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ დიპლომატიურ მისიებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს დახსნას სტამბოლისა და ისფაჰანის დიქტატისაგან, თავიდანვე წარუმატებლობა ელოდა.

ქართველ მეფეთა ცდები, - დაემყარებინათ ურთიერთობა საფრანგეთთან ან ავსტრიასთან XVIII საუკუნეში, საფუძვლიანად არის გაშუქებული ქართულ საისტორიო ლიტერატურაში (2; 3), მაგრამ არანაკლებად საინტერესოდ გვესახება იმ საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების პერსპექტივების განხილვა, რომლებსაც შეეძლო ნიადაგი შეექმნა საქართველო-ინგლისის ურთიერთობისათვის, მით უმეტეს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისი მაქსიმალურად აქტიურებს თავის აღმოსავლურ პოლიტიკას, ეს პირველ რიგში გამოიხატა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ ჩატარებულ ომებში.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროები, რასაკვირველია, არ იძლევა ამ საკითხის ღრმად და ყოვლისმომცველად გაშუქების საშუალებას, მაგრამ გარკვეულწილად გვეხმარება უფრო მკაფიოდ დავინახოთ ის პერსპექტივები, რომლებსაც სახავდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკური სიტუაცია.

ეს პერიოდი ევროპის სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, ინგლისისათვის, აღსავსე იყო როგორც ომებით, ასევე ინტრიგებითა და ფარული ქიშპობით. ინგლისის მიერ ჩატარებული ყველა საგარეო პოლიტიკური აქცია უშუალოდ ან ირიბად დაკავშირებული იყო მისი აღმოსავლური პოლიტიკის ინტერესებთან. შვიდწლიან ომში საფრანგეთთან გამარჯვების წყალობით ინგლისმა დაიმკვიდრა ადგილი ინდოეთში. ამერიკული კოლონიების დაკარგვამ კიდევ უფრო გააძლიერა ინგლისის სწრაფვა, გაეფართოებინა თავისი სამფლობელოები ინდოეთში (4, გვ.

153). რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირებაში ინგლისი ისევ და ისევ ხედავდა თავისი პოზიციების დაცვის საშუალებას მახლობელ აღმოსავლეთში. ერთი სიტყვით, ინგლისის მომავალი მჭიდროდ დაუკავშირდა აზიას. ინგლისის აღმოსავლეთით დაინტერესების უმნიშვნელოვანესი გამოხატულებაა ოსტ-ინდოეთის ინგლისური სავაჭრო კომპანიის საქმიანობა. კომპანიის სავაჭრო, თუ დიპლომატიური საქმიანობა კერძო ინიციატივაა, რაც ინგლისის საპარლამენტო და ბურჟუაზიულ პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის წყალობით სახელმწიფო ინტერესების დონეზე ადიოდა. რასაკვირველია, ეს კომპანიას უფრო ქმედითს ხდიდა და მის საქმიანობასაც უფრო ფართო მასშტაბებს აძლევდა.

XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში, ფრანგების წინააღმდეგ წარმოებული ომების შედეგად, კომპანიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ინდოეთში. რიგი ქალაქებისა, მაგალითად, კარნატიკის ნავაბი მუჰამედ ალი, სწორედ ინგლისელთა იარაღის წყალობით იყო ასული ტახტზე და, რასაკვირველია, კომპანიის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა.

ოსტ-ინდოეთის კომპანიის ძლიერება, ინგლისელთა სავაჭრო ოპერაციები, მათი ციხე-სიმაგრეები, შეიარაღება, სამხედრო-ხელოვნება უდავოდ მიიზიდავდნენ ინდოეთის მცხოვრებთა ყურადღებას. ყველაფერი ეს აღმოსავლელი კაცისათვის ერთობ საინტერესო უნდა ყოფილიყო.

სწორედ, ინგლისელთა საქმიანობის ამ. მხარეებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს კალკუტელ სომეხზე, იოსებ ემინზე (იხ. 5). გაეცნო რა ინგლისის სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს ინდოეთსა და თავად ინგლისში ყოფნისას, ემინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორედ ეს ქვეყანა წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც თავისი ძლიერების მეოხებით შესძლებდა სომეხი ხალხისათვის დახმარების გაწევას. მაგრამ ინგლისიდან სომხეთის ესოდენ შორს მანძილზე ყოფ-

ნა, უთუოდ გააძნელებდა აქ დახმარების უშუალოდ განხორციელებას. საჭირო იყო ძალა, რომელიც ამ საქმეს განახორციელებდა. ამგვარ ძალად ემინს მეფე ერეკლე II ესახებოდა. რამ განაპირობა მისი ასეთი არჩევანი? ალბათ, ქართველი მეფის უკვე იმდროისათვის არსებულმა პოპულარობამ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებს შორის, რომელთაც ერეკლე ესახებოდათ, როგორც დამცველი და მხსნელი ოსმალო და სპარსი დამპყრობლებისაგან. აი, სწორედ იმ მიზნით, რომ მეფე ერეკლე ჩაება თავის გეგმების განხორციელებაში, ემინმა მასთან გააჩაღა დიპლომატიური მიმოწერა. 1758 წელს მან ორი წერილი გაუგზავნა ოსტ-ინდოეთის კომპანიას, კერძოდ, კალკუტის გუბერნატორს, როჯერ დრეიკს. ამ წერილებში ემინი თხოვნით მიმართავდა გუბერნატორს, რომ მას ზემოქმედება მოეხდინა კალკუტაში მცხოვრებ სომეხ ვაჭრებზე, რათა მათ შუამდგომლობის წერილი გაეგზავნათ მეფე ერეკლესათვის თხოვნით, რომ მას მიეღო ემინი თავის სამსახურში (6, გვ. 100). როგორც წერილიდან ჩანს ემინმა თავისი განზრახვა აცნობა ინგლისის მმართველი წრეების ბევრ წარჩინებულ წარმომადგენელს, კერძოდ, უფლისწულ ქამბერლენდის ჰერცოგს, ოქსფორდის ეპისკოპოსს, ლორდ ქეთქარტს, ლორდ ნორთუმბერლენდს და სხვა რამდენიმე "ღირსეულ ჯენტლმენს". სწორედ უფლისწულის უშუალო ნებართვით, როგორც ამას წერს ემინი, გააგზავნა მან წერილი ქართველ მეფესთან.

თავის სიტყვების ჭეშმარიტების დასამოწმებლად, ემინმა გუბერნატორს ოსტ-ინდოეთის კომპანიის დირექტორების სარეკომენდაციო ბარათიც აახლა (6, გვ. 101).

თავის მეორე წერილში ემინი იმავე თხოვნით მიმართავს დრეიკს: "ამ წერილს მე ოსტ-ინდოეთის კომპანიის დირექტორის მისტერ პეინის შემწეობით გიგზავნით და თან ვურთავ ქართველი მეფის სახელზე გაგზავნილი წერილის ინგლისურ თარგმანს, რათა თქვენ შესაძ-

ლებლობა მოგეცეთ, გაეცნოთ მის შინაარსს" (6, გვ. 102).

წერილების შინაარსიდან ჩანს, რომ ემინის განზრახვა, - დაკავშირებოდა მეფე ერეკლეს, ცნობილი იყო ინგლისის არისტოკრატიის ისეთი წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ამინდს ქმნიდნენ პოლიტიკაში. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ლონდონის პოლიტიკურ წრეებში გარკვეულწილად დააფიქსირებდნენ საქართველოს, როგორც სავარაუდო პოლიტიკური კომბინაციების მესაძლებელ მონაწილეს.

რას სთავაზობდა ემინი თავად მეფე ერეკლეს? ეს სრულად არის გადმოცემული ემინის მიერ ერეკლე II-სადმი მიწერილ წერილში, რომელიც საქართველოში გადაიგზავნა ოსტ-ინდოეთის კომპანიის ქალაქ ბასრაში მყოფი რეზიდენტის, ედვარდ მოუს მეშვეობით. საგულისხმოა ემინის მიმართვა ერეკლე მეორისადმი: "ულიდებულეს და ქრისტიანთა შორის ყველაზე უფრო ქრისტიანს საქართველოსა და სომხეთის მეფე ერეკლეს" (6, გვ. 108).

ამგვარი მიმართვიდან ჩანს, რომ სომხებში ერთობ გავრცელებული იყო ქართველთა და სომეხთა ერთიანი მონარქიის შექმნის იდეა ერეკლე II-ის სკიპტრის ქვეშ და სწორედ ამ იდეას და არა მხოლოდ თავის პირად აზრს გამოხატავდა ემინი. ემინი ერეკლეს მოსე წინასწარმეტყველს ადარებს, თუ კი მოსემ ფარაონის ტყვეობიდან გამოიხსნა ებრაელი ხალხი, ერეკლეს მისია ქრისტიანი ხალხების ბარბაროსთა შემოტევებისაგან დაცვაში მდგომარეობდა (6, გვ. 109).

ემინი აღტაცებით წერს, რომ მას დიდი სიხარული მოჰგვარა იმან, რომ თავისი ბრწყინვალე გამარჯვებების წყალობით ერეკლემ განამტკიცა თავისი ბატონობა ორ უძველეს ქვეყანაზე, სომხეთსა და საქართველოზე. "მე მყავს ყოვლისშემძლე მფარველი, - ეს არის ინგლისის მეფის ცალი და თუკი თქვენი უდიდებულესობა ინებებს, მე ჩემი მფარველის წყალობით ჩავდგები თქვენ სამსახურში და

როგორც ევროპელი ოფიცერი, შევასწავლი თქვენს მეომრებს ევროპულ საბრძოლო წესს" (ნ, გვ. 109) - წერდა მას ემინი.

ემინი აღტაცებით მოუთხრობს ერეკლეს ევროპელთა საბრძოლო წესის, ევროპული სამხედრო ხელოვნების დიდ უპირატესობაზე აზიურის წინაშე. უპირატესობის საფუძველს ის ევროპელთათვის დამახასიათებელ დისციპლინაში და საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომაში ხედავს. ემინი ერეკლეს ურჩევს მიბაძოს რუსეთის იმპერატორს, პეტრე დიდს, რომელიც სწორედ იმის წყალობით აღზევდა და ააყვავა თავის ქვეყანა, რომ ეზიარა ევროპულ სიბრძნეს.

თავის წერილში ემინი აღწერს დასავლურ ქალაქებს, იქაური ხალხის ხვავითა და ბარაქით აღსავსე ცხოვრებას, ქება-დიდებას ასხამს ევროპულ კანონებს, ის ახასიათებს ინგლისელებს, როგორც დიდ და ძლევამოსილ ერს, და იმდენად სრულყოფილს ხედავს ინგლისის საზოგადოებას, რომ იშველიებს ხატოვან შედარებას და დასძენს, რომ იქ ცხვრებსაც კი არა აქვთ მგლის შიში. "მათი გემები გაცილებით ჯობია ინდოელთა გემებს, მაგრამ ყველაზე უკეთესია მათი სამხედრო ხელოვნება, რომლის მეოხებით ათასი კაცი, როგორც ერთი, შეწყობილად მოქმედებს". "იმედია, - წერს ემინი, - უფალი მოუვლენს თქვენს უდიდებულესობას ამგვარ ქვეშევრდომებს, რომლებიც თქვენი ვაჟკაცობით შთაგონებულნი, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ" (ნ, გვ. 111). სურს რა გამოხატოს თავისი გულწრფელობა, ემინი დასაწყისშივე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას მხოლოდ ერთი რამ აქვს აზრად, ემსახუროს იმას, ვინც მისი ხალხის სვე-ბედს განაგებს. გეგმებზე, რომლებსაც უკავშირებს მეფე ერეკლესთან გაგზავნილ წერილებს (ნ, გვ. 71). მაგრამ იმის ყველაზე უფრო დამადასტურებელ საბუთად რომ ემინს სწორედ ოსმალეთის უღლის ქვეშ მყოფი თავისი სომეხი თანამემამულეების ბედი აწუხებდა, გამოდგება მასთან მიწერილი წერილი, რომლის ავტორია პეტროსი ნორტუნბერ-

ლენდი. წერილი დათარიღებულია 1770 წლის 17 მარტით. მოვლენებს გავასწრებთ და დავსძენთ, რომ ეს ის პერიოდია, რომელიც მოჰყვა ემინის უშედეგო შეხვედრებს მეფე ერეკლესთან. აღნიშნულ წერილში ჰერცოგი ნორთუმბერლენდი ურჩევს ემინს ხელი აიღოს თავის ახალ გადაწყვეტილებაზე, - ჩადგეს რუსეთის სამსახურში, რათა იბრძოლოს თურქების წინააღმდეგ. ჰერცოგის რჩევა ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ვიდრე ემინი რუსეთში ჩააღწევდა, შესაძლებელია, სამხედრო მოქმედებებიც დამთავრებულიყო (6, გვ. 435) - საქმე ეხება რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომს.

ადვილი მისახვედრია, რომ რუსეთს ემინი ვერ შესთავაზებდა თავის სამსახურს, როგორც სამხედრო ინსტრუქტორი. რუსეთის რეგულარულ არმიას სავსებით ყოფნიდა თავისი საკუთარი ოფიცრები და სარდლები. ამგვარად, რუსეთის არმიაში მყოფი ემინი ვერ იოცნებებდა რაღაც განსაკუთრებულ როლზე და იგი სამხედრო მოქმედებების ჩვეულებრივი მონაწილე იქნებოდა. ეს კი, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ემინს არ ამოძრავებდა პირადი ანგარება და ის ნამდვილად პატრიოტული გრძნობების კარნახით მოქმედებდა.

რა შედეგი მოჰყვა და, საერთოდ, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ემინის ამ შეცადინეობას, საქართველოს ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ორბიტაზე გასვლის თვალსაზრისით? ჩვენ არ შევეხებით ემინის საქმიანობის განხილვას მისი საქართველოში ყოფნის დროს. თუმცა, ერთს კი დავსძენთ: ერეკლეს სწრაფვას, ევროპულ ყაიდაზე გარდაექმნა ქვეყანა და შეემუსრა საქართველოს მტრები, სჭირდებოდა სულ ცოტა, ქმედითი და საიმედო საგარეო პოლიტიკური მოკავშირე მაინც. ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელი იყო ერთი, თუნდაც ძალიან უანგარო ენთუზიასტის მეშვეობით, ამიტომ უფრო საინტერესოდ გვეჩვენება ის, თუ რამდენად დაინტერესებულნი საქართველოთი ევროპაში, კერძოდ კი, ინგლისში ამისათვის საჭიროა თვალი გადავავლოთ ინგლი-

სის კავკასიურ პოლიტიკას მისი ცხოვრებაში განხორციელების მთელი ხნის მანძილზე რომელიც დაგვანახვებს რომ კავკასიის ინგლისის დაინტერესება აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების უსაფრთხოებაზე ზრუნვის პირდაპირპროპორციული იყო. რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ამ მხრივ XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში?

ემინის წყალობით, ინგლისის მმართველი წრეების წარმომადგენლები უშუალოდ გაეცნენ იმ გეგმებს, რომელთა განხორციელება შეიძლებოდა კავკასიაში ერეკლე II დახმარებით. არის მოსაზრება, რომ ინგლისელმა პოლიტიკოსებმა მხარი დაუჭირეს ემინის გეგმას, გამოეხსნა თავისი თანამემამულეები მაჰმადიანთა უღლისაგან, რუსეთისა და საქართველოს დახმარებით (7, გვ. 161). მაგრამ ინგლისის მთავრობამ, საბოლოო ჯამში, არ გადადგა ამ გეგმის განხორციელებისაკენ არავითარი ნაბიჯი. ემინის შეხვედრა ინგლისის პრემიერ-მინისტრთან, უილიამ პიტ-უფროსთან, უშედეგოდ დამთავრდა. რატომ არ დაინტერესდა პიტი კავკასიით? ა. იოანისიანი ამას შემდეგნაირად ხსნის: ინგლისის მთავრობა, თავისი ქვეყნის სავაჭრო წრეების ინტერესებს გამოხატავდა, იგი შეშფოთებული იყო სომეხი ვაჭრების მეტოქეობით, რომელსაც ისინი ინგლისელებს უწევდნენ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. იოანისიანის აზრით, ინგლისის მთავრობის მოსაზრებას ისიც უმაგრებდა ზურგს, რომ სომეხი ვაჭრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რუსეთთან და ფაქტიურად ამ რეგიონებში მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის გამტარებლებად გამოდიოდნენ (8, გვ. 54).

ამგვარი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ შემდეგი არგუმენტის წამოყენება შეიძლება. ჯერ ერთი, აღსანიშნავია ის, რომ მიუთითებს რა ინგლისელ და სომეხ ვაჭრებს შორის არსებულ კონკურენციაზე, რომელსაც, ა. იოანისიანის თქმით, უარყოფითად უნდა განეწყო პრემიერ-მინისტრი პიტი, - უფროსი ემინის გეგმების მიმართ, ის ეყრდნობა

ერთ ცალკეულ ცნობას, კერძოდ, ინგლისელი ვაჭრისა და მოგზაურის ჯ. კენვეის ცნობას (9, გვ. 300). კენვეი გულისწყრომას გამოხატავს სპარსეთში სომხური სავაჭრო კაპიტალის აქტიურობის გამო. თავისთავად კენვეის ინფორმაცია სწორია, ისევე როგორც მისი პროფესიულ-ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული გულისწყრომა, მაგრამ ეს ჯერ არ არის სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანილი აზრი. ეს კერძო პირის მიერ გამოთქმული ჭეშმარიტებაა, მაგრამ არა სახელმწიფო მოღვაწის სახელმძღვანელო დებულება. საეჭვოდ გვეჩვენება, რომ პიტი, რომელიც იმ დროს დიდი პოლიტიკის, კერძოდ, შვიდწლიანი ომის პრობლემებით იყო დაკავებული, სწორედ ზემოაღნიშნულის გამო ეშურდა ჯარს ემინს. თუმცა თავად ა. იოანისიანი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ინგლისის ინტერესებში სულაც არ შედიოდა ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედება (8, გვ. 55), რაც უკვე აბათილებდა ემინის გეგმებს.

გარდა ამისა, იმ ხანად ინგლისს ჰქონდა კიდევ ერთი საბაბი, არ ჩარეულიყო აქტიურად კავკასიურ საქმეებში. ინგლისის საგარეო პოლიტიკის მრავალნაცადი ხერხი, - ძალთა ბალანსი, საშუალებას აძლევდა ლონდონს საკუთარი ჩარევის გარეშე შეექმნა თავისთვის სასურველი პოლიტიკური სიტუაცია. კავკასიაში და საერთოდ, მახლობელ აღმოსავლეთში, ინგლისი სიტუაციას აწონასწორებდა რუსეთ-საფრანგეთის მეტოქეობის საშუალებით. ინგლისს სწორედ საფრანგეთი მიაჩნდა თავის ძირითად მეტოქედ, რომლის აქტიურობას ის რუსეთის ექსპანსიას უპირისპირებდა. ამაზე მეტყველებს ინგლისის ელჩის ლორდ ქეთქარტის სახელზე პეტერბურგში გაგზავნილი წერილი, რომელიც ეხება რუსეთის პოლიტიკას მახლობელ აღმოსავლეთში. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი ხელსაყრელი საპირისპირო ძალაა იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც ბურბონთა სახლი უქადის ინგლისს და ამიტომ იმპერატრიცას სამხედრო წარმატებებმა არ უნდა შეაშინოს ლონდონი (7, გვ. 162–163).

ის, რომ საფრანგეთი ნამდვილად აქტიურობდა მახლობელი აღმოსავლეთის საქმეებში და უფრო მეტიც, ცხოველ ინტერესს იჩენდა საქართველოს მიმართ, ნათელი ხდება შემდეგი ფაქტიდან. პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც სცადა ურთიერთობა დაემყარებინა ერეკლე II-ს თან ქართლის და კახეთის სამეფოების გაერთიანების შემდეგ, სწორედ საფრანგეთი იყო. პეტერბურგში მყოფი ფრანგი დიპლომატების დეპეშები აღსავსე იყო დაწვრილებითი გეგმებით, რომლებსაც განხორციელება არ ეწერათ. ამ გეგმების მიხედვით ფრანგები იმედოვნებდნენ მოექციათ ერეკლე (რომელსაც ისინი შეცდომით სპარსეთის ბედ-იღბლის გამგებლადაც თვლიდნენ) თავისი გავლენის ქვეშ და რუსეთის საწინააღმდეგოდ განეწყოთ.

1763 წლის სექტემბერში ეს გეგმები განიხილა რუსეთში საფრანგეთის რწმუნებულმა ბერანჟემ. მათ დადებითად შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრი ჰერცოგი დე პრესლენი. საფრანგეთის დიპლომატიისა და ქართლ-კახეთის მეფეს შორის მეკავშირის მოვალეობა ეკისრებოდა ფრანგ მღვდელს მამა ანჟს, რომელიც ხშირად ყოფილა თბილისში მისიონერის როლში (7, გვ. 222).

ამრიგად, მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და ევროპაში გაჩაღებულმა შვიდწლიანმა ომმა, რომელშიც ინგლისი მონაწილეობდა, განაპირობა კავკასიის მიმართ მისი ამგვარი დამოკიდებულება.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას ამ მიმართებით ოსტ-ინდოეთის ინგლისურ კომპანიაზე? შესაძლებელი იყო, რომ კომპანია თავად დაინტერესებულიყო საქართველოთი? ერთი შეხედვით, ეს სავსებით ბუნებრივია. კომპანია ცდილობდა გაეზარდა თავისი სავაჭრო ფაქტორიათა რიცხვი და, შესაბამისად, გაეფართოებინა ინგლისური ექსპორტისა და იმპორტის არეალი. კომპანიის მესვეურები საქმის კურსში იყვნენ, თუ რა ხდებოდა სხვადასხვა დროს ამ რეგიონში.

მაგალითად, კომპანიის რეზიდენტები გომბრუნსა და ბასრაში მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებულნი ნადირ შაჰის ლეკების წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ (7, გვ. 143). მაგრამ, როგორც ჩანს, კომპანია კავკასიიდან ინფორმაციის მიღების იქით არ მიდიოდა. აღნიშნულ პერიოდში კომპანიის წინაშე არ იდგა კავკასიის ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპლოატაციის აუცილებლობა.

ამრიგად, იმ ეტაპზე საქართველო ინგლისს ვერ დაუკავშირდა. პატარა ქვეყანას კვლავ მარტოდმარტო უხდებოდა აღმოსავლური პოლიტიკის ორომტრიალში ყოფნა და ამას ისიც ემატებოდა, რომ ევროპის სახელმწიფოები საქართველოს მიმართ იჩენდნენ ინტერესს, მხოლოდ და მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, რათა ის, შესაბამის მომენტში, თავისი მეტოქეებისათვის ბარიერად, ან მეგობრებისათვის ლუკმად ექციათ.

მაგრამ მოგვიანებით, კერძოდ, XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა რომ იგი, ინგლისის სავარეო პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეულიყო. ისე, როგორც წინათ ამჯერადაც ინიციატივა ინდოეთში მცხოვრებ სომეხთაგან წამოვიდა.

ინდოეთში მცხოვრები სომხების ამგვარი ინიციატივა შემთხვევითი არ არის. ამას განაპირობებდა აქ მცხოვრები სომები და ქართველი ვაჭრების მჭიდრო კონტაქტები. როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ისტორიკოსები მიგვითითებენ ქართველი ვაჭრებისა და საერთოდ ქართველების ინდოეთში ყოფნაზე. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ქართველი ვაჭრები ინდოეთში "საქართველოს სომხებს" მიუწვევიათ და რომ ქართველების გადასახლება ინდოეთში XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულა (10, გვ. 11). ქართველების სავაჭრო ოპერაციებზე ინდოეთში XVII საუკუნეში მიუთითებს ჟანბატისტ ტავერნიე (11, გვ. 159). იგივე ტავერნიე და ფრანსუა ბერნიე გვამცნობენ, რომ ინდოეთის მაშინდელი მმართველების დიდ

მოღოლთა სამსახურში ქართველი მეომრებიც იყვნენ (12, გვ. 65). ერთი სიტყვით, ქართველები ინდოეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ მთლად უცხო ელემენტს არ წარმოადგენდნენ. ალბათ ქართველებთან სიახლოვემ მისცა ბიძგი სომეხი ვაჭრების ინიციატივას დაახლოვებოდნენ ერეკლე II. ეს იდეა წამოაყენა კალკუტაში მცხოვრებმა სომეხმა მღვდელმა ვინმე ჭერ-მახოვანმა, რომელიც, როგორც ზ. ჭიჭინაძე გვამცნობს, "საქართველოს სომეხი ყოფილა და ქართულ წერა-კითხვა ჰქონდა, ხოლო მის ერთ-ერთ წინაპარს ქართველი მეფისაგან აზნაურობაც კი მიუღია" (10, გვ. IV) და აი, ამ მღვდელმა თავის ქადაგებაში 1752 წელს კალკუტის ეკლესიაში მოუწოდა ადგილობრივ სომხებს, მიემართათ მეფე ერეკლესათვის და ეთხოვათ მისთვის მფარველობა, გაეწიათ დახმარება ქართველი მეფისათვის, რომ ამ უკანასკნელს თავისი ძალაუფლება სომხებზეც გაევრცელებინა (10, გვ. IV).

როგორც ჩანს, ეს გეგმა სავსებით ემთხვევა ემინის იდეებს - სომეხთა განთავისუფლება მაჰმადიანთა ბატონობისაგან და ქართველთა და სომეხთა გაერთიანება ერეკლე II სკიპტრის ქვეშ.

სწორედ ამ მღვდლის მოწოდებით გადაუწყვეტია მადრასელ სომეხ დიდვაჭარს, აკოფ შაამირიანს (შამირ აღა სულთანუმენს) ერეკლე II-სთან კავშირის დაჭერა.

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, შაამირიანის პირველი ელჩობა ერეკლესთან თარიღდება 1770 წლით თუმცა, იქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ჭიჭინაძე ეჭვს გამოსთქვამს ამ თარიღის გამო. პასუხის მისაცემად საშეფო დარბაზის კრება მოიწვიეს და დაადგინეს, დადებითი პასუხი მიეცათ შაამირიანის შემოთავაზებულ წინადადებაზე (10, გვ. VI).

1775 წელს შაამირიანმა მეორედ გამოაგზავნა მეფე ერეკლესთან თავისი წარგზავნილები და ამგვარი მიმართვაც: "პატივცემულო მეფეო, თქვენ ნურაფერზე ნუ შეწუხდებით და მხოლოდ თავს იდვეთ

საქართველოს და სომხეთის შეერთება, და მერე საქართველოს სამეფოს გაძლიერება და ძლიერი საქართველოს დახმარებით სომხეთის სამეფოს აღდგენაც. მე გადმოვსახლდები საქართველოში და თან გადმოვასახლებ ათი ათას ინდოელ ხელოსანს და კარგი საქმის მკეთებლებს. ეს ინდოელი ხელოსნები საქართველოში მოიყვანენ შაქრის ლერწამს და სხვა იშვიათ საქონელს, რაც საქართველოში არ იციან" (10, გვ. VII). საქართველოს სამეფო კარზე გადაწყვიტეს ამ ორივე ელჩობისათვის დადებითი პასუხი გაეცათ.

აქედან მოყოლებული გ. ჭიჭინაძე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის. მისი ცნობით, "შაამირიანმა კალკუტაში შეკრიბა ინგლისელების და ინდოელების ჭკვიანი და განათლებული კაცები და დეკანოზმა ტერ-მახოვანმა, რომელმაც კარგად იცოდა ინდოური და ინგლისური ენები", გააცნო მათ საქართველოს გეოგრაფია, ხალხი და გაუზიარა საქართველოსა და სომხეთის შეერთების იდეა და მერე მათის დახმარებით მთელ კავკასიაში ერთი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს დაარსება (10, გვ. VIII).

ეს ვრცელი გეგმა შეუდგენიათ ჯერ სომხურ ენაზე, ხოლო შემდეგ აღნიშნული მღვდლის დახმარებით უთარგმნიათ იგი ინგლისურად. წერილისათვის უწოდებიათ "საქართველოს და სომხეთის შეერთება ინგლისის სახელმწიფოსთან". ეს საბუთი დაბეჭდილი ყოფილა კალკუტაში 1787 წელს და მისი მოცულობა 300 გვერდს უდრიდა. ამ საბუთით შემდეგი რამ ყოფილა განსაზღვრული (10, გვ. X-XI):

1. იაკობ შაამირიანი ინგლისის მთავრობასთან შუამდგომლობს, რომ საქართველო და სომხეთი ინგლისის სახელმწიფოს დაუკავშირდეს.

2. ინგლისის სახელმწიფო საქართველოს გაუწევს დახმარებას, რადგანაც საქართველო საქრისტიანო სახელმწიფოა და მას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საქრისტიანო სომხეთს და რომ გაძლიერდეს ქრისტიანი ხალხების მდგომარეობა კავკასიაში.

3. საქართველო და სომხეთი ვალდებული არიან ინგლისის მთავრობასთან, რომ ისინი მადლიერი იყვნენ ინგლისის და პატივს სცემდნენ მას.

4. ინგლისის სახელმწიფო გზავნის თავის ნასწავლ კაცებს საქართველოში.

5. ინგლისი გზავნის თავის ჯარს საქართველოში და იცავს მით საქართველოს და სომხეთს გაჭირვების დროს.

6. ინგლისი არის საქართველოს და სომხეთის ქრისტიანების პატივისმცემელი და მფარველი მათი.

ეჭვგარეშეა, რომ ეს საბუთი ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ ვიდრე მას კვლევის ობიექტად გავხდით, საჭიროა გარკვეული ანალიზის ჩატარება.

ერთობ საინტერესოა, რომ სწორედ შაამირიანი, და არა სხვა ვინმე, გამოვიდა ქართველი მეფის დახმარებისა და მისი ინგლისთან დაახლოების ინიციატორად. შესაძლოა აქ ახსნა, უწინარესად, მის პიროვნებასა და წარმომავლობაში ვეძიოთ. ა. ერიცოვი (ერიციანი) გვამცნობს, რომ შაამირიანის მამა მომავალი მეფე ერეკლე II-ს ამალაში იმყოფებოდა, რომელსაც ჭაბუკი ქართველი უფლისწული ნადირ შაჰს ახლდა შორეულ ინდოეთში ლაშქრობისას (13). ამრიგად, საქმე პირად სიახლოვესთან გვაქვს. ალბათ, სწორედ ამან მისცა გარკვეული ბიძგი შაამირიანის წამოწყებას. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ მხრივ შაამირიანის ეკონომიკური მდგომარეობა. შაჰამირიანი ძალზე მდიდარი უნდა ყოფილიყო. იგი კარნატიკის ნავაბის კარს ამარაგებდა. ვარდის წყლითა და ჩირით, რაც მას არნახულ მოგებას აძლევდა (14, გვ. 145). მის სიმდიდრეზე ისიც მეტყველებს, რომ ის ნავაბს სესხად აძლევდა დიდ ფულად თანხებს (14, გვ. 145). ასე რომ, ერეკლე მეორეს საქმე უნდა ჰქონოდა გარკვე[illegible] ნა[illegible] ( აღსანიშნავია, რომ შაამირიანი სამი წლით იყო

უმცროსი ერეკლეზე) და ძალზე მდიდარ ადამიანთან.

მაგრამ ამ ურთიერთობის საწინდარად ყველაზე უფრო შეჭად შემდეგი რამ გვესახება. შა ჰირიანი სწორედ ის ადამიანი სჩანდა, ვინც შესძლებდა ერეკლე II-ს და ინგლისელებს შორის კავშირის დამყარებას. უნდა დავუშვათ იმის შესაძლებლობა, რომ ერეკლე II, რომელიც მთელი თავისი არსებით ისწრაფოდა გარდაექმნა თავისი სამეფო ევროპულ ყაიდაზე (15, გვ. 10), ეძებდა ევროპელ პარტნიორსა და მოკავშირეს. თავის მხრივ, "ინგლისური ფაქტორი" უფრო სოლიდურსა და პოლიტიკურად მიმზიდველს ხდიდა შაამირიანის პიროვნებას. ამრიგად, ყოველივე ზემოხსენებული საშუალებას გვაძლევს ავხსნათ, თუ რატომ დამყარდა ურთიერთობა ერეკლე II-ს და სწორედ, შაამირიანსა და არა სხვა რომელიმე დიდვაჭარს შორის.

მაგრამ რამდენად რეალური და ქმედითი იყო შაამირიანის კონტაქტი ინგლისელებთან ამ საკითხის გარშემო? პირველ რიგში ყურადღების გამახვილებაა საჭირო ფრაზებზე - "ინგლისის მთავრობა", "ინგლისის სახელმწიფო", რომლებიც ხშირად გვხვდება ზ. ჭიჭინაძის მიერ აღწერილ დოკუმენტში. ეჭვგარეშეა, რომ აქ უპირველეს ყოვლისა, ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანია უნდა ვიგულისხმოთ და არა სენტ-ჯეიმსის სასახლე, ან უაიტჰოლი. შაამირიანს სწორედ კომპანიის მესვეურებთან უნდა ჰქონდა ურთიერთობა. აკი ზ. ჭიჭინაძეც მიუთითებს მის მეცადინეობაზე კალკუტაში", "სადაც მან შეჰყარა ინგლისელებისა და ინდოელებისა და ინდოელების ჭკვიანი და განათლებული კაცები". ცნობილია, რომ შაამირიანი მადრასში ცხოვრობდა და მას შეეძლო იქვე წამოეწყო აღნიშნული დიპლომატიური სამზადისი. მაგრამ ის სწორედ კალკუტას ეწვია, სადაც კომპანიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო განლაგებული, ხოლო ბენგალიის გენერალ-გუბერნატორი სათავეში ედგა კომპანიას. ამრიგად, შაამირიანს ნამდვილად უნდა ჰქონოდა კონტაქტი კომპანიასთან.

რამდენად დაინტერესდებოდა კომპანია საქართველოთი აღნიშ-

ხელ პერიოდში? შეიძლება მოინახოს რაიმე განსხვავება შექმნილ სიტუაციასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც ემინის წამოწყებას დაემთხვა?

როგორც უკვე ითქვა, ემინი ცდილობდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის და ქვეყნის სხვა სახელმწიფო პირების დაინტერესებას ერეკლე II-თი და ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის იდეით. პიტი-უფროსი ამ გეგმით არ მოიხიბლა. მაგრამ საინტერესოა მამირ-ალას ცდა, საქართველოთი დაეინტერესებინა ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის კომპანიის წინაშე არ იდგა აუცილებლობა, უშუალოდ დაინტერესებულიყო კავკასიით. როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს პოზიცია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში? ამისათვის ურიგო არ იქნება გავიხსენოთ როგორი იყო აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მდგომარეობა ინდოეთში. 1757 წლიდან მოყოლებული, დაამარცხა რა პლესისთან ბენგალიის ნავაბი, კომპანია ფაქტიურად დაეპატრონა ამ მდიდარ მხარეს. ადგილობრივი ნავაბი, ინგლისელების მარიონეტად იქცა. 1764 წელს ინგლისელებმა ბუქსართან ბრძოლაში დაამარცხეს აუდის ნავაბ-ვაზირი და გზიდან ჩამოიცილეს ინდოეთის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ძალის მქონე მთავარი, რის შედეგადაც თავად დიდი მოღოლი მოექცა მათი გავლენის ქვეშ (16, გვ. 314). მოგვიანებით, კომპანიას მიენიჭა უფლება გადასახადები აეკრიფა ბენგალიაში, ბიჰარსა და ორისაში, ამან ჩაუყარა საფუძველი ინგლისელების ბატონობას დიდ მოღოლთა იმპერიაზე (16, გვ. 363).

70-იან წლებში კომპანიამ ფეხი მოიკიდა მარათჰთა სამთავროებში. 1775 წელს პეშვას ტიტული მიენიჭა პროინგლისურად განწყობილ რაგჰუნათ რაოს, რომელიც ფაქტობრივად, ინგლისის გენერალ-გუბერნატორის, უორენ ჰასტინგსის მეშვეობით ავიდა ტახტზე; 80-90-იან წლებ-

მი კომპანია აწარმოებდა ომებს ინდოსტანის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან, მაისორის სასულთნოსთან, რომელიც მან საუკუნის მიწურულს დაამარცხა და დაიპყრო. ასე რომ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე კომპანია გაბატონდა ინდოეთის დიდ ნაწილზე და წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალას.

გაფართოებული სამფლობელოების მართვა-გამგეობას და დაცვას უფრო ენერგიული მოქმედება და ინტენსიური დიპლომატიური საქმიანობა სჭირდებოდა. ალბათ, სწორედ ამ პერიოდიდან წარმოიშვა კომპანიისათვის თავისი სამფლობელოების ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების უსაფრთხოების პრობლემა. ინდოეთის ეს მხარე მისი ყველაზე მოწყვლადი ადგილი იყო და კომპანიის მესვეურებიც სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ მას და მის მიმდებარე რეგიონებს. ეს, პირველ რიგში, სპარსეთსა და კავკასიას ეხება. როგორც ჩანს, ინგლისელებს კარგად დაამახსოვრდათ ნადირ შაჰის მიერ ინდოეთის დალაშქვრა და აოხრება, რის გამოც კომპანიის მესვეურები მოსალოდნელ შემოტევას სწორედ სპარსეთიდან ვარაუდობდნენ. ამიტომ იყო, რომ ნადირ შაჰისა და ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ამტყდარი შინაომები კომპანიას ერთობ ხელსაყრელად მიაჩნდა, რადგან ააცილებდა ინდოეთს მოსალოდნელ დარტყმას (17, გვ. 408). ზენდებსა და ყაჯარებს შორის გაჩაღებული ომის დროს ინგლისელებს ერთობ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეომარ მხარეებთან და დახმარებასაც უწევდნენ მათ. მაგალითად, ვაქილობის ერთ-ერთი პრეტენდენტი სადიყ ხანი, მოიხსენიება, როგორც ინგლისელთა დიდი მეგობარი და მფარველი, რომელთანაც მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ბასრაში (18, გვ. 79). ეჭვგარეშეა, რომ გამარჯვება, რომელიც მან მოიპოვა 1779 წელს აბდულ ფათი ხანზე, რომელსაც ვაქილობას ეცილებოდა, სწორედ ინგლისელთა დახმარების ხარჯზე იქნებოდა

მიღწეული, მიუთმეგეს; რომ მან მასრადან გამოილაშქრა და თან ად-
გილობრივი გარნიზონიც ახლდა (18, გვ. 79).

1790 წელს ინგლისელებმა ლუტფ ალი ხან ზენდს ძვირფასი სა-
ჩუქრის და აღთქმული სავაჭრო პრივილეგიების სანაცვლოდ, გამოუგ-
ზავნეს 200 ჯარისკაცი და 20 ზარბაზანი (18, გვ. 316-317). მაგ-
რამ ინგლისელებს არც ყაჯარები დავიწყებიათ. იგივე ლუტფ ალი
ხანთან საბრძოლველად ოსტ-ინდოეთის კომპანიამ აღა მაჰმად ხან
ყაჯარს 60 აქლემისაგან და 40 ჯორისაგან შემდგარი იარაღით დატ-
ვირთული ქარავანი გაუგზავნა (19, გვ. 284).

თავისთავად, ზენდებისა და ყაჯარების წინააღმდეგობების
შესწავლას მათი საგარეო პოლიტიკური მიმართულების განჭვრეტაც
უნდა მოჰყოლოდა. ყაჯარები რუსეთის კავკასიური ექსპანსიის შეუ-
რიგებელი მოწინააღმდეგეები იყვნენ. ალბათ, სწორედ ამან განაპი-
რობა კომპანიის გადახრა ყაჯარებისაკენ. კალკუტაში უკვე შეშფოთე-
ბით უყურებდნენ რუსეთის წინსვლას კავკასიაში. ამიტომ კომპანია
სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს.
კომპანია დაწვრილებით ინფორმაციას იღებდა თბილისში მყოფი რეზი-
დენტებისაგან. XVIII საუკუნით დათარიღებული ეს ინფორმაცია სა-
ქართველო-რუსეთის ურთიერთობის დახასიათებას იძლევა. თბილისიდან
მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კომპანიის ელჩი სპარსეთში, კა-
პიტანი ჯონ მალკოლმი, ამცნობდა თავის ხელმძღვანელობას, რომ რუ-
სეთის მფარველობაში მყოფი საქართველო ფაქტიურად იმპერიის პროვინ-
ციად იყო ქცეული (19, გვ. 233). მალკოლმი დაწვრილებით იყო ინფორ-
მირებული თბილისში მყოფი რუსეთის წარმომადგენლის კოვალენსკის და
გენერალ ლაზარევის მოქმედების შესახებ (19, გვ. 234-235), ხოლო
1801 წლის ივნისში ის შეშფოთებული წერდა კომპანიის გენერალ-გუ-
ბერნატორს ლორდ უელსლის, რომ საქართველოში დამკვიდრებულმა რუ-
სეთმა შესაძლოა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს სპარსეთიც, რომ

მისი აზრით, რუსეთი დიდ ხიფათს შეუქმნიდა ინგლისელთა პოზიციებს ინდოეთში (19, გვ. 580).

ასე რომ, ოსტ-ინდოეთის კომპანიისათვის საქართველო უცხო ხილი არ იყო. რამდენად შეისხა ხორცი შამირ-აღას პროექტებმა? შესძლო მან ერეკლესა და ოსტ-ინდოეთის კომპანიის დაახლოება? ჩვენს ხელთ არსებული მიმოწერიდან, რომელიც წარმოებდა, ერთის მხრივ, შამირ აღას და, მეორეს მხრივ, ერეკლე II და შემდგომ გიორგი XII შორის, ეს მოსაზრება არ დასტურდება. მაგალითად, თავის წერილში (1786 წლის 20 მარტი) შამირ აღას სახელზე, ერეკლე II თავადობა უბოძა შამირ-აღას (20, გვ. 5-99). საპასუხო, საკმაოდ ვრცელ წერილში შამირ აღა მადლობას მოახსენებს ქართველ მეფეს, აცნობს თავის თხზულებას "დიდების მახე", რომელშიაც ქვეყნის მართვა-გამგეობის პრინციპებია ჩამოყალიბებული და თან შთააგონებს ერეკლეს, ურყევი კანონმდებლობით განამტკიცოს თავისი სამეფო და საკუთარი პოზიციები. სხვათა შორის, შამირ-აღა ერეკლეს მოუწოდებს, ისარგებლოს სპარსეთის შიდა არეულობით და დაეუფლოს მის გვირგვინს, რომელზედაც მას სრული უფლება აქვს, როგორც გურჯისტანის განმგებელს. თავის სიტყვებს შამირ აღა სეფიანთა სამემკვიდრეო კანონებით ასაბუთებს (20, გვ. 5-99), მაგრამ არც ერთ წერილში არ არის ნათქვამი რაიმე ინგლისელებსა და კომპანიაზე.

ასევე არ არიან ნახსენები ინგლისელები და მათთან ურთიერთობა გიორგი XII ორ წერილში შამირ აღასა (1976 წლის 10 მაისი, გიორგის გამეფებამდე და 1799 წლის 23 ოქტომბერი) და მისი შვილის პოპანეს აღას სახელზე.

რას შეიძლება გამოეწვია ამგვარი სიტუაცია? აკი კალკუტაში 1787 წელს შედგენილი საბუთის დედააზრი ოსტ-ინდოეთის კომპანიის და საქართველოს შორის ურთიერთობის დამყარება იყო?

იმის თქმა, რომ შექმნილ სიტუაციაში უნდა გამოვრიცხოთ

ინგლისელებზე ლაპარაკი და ყველაფერი გ.ჭიჭინაძის ფანტაზიას მიეაწეროთ, ალბათ, სწორი არ იქნება. ინგლისელებთან დაახლოების გეგმა ნამდვილად უნდა არსებულიყო მაგრამ მას ხორცი ვერ შეესხა. დ. ლანგიც წერს, რომ "წარუმატებლად დამთავრდა ცდები, დაახლოვებოდნენ ინგლისელებს ინდოეთში" (7, გვ. 181). გ.ჭიჭინაძე მიუთითებს, რომ ერეკლე უნდობლად უყურებდა ინგლისელებს, ვითომდა სარწმუნოებრივი განსხვავების გამო (იქნებ ერეკლეს მათი პროტესტანტობა არ მოსწონდა თვალში?), მაგრამ განა იგივე, საფრანგეთის მეფე ან ავსტრიის იმპერატორი, რომლებსაც ქართველი მეფე დახმარებას სთხოვდა, მართლმადიდებლები იყვნენ? ანდა რატომ უნდა გამოეჩინა ერეკლეს რომელიც ხუნძახის ხანის "დოსტობას და მოკითხვას" არ თაკილობდა და პირიქით, კმაყოფილებას გამოსთქვამდა მასთან მეგობრული ურთიერთობით (23, საქმე N 2497)თავისებური სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენელთა მიმართ? მიზეზი ალბათ სულ სხვაა.

ჯერ ერთი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზემოაღნიშნული საბუთი შედგენილ იქნა კალკუტაში 1787 წელს, ე.ი. 4 წლის შემდეგ გიორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის დღიდან. ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლი კი, როგორც ცნობილია, ფაქტიურად უკრძალავდა ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას. ამრიგად, დასაშვებია აზრი, რომ ტრაქტატით შებორკილმა ერეკლე II-მ ვერ შესძლო ინგლისელთა მიმართ საგარეო პოლიტიკური ინიციატივის გამოჩენა.

მეორეს მხრივ, ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, თუ როგორი იყო საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური თვალთახედვით. ევროპელი პოლიტიკოსები საქართველოს, ძირითადად, განიხილავდნენ, როგორც სპარსეთისა და ოსმალეთის პროვინციას (24, გვ. 212-215). რასაკვირველია, სპარსეთისა და ოსმალეთის ვასალების

უფლებათა დაცვის გამო ისინი არ გაიფუჭებდნენ ურთიერთობას სტა-მბოლსა და ისფაჰანთან. პირიქით, საფრანგეთსა და ინგლისს სწორედ ეს ორი სახელმწიფო სჭირდეთ და ბარიერად რუსეთის ახლოაღმოსავლური ექსპანსიის წინააღმდეგ. ამიტომ, ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელ-მაც მშვენივრად იცოდა, თუ რა ხდებოდა კავკასიაში, ალბათ, არ მოისურვა აშკარად ჩარეულიყო იმ რთულ საერთაშორისო სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა ამ რეგიონის გარშემო. ამრიგად, საქართველო, კვლავ მერამდენედ, საერთაშორისო ურთიერთობისა და დიდი პოლიტი-კის ინტერესების მსხვერპლი გახდა. საგარეო პოლიტიკური ფაქტორი თავისებური ფატალური თანამგზავრი გახდა ქართველი ხალხის ისტო-რიისათვის.

რაც შეეხება ქართველი მეფეებისა და მაამირიანსა და მის შვილებს შორის მიმოწერას, აგრეთვე, რაფიელ დანიბეგაშვილის ინ-დოეთში მოგზაურობას, აქ, ჩვენის აზრით, ინგლისელთა ფაქტორს გარ-კვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ჯერ ერთი, დანიბეგაშვილის მოგზაურობაში ზოგი რამ დასაზუსტებელი გვეჩვენება. თითქოსდა უდა-ვოა იოსებ დანიბეგაშვილის ინდოეთში პირველი მოგზაურობის თარი-ღი – 1795 წელი (25, გვ. 133), რომლის დროსაც რაფიელი თან ახლდა თავის მამას. ისტორიულ წყაროებში იოსები იხსენიება, როგორც ხუ-თასისთავი. და სწორედ ამიტომ საინტერესოა ინფორმაცია, მოყვანილი მაამირიანის წერილში, რომელიც თარიღდება 1787 წლით მასში მაამი-რიანი ამცნობს ერეკლე II, რომ მისი ხუთასისთავის ხელით მიიღო 1786 წლის 20 მარტით დათარიღებული მეფის წერილი (20). ვინ არის ეს ხუთასისთავი, რომელიც ორივე შემთხვევაში მეფის წარგზავნილის როლს ასრულებს? იქნებ პირველ შემთხვევაში ეს დანიბეგაშვილების ოჯახის წევრი იყო? მაგრამ ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის დანი-ბეგაშვილების ინდოეთში მოგზაურობის დათარიღება და ამ საკითხის ვრცელი პაექრობა. საინტერესოა თავად მათი ელჩობის და ერეკლე II და მაამირიანის შორის არსებული მიმოწერის მიზანი. ქართულ ის-

ტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დანიბეგაშვილების მოგზაურობა ინდოეთში (იგულისხმება XVIII საუკუნის 90-იან წლებიდან მოყოლებული) ითვალისწინებდა ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნას (26, გვ. 56). ეს მოსაზრება გარკვეულწილად გადასასინჯი გვეჩვენება. აღა მაჰმად ხანის გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ ერეკლე II არ მოკიდებდა ხელს, საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, ამ მეტად რთულ და სახიფათო საქმეს და მას ამისათვის საკმარისი პოტენციალიც აღარ გააჩნდა (მით უმეტეს, რომ თავის დროზე, დიდების ზენიტში მყოფმა, მან ემინს უთხრა უარი ამ ამოცანის განხორციელებაზე). ჩვენი აზრით, დანიბეგაშვილების შაამირიანთან გაგზავნა მიზნად ისახავდა მადრასელი დიდვაჭრისაგან ფულადი დახმარების თხოვნას. ცნობილია, რომ იმ ხანად ერეკლე II დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა, სესხს სთხოვდა რუსეთს, რომლისგანაც უარი მიიღო (18, გვ. 345).

უფრო ნაკლებად დასაშვებად გვეჩვენება, რომ ამ ელჩობის მიზანი ყოფილიყო ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანიისაგან რაიმე სამხედრო-მატერიალური (ჯარის შექმნა, გაწვრთნა) დახმარების მიღება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვ. ზუბოვის კავკასიური ლაშქრობის შეწყვეტამ გული დასწყვიტა ერეკლე II და შესაძლებელია, რომ თავისი სამხედრო პოტენციალის, მეტ-ნაკლებად განსამტკიცებლად მან გადაწყვიტა ინგლისელებისთვის მიემართა, თუმცა ვიმეორებთ, რომ ზემოთ მოყვანილ ორ წერილში ინგლისელებთან ურთიერთობა არ არის მოხსენიებული.

ამრიგად, ერეკლე II საგარეო პოლიტიკური ინგლისური ორიენტაციის შესაძლებლობის დაშვება კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო უაღრესად რთულ საგარეო პოლიტიკურ გარემოცვაში იმყოფებოდა. ამ სირთულეში იგულისხმება არა მარტო მისდამი ტრადიციულად მტრულად განწყობილი სპარსეთი და ოსმალეთი, არამედ რუსეთი და დასავლეთ ევროპის სა-

ხელმწიფოების. ამ დროს დიდი სახელმწიფოები, პირველ რიგში, თავის შორის მიმავალი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევაზე ფიქრობდნენ, ამიტომ ქართული დიპლომატიის არგუმენტები მათთვის ანგარიშგასაწევი არ იყო. საქართველო, ევროპულთა თვალსაზრისით, ორი მაჰმადიანური სახელმწიფოს პროვინცია, ისე არ იზიდავდა მათ ყურადღებას, როგორც ამ ქვეყნებში მათი სავაჭრო კაპიტალის პოზიციების განმტკიცება და კიდევ ერთმანეთისათვის ხელის შეშლა მახლობელ აღმოსავლეთ რეგიონში გაბატონებაში, თუნდაც ამ პატარა სახელმწიფოს აოხრებისა და გაპარტახების ხარჯზე. ალბათ, სწორედ ამიტომ, საფრანგეთის მთავრობა მშვიდად შეეგება აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისში დატრიალებულ სისხლისღვრას (7, გვ. 219), ხოლო ინგლისელებმა თავისი სამხედრო დახმარების მეშვეობით ხელი შეუწყვეს შაჰის საქართველოზე გამარჯვებას.

შეეძლო საქართველოს იმ ხანად ეკონომიკურად დაეინტერესებინა ინგლისი, უფრო სწორად ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანია? ალბათ, არა. ის, რაც კომპანიის იმპორტის საგანს წარმოადგენდა, კერძოდ: - მიტკალი, აბრეშუმი, მარგალიტი, ჩაი, ფაიფური, სანელებლები, ნარკოტიკული თვისებების შემცველი მცენარეები (27, გვ. 10). ყველაფერი ეს უხვად იყო ინდოეთში და მის მეზობელ ქვეყნებში. ასე რომ, კომპანიას საქართველოში არ ჰქონდა ეკონომიკური ინტერესები.

ხოლო რაც შეეხება ინგლისის მმართველ წრეებს, ისინი კავკასიის და კერძოდ, საქართველოს მიმართ დამოკიდებულებაში თავის ტრადიციულ ძალთა თანასწორობის პოლიტიკიდან გამომდინარეობდნენ. ეს პოლიტიკა კი, სამწუხაროდ, სულაც არ ისახავდა მიზნად სხვა ქვეყნებისა და ხალხების კეთილდღეობასა და დამოუკიდებლობას (28, გვ. 21).

ყველაზე უფრო უშუალოდ, მაგრამ ისევე პირადი ჯამორჯენის

მიზნით, საქართველოთი რუსეთი იყო დაინტერესებული. სამწუხაროდ, მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში ქანცგაწყვეტილ ქვეყანას, როგორც ჩანს, შეესუსტდა საგარეო-პოლიტიკური ალღო. საუკუნეების მანძილზე ის ეძებდა ხსნას. ხსნის იდეა ეროვნული თვითშეგნების ნაწილად იქცა და, ალბათ, ამან შეუშალა ხელი ქვეყნის მესვეურებს სათანადოდ განეჭვრიტათ დიპლომატიური ურთიერთობის სირთულეები.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ო. გიკინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963.
2. ჯაბადუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. პირველი ნახევარი), თბ., 1972. მისივე, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს. მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1979).
3. Мерабишвили Г.Н. Международное положение во второй половине XVIII в. и внешнеполитическая ориентация Грузии. Автореф. на дисс. на соискание уч.ст.к.и.н., Тб.,1989.
4. Torrens W. Empire in Asia, L., 1872.
5. ემინის ცხოვრებისა და თავგადასავლის შესახებ იხ. Life and Adventures of Emin Joseph Emin, written by himself, Calcutta, 1918.
6. Life and Adventures of Emin Joseph Emin, written by himself, Calcutta, 1918.
7. Lang D. The Last Years of the Georgian Monarchy 1658–1832, N.Y., 1957.
8. Иоаннисян А.Р. Иосиф Эмин. Ереван, 1945.
9. Hanway J. An Account of the British Trade over the Caspian Sea, L., 1754.

10. ჭიჭინაძე ზ., ქართველები ინდოეთში. იხ. გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ზ. ჭიჭინაძის ფონდი.

11. **Phillips, The Six Voages of John Batist Tavernier, a Noble Man of France Now Leaving through Turkey inte Persia and the East Indies, L., 1678,**

12. Герньe Ф. История последних политических переворотов в государство Великого Могола. М., 1936.

13. Ерщов А. Индейские богатые заведения. Газ."Кавказ",1883. № 3.

14. **Seth M, History of the Armenians in India from the Earliest Times to the Present Day, Calcutta, 1896.**

15. Бурнашов С.Д. Картина Грузии и политическое описание царств Карталинского и Кахетинского. Тифлис, 1896.

16. **Mill J, The History of British India, vol,II,L.,1820,**

17. **Eton W, A Survey of the Turkish Empire, L., 1798.**

18. Бутков П.Г. Материалы для новой истории Кавказа с 1772 по 1803 г. ч.II, СПб, 1869.

19. Маркова О.П. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в. М., 1966.

20. ს. კერ-აკვპისიანი, ინდოეთის სომხური კოლონიის ისტორიის მასალები (შაჰირ აღა შაამირიანის, სომეხთა კათალიკოსის ლუკასა და ქართველთა მეფის ერეკლე II მიმოწერა, იხ. ერევნის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1940, სომხურ ენაზე).

21. მატენადარანი. ერიციანის არქივი, საქაღალდე 156, საბ. 250, (სომხურ ენაზე).

22. მატენადარანი. ერიციანის არქივი, საქაღალდე 156, საბ. 232, (სომხურ ენაზე).

23. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448. ძველ სიგელ გუჯართა კოლექცია, წიგნი II, აღწერა I, საქმე N 2497.

24. Malcolm J. The History of Persia, vol. II, L., 1815.

25. მაისურაძე კ., კიდევ ერთხელ რაფიელ დანიბეგაშვილისა და მისი მოგზაურობის შესახებ, საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976.

26. Данибегашвили Р. Путешествие в Индию, Бирму и другие страны Азии, М., 1969.

27. Mill J. The History of British India, vol. III, L., 1820.

28. Ingram E. Commitment to Empire: Prophecies of the Great Game in Asia.

Ivane Monteshashvili

# GEORGIA'S ATTEMPTS TO MAKE CONTACTS WITH THE BRITISH EAST INDIA COMPANY IN THE SECOND HALF OF THE 18TH CENTURY

## Summary

The paper sheds lustre on such topic as the orientation of 18th century Georgia, particularly Kartli-Kakheti kingdom led by King Erekle the II in the field of external policy. Georgia of then period was in a rather complex international situation, because pressure was put on her from different sides. Persia, Ottoman Empire and Russia had their claims to Georgia. Local authorities tried to look for reliable ally. Some representatives of Armenian trade capital scattered in the different parts of the world, and particularly in India, considered King Erekle, through his military fame as the potential champion of Armenian people. They even made him proposal to incorporate Armenia within his domains. Therefore they tried to make contacts King Erekle and authorities of the British East India Company. They considered it as that very military and political force, which could encourage their political designs. Georgian King sent his messengers to Armenian entrepreneurs in India, in order to make contacts Company's authorities, but East India Company expressed her interests towards Caucasus a little bit later. Therefore it did not hold forward policy towards Caucasia, what secured Russian activity and her final success in this region.

ალბერტ მენთეშაშვილი

# ბირთვული ფაქტორის როლი თანამედროვე პაკისტანის საგარეო პოლიტიკაში

1987 წლის 30 მარტს ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა გენერალმა ზიაულ ხაკმა და ბირთვული გამოკვლევების სპეციალისტმა დოქტორმა კადირ ხანმა განაცხადეს, რომ პაკისტანს შეუძლია შექმნას ატომური ბომბი როცა კი მოისურვებს (1, 30.03.1987).

1955 წ. პაკისტანის მთავრობამ დააარსა ატომური ენერგიის განვითარების კომიტეტი, რომელიც ერთი წლის შემდეგ გადააკეთეს ატომური ენერგიის კომისიად. მისი, მთავარი საზრუნავი იყო განევითარებინა ეროვნული ატომური ენერგეტიკა[1].

უკვე 1972 წლიდან, ბირთვული ენერგიის სამშვიდობო გამოყენების პროგრამასთან ერთად პაკისტანმა დაიწყო ბირთვული ფეთქებადი მოწყობილობების შექმნაც.

პაკისტანს გააჩნია მაღალკვალიფიციური კადრები პროფ. აბდულ სალამის ხელმძღვანელობით, თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1979 წ.). პაკისტანელი სპეციალისტების უმრავლესობა სწავლობდა დასავლეთში[2]. 1975 წ. სამშობლოში დაბრუნდა აბდულ კადირ ხანი, რომელიც ინგლის-ჰოლანდია-დას. გერმანიის ერთ-ერთ ლაბორატორიაში მუშაობდა. იგი

---

1 ბირთვული გამოკვლევები პაკისტანში დაიწყო 1954 წლიდან, როცა ხელი მოაწერეს შეთანხმებას აშშ-თან. იგი ითვალისწინებდა ამერიკელთა დახმარებას ატომური ენერგიის გამოკვლევის ჩატარებაში და სპეციალისტების მომზადებაში. ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით პაკისტანში დადგეს სამეცნიერო-კვლევითი რეაქტორი.

2 1955-1977 წლებში მომზადდა 350-ზე მეტი მეცნიერი და ინჟინერი (იხ. 5, 01.03.1987).

სათავეში ჩაუდგა პაკისტანის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა ურანის გამდიდრებას[3].

ბირთვული ენერგიის სფეროში სპეციალისტების მომზადება ხორციელდება ისლამაბადის, ბელუჯისტანის და სხვა უნივერსიტეტებში. თუ 1972 წ. ატომურ პროგრამაში დაკავებული იყო 550 მომუშავე, 1986 წლისთვის მასში მონაწილეობდა 2000-ზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მათი რიცხვი დღით-დღე იზრდება (3, გვ. 102; 4, გვ. 102).

1975–1979 წწ-ში ატომური პროგრამის განხორციელებაში პაკისტანმა დახარჯა დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი. 1978–1983 წლებში ყოველწლიურად გამოიყოფოდა 50 მლნ დოლარი.

პაკისტანს გააჩნია ურანის მადნის მოპოვებისა და გადამუშავების შესაძლებლობა, ურანის გამდიდრება, ატომური საწვავის წარმოება.

1978 წ. ივლისში ხელმოწერილ იქნა ჩინეთ-პაკისტანის ხელშეკრულება. ჩინეთმა შესთავაზა დახმარება ატომური საწვავის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაში. ჩინეთმა პაკისტანს გადასცა ატომური იარაღის კონსტრუქციის სქემა ცენტრიფუგის მეთოდოლოგიის გაცნობის სანაცვლოდ.

1984 წ. ამერიკის პრესა იტყობინებოდა, რომ ჩინეთმა გადასცა პაკისტანს ატომური ბომბის კონსტრუქციის მთლიანი სქემა, რომელიც გამოყენებული იქნა 1966 წ. მეოთხე ჩინურ ატომურ გამოცდისას (6, გვ. 12; 7, გვ. 85). იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი გადასცემდა ინფორმაციას ბომბის კონსტრუქციის შესახებ, პაკისტანს შეეძლო შეექმნა ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობა პოლიგონზე

---

3 გარდა ამისა, 70-იანი წლების შუა ხანებიდან პაკისტანს შეეძლო ბირთვული პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობისათვის მოემზადებინა [illegible] პაკისტანელი სპეციალისტი, რომელიც მსახურობდა საზღვარგარეთ.

ცდების ჩატარების გარეშე.

ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პაკისტანს შეეძლო უკვე 80 წ-ის მეორე ნახევარში ეწარმოებინა 1-დან 7-მდე ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობა. ტექნიკური თვალსაზრისით პაკისტანს გააჩნდა ყოველგვარი შესაძლებლობა ატომური იარაღის შესაქმნელად. ამასთან, ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ურანის გამდიდრებაზე. მაგრამ რამდენიმე საომარი ატომური მასალების შესაქმნელად აუცილებელია საწყისი ნედლეულის დამატებით რაოდენობის ქონა, რომელიც უნდა შეიძინონ სხვა ქვეყნებისგან, რომლებმაც უკვე გაუწიეს პაკისტანს დახმარება ატომური პროგრამის განვითარებაში, ესენია - საუდის არაბეთი, ქუვეითი, ლიბია. ატომური იარაღის შესაქმნელად საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. ეს გადაწყვეტილება ბაზისურია სხვა ფაქტორების მიმართ. ბირთვული გადაწყვეტილების პოლიტიკური მიღების პრობლემა პაკისტანში დაკავშირებულია წამქეზებელ და შემაფერხებელ ფაქტორებთან.

წამქეზებელი ფაქტორებია:

ა) საგარეო ურთიერთობა ინდოეთთან.

1. ინდოეთის მიერ ბირთვული გამოცდების განახლება-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ატომური იარაღის წარმოების შესახებ.

2. ინდოეთთან ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება - კონფრონტაციის მდგომარეობა.

3. ახალი ფართო კონფლიქტი ინდოეთთან, რომელსაც აქვს უპირატესობა ჩვეულებრივ შეიარაღებაში.

ბ) საშინაო ფაქტორები. ქვეყნის საშინაო მდგომარეობა.

1. საშინაო მდგომარეობის მკვეთრი გამწვავება-სამხედრო რეჟიმის მოსპობის მუქარა; სამხედრო რეჟიმის პრესტიჟის ამაღლება ქვეყანაში.

2. ხელისუფლებაში მოსული რეაქციული, სამხედრო დაჯგუფების უკიდურესად ნაციონალისტური განწყობა და მისი მიდრეკილება ავანტიურიზმისადმი და ძალისმიერი გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკაში

შემაფერხებელი ფაქტორები:

ა) საგარეო:

1. ატომური იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო რეჟიმის გაძლიერება სსრკ-სა და აშშ-ს მხრიდან.

2. ურთიერთობების გაუარესება სსრკ-სთან.

3. ინდოეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება - ატომურ საკითხებთან დაკავშირებით ორმხრივი შეთანხმება.

4. აშშ-ს სამხედრო დახმარების თანხის მთლიანი შეწყვეტა.

ბ) საშინაო:

1. სამხედრო რეჟიმის ხანგრძლივად შენარჩუნება პაკისტანში.

2. ხელისუფლებაში სტაბილური ცენტრალური მთავრობის მოსვლა, რომელიც ორიენტაციას იღებს სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე, ატომური იარაღის გავრცელების შესახებ რეგიონებში.

შემაფერხებელი ფაქტორები ჭარბობენ. ისინი უფრო აქტიურად ზემოქმედებენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ისლამაბადი არ წავა ატომური პოტენციალის აშკარა დემონსტრაციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა


I. "The Time".

2. "Christian Science Monitor", 02.12.1981.

3. ИВАН СССР ДСП № 5, 1986.

4. ДСП, № 4, 1985.

5. "Observer".

6. Jones Rodney W. Pakistan's Nuclear Option, Georgetown University, Dec. 1984.

7. Leonard 3. Nuclear Proliferation Today. N.Y., 1984.

მარინე ითრაშვილი

## ჩინური დიასპორის მოღვაწეობის პოლიტიკური ფაქტორები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 28 მილიონამდე ჩინელი ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს. აქედან 2 მილიონამდე ჩრდილოეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში არის გაბნეული. გარდა ამისა, 40%-ზე მეტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინელების უმეტესობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იმყოფება.

თავდაპირველად ჩინელების მასობრივ გასვლას სამშობლოს ფარგლებს გარეთ მიგრაციული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ისინი სტაბილურ ემიგრანტებად გადაიქცნენ. უმეტესი მათგანი სპეციალობით ხელოსანი, წვრილი ვაჭარი და მუშაა. მათ შორის არიან რამოდენიმე მსხვილი ბიზნესმენიც.

70-იანი წლებიდან მიყოლებული ბევრი ჩინელი ემიგრანტი დაბრუნდა თავის სამშობლოში და სამხრეთ-აღმოსავლეთ სამსახურის დროს დაგროვილი კაპიტალი სამშობლოში ჩამოიტანა. დაბრუნებულ ემიგრანტთა რიცხვი საშუალოდ უახლოეს ჩინელთა საერთო რაოდენობის 10-15%-ს შეადგენდა. 70-იანი წლების ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ცხოვრებმა ჩინურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა განიცადეს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსოლიდაცია და ნატურალიზაცია, რაც მათი ნაწილობრივი ასიმილაციით და ბილინგვიზმით დამთავრდა. იმ ქვეყნებში სადაც ჩინური ეთნიკური ჯგუფები კონტაქტურად სახლობენ მათ ადგილობრივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებასთან ადაპტაცია განიცადეს. ამ უკანასკნელს კი ცალმხრივი ხასიათი არ ჰქონდა. ჩინელების მხრიდან ხდებოდა თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურის, შრომითი გამოცდილების და მეურნეობის გაძღოლის ჩვევების გადაცემა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

70-იანი წლების ბოლოს ჩინურ ეთნიკურ ჯგუფებში აღინიშნება

თავისებური ეროვნული თვითშეგნების და სოციალური ფსიქოლოგიის სხვადასხვა ცნობიერებითი სტრუქტურების ახლებურად გარდასახვა. ყოველივე ამას კი ხელს უშყობდა ახალი სოციალურ-ეთნიკური გარემოს არსებობა. ჩინელები ახდენენ სახელმწიფოს, სამშობლოს და ერის შინაარსისეული გაგების ახლებურ ინტერპრეტაციას.

ჩინური ეთნიკური ჯგუფები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ახალი სამშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამის გამო, ჩინური ეთნიკური ჯგუფები არ გამოიყურებიან იზოლირებულად მოსახლეობის ძირითადი მასისაგან და წარმატებით ახდენენ ეკონომიკურ-პოლიტიკურ და კულტურულ ინტეგრაციას. უფრო მეტიც, ისინი მყარ ადგილს იკავებენ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ სტრუქტურაში, მაგრამ ადაპტაცია და ინტეგრაცია არ გულისხმობდა ჩინელი უმცირესობის თანასწორუფლებიან მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით. ყველაფერი დამოკიდებული იყო ახალ სამშობლოში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან. 80-იანი წლებიდან სულ უფრო გამოიკვეთა მათი მოღვაწეობის არეალი, რომელიც ძირითადად ეკონომიკური საქმიანობით განისაზღვრებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სინგაპური, სადაც ჩინური მოსახლეობა დომინირებს და სათავეში უდგას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ასევე ჰონკონგსა და მაკაოშიც ჩინელები უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ აქტიურობენ მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სტრუქტურებში (4, გვ. 770).

ამჟამად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პოლიტოლოგებსა და პოლიტიკოსებს აინტერესებთ მრავალმილიონიანი ჩინური დიასპორის პოლიტიკურ-სივრცობრივი ორიენტაციის საკითხები და ეს უკანასკნელი როგორი ძალით ურთიერთქმედებს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მრავალფეროვან სოციალურ-პოლიტიკურ სისტემებთან. უნდა გავითვალის-

წინოთ ისიც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის მრავალ ქვეყანაში ჩინური ეთნიკური ჯგუფები განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენენ არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივი მნიშვნელობითაც, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე.

მსოფლიო კოლონიალური სისტემის რღვევამდე ჩინური თემების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ნაკლები აქტუალობით ხასიათდება, რადგანაც კოლონიზატორთა მიერ ჩინური ეთნიკური ჯგუფები, როგორც იაფი სამუშაო ძალის წყარო და სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის ხელშემწყობი ფაქტორი ისე განიხილებოდა. კოლონიზატორები სამშობლოდან წასულ ჩინელებს იურიდიულად ემიგრანტის სტატუსს ანიჭებდნენ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამდე (1949) ყოფილი ხელისუფალნი ჩინელ ემიგრანტებს ჩინეთის მოქალაქეებად მიიჩნევდნენ[X]. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ რაც ჩინური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულმა ყოფილმა კოლონიებმა დამოუკიდებლობა მიიპოვეს. ამის შემდეგ ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებში მოხდა ეროვნული თვითშეგნების სწრაფი ზრდა, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების ახლებურად განსაზღვრა. ამ სოციალურ გარდაქმნათა პარალელურად ემიგრანტთა წიაღში თავი იჩინა მოქალაქეობისადმი მიდგომის ახლებურმა დამოკიდებულებამ. ეს განსაკუთრებით შეეხო იმ ჩინურ ეთნიკურ ჯგუფებს, რომელთა სამეურნეო და შრომითი საქმიანობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვადაჯაჭვული იყო ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ყოფასთან. ასეთი კატეგორიის ჩინელებისათვის ახალ სამშობლოში დღის წესრიგში დადგა მუდმივი მოქალაქეობის მიღების აუცილებლობა.

---

X ჯერ კიდევ 1909 წელს ცინების მთავრობამ მიიღო საგანგებო კანონი სისხლით კუთვნილების შესახებ. იგი ნიშნავდა, რომ ყველა ჩინური ეთნიკური ჯგუფი დაბადების ადგილის და ადგილსამყოფელის მიუხედავად წარმოადგენდა "ციისქვეშეთის იმპერიის" მოქალაქეს და მათი იურიდიული სტატუსიც ამ კუთხით განისაზღვრებოდა. ამის

ემიგრანტთა ნაწილმა ახალი მოქალაქეობა მიიღო, მეორე ნაწილი კი, რომელიც დარწმუნებული არ იყო, რომ მალევე მოუწევდა სამშობლოს გარეთ ყოფნა, მერყეობდა. იქ, სადაც ჩინური თემი დომინირებს, მაგალითად სინგაპურში ახალი მოქალაქეობის მიღება მასობრივი ხასიათის გახდა. ხოლო იქ, სადაც ჩინურ თემს წამყვანი ადგილი ეკავა პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში (მალაიზია და ტაილანდი) ყველამ ახალი მოქალაქეობა მიიღო. დანარჩენები კი, ვისი მდგომარეობაც ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით არასტაბილურობით ხასიათდებოდა, ლამობდნენ სამშობლოში დაბრუნებას და თავს იკავებდნენ ახალი მოქალაქეობისაგან. იყო შემთხვევები, როდესაც ემიგრანტი ჩინელები ორ მოქალაქეობას ატარებდნენ. ამის აღმოსაფხვრელად ჩსრ-ის მთავრობამ გადამწყვეტი ზომები მიიღო. მაგალითად, 1955 წლის აპრილში ბანდუნგის კონფერენციის დროს სახელმწიფო საბჭოს [illegible] პრემიერმა ჯოუ ენლაიმ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ორმაგი მოქალაქეობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ამ დოკუმენტის მიხედვით უნდა აირჩეულიყო მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქეობა (1, გვ. 11).

60-იან წლებში აღნიშნული პრობლემები განიხილებოდა ჩინეთ-სამხ. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დიპლომატიურ ურთიერთობათა შესაბამისად. შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ აღნიშნულ რეგიონის ჩინური დიასპორა მხოლოდ პეკინზე იყო ორიენტირებული. ეს ხდებოდა მაოს ხელისუფლების სათავეში მოსვლამდეც და მისი გარდაცვალების შემდეგაც (დაწვრ. იხ. 2, გვ. 134-144).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის არსებობის პირველი დღეებიდანვე დიდ ინტერესს იჩენს საზღვარგარეთის ჩინური მოსახლეობის მიმართ. ამას მოწმობს ჩინეთში ჩინელ ემიგრანტთა საქმეთა კომიტეტის შექმნა. გარდა ამისა, სრულიად ჩინეთის საკრებულოში წარმომადგენელთა შორის ბევრია საზღვარგარეთელი თანამემამულე (3, გვ. 10-13).

მას შემდეგ, რაც ჩინეთის ხელმძღვანელობა ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ კურსს დაუპირისპირდა და ჰეგემონიზმის პოზიციებზე დადგა, საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩინურ მოსახლეობასთან კონსოლიდაცია პეკინის საგარეო კურსთან ურთიერთკავშირში ხდებოდა.

თანამედროვე ჩინეთის ხელისუფალნი წარმატებით იყენებენ სამშობლოს გარეთ არსებულ ჩინურ ეთნიკურ ჯგუფებს ამა თუ იმ ქვეყანაში ჩინური კულტურის და საზოგადოებრივი აზრის პროპაგანდის მიზნით, რასაც ხელს უწყობს ჩინეთის სულ უფრო მზარდი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე და მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. The Chinese in Indonesia, Ed. by J.A.C.Makye, Melbourne, 1976.
2. დაწ. იხ. Josey Alex, Lee kuan Yew. The struggle for Singapore, Australia, 1976, p. 134-144.
3. Этнические китайцы во Вьетнаме, Ханой, 1979, с.10-13. (რუსულ ენაზე).
4. "Asian Survey", Berkley, 1976, vol. 16, № 8.

ზაზა ბეჟიტაშვილი

## 1925–1927 წლების რევოლუცია ჩინეთში

1925–1927 წლების რევოლუცია ჩინელი ხალხის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. რევოლუციური მოძრაობა ჩინეთში 1911 წელს დაიწყო, რის შედეგადაც მანჩჟურიელთა დინასტია დაემხო და რესპუბლიკურმა წყობამ გაიმარჯვა. რევოლუციური პროცესი ჩინეთში 1949 წლამდე გაგრძელდა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა. ჩინეთის 1925–1927 წლების რევოლუციის ამოცანა ქვეყნის ეროვნული ერთობის, სრული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, მართვის დემოკრატიული ფორმებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისათვის ბრძოლა იყო. 1925–1927 წლების რევოლუციის სახით ჩინელი ხალხის ეროვნულ მოძრაობას ახალი ძალა შეემატა. ფართოდ გაიშალა ბრძოლა კოლონიზატორების წინააღმდეგ, რომელთაც ჩინეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური დამორჩილება, და ბოლოს ქვეყნის გავლენის სფეროებად დანაწილება სურდათ. რევოლუციამ თვალნათლივ დაანახა ჩინელ ხალხს, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა საყოველთაო სახალხო საქმეა, მან ხელი შეუწყო ჩინეთის ყველა სოციალური ფენის დაახლოებას და კონსოლიდაციას, რაც ეროვნული აღორძინებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში წარმატების აუცილებელი პირობა იყო.

სინხაის რევოლუციიდან დაწყებული, 1925–1927 წლების რევოლუციამდე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელმძღვანელობდა, სუნ იატ-სენის მიერ დაარსებული გომინდანის პარტია. ეროვნული მოძრაობის დროს ძირითადად ეს პარტია განსაზღვრავდა რევოლუციური ბრძოლის ფორმებს და მეთოდებს. გომინდანი ჩინეთის პირველი პოლიტიკური პარტია იყო. იგი თავისი ორგანიზაციით, სამუშაო სტილითა და მეთოდებით ძირეულად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული პარტიებისაგან და მოდელებს, პროლეტარული ძი-

პის პოლიტიკური პარტიებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. გომინდანის წევრები ხშირად ოპოზიციაში ედგნენ თავიანთ ბელადს. მაგრამ საერთო ჯამში მაინც მას მიჰყვებოდნენ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, 20-ანი წლების დასაწყისში ამ პარტიის პოლიტიკურ ორიენტაციაში რადიკალური ცვლილებები მოხდა. მისმა პროგრამამ კი მოდერნიზაცია განიცადა. სუნ იატ სენი, რომელმაც თავის "სამ სახალხო პრინციპზე" ჩინეთის გარდაქმნა სცადა, იწყებს რუსეთის სოციალისტური რევოლუციის არსის, მისი მამოძრავებელი ძალების, მიზნების და შედეგების ზედმიწევნით შესწავლას. მისი აზრით, რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია ჩინეთში აღიარებულ "განვითარების სამ პრინციპს" მიესადაგებოდა. გაეცნო რა ოქტომბრის რევოლუციის პრაქტიკას და მიმდინარეობას, სუნ იატ სენი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩინეთში აუცილებელი იყო ძლიერი ეროვნული არმიის შექმნა, არმიისა, რომელიც გომინდანის რევოლუციურ ინტერესებს დაექვემდებარებოდა და მის მიზნებს განახორციელებდა. კომინტერნის დახმარებითა და რუსეთის სოციალისტური რევოლუციის გავლენით მთაგონებული სუნ იატ სენი ხელს ჰკიდებს გომინდანის რეორგანიზაციას და 1921 წელს დაარსებულ ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან იწყებს თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან გომინდანიც და კომუნისტური პარტიაც სხვა პარტიებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას უარყოფდნენ, სუნ იატ სენი დასთანხმდა ჩინელი კომუნისტები გომინდანის პარტიის წევრებად მიეღოთ (1, 154). ასევე კომუნისტურმა პარტიამ რევოლუციური ძალების ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობით გომინდანთან თანამშრომლობა დაიწყო. ჩინეთის კომპარტია, რომელიც სუნ იატ სენს არათანმიმდევრულობის, მილიტარისტებთან და იმპერიალისტებთან შეთანხმებული პოლიტიკის გამო აკრიტიკებდა, მისი მოკავშირე გახდა, სცნო ბელადის ავტორიტეტი და, კომინტერნის რეკომენდაციის მიხედვით, მათ ერთად დაიწყეს გომინდანის რეორგანიზაცია. იღებდა რა რუსეთიდან სამხედრო-პოლიტი-

კერ მხარდაჭერას, სუნ იატ სენი ჩინეთის სოციალური და ეროვნული პრობლემების გადაჭრაში მარქსიზმით მაინც არ ხელმძღვანელობდა. იგი ამ მოძღვრებას "სამი ხალხური პრინციპის" მეგობარს უწოდებდა. მისი პოლიტიკური შეხედულებები ძირეულად განსხვავდებოდა ისეთი ჩინელი მარქსისტი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებებისაგან, როგორიც იყვნენ ჩენ დუ სიუ და ლი და ჩჟაო. ამ უკანასკნელთ ბრმად სწამდათ, რომ მეცნიერული სოციალიზმის შესწავლა ერთადერთი და აუცილებელი პირობა იყო ჩინეთის ეროვნული გადარჩენის წარმატებით დაგვირგვინების გზაზე. მათ სჯეროდათ, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა მხოლოდ სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვებით შეიძლებოდა. სუნ იატ სენიც და ჩინელი კომუნისტებიც აპირებდნენ საბჭოთა რუსეთის რევოლუციური გზა გაევლოთ, თუმცა მათი შეხედულებანი რუსეთის რევოლუციის არსისა და შედეგების გაგებაში ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდებოდა. ჩინეთში ადგილობრივი მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთად ბრძოლის პირველ ეტაპზე სუნ იატ სენსა და კომუნისტებს შორის პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობა არც იგრძნობოდა, ხოლო 1925-1927 წლების, რევოლუციის დასაწყისისათვის მათ შორის აშკარა უთანხმოებებმა იჩინეს თავი. კომუნისტები გომინდანის შემადგენლობას ყოფდნენ სამ ნაწილად: მემარცხენე, მემარჯვენე და საშუალო გომინდანელებად, ჩინეთის კომპარტია გომინდანში ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, იგი მის მემარცხენე ფრთაზე ახდენდა ორიენტაციას. გომინდანის მემარცხენე ფრთას მუშები, გლეხები, ინტელიგენტები და რადიკალური ელემენტები შეადგენდნენ. მემარჯვენე-ბიუროკრატები, სამხედროები, პოლიტიკოსები, და კაპიტალისტები, ხოლო საშუალო ჯგუფში წვრილი ბურჟუაზია და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია შედიოდა. სუნ იატ სენს გომინდანის მემარჯვენე ფრთა ემხრობოდა. ისინი გადამწყვეტ პირობად ჩინეთის რევოლუციაში სამხედრო ძა-

ლის გამოყენებას მიიჩნევდნენ, მათი აზრით, რევოლუციისათვის მუშათა და გლეხთა მოძრაობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ჩინელი კომუნისტებისათვის ძნელი იყო გომინდანელების დარწმუნება, რომ რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა მუშათა კლასი იყო, ხოლო გლეხობა მისი საყრდენი. კომუნისტები მოითხოვდნენ, რომ გომინდანს თავის ამოცანად "სამი პრინციპის" განხორციელება კი არა, სოციალიზმის აშენება გამოეცხადებინა (2,66) ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ გომინდანის და მუშათა და გლეხთა დასაახლოებლად. კომუნისტები სუნ იატ სენის სახალხო კეთილდღეობის პრინციპს მხოლოდ ჩინეთის მშრომელებზეავრცელებდნენ. ჩენ დუ სიუ თავის გამოსვლებში აღნიშნავდა, რომ მარტო ერთ გომინდანში ჩინეთის ყველა კლასის თანამშრომლობა მართებული არ იყო. მისი აზრით, ეროვნულ რევოლუციაში დასაშვები იყო კლასების მხოლოდ პოლიტიკური თანამშრომლობა, და არა ეკონომიკური, რომელიც შრომასა და კაპიტალს შორის კომპრომისს გულისხმობდა. ჩინელ კომუნისტებს მიუღებლად მიაჩნდათ ის ფაქტი, რომ გომინდანი ჩრდილოელ მილიტარისტებთან მოლაპარაკებას ცდილობდა და მათთან შეთანხმება სურდა. ებრძოდა რა, მემარჯვენე გომინდანელებს, ჩინეთის კომპარტია ყოველნაირად ცდილობდა სუნ იატ სენის რეპუტაციისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა. კომუნისტები სუნ იატ სენს თანამიმდევრულ და გაბედულ რევოლუციონერად იხსენიებდნენ და ამბობდნენ, რომ მისი წყალობით ჩინეთის რევოლუცია წარმატებით განაგრძობდა წინსვლას. სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო საქმე: კომუნისტების პერიოდულ გაზეთში "სიანდაოში", ისეთი სტატიები იბეჭდებოდა, რომელთა შინაარსიც სუნ იატ სენის, როგორც თანამიმდევრული და ვაჟკაცი რევოლუციონერის, ავტორიტეტს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. იმისათვის, რომ ეროვნული რევოლუციისათვის სახალხო ხასიათი მიეცათ, ჩინელი კომუნისტები უარყოფდნენ ჩრდილოელ მილიტარისტთა წინააღმდეგ მარტო სამხედრო მეთოდებით ბრძოლის ტაქტიკას.

მათი აზრით, საჭირო იყო საყოველთაო აჯანყებისაკენ აელოთ გეზი, რომელშიც ჩინეთის მოსახლეობის ყველა ფენა – არმია, მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მიიღებდა მონაწილეობას. საყოველთაო აჯანყებაში ბურჟუაზიის მონაწილეობაზე კი, კრინტიც არ იყო დაძრული. პეკინში 1924 წლის ოქტომბერში ფენ იუ სიანის არმია გამოვიდა ჩრდილოელი მილიტარისტების მეთაურის უ პეი ფუს წინააღმდეგ. ფენ იუ სიანმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა პოლიტიკური სისტემის რეფორმას და რევოლუცია უარყო. მან მისდამი დაქვემდებარებულ ჯარის ნაწილებს ეროვნული არმია დაარქვა და ჩინელებს, ეროვნული ერთიანობის მიღწევის და მშვიდობის დამყარების მიზნით, კონფერენციის მოწვევისაკენ მოუწოდა (3, 55). სუნ იატ სენი სიხარულით მიეგება კონფერენციის მოწყობის იდეას და მასში მონაწილეობაზე მზადყოფნა გამოთქვა. ამან ჩინეთის კომუნისტების გულისწყრომა გამოიწვია: მათ სუნ იატ სენს მოუწოდეს, არ ნდობოდა მილიტარისტებს და მხოლოდ მუშათა და გლეხთა მასებს დაყრდნობოდა, რომლებიც კომუნისტების მცდარი დასკვნით ვითომდა უკვე რევოლუციურ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი.

1925 წლის მარტში, სუნ იატ სენის გარდაცვალების შემდეგ, გომინდანსა და ჩინეთის კომპარტიას შორის ურთიერთობა დაიძაბა. საკითხი ჩინეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისა და მისი ხასიათის შესახებ მწვავე უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის მიზეზი გახდა. ჩინეთის კომუნისტებს არ სურდათ ეროვნულ ბურჟუაზიასთან რაიმე კავშირი ჰქონოდათ, მათ რუსეთის გამოცდილებიდან ბრმად გადმოიღეს ის ფაქტი, რომ რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ მარტომარტო მუშათა და გლეხთა კლასზე დაყრდნობით გაიმარჯვა. რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა, პოლიტიკური სიტუაცია კლასების და სოციალური ფენის სტრუქტურა, ჩინური ანალოგებისგან ძირეულად განსხვავდებოდა. გარდა ამისა, რუსეთს სხვა პოლიტიკური და რევოლუ-

ციური წარსული ჰქონდა, ამას ემატებოდა რელიგიური და საზოგადო-ებრივი აზრის სხვაობა, რისი დანახვაც ჰეგემონისტური სულისკვეთებით გაბრუებულ ჩინელ კომუნისტებს სულაც არ სურდათ. სუნ იატ სენის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერისადმი მიმართვაში ჩინეთის კომპარტიამ ეროვნული მოძრაობის მონაწილეებს სიფხიზლისა და თავდაცვისაკენ მოუწოდა. მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ ჩინეთის ბედი თვით ჩინელი ხალხის ხელში იყო და ამიტომ ყველა სოციალური ძალა – მუშათა და გლეხთა კლასი, ინტელიგენცია ჩინეთის მომავლისათვის საბრძოლველად უნდა დარაზმულიყო (4, 889). მოწოდებაში რატომღაც არ იყო ნახსენები ჩინეთის ბურჟუაზია, სხვა ოფიციალურ გამოსვლებშიც ხშირად ხდებოდა მისი პოლიტიკური როლისა და მდგომარეობის უგულებელყოფა. ჩინელი კომუნისტები უფრო შორსაც მიდიოდნენ, თავიანთი პოლიტიკური აზრის მოწინააღმდეგეებს გარდაცვლილი ბელადის მოწინააღმდეგეებად ნათლავდნენ. 1925 წლის იანვარში ჩინეთის კომპარტიის მე-4 ყრილობაზე მიღებულ იქნა დადგენილება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ. ეს ფაქტი ჩინელი კომუნისტების პოლიტიკურ უმეცრებაზე მიუთითებდა. ჩინეთის კომპარტია ხომ ამ დროისათვის ათასზე ნაკლებ პარტიის წევრს ითვლიდა, როგორც ჩანს, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები ობიექტურ პირობებს სუბიექტური შეხედულებების მიხედვით უგულებელყოფდნენ და სასურველს სინამდვილედ მიიჩნევდნენ. ისინი უფრო შორსაც წავიდნენ და დღის წესრიგში ჩინეთის რევოლუციაში პროლეტარიატის მიერ ჰეგემონიის მოპოვების საკითხი დააყენეს. ასეთი მცდარი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა საფრთხეს უქმნიდა ჩინეთის ერთიანი ფრონტის მთლიანობას, მოსალოდნელი იყო გომინდანთან განხეთქილება, გომინდანელებს აღიზიანებდათ კომუნისტების "თავხედობა" და მათ ასეთ საქციელს სხვის საქმეში უცერემონიო ჩარევად თვლიდნენ. ისინი კომუნისტებში უკვე თავიანთ მოწინა-

აღმდეგეებს ხედავდნენ. მათი აზრით, კომუნისტებს გომინდანის სათავეში მოქცევა დაუმსახურებლად უნდოდათ. მუდმივი წამოძახება და უსაფუძვლო გამოთქმება იმისა, რომ ჩინეთის რევოლუცია მსოფლიო პროლეტარული რევოლუციური პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ჩინეთის ინტელიგენციაში, პოლიტიკურ და განათლებულ წრეებში აღშფოთებას იწვევდა. ჩინელი კომუნისტების ასეთი საკომანდო-პოლიტიკური ამბიციები განპირობებული იყო არა საკუთარი თავის ძალის რწმენით, ან მათდამი ჩინელი ხალხის თანაგრძნობით, არამედ იმით, რომ მათ უკან კომინტერნი და საბჭოთა რუსეთი იდგა. საბჭოთა რუსეთის სამხედრო დახმარებითა და საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური მხარდაჭერით შეგულიანებული ჩინელი კომუნისტები ბურჟუაზიასაც ავრცელებდნენ თავიანთ ჰეგემონისტურ პრეტენზიებს. ჩინეთის ბურჟუაზია კი ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით არც ისე სუსტი და ღონემიხდილი იყო, მათ დიქტატს რომ დამორჩილებოდა. სუნ იატ სენის ავტორიტეტის წყალობით და პირადად მისი მეცადინეობით, ჩინელმა კომუნისტებმა შეძლეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულიყვნენ და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის იერარქიულ სტრუქტურაში პრესტიჟული ადგილი დაეკავებინათ. ჩინეთის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა სულაც არ ისახავდა მიზნად საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას, პირიქით, ამ მოძრაობას ეროვნული ბურჟუაზიის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი ედგა სათავეში. ჩინეთის კომპარტიის განცხადება, რომ პროლეტარიატს არა მარტო იმპერიალისტების, არამედ საკუთარი ბურჟუაზიის დასამხობადაც უნდა ებრძოლა, ხალხის თვალში მის ავტორიტეტს ძირს სცემდა. ისტორიული პროცესისათვის წინ გასწრება, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის საღად შეუფასებლობა, და ძალთა კლასობრივ თანაფარდობაზე მცდარი წარმოდგენა ჩინელ კომუნისტებს აფიქრებინებდა, რომ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება, სოციალისტური რევოლუციის მოხდენის

ტილფასი იყო. ჩინელმა კომუნისტებმა თავიანთი ჰეგემონისტური პრეტენზიებით დააშინეს ეროვნული ბურჟუაზია და ეს უკანასკნელიც იძულებული გახდა კავშირი შეეკრა ისეთ მოწინააღმდეგეებთან, რომელთანაც საერთო-კლასობრივი ინტერესები გააჩნდა. მემამულეები, კომპრადორები და ამდაგ წარმოშობილი სამრეწველო ბურჟუაზიაც კონტრრევოლუციურად და ჩინელი ხალხის მტრად იქნა გამოცხადებული. ამან ბუნებრივია, ხელოსნობა, ინტელიგენცია, ვაჭართა ფენა და ღარიბების ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე დააყენა. კომუნისტების მცდელობა ჩინეთის მოსახლეობა იმპერიალიზმთან საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩაება მარცხით დამთავრდა.

ჩინეთის რევოლუციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სამხედრო ფაქტორის არსებობა იყო. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ყოფილი საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიქმნა ჩინეთის შეიარაღებული ძალები. ეს ჩინეთის რევოლუციას ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ სხვადასხვა ეტაპზე სამხედრო ფაქტორის დომინირება ჩინელი ხალხის ბრძოლას გომინდანის არმიის პოზიციებზე დამოკიდებულს ხდიდა. ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ 1925–1927 წლების რევოლუციაში ბრძოლის მთავარი ფორმა ომის წარმოება იყო. რევოლუციის მსვლელობის დროს ბრძოლის მრავალი განსხვავებული ფორმა ერთმანეთთან იყო შერწყმული. მათ შორის იყო მასობრივი გაფიცვები, მუშათა აჯანყებები, უცხოელთა კონცესიების დაპატრონების შემთხვევები, პროვინციებში გლეხთა ბრძოლა და ა. შ. ასე იყო თუ ისე, ეროვნულ-რევოლუციური არმიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩინელი ხალხის მასების მხარდაჭერას ჰქონდა.

დიდ ინტერესს იწვევს ჩინეთის რევოლუციის პერიოდიზაცია იმ თვისებების გამო, რომ იგი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, ადგილობრივი თვითმყოფადობისათვის დამახასიათებელი განსხვავებული სახით და არათანადროულად მიმდინარეობდა. ეს ბევრი მიზეზით აიხსნე-

ზოდა: მათგან რამდენიმე მთავარი არის ის, რომ ჩინეთის რაიონები ეკონომიკურად არათანაბარი ვითარდებოდა, მათი მოსახლეობის რევოლუციური ბრძოლის ტრადიციებიც ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებოდა, ხოლო ამას ისიც ემატებოდა, რომ ჩინეთი პოლიტიკურად დაქსაქსული იყო. მაგალითად, დასავლეთ ან ჩრდილოეთ ჩინეთთან შედარებით გუანდუნის პროვინციაში მილიტარისტთა და იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლის უკეთესი პირობები იყო. სწორედ ამიტომ გუანდუნი გახდა 1925-1927 წლებში - ჩინეთის რევოლუციის ჩასახვის ადგილი. ხშირად ისტორიკოსები "გუანდუნის პერიოდს" ჩინეთის რევოლუციის მოსამზადებელ ეტაპად თვლიან, ეს იმის გამო, რომ აქ შეიქმნა ერთიანი ეროვნულ-რევოლუციური ფრონტი, პირველი რევოლუციური ორგანიზაციები და რევოლუციური არმიის ბირთვი. თუ გავითვალისწინებთ ბევრ ისეთ ფაქტორს, როგორიცაა ბრძოლის სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის არსებობა, კლასობრივი ძალების განლაგება, რევოლუციის აღმავალი და დაღმავალი ხაზით სვლა, მასების აქტივობის სხვადასხვა პერიოდი და რეაქციის შემოტევა, ჩინეთის 1925-1927 წლების რევოლუცია შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად: პირველი ეტაპი - ეს რევოლუციის აღმავლობის პერიოდია, რომელიც 30 მაისის ამბებით დაიწყო. მასში შედის შანხაის და სიანგან-გუანჯოუს საყოველთაო გაფიცვები, რევოლუციური მთავრობის მიერ გუანდუნის გაერთიანება, ჩინეთის ჩრდილოეთში პატრიოტული ძალების დამარცხება და 1926 წლის 20 მარტის ჩან კაი-შის გადატრიალება გუანჯოუში. მეორე ეტაპი - რევოლუციის ახალი აღმავლობაა, ესაა აჯანყებები მდინარე იანძის დაბლობზე, 1927 წლის მარტში შანხაის მუშების აჯანყება, ჩინეთის ბურჟუაზიის საზღვარგარეთის კაპიტალისტურ წრეებთან დაახლოება და აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთში რევოლუციის დამარცხება. მესამე ეტაპი, რევოლუციის ცენტრალური ჩინეთის ტერიტორიაზე გავრცელებას ეხება, მასში შედის გომინდანის და კომპარტიის უთანხმოებათა ქრონიკა და 1925-1927 წლების ჩინეთის რევოლუციის დამარცხება.

1925 წლის გაზაფხულის დასაწყისში ჩინეთში "ზედა ფენების" კრიზისი გამწვავდა, მასში ჩართული იყვნენ როგორც იმპერიალისტური ძალები, ასევე ჩინეთის მემამულენი და კომპრადორული ბურჟუაზია. ომის შემდგომ მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნები ორჯერ ეცადა კრიზისული სიტუაციის გამოსწორებას: ერთი, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე 1919 წელს, როდესაც ჩინეთის შანდუნის პროვინცია იაპონიას გადაეცა, და მეორე - ვაშინგტონის კონფერენციაზე 1921-1922 წლებში, როცა მიღწეულ იქნა სახელმწიფოს შეთანხმება ჩინეთის შესახებ.

1924 წელი და 1925 წლის პირველი ხუთი თვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით აღინიშნებოდა. გუანდუნის პროვინცია გადაიქცა უცხოელ მოძალადეთა, მილიტარისტთა და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად. ავანგარდში გამოდიოდნენ გლეხები და მუშები, მათ ემხრობოდნენ ჩინეთის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული ფენა და პროგრესულად მოაზროვნე ჩინელი ინტელიგენცია. ეროვნული ბურჟუაზიის დიდი ნაწილი მათი მომხრე იყო, მაგრამ ისინი კომპრომისული პოლიტიკისაკენ იხრებოდნენ. გუანდუნში რევოლუციური ბაზის განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური სიტუაციის გაღრმავებისათვის. აქედან გამომდინარე, იმპერიალისტები სასტიკად გაუსწორდნენ პატრიოტულ დემონსტრაციას შანხაიში, 1925 წლის 30 მაისს, რამაც საყოველთაო რევოლუციური აფეთქება გამოიწვია. დაიწყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც კოლონიზატორებისა და ფეოდალურ-მილიტარისტული წრეების წინააღმდეგ იყო მიმართული.

1925 წლის თებერვალში შანხაის ფეიქარია გაფიცვის შემდეგ იაპონელი კაპიტალისტები ყოველმხრივ ცდილობდნენ მუშათა მოძრაობის პაციფიკაციას. მათ სამუშაოდან დაითხოვეს 40-ზე მეტი პროფკავშირის აქტივისტი, აგრეთვე მოახდინეს მუშათა ხელფასებიდან მნიშვნე-

ლოვანი თანხის დაქვითვა, ამის საპასუხოდ 1925 წლის მაისში კვლავ გაიფიცა 6 საფეიქრო საწარმო. მაგრამ გაფიცულთათვის არახელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა. იმასთან დაკავშირებით რომ, ბამბის ნედლეულზე ფასებმა აიწია, ფაბრიკანტებმა დროებით შეაჩერეს წარმოება. 11 მაისს მუშები გამოვიდნენ სამუშაოზე, მაგრამ ფაბრიკანტებმა ისინი ფაბრიკის ტერიტორიიდან ძალით გარეკეს.

15 მაისს დილით, მას შემდეგ, რაც შესაბამისი ფულადი ანაზღაურების მიცემის ნაცვლად უარით გაისტუმრეს მუშები, მათმა ლიდერმა გუ ჩჟენ ხუნმა და სამოცმა მუშამ კარები ძალით გააღო, და თავიანთ დაზგებს მიაშურა. გაიგეს რა მუშათა თვითნებობის შესახებ, იაპონელმა ფაბრიკანტებმა, ზედამხედველების თანხლებით, იარაღის მუქარით გარეკეს მუშები, გუ ჩჟენ ხუნი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ფაბრიკანტის საქციელით აღშფოთებულმა მუშებმა კატეგორიულად მოითხოვეს დამნაშავეთა დასჯა, მოკლულის ოჯახისათვის კომპენსაციის გაცემა, დაჭრილი მუშების ოჯახებისათვის დახმარების გაწევა, მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ მუშებმა შანხაის მთელ მოსახლეობას მოუწოდეს მათ დახმარებოდნენ, პროფკავშირების ინიციატივით მოწვეული იქნა 35 საზოგადოებრივი ორგანიზაციის თათბირი, სადაც იაპონელთა თვითნებობაზე შურისძიების გეგმა შეიმუშავეს. იაპონურ საქონელზე ბოიკოტი უნდა გამოცხადებულიყო, ხოლო დაზარალებული მუშებისათვის სახსრები უნდა შეეგროვებინათ. 21 მაისს ვენ ჩჟის უნივერსიტეტის სტუდენტები დაკავებულ იქნენ საერთაშორისო სეტლმენტის პოლიციის მიერ, მუშებისათვის გაწეული სოლიდარობის გამო. საერთაშორისო სეტლმენტის პოლიციამ გუ ჩჟენ ხუნის დასაფლავების დროს სამგლოვიარო მიტინგზე ბევრი დააპატიმრა, მათ შორის იყვნენ შანხაის უნივერსიტეტის სტუდენტები.

შანხაის მუშათა გაფიცვამ გამოძახილი ჰპოვა ქ. ცინდაოს მოსახლეობაში, გაიფიცნენ ჯინრიქშები და მათ დემოკრატიული ფენებიც თანა-

უგრძნობდნენ. იაპონელი ფაბრიკანტების მოთხოვნით ჩინეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა აქტივისტები. ქალაქში დაიწყო რეპრესიები, პროფკავშირები დახურეს, ხოლო იაპონიის ორი სამხედრო გემი, რომლებიც პორტ-არტურიდან გამოიძახეს, შევიდა ცინდაოს ნავსადგურში. შეიარაღებული გზით 14 ივნისს აიძულეს მუშები გამოსულიყვნენ სამუშაოდ, მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც ცინდაოს ამბები უკვე რევოლუციური მოძრაობის დაწყებას მოასწავებდა, მოძრაობისა, რომელიც 1925 წლის 30 მაისის მოძრაობით იყო ცნობილი ჩინეთის ისტორიაში.

დილა ადრე, 30 მაისს შანხაის უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებლების სტუდენტები გამოვიდნენ ქუჩებში და უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდებს ხალხს. თავიდან დემონსტრაციაში 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, ისინი იაპონიის საკონსულოსაკენ გაემართნენ. მათ გზადაგზა დიდი რაოდენობით უერთდებოდნენ. შემდეგ გამოვიდნენ საერთაშორისო სეტლმენტის მთავარ ქუჩაზე, რომელიც ნანკინის სახელს ატარებდა. გაისმოდა მოწოდებები: "დაუბრუნეთ შანხაი ჩინელებს", "ჩინელები გაერთიანდით", "ძირს იმპერიალისტები" და სხვა. ხელისუფლებამ 160 კაცი დააპატიმრა, ესენი იყვნენ სტუდენტები და მუშები. ამის საპასუხოდ მოგვიანებით პოლიციასთან 10 ათასი კაცი შეიკრიბა და მოითხოვეს მათი განთავისუფლება. პოლიციის ოფიცერმა ბრძანება გასცა ესროლათ იქ შეკრებილთათვის. ამის შედეგად ათი კაცი დაიღუპა, რამდენიმე ათეული ადამიანი კი დაიჭრა.

31 მაისს შანხაის ქუჩებში გრძელდებოდა დემონსტრაციები და მიტინგები, კვლავ მიმდინარეობდა დაპატიმრებები, შანხაის ცენტრში გაავრცელეს ბროშურები, რომლებიც მოუწოდებდნენ იაპონური საქონლის ბოიკოტისაკენ და ვაჭრობის შეწყვეტისაკენ. ხალხის მასები აქტიურად ებმებოდა უცხოელთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დაიწყო 1925-1927 წლების ჩინეთის რევოლუცია.

1 ივნისს შანხაის საწარმოების უმრავლესობა გაფიცული იყო. ეს დღე გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვის დღედ. შანხაის მოსახლეობის დემოკრატიული ნაწილის გავლენით გაფიცულთა მოძრაობას ეროვნული ბურჟუაზიაც შეუერთდა. ამრიგად, უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული ფრონტი. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა მუშათა, სტუდენტების და ვაჭრების გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც საყოველთაო სახელმძღვანელო ორგანოს წარმოადგენდა. გაერთიანებულ კომიტეტში წამყვანი ადგილი პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს ეკავა, მას ლი ლი სანი მეთაურობდა (5, 94). ამ უკანასკნელმა შანხაის გენერალურ სავაჭრო პალატას თანამშრომლობა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო, სავაჭრო პალატას ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული კონფრონტაციის მხარდაჭერა შეცდომად მიაჩნდა. მას სურდა, რომ იაპონელი და ინგლისელი მეწარმეები და ადგილობრივი ხელისუფლება დათმობაზე მოლაპარაკების საშუალებით წასულიყო.

7 ივნისს მუშათა, ვაჭართა და სტუდენტთა გაერთიანებულმა კომიტეტმა დეკლარაცია გამოაქვეყნა, იგი შეიცავდა 17 მოთხოვნას. მასში ნათქვამი იყო, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაენთავისუფლებინათ დაპატიმრებული ჩინელები, მიეცათ სეტლმენტის ტერიტორიაზე სიტყვის და პრესის თავისუფლების ნება, ლეგალიზებული ყოფილიყო გაფიცვების მოწყობა, გაუქმებულიყო შერეული ჩინეთ-უცხოეთის სასამართლოები, დასჯილი ყოფილიყვნენ ხოცვა-ჟლეტის მომწყობი დამნაშავეები, გაეუქმებინათ სამხედრო მდგომარეობა და საკონსულო იურისდიქცია, სამუდამოდ გაეყვანათ იაპონიისა და ინგლისის საზღვაო ქვეითი ჯარი და სხვ.

30 მაისის მოძრაობის დროს შანხაის ბურჟუაზია სხვადასხვა მიზნებს ისახავდა. მაგალითად, ჩინური საქონლით მოვაჭრეები, ჩინელი ბანკირები და სავაჭრო გემების მფლობელები ცდილობდნენ ესარგებლათ უცხოელი კაპიტალისტების გაფიცვებით და მხარი დაუჭირეს

საგაფიცვო მოძრაობას. ხოლო საზღვარგარეთიდან შემოსული საქონლის მოვაჭრენი ჩინეთ-საზღვარგარეთის შერეული ბანკების მფლობელები გაფიცვის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ჩინელი მეწარმეები, კერძოდ, სავაჭრო საწარმოების მეპატრონენი თავიდან გაფიცულთა მხარეზე იყვნენ, მაგრამ როდესაც გაფიცვა ჩინურ საწარმოებსაც მოედო, სამრეწველო ბურჟუაზია გაფიცულთა წინააღმდეგ გამოვიდა, მისთვის ჩინური საწარმოების მოცდენა ეკონომიკურად დიდი ზარალის მომტანი იყო. ჩინური სავაჭრო საწარმოების მეპატრონეებმა იაპონელ კაპიტალისტებს პროტესტიც კი განუცხადეს, როდესაც ეს უკანასკნელნი გაფიცვის შეწყვეტის მიზნით დათმობაზე წავიდნენ და ხელფასი 10%-ით გაზარდეს. გარდა ამისა, პროფკავშირები ამიერიდან აღიარებულ იქნენ მუშათა წარმომადგენლობით ორგანოდ.

უახლესი პერიოდის დამდეგს ჩინეთის ბურჟუაზიას ბევრი ისეთი თავისებურება გააჩნდა, რაც მას სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიისაგან განასხვავებდა. ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩინეთის ეკონომიკის ნახევრადკოლონიურ და ნახევრადფეოდალურ ხასიათს. ბურჟუაზია ჩინეთში 1925-1927 წლებში დუალისტურად გამოიყურებოდა, ერთი ეს იყო კომპრადორული, მეორე - ეროვნული. 80-იანი წლების საბჭოთა და ჩინურ ისტორიოგრაფიაში პირველს რეაქციულ წრეებს მიაკუთვნებდნენ და მისი სტრუქტურის კვლევაც ამდენად ყურადღებას მოკლებული იყო. სამაგიეროდ, მეორეს მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ, რადგანაც მისი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი, წვრილი ბურჟუაზია რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ჩინური ბურჟუაზიის გენეტიკური და სოციალური მრავალფეროვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩინეთის ქალაქებში კაპიტალისტური წყობის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებებთან. ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა მანუფაქტურული წარმოების ჩანასახიდან მდგომარეობაში ყოფნა, უცხოური კაპიტალის ბატონობა

საგრძნობ გავლენას ახდენდა ჩინური ბურჟუაზიის გენეზისზე. ჩინეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენა, ვაჭრები, მევახშეები, მეწარმეები, კომპრადორები, მემამულეები, ქალაქის ბიუროკრატიის წარმომადგენლები განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდნენ განსხვავებული იყო მათი საზოგადოებრივი აზრი და ქცევის ნორმები. გახდნენ რა კერძო მეწარმეები, მათ გაუჩნდათ საერთო ბურჟუაზიული ინტერესები, მაგრამ, ამასთანავე, ისინი თავიანთი ძველი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სტერეოტიპებსაც ინარჩუნებდნენ. სინოლოგი ო. ნეპომნინი ასახელებს ცინთა დიდგვაროვნებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ რა ჩინეთში კაპიტალისტური წარმოების განვითარებას, ამავე დროს, ცდილობდნენ იგი ფეოდალური ურთიერთობისათვის მისადაგებინათ (6, 491-492). სამრეწველო ბურჟუაზიის ზედა ფენას მსხვილი მოხელეები, მემამულეები წარმოადგენდნენ, ისინი გადაჯაჭვულნი იყვნენ ფეოდალურ-ბიუროკრატიულ აპარატთან. ხოლო მანუფაქტურული და სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წარმომადგენელი ბურჟუაზია სუსტი იყო და ამდენად, კაპიტალისტური წარმოების განვითარებაში ის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

20-იანი წლების დასაწყისის ჩინეთის ბურჟუაზიას ხშირად მიაკუთვნებდნენ საზოგადოების იმ კლასს, რომელიც ფორმირების პროცესში იმყოფებოდა, ან კიდევ მას ისე განიხილავდნენ, როგორც არასრულყოფილ კლასობრივ წარმონაქმნს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ბურჟუაზია, თვისობრივად რამდენიმე გათიშულ ფენად იყოფოდა და სხვადასხვა ურთიერთსაპირისპირო ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენდა. მათ შორის იყვნენ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონენი და მმართველები, ეროვნულ-საზღვარგარეთული ბურჟუაზია, კერძო და შერეული სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის გათვალისწინებით ყოფილი საბჭოთა მკვლევარი აბ. მელიქსეტოვი რევოლუციის პერიოდში ჩინეთის ბურჟუაზიას ყოფდა 3 ჯგუფად: 1. კარგად განვითარებული სამრეწველო ბურჟუაზია, 2. მა-

ნუფაქტურული ბურჟუაზია. ვ. სოფლის ბურჟუაზია (7, 33).

ჩინეთის ბურჟუაზიის წარმოშობის შესწავლისა და მისი სტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზიდან ჩანს მისი ფორმირების დაუმთავრებელი ხასიათი, მისი სოციალური სიჭრელე და კონსოლიდაციის გაჭიანურებული პროცესი. ჩინელი ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწენი - ჰუ შუ ჩუი, ტან პინ სიანი, ციუ ციუ ბო (შუან ლინი), ცაი ხე სენი ხაზს უსვამენ ჩინეთის ბურჟუაზიის ერთიან კონსოლიდირებულ კლასად ჩამოყალიბებისთვის ხელისშემშლელ პირობებს - პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისუსტეს, რაც განპირობებული იყო ქვეყნის ნახევრადფეოდალური და ნახევრადკოლონიური მდგომარეობით, ტერიტორიული დაქსაქსულობით (8) (9,61-62) (10) (11) (12,83).

საბჭოთა მეცნიერი ვ. გელბრასი ჩინური ბურჟუაზიის "გათანამედროვების" ჭირვეული ხასიათის მიზეზად ასახელებდა კომპრადორულ ტენდენციებს. ეს იყო საყოველთაო-ეროვნული, ანუ სრულიად ჩინეთის ბაზრის უქონლობა, აგრეთვე ისტორიული პრეცენდენტის არარსებობა და ა.შ. გარდა ამისა, ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩინურ ბურჟუაზიას არ ჰქონდა ანტიფეოდალური პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის საკუთარი ტრადიციები, არ არსებობდნენ სრულიად ჩინეთის მაშტაბის პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციები, არ იყვნენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და იდეოლოგები, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების პროგრამას შეიმუშავებდნენ, და ჩინეთის ბურჟუაზიას ეროვნული თუ სხვა სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის სათავეში დააყენებდნენ.

საბჭოთა და ჩინურ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში (ესენია ზემოთ ხსენებული ნეპომნინის, მელიქსეტოვის, გელბრასის, აგრეთვე სემენოვის, გელერის, დელიუსინის, ჩინელი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ისტორიკოსების - ჩჟოუ ენ-ლაის, მაო ძე-დუნის, ცაი ხე-სენის, ვიუ ციუ-ბოს, ვან ცზიან-მინის, ნაშრომები), ჯერჯერობით

ამომწურავად და სამართლიანად არ არის გაკეთებული ჩინეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი. ავტორები ასახელებენ 1925-1927 წლების ჩინეთის რევოლუციაში ბურჟუაზიის მონაწილეობის მიზეზებს, უარყოფითად აფასებენ მის მერყეობას და ღალატს რევოლუციის მიმართ, რაც, მათი აზრით, ბოლოს იმპერიალიზმთან და რეაქციასთან კომპრომისში გამოიხატა. ბურჟუაზია ტრადიციისამებრ ორ ნაწილად იყოფოდა - ეროვნულ და კომპრადორულ ბურჟუაზიად. ეს უკანასკნელი, რომელსაც მსხვილ ბურჟუაზიას მიაკუთვნებდნენ ჩინელი ისტორიკოსების მიერ ისახებოდა ისე, როგორც რევოლუციის მტერი. მიუხედავად ამისა, სწორი სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი საშუალებას იძლევა მეცნიერულად სათანადო დონეზე შეფასდეს 1925-1927 წლების ჩინეთის ბურჟუაზიის ყველა მხარე, რის შედეგადაც მისი რევოლუციის საქმისადმი "ღალატის" პოზიციით შეფასება რამდენადმე ეჭვს ბადებს. ეროვნული კაპიტალის უსუსურობას, ბურჟუაზიის გაორებამ გამოიწვია ის, რომ იგი პოლიტიკურად არამდგრადი აღმოჩნდა, ხოლო მისი ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ბრძოლა არათანმიმდევრული გახდა, აქედან გამომდინარე, 1925-1927 წლების რევოლუციაში მისი მონაწილეობაც საიმედოდ არ გამოიყურებოდა. ჩინეთის ბურჟუაზიის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ანტიიმპერიალისტურ და ანტიფეოდალურ პოლიტიკას ატარებდა, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტის გამო, შემთანხმებლურ პოზიციაზე დადგა და რეაქციული ძალების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

უკანასკნელ წლებში ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, რომ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ჩინეთის საზოგადოება გარდამავალ-ფორმაციულ პროცესში იმყოფებოდა და ეს პროცესი დიდხანს 1949 წლამდე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებამდე გრძელდებოდა. ჩინეთის საზოგადოების (ბურჟუაზია, მუშათა და გლეხთა კლასი, ინტელიგენცია და სხვა სოციალური ფენები)

ბუნების გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ტრადიციული სტრუქტურების, ასევე ახალი საზოგადოებრივი და საწარმოო ურთიერთობების შესწავლას.

საზოგადოების განვითარება განისაზღვრებოდა მიმდინარე, ტრადიციული, შუალედური და ახალი მოდერნიზაციის საფეხურზე მყოფი პროცესებით. ჩინური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც გარდამავალ ხასიათს ატარებდა და როგორც ძველი, ასევე ახლად წარმოშობილი სოციალური ჯგუფებისა და ფენების ჭარბ რაოდენობაში, მათ შერეულ სტრუქტურაში გამოიხატებოდა. ყოველივე ეს თავისებურ კვალს ტოვებდა ჩინეთის მუშათა კლასსა და გლეხობაზე, რომელიც არაერთგვაროვანი შემადგენლობით ხასიათდებოდა. ჩინეთის მუშათა კლასი შედგებოდა 2 ნაწილისაგან, ერთნი, რომელნიც მანუფაქტურულ ხელოსნურ წარმოებაში იყვნენ დაკავებულნი, მეორენი, რომელნიც მსხვილ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებში მუშაობდნენ.

თანამედროვე მკვლევარები 1925–1927 წლების ჩინეთის რევოლუციის პერიოდში აღნიშნავდნენ, რომ მოსახლეობასთან შედარებით, საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაში დასაქმებული მუშების რაოდენობა მცირე იყო. ჩინეთის მუშათა კლასის შემადგენლობაში ჭარბად იყვნენ ნახევრად პროლეტარული მასები, მუშები, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების უმაღლეს ფორმებთან და ტრადიციულ ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივ წარმოებასთან იყვნენ დაკავშირებულნი[1] (14; 137) (15,102).

---

1 ჩინური სტატისტიკა აღნიშნულ პერიოდში და შემდგომშიც არ იძლევა მუშათა კლასის რაოდენობის, თვისობრივი შემადგენლობის ზუსტი განსაზღვრის საშუალებას. მიახლოებითი განსაზღვრა ეკუთვნის ტ. აკატოვას, ლ. ბერიოზნის და ა. მელიქსეტოვს. ერთი მონაცემებით იგი შეადგენს მოსახლეობის 1%, მეორე – 2,5, მესამე – 600 ათასს. არის ვარაუდი, რომ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში დასაქმებული იყო 2 მლნ. კაცი.

სამრეწველო საწარმოების მუშები მჭიდრო კავშირურთიერთობა-ში იყვნენ სოფლისა და ქალაქის ქვედა ფენებთან, ღარიბებთან. მათ მნიშვნელოვან ნაწილს ქალები და ბავშვები შეადგენდნენ. მათი პო-ლიტიკური თვითშეგნების გაღვიძებისა და თვითგამორკვევისათვის დი-დი მნიშვნელობა ჰქონდა წარმოების თანამედროვე ორგანიზაციას და ტექნიკურ მომზადებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელოსნური და მა-ნუფაქტურული წარმოების მუშები მსხვილი სამრეწველო წარმოების მუშებისაგან მეტი კვალიფიციურობით და ტრადიციებით გამოირჩეოდნენ, ისინი მაინც ფეოდალური წარმოების წესის გავლენას განიცდიდნენ. მათზე დიდ გავლენას ახდენდა მუშათა კლასის რეგიონალური თავისე-ბურებებიც, მაგალითად ჩინეთის სამხრეთში, სადაც მანუფაქტურული წარმოება კარგად იყო განვითარებული, ხელოსნური სოციალური ფენა ჭარბობდა, ხოლო ჩინეთის ცენტრში, სადაც ინდუსტრია იყო ფეხმოკი-დებული, სამრეწველო მუშათა სოციალური ფენა დომინირებდა. აქაც, როგორც ბურჟუაზიის შემთხვევაში, განახლებული იყო მუშათა კლასის კონსოლიდაცია. ჩამოყალიბებული არ იყო მათი კლასობრივი ინტერე-სები და პოლიტიკური თვითშეგნება. თავის დაღს ასვამდა აგრეთვე მსხვილი კაპიტალის განუვითარებლობა, კაპიტალიზმამდელი მეურნეო-ბის ფორმების და წარსულის ბევრი გადმონაშთები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩინეთის მუშების რევოლუციური განწყობილების მომწიფებისათ-ვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეროვნულ ჩაგვრას, რომელსაც ისინი იაპონელი, ინგლისელი და სხვა უცხოელი მჩაგვრელებისაგან განიცდიდნენ. უცხოური კაპიტალი ჩინელ მუშებს უწყალო ექსპლუატა-ციას უწევდა. ადგილი ჰქონდა რასობრივ დისკრიმინაციასაც. უცხოურ საწარმოთა ადმინისტრაციასთან უფრო ხშირი იყო მუშების კონფლიქტი. მათ კლასობრივ გამოსვლებს ანტიიმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა. ეროვნული და კლასობრივი ინტერესები გაერთიანდა, მუშათა კლასი

მოექცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში, ამაღლდა მისი სოციალურ-პოლიტიკური ავტორიტეტი, სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა კლასობრივი სოლიდარობა და ეროვნული ერთიანობა. ეს ძირითადად დამახასიათებელი იყო უცხოური საწარმოო სექტორისათვის; ანტიიმპერიალისტური ხასიათის ლოზუნგები ნაკლებად იზიდავდა ჩინური საწარმოების მუშებს, ისინი ხშირად პოლიტიკურ მოვლენებს დუმილით უვლიდნენ გვერდს (3,4 ; 16), ეროვნული ჩაგვრა მარტო რევოლუციურ გავლენას არ ახდენდა მუშებზე, მას სხვა შედეგებიც ჰქონდა. მაგალითად, ხშირად მუშათა სოციალური ხასიათის მოთხოვნები უგულებელყოფილი რჩებოდა, გარდა ამისა, ჩინეთის მუშათა კლასის ჩამოყალიბებას საფუძველი ჯერ კიდევ ბურჟუაზიის გაჩენამდე ჩაეყარა, რის შედეგადაც ეროვნული შეგნება კლასობრივს უსწრებდა და ამიტომაც მუშებს ყოველთვის არ შეეძლოთ სოციალურ მოთხოვნათა წამოყენება.

აღსანიშნავია ჩინეთის მუშათა მაღალი კონცენტრაცია მნიშვნელოვან კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრებში. აქ ისინი სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. ასეთ კონცენტრაციას დადებითის გარდა ნეგატიური მხარეც ჰქონდა. გაბნეული იყო რა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, მუშათა კლასს არ შეეძლო ჩამოყალიბებულიყო ისეთ სოციალურ ერთეულად, რომელსაც საერთო ინტერესები, ორგანიზაცია, საერთო მიზანი ექნებოდა (17, 29-39) (18, 18) (19, 101). უნდა აღინიშნოს ჩინეთის მუშათა კლასის მჭიდრო კავშირი სოფლის მოსახლეობასთან. ეს ურთიერთობა ემყარებოდა ნათესაურ ან ოჯახურ კავშირს, ხშირად ქალაქში წასული ჩინელები მთლიანად არ წყვეტდნენ კავშირს სოფელთან. გარკვეული რაოდენობის კაპიტალის დაგროვების შემთხვევაში სამუდამოდ უბრუნდებოდნენ პროვინციას. ასეთი სახის მიგრაციას სოფლიდან ქალაქში და პირუკუ, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე ჰქონდა. დადებითი იყო ის, რომ ასეთ შემთხვევაში

არსებობდა გლეხობასთან კავშირის ადვილად დამყარების საშუალება, გლეხობის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის გაფართოება, პოლიტიკური მეგნების განმტკიცება, უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს ის მომენტი, რომ ძლიერდებოდა დენადობა ქალაქის მუშათა კლასისა სოფელში, ხელი ეწყობოდა ტრადიციული სტრუქტურების შენარჩუნებას, რაც სასოფლო სეპარატიზმის გაძლიერებას იწვევდა. გლეხობასთან კავშირის გარდა, ჩინეთის მუშათა კლასი ტრადიციულად იყო დაკავშირებული ფეოდალურ კლასთან. ეს გამოიხატებოდა მუშათა კლასთან ურთიერთობისას კაპიტალისტამდელი ფეოდალურ-პატრიარქალური მეთოდების გამოყენებაში. მუშათა კლასის სიმტკიცეზე დიდ გავლენას ახდენდა ის ფაქტი, რომ მან სრულყოფილად ვერ გაიარა კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმები, რის შედეგადაც იგი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა[X].

ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სტრუქტურის რღვევა და მის წიაღში ახალ ურთიერთობათა ჩამოყალიბება დიდ გავლენას ახდენდა ჩინელი გლეხობის სოციალურ დიფერენციაციაზე. გლეხობის ფენებად დაყოფას შეისწავლიან რუსეთის მეცნიერები – ა. მუგრუზიანი, ო. ნეპომნინი, ა. მელიქსეტოვი და ვ. კურბატოვი. ითვალისწინე-

---

X თანამედროვე ჩინელი ისტორიკოსები 1925–1927 წწ. ჩინეთის რევოლუციაში მუშათა როლის, ადგილის და ფუნქციების განსაზღვრას იძლევიან მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ჩინეთის კომპარტიის თვალსაჩინო მოღვაწეების მიერ გამოთქმული დებულებების მიხედვით. ისინი კრიტიკული ანალიზის გარეშე იზიარებენ ციუ ციუ ბოს, ცაი ხე სენის, ჩჟოუ ენ ლაის, მაო ცზე დუნის გამონათქვამებს, ხაზს უსვამენ იმას, რომ ჩინეთის მუშათა კლასი აღნიშნულ პერიოდში იყო ერთადერთი რეალური, ყველაზე მოწინავე, ყველაზე თანამიმდევრული პოლიტიკური ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა რევოლუცია მოეხდინა, ექსპლუატატორთა კლასები მოესპო და ეროვნული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ყურადღება გამახვილებულია მუშათა კლასის-პროლეტარიატის განსაკუთრებულ მისიაზე, მის უნარზე, სათავეში ჩასდგომოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გამხდარიყო რევოლუციის ჰეგემონი (20, 27-31) (21) (22).

ბენ რა, ჩინეთის საზოგადოების განვითარების თავისებურებებს 1925–1927 წლებში, მის გარდამავალ ხასიათს, მრავალწყობიანობას, კაპიტალისტური ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესის არასრულყოფილ ხასიათს და სოფლად ნახევარფეოდალური წარმოებითი ურთიერთობების არსებობას, ზემოხსენებული ავტორები პირობითად ყოფენ ჩინელ გლეხთა კლასს მდიდარ, საშუალო და ღარიბ სოციალურ ფენებად. მდიდარი გლეხები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯგუფებად იყოფოდნენ. პირველი, შედარებით უფრო დიდი სოციალური ჯგუფი, იყენებდა ექსპლუატაციის ნახევრად ფეოდალურ მეთოდებს და მიწის დიდ ნაწილს იჯარით აძლევდა დასამუშავებლად. მაღალი მიწის რენტა და სხვა გადასახადები ამ გლეხთა ფენას შემამულეებად აქცევდა და მას სოფლის ბურჟუაზიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მეორე, რომელიც რიცხობრივად ნაკლები იყო პირველთან შედარებით, საშუალო გლეხის პოზიციებისაკენ იხრებოდა და წვრილ საწარმოო საქმიანობას ჰკიდებდა ხელს, შემდეგ მათი უმრავლესობა ფერმერულ მეურნეობას უყრიდა საფუძველს, ისინი ორიენტაციას აკეთებდნენ ოჯახურ-ნათესაურ კოოპერაციაზე, სადაც დაქირავებული შრომა ნაწილობრივ თუ გამოიყენებოდა. საბოლოოდ, ჩინელი გლეხების მდიდარი სოციალური ფენა იყო გარდამავალი, ნახევარფეოდალური, ნახევარბურჟუაზიული სტრუქტურის მქონე და სოფლის მეწარმეთა კლასებად ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. სოციალური და ეკონომიკური პირობების არარსებობა ხელს უშლიდა ექსპლუატატორების ერთ სოციალურ ფენად და შემდგომ კი, დამოუკიდებელ კლასად ჩამოყალიბებას.

ჩინეთის საშუალო გლეხობა, სიმციროსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მდიდარ და ღარიბ გლეხობასთან შედარებით ნაკლებად აქტიურობის გამო, სპეციალურ ლიტერატურაში დაწვრილებითი მეცნიერული შესწავლის საგანი არ გამხდარა. ყველაზე უფრო გავრცელებული

თვალსაზრისის მიხედვით, რომ ფეოდალური წყობისდროინდელ გლეხთა კლასს მიაკუთვნებენ, ხოლო მეძლების ეკონომიკური დონის მაჩვენებლად კი მიწაზე საკუთრების რაოდენობა და ფორმა ითვლება (25, 77). აღინიშნება ჩინელი საშუალო გლეხის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შუალედური და არასტაბილური ხასიათი, მათთვის უცხო არ არის წვრილბურჟუაზიული ინტერესები, რაც განსაკუთრებით ქვეყნის ღარიბ და ჩამორჩენილ რაიონებში გვხვდებოდა.

ისტორიკოსები – ვ. გლუნინი და ა. მუგარუზინი აღნიშნავენ, რომ საშუალო გლეხობა დაინტერესებული იყო კერძო მეწარმეობით, უმთავრესად ხელოსნური, მაგრამ ისეთი ტიპის მეწარმეობით," სადაც გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა. მათ მოჰყავთ ჩინელი საშუალო გლეხობის გასაღების ბაზართან კავშირის რამდენიმე მაგალითი და ამის საფუძველზე საშუალო გლეხობას წვრილ ბურჟუაზიად მიიჩნევენ.

ა. მალუხინი ითვალისწინებს რა ჩინელი საშუალო გლეხობის ეკონომიკის ნატურალურ ხასიათს, მომხრეა, რომ იგი ტრადიციულ გლეხთა კლასის რიგებში დარჩეს (27, 100–101). ღარიბი გლეხობა ჩინეთში გლეხთა-კლასის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს შეადგენდა. ეს სოციალური ფენა, სხვისგან განსხვავებით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1925–1927 წლების ჩინეთის რევოლუციაში. იგი ძირითადად წვრილი მესაკუთრეებისაგან შედგებოდა, რომელთაც ისე მცირე მიწა ჰქონდათ, რომ საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა არ შეეძლოთ. გარდა მიწისა, ისინი ზოგჯერ წარმოების საშუალებებსაც ფლობდნენ. ღარიბი გლეხები ყველაზე მძიმე ექსპლუატაციას განიცდიდნენ. აგრარული მოსახლეობის ჭარბი წარმოების გარე სამუშაო ძალის გაყიდვა ეკონომიკურად განვითარებულ რაიონებში არადანიშნულებისამებრ და კაბალურ პირობებში ხდებოდა. ეს კიდევ უფრო დაბალი სოციალური ფენის – ლუმპენპროლეტარიატის წარმოშობას იწვევდა. ისინი არ მუშაობდნენ და თავს მათხოვრობით, ქურდობით ირჩენ-

ნენ. მათ საერთო შემთხვევითი შემოსავალი შეადგენდა. ჩინელი გლეხების ტრადიციული მოდელის დაშლის შედეგად წარმოიშვა პაუპერთა სოციალური ფენაც, რომელსაც ღარიბებსა და ლუმპენპროლეტარიატს შორის შუალედური მდგომარეობა ეკავა. ისინი აგრარული მოსახლეობის 20%-ს შეადგენდნენ და ძირითადად პროვინციებში იყვნენ კონცენტრირებულნი. ამრიგად, ჩინეთის სოფელი 1925–1927 წწ. რევოლუციის დროს სოციალურ-კლასობრივი ჯგუფების და ფენების ისეთი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა, რომ მსოფლიო ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებულ ამა თუ იმ სოციალურ-კლასობრივ კატეგორიებს არ შეესაბამებოდა. ტრადიციული ტიპის მდიდარი და ნახევრად მემამულე-გლეხების გვერდით არსებობდა თანამედროვე ტიპის ფერმერთა სოციალური ჯგუფი, ღარიბებს ესაზღვრებოდა ნატურალური და წვრილსაქონლური მეურნეობები, ხოლო იჯარაზე დამოკიდებული ღარიბი გლეხები, პაუპერები მუშათა კლასის მომიჯნავე სოციალურ ფენებს წარმოადგენდნენ, აი, რას აღნიშნავს ისტორიკოსი ვ. კურბატოვი: "ჩინეთის სოფელში გარდამავალ-შუალედური სოლიდური ფენების და ჯგუფების დიდი რაოდენობით არსებობა არა მარტო არ ეტევა საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებში, არამედ იგი ზუსტ მეცნიერულ განსაზღვრასაც კი არ ექვემდებარება" (26; 347) რუსი მკვლევრები, ჩინეთის სოფლის კლასობრივი სტრუქტურის ჩვენების მიზნით, გლეხობას უფრო მსხვილ სოციალურ ჯგუფად ყოფენ. მაგალითად, ზემოთ ხსენებული ავტორი ა. მეგრუზინი ჩინეთის მთელ გლეხობას გარდამავალ და ძირითად ფენებად ყოფს. პირველს იგი მიაკუთვნებს სოფლის წვრილ ბურჟუაზიას, კერძოდ, მდიდარ გლეხებს, ბაზართან დაკავშირებულ საშუალო გლეხობის ნაწილს, წვრილ ვაჭრებს, ლუმპენპროლეტარიატს, პაუპერებს, სოფლის ღარიბებს, ხოლო მეორეს – ტრადიციულ პოზიციებზე მდგარ გლეხობას, საშუალო გლეხთა ქვედა ფენას, წვრილ მესაკუთრე გლეხებსა და მოიჯარეებს (29; 230–231). გარდამავალი ფენები დაინტერე-

სებულნი იყვნენ ისეთი ნაწილების შექმნით, რომელიც მიწის საზოგადოებრივ განაწილებაზე იქნებოდა დაფუძნებული, კავშირი ექნებოდა გასაღების ბაზართან. ტრადიციული ფენები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ოჯახური, ტომობრივი, რელიგიური, გვაროვნული კავშირებით. იმის გამო, რომ ძველი ფორმაციის დაშლა 1925-1927 წლებში ჩინეთში სწრაფი ტემპით დაიწყო, ასეთმა კავშირებმა სიმყარე დაკარგა და მან გარდამავალი ხასიათი მიიღო. იცვლებოდა მათი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატიც. გლეხობის ერთი ნაწილი გარევოლუციურდა, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა მუშათა კლასთან, მეორემ საბაზრო ურთიერთობაში ჩაბმა არჩია და წვრილბურჟუაზიულ ფენად გადაიქცა. სხვა შემთხვევაში გლეხობის პროგრესის გზით ევოლუციას ტრადიციულ კავშირთა განმტკიცება მოსდევდა. მაგალითად, იმის გამო, რომ სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პირობები არ იყო და მეურნეობა ძველებურად ვითარდებოდა, კაპიტალიზაციის გაძლიერების დროს ღარიბი გლეხობა ყოველ ღონეს ხმარობდა სოფლად მეურნეობის ტრადიციული სტრუქტურები შეენარჩუნებინა, მემამულეებთან პატრიარქალური და კოოპერაციის თემური ფორმები აღედგინებინა. ტრადიციული გლეხობის ის ნაწილი, რომელიც საბაზრო ურთიერთობაში იყო ჩაბმული, წვრილბურჟუაზიულ ფორმებს ღებულობდა, შინაარსით კი ისევ ძველი ურთიერთობისკენ იხრებოდა. მასზე უარყოფითად მოქმედებდა ის ფაქტი, რომ ბაზართან კავშირი იძულებით და ცხოვრების ცუდი პირობებით იყო ნაკარნახევი, შეიმჩნეოდა ეგალიტარული ტენდენციებიც, რაც მატერიალური დოვლათის თანაბარი განაწილების პრინციპებში გამოიხატებოდა. ყოველივე ეს ტრადიციულ ფენებში ანტიბურჟუაზიულ განწყობას ბადებდა, გლეხობის თვალში ურთიერთობათა ნატურალიზაცია, ტრადიციული სოციალურ - ეკონომიკური კავშირების

შენარჩუნება მათი მატერიალური კეთილდღეობის პირობა იყო[1].

ჩინეთის გლეხობა 1925–1927 წწ. რევოლუციის პერიოდში საგადასახადო სისტემისა და მემამულეთა და სახელმწიფოს მიერ ექსპლუატაციის პირობების მოწესრიგებისათვის იბრძოდა. მათი რევოლუციურობა, როგორც ეს ჩინურ და საბჭოთა ლიტერატურაში არის მოცემული, სულაც არ იყო კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებასთან დაკავშირებული. ეს სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა მიმართული იყო წარსულისაკენ, რაც ჩანდა რევოლუციისდროინდელ ლოზუნგებში, რომლებიც შუა საუკუნეებისაკენ, ძველი მემამულური ურთიერთობებისაკენ შემობრუნების მოთხოვნებს შეიცავდნენ. გლეხთა მოძრაობაში ხშირად ჩნდებოდა ტრადიციული ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულების გამწვავება. ეს მრავალი ფაქტორით აიხსნებოდა, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, აგრარული მოსახლეობის სიჭარბე, ქალაქებთან კავშირის არსებობა, ხელისუფლების და მემამულეების მცდელობა, ხელი შეეწყოთ სოფლად კარჩაკეტილი ცხოვრებისათვის. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხთა ძირითადი ფენების ინერტულობას, მასში პოზიციური პოლიტიკური

---

1 განვითარების შუა საუკუნეების დონეზე მდგარი ჩინელი გლეხობის სხვადასხვა სოციალურ ფენებად და ჯგუფებად დაშლა მნიშვნელოვნად აძნელებდა მის ერთიან გლეხთა კლასად ჩამოყალიბებას. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი მიზეზი სოფლად არსებული სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობებიც იყო. ეს წინააღმდეგობები არსებობდა მემამულეებსა და გლეხებს შორის, გლეხებს და სახელმწიფოს შორის, დაბოლოს, – შერეული ხასიათის წინააღმდეგობები მდიდარ და ღარიბ გლეხებს შორის.

ხშირად, როგორც ჩინურ, ისე საბჭოთა ლიტერატურაშიც ჩინეთის გლეხობაში არსებული წინააღმდეგობანი დაკავშირებული იყო "აგრარულ საკითხთან". ეს უკანასკნელი კი მიჩნეული იყო, როგორც ჩინეთის რევოლუციის გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო პრობლემა, რომლის ცენტრშიც ფიგურირებდნენ მემამულეებს და გლეხებს შორის არსებული წინააღმდეგობანი (30, 49–50; 31, 127–131; 32, 120–122).

მიწნების უქონლობას და მსოფლმხედველობაში მონარქისტული შეხედულებების სიმყარეს: გლეხთა აზროვნებაში არსებულ პატრიარქალურ ტენდენციებს პირდაპირი კავშირი ჰქონდა მათი სამეურნეო საქმიანობის კონკრეტულ პირობებთან. გარდა ამისა, მილიტარისტული ომები, განუკითხაობა საგადასახადო სისტემაში, არამყარი ფულადი სისტემა, ბიუროკრატიის თვითნებობისაგან დაუცველობა და მსოფლიო საბაზრო კონიუნქტურის ზემოქმედება ეკონომიკაში დესტაბილიზაციას ქმნიდა. სწორედ ეს წარმოშობდა გლეხების სწრაფვას წარმოების ნატურალიზაციისაკენ, მასში პატრიარქალური ინსტიტუტების შენარჩუნების მიზნით[1]. ტრადიციული ინსტიტუტების, კავშირების, ზნე-ჩვეულებების და ქვეყნის ნორმების არსებობას ჩინელი გლეხებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. კლანური, რელიგიური და თემური კავშირები გლეხს საშუალებას აძლევდა სესხი მიეღო, დაექირავებინა პირუტყვი მიწის დასამუშავებლად, იჯარით ემუშავა, დაინტერესებული მხარეები ერთმანეთთან შეღავათიან პირობებში მორიგებულიყვნენ, და ა.შ. ტრადიციული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების გავლენა გლეხობაზე ამით არ ამოიწურებოდა. ხშირად ასეთ გაერთიანებებს მიწის წარმოშობილ მეტოქეობას ან შეიარაღებულ შეტაკებას, განსაკუთრებით, თუ იგი რევოლუციის დროს მოხდებოდა, ისტორიკოსები განიხილავდნენ.

---

1 გლეხთა ასეთი მისწრაფებანი ილუზორული ხასიათის არ იყო. ასეთ სიტუაციაში ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები საუკუნეების მანძილზე გამოცდილ ხერხებს მიმართავდნენ კოოპერაციასა და ურთიერთდახმარებაში. ეს მათი საარსებო გარანტია იყო. საბჭოთა სინოლოგს ნ. ტრაპკინას კარგად აქვს ნაჩვენები ჩინეთის სოფელში სოციალურ-ტრადიციული ერთეულების ( ჯგუფი. ოჯახი, თემი) როლი აგრარული ინსტიტუტების ქმედითუნარიანობის სათანადო დონეზე შენარჩუნების საქმეში, თუ როგორ ინაწილებდნენ ეს ერთეულები თავდაცვის, მოსავლის მოყვანასა და აღებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციისა და ღარიბთა მატერიალური დახმარების საქმეს.

როგორც კლასობრივი ბრძოლის ფაქტს, სინამდვილეში კი ამის მიზეზი სოციალურ ფენათა ურთიერთობაში გადასვლა, კლასობრივი დიფერენციაციის სისუსტე, სამეურნეო პირობების ხშირი მონაცვლეობა და ეკონომიკური არასტაბილურობა იყო. გლეხთა ფენებს არ ჰქონდათ სოციალური ევოლუციის ეტაპობრივი განვითარების საშუალება, ხშირად ისინი განვითარების მიღწეულ საფეხურზეც ვერ იმაგრებდნენ პოზიციას, მდიდარ გლეხებს არ შეეძლოთ სოფლის წვრილი მეწარმენი გამხდარიყვნენ, საშუალო გლეხებს - წვრილი ბურჟუაზია, ხოლო ღარიბებს - სოფლის მუშათა კლასი. სამუშაო ძალის ბაზრის შესუსტება ღარიბებსა და საშუალო გლეხებს პატრიარქალურობისაკენ უბიძგებდა. ერთი მხრივ, ნატურალური მეურნეობისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ნატურალური ფულად-სასაქონლო ურთიერთობისაკენ სწრაფვა გლეხებში ქაოტურობას, ობიექტური მდგომარეობის შეუფასებლობას, წინააღმდეგობრივი ხასიათისკენ მისწრაფებას წარმოშობდა, ხშირად იცვლებოდა პოლიტიკური განწყობილება პროვინციებში. ერთ უკიდურესობას მეორე მოსდევდა, იქმნებოდა მომავლისადმი ცრუ რწმენის ატმოსფერო. ჩინეთის სოფლის სოციალური სიტუაცია საკმაოდ დაძაბული იყო, მოსალოდნელი იყო, მისი შეიარაღებულ გამოსვლაში გადაზრდა. მაგრამ, ამასთანავედ მისი ბურჟუაზიული პოტენციალი სუსტი იყო.

ჩინური სოფლის სოციალურ ურთიერთობათა ანალიზისა და გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კუთხით შესწავლის საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ 1925–1927 წლების ჩინეთის რევოლუციაში გლეხობის პოზიცია, თუ რატომ ირჩევდა გლეხობა ტრადიციულ სტიქიურ გამოსვლათა დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია და სხვა პოლიტიკური პარტიები ერთიანი ფრონტით უტევდნენ ძველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებას და ყოველ ღონეს ხმარობდნენ გლეხობის აქტიურ რევოლუციურ პოზიციაზე დასაყენებლად. ზოგიერთი საბჭოთა და ჩინელი ისტორიკოსი გლეხობას არარსებულ "ისტორიულ მი-

სიას". აკუთვნებდა, მათი აზრით, ჩინელ გლეხობას "თავისი საბოლოო სიტყვა სათქმელი დარჩა". (35, 68) (36, 79) (37) (38).

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინელი გლეხობა ექსპლუატაციის ფორმების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის იბრძოდა და ექსპლუატაციას საერთოდ არ უარყოფდა. იგი არა მის გაუქმებას, არამედ მხოლოდ ტრადიციული, საუკუნეების ნანძილზე შექმნილი ინსტიტუტების შენარჩუნებას მოითხოვდა. ჩინელი გლეხობა 1925-1927 წლებში ვერ იყო მზად აგრარული რევოლუციისათვის. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობების რღვევა მოხდა არა ანტაგონისტური ხასიათის წინააღმდეგობის დაძლევის ხარჯზე, არამედ გარეშე ძალების ჩარევით, იმ ძალებისა, რომელსაც რევოლუციური არმია და პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ.

1925-1927 წლებში ჩინელი გლეხობის მდგომარეობის რეალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შესწავლის შემდეგ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ აღნიშნულ რევოლუციაში გლეხობა არ იყო მთავარი, წამყვანი მამოძრავებელი ძალა. იგი თავისი, იმ დროისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადი შინაგანი ბუნებით, ინერტულ-რევოლუციურ ფენომენს წარმოადგენდა, რომელსაც პოლიტიკური სიმწიფის მისაღწევად გარკვეული დასრულებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა სჭირდებოდა. რაც შეეხება მის ყველაზე ადვილად აღგზნებად ნაწილს – ღარიბ გლეხობას, პოლიტიკური მოღვაწეებისა და პოლიტიკური პარტიების დიდი მცდელობის შედეგად თუ ხერხდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მისი მოზიდვა. სწორედ ამიტომ, ჩინეთის გლეხობა 1925-1927 წლების რევოლუციაში არ იკავებდა და არც შეეძლო დაეკავებინა ის ადგილი, ან შეესრულებინა ის აქტიური როლი, რასაც მას, ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსი ან ჩინელი ავტორი

მიაკუთვნებს[1].

30 მაისის მოვლენები ძირითადად ქალაქის მოსახლეობას შეეხო, გლეხობა განზე გადგა. ჩინეთის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ანტიიმპერიალისტური მოძრაობა საყოველთაო სახალხო აჯანყებაში გადაზრდილიყო. იგი ცდილობდა ამ მოძრაობისათვის მასობრივი ხასიათი მიეცა და კომუნისტების მეთაურობით რევოლუცია მოეხდინა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მოძრაობა, რომელიც 30 მაისის მოვლენების შემდეგ დაიწყო, რევოლუციაში არ გადაიზარდა. პრაქტიკულმა გამოცდილებამ ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ მუშათა კლასს თავისი საკუთარი ძალებით გლეხთა კლასის მხარდაჭერის გარეშე იმპერიალისტთა და მილიტარისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვება არ შეეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ საგაფიცვო მოძრაობამ არნახული გაქანება მიიღო, მაინც მაინც ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ჩინეთის კომპარტია საგაფიცვო მოძრაობაზე ამყარებდა. იმპერიალისტთა პოზიციებზე გადამწყვეტი მარცხით დამთავრდა და, რაც მთავარია, რევოლუციამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი მიიღო.

---

1 თანამედროვე ჩინურ ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად არ არსებობს ჩინეთის პროვინციებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სერიოზული მეცნიერული ანალიზი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სისტემაში და კლასობრივ სტრუქტურაში მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებს შეისწავლის და გაითვალისწინებს. ხშირად ისტორიოგრაფიულ ლიტერატურას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. ავტორებს იმდენად არ აინტერესებთ ჩინეთის გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების გარკვევა, რამდენადაც მათი პოტენციური რევოლუციური შესაძლებლობის წარმოჩენა. ჩინელი კომუნისტები დღესაც თვლიან, ჩინელ გლეხობას პროლეტარიატის, მუშათა კლასის ყველაზე მასიურ, საიმედო და აქტიურ მოკავშირედ, მთავარ მამოძრავებელ ძალად (რაოდენობრივი სიდიდის გაგებით) ჩინეთის რევოლუციაში.

ჩინეთის კომპარტიამ 1925 წლის 30 ივლისს შანხაიში მიტინ-
გი ჩაატარა, რომელიც 30 მაისის მოვლენებიდან 2 თვის აღსანიშნა-
ვად მოეწყო. გაისმა მოწოდება შექმნილიყო სრულიად ჩინეთის ხელ-
მძღვანელი ორგანო, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაო-
ბას სათავეში ჩაუდგებოდა. ჩინეთის კომპარტია მოუწოდებდა ხალხს
შეიარაღებულიყვნენ და შეექმნათ სრულიად ჩინეთის რევოლუციური არ-
მია, რომელიც ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას დაემორჩილებოდა
და, ხელისუფლების მილიტარისტული კერძო ჯარების მაგივრად, სა-
კადრის პასუხს გასცემდა იმპერიალისტებს". კომპარტიამ გუანჯოუს
ეროვნულ-რევოლუციურ მთავრობას მოუწოდა შეექმნა დროებითი სამხარ-
თველო ორგანო და გაეერთიანებინა სამხრეთ და ჩრდილოეთ ჩინეთის
ყველა რევოლუციური ძალა. კონკრეტულ შემთხვევაში ეს მოწოდება უფ-
რო პროპაგანდისტული აღმოჩნდა, ვიდრე პრაქტიკული. შანხაის რევო-
ლუციური მოძრაობა უკვე დაღმავალი გზით მიდიოდა, ხოლო სხვა ქალა-
ქებში ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ისე არ გაიშალა, როგორც შან-
ხაიში. უხანსა და ტიანძინში მუშათა გამოსვლების ორგანიზება არ
მოხერხდა, შანხაიში მდგომარეობა არასახარბიელო იყო; მუშათა კლა-
სი კი აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ არც გლეხობა და არც ქალაქის
სხვა სოციალური ფენები, სტუდენტების გარდა, მას არ თანაუგრძნობდ-
ნენ. სიანგან-გუანჯოუს საგაფიცვო ბოიკოტმა გუანდუნის პროვინცი-
აში რევოლუციური მოძრაობა კი გააძლიერა, მაგრამ სიანგანის და
შანხაის მოძრაობებს შორის მორალური ურთიერთმხარდაჭერის გარდა,
არაფერი არ იყო. შანხაის მუშათა გამოსვლას საყოველთაო რეზონან-
სი ჰქონდა.

რევოლუცია გუანდუნის პროვინციას გასცდა. ქვეყნის ჩრდილოეთ-
ში ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთი ორგანიზაციის მეთაური ლი და
ჩჟაო ხალხის მასებს სათავეში ჩაუდგა. პეკინში გააქტიურდნენ
სტუდენტური კავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 25

ივნისს პეკინში შედგა 200 ათას კაციანი დემონსტრაცია. იმავე დღეს ცინდაოში გაიფიცნენ იაპონური საფეიქრო საწარმოების მუშები, ასევე ცზინანში დემონსტრაციები მიმდინარეობდა, ღელავდა მოსახლეობა მდინარე იანძის დაბლობზე, ნანკინში. ივნისის თვეში ყოველდღიურად იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, იქმნებოდა პროფკავშირები, 18 ივნისს მოსახლეობას ინგლისის დესანტთან მოუხდა შეტაკება. ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციების სიმრავლით ჩჟენძიანი გამოირჩეოდა, ყოველ მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში 20-დან 30 ათას კაცამდე ჩინელი ღებულობდა მონაწილეობას, რევოლუციური მოძრაობა აღმავლობით მიმდინარეობდა ცზიანსის პროვინციაში, აქ ბრძოლის ცენტრები გახდა ნანჩანი და პორტი მდ. იანძზე - ცზიუცზიანი. ქ. ჩანშაში ივნისის თვეში შედგა 20-ათასიანი მუშათა დემონსტრაცია, რომლის შემდეგაც ინგლისისა და იაპონიის საწარმოებსა და პროდუქციას, ბოიკოტი გამოუცხადეს. 17 ივნისს დიდი გაფიცვები მოხდა შეიკოუშანის თუთიის და სინბუის სპილენძის საბადოებზე, ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანებით პოლიციამ მუშების წინააღმდეგ იარაღი გამოიყენა. საბადოებზე მომხდარმა ინციდენტმა გამოძახილი ჰპოვა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ქალაქებში - კაიფენსა და ანდუნში. ფართოდ გაიშალა ანტიინგლისური და ანტიიაპონური პარტიზანული მოძრაობა ხარბინში, პორტ-არტურში, ჩუნცინში, ჩენდუნში, უხუში, ნინბოსა და ანცინში. თუ არ ჩავთვლით ქ. შანხაის სულ გამოსვლებში ნახევარ მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობდა (39, 214-218).

სიანგანისა და შამაიანის მუშებს აქტიურად უჭერდნენ მხარს სტუდენტები. მათ შექმნეს სიანგანის სტუდენტთა გაერთიანებული კომიტეტი. ამ ორგანიზაციამ მოაწყო ანტიიმპერიალისტური მსვლელობა გუანჩჟოუში, ჩჟუნშანში სანშუიში და სხვა ქალაქებში. გუანჯოუს ვაჭართა ფენა ამ მოძრაობას თანაუგრძნობდა, სიანგანის მუშებს კი

პროდუქტებით ამარაგებდა და ფულად დახმარებას უწევდა. გუანჯოუსა და გუანდუნის პროვინციებში ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა პროფკავშირის ფედერაცია მისი, ლიდერის, ლი სინის მეთაურობით. ამ საზოგადოების თაოსნობით მოეწყო სიანგან-გუანჯოუს საყოველთაო გაფიცვა, რომელიც 1925 წლის 23 ივნისს დაიწყო და 1926 წლის 10 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. სიანგანში 250 ათასი კაცი გაიფიცა, მათ სუ ჩჟაო ჩჟენი და დენ ჩჟუნ სია ხელმძღვანელობდნენ (40, 44). 27 ივლისს სიანგანიდან გუანჯოუში გაფიცვებისა და მანიფესტების მონაწილე 130 ათასი გაფიცული გადავიდა. მუშებმა 300 დელეგატისაგან საგაფიცვო კომიტეტის საბჭო შექმნეს, მას საკანონმდებლო, სასამართლო, კონტროლის, საფინანსო, განათლების და სხვა განყოფილებები ჰქონდა. ე. ი. იგი ფაქტობრივად გუანჯოუს და ჰონკ-კონგის რაიონში ადგილობრივი მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა (41, 128).

სიანგან-გუანჯოუს გაფიცვამ ინგლისის კაპიტალს მძიმე დარტყმა მიაყენა. 1925 წლის მიწურულისათვის სიანგანიდან შემოსული უცხოური საქონლის ღირებულებამ 1924 წელთან შედარებით 30%-ით იკლო. ჩინური საქონლის ღირებულება კი 35%-ით გაიზარდა. სიანგანის პორტში ინგლისის სავაჭრო გემების შესვლა ველარ ხერხდებოდა, ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ ინგლისის მხარემ სიანგანს 3 მილი[illegible] ვანქა სტერლინგის ოდენობის სესხი შესთავაზა. მუშათა მოძრაობის აღმავლობა პროფკავშირთა ქსელის გაფართოებამ გამოიწვია. 1926 წლის 1 აპრილს გუანჯოუში გახსნილ პროფკავშირების ყრილობას 140 საწარმოს 2500 დელეგატი ესწრებოდა. (42, 281). სიანგან-გუანჯოუს გაფიცვამ გუანდუნში რევოლუციის მტკიცე საყრდენი ბაზის შექმნას შეუწყო ხელი. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას. ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში, ჩინეთში საბჭოთა

კავშირის ელჩმა ლ. კარახანმა შანხაის ამბებთან დაკავშირებით ჩინეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ოფიციალურ კორესპონდენციაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მიესალმება ჩინელი ხალხის იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლას და მზად იყო პირველი დახმარებისთანავე მისთვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერა აღმოეჩინა. ყოფილ საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში: მოსკოვში, ყაზანში, ნიჟნი ტაგილში, კრივოი როგსა და ვლადივოსტოკში გაიმართა მიტინგები ჩინელი ხალხისათვის სოლიდარობის გასაწევად. ამ მიზნით, მოსკოვში 1925 წლის 30 ივნისს ჩატარდა ჩინეთთან სოლიდარობის საზოგადოების – "ხელები შორს ჩინეთისაგან" კრება. მასზე სიტყვით გამოვიდნენ კლარა ცეტკინი და სხვა კომუნისტები (43, 145-146). 1925 წლის ივლის-ოქტომბერში ჩინეთში საბჭოთა კავშირიდან დელეგატები ჩავიდნენ. ჩინური პრესის მონაცემებით 1925 წლის ივლისის თვეში საბჭოთა კავშირის მუშებმა ჩინეთის დახმარების ფონდში 400 ათასი მანეთი გადარიცხეს (44). ჩინეთის რევოლუციას ფინანსური დახმარება საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამაც გაუწია, მან ჩინეთში 50 ათასი ფრანკი და 5 ათასი მანეთი (ოქროთი) გადარიცხა, გერმანიაში, ბერლინის მუშათა დახმარებით საერთაშორისო საზოგადოებამ ჩინელ მუშებს 50 ათასი მანეთი (ოქროთი) გაუგზავნა (45).

გომინდანის აღმასრულებელმა კომიტეტმა გუანდუნში, მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით. შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული მთავრობა. იგი გუანჯოუში ჩამოყალიბდა და შედგებოდა 16 წევრისაგან. ეროვნულ მთავრობაში კომუნისტები არ შეიყვანეს. ახალმა მთავრობამ შექმნა სამინისტროები: ფინანსთა, საგარეო საქმეთა, სამხედრო, სოფლის მეურნეობის, და სხვ. მოხდა ჯარების რეორგანიზაცია, შეიქმნა ეროვნული მთავრობის სამხედრო საბჭო, იუნანის, გუანსის, გუანდუნის და ხუნანის არმიები ერთად შეკავშირდნენ და ახლად შექმნილ შეიარაღებულ ძალებს ეროვნული არმია ეწოდა. იმის გამო,

რომ არმიაში ჩინელი კომუნისტების პოზიციები სუსტი იყო, ეს უკანასკნელნი არმიის მიმართ უნდობლად იყვნენ განწყობილნი. კომუნისტები უარყოფდნენ ბრძოლის სამხედრო ფორმებს, მათი აზრით, ჩინელი მილიტარისტების და იმპერიალისტების დამარცხება მშრომელთა მასობრივი გამოსვლებით შეიძლებოდა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ კომუნისტები ჩანხაის მუშათა კლასის შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებდნენ. მათ მიერ ჩანხაის მუშათა კლასისათვის რევოლუციური პროცესის დამაჩქარებლის როლის მინიჭება საფუძველს მოკლებული იყო. ჩანხაის მოვლენების შედეგმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ საზოგადოების სხვა ფენების პირველ რიგში კი, ეროვნული ბურჟუაზიისა და გლეხობის მხარდაჭერის გარეშე მუშათა კლასი მარტო თავის თავზე დაყრდნობით გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვებას ვერ შეძლებდა. რევოლუციური ბრძოლისაკენ მოწოდებებს ჩინეთის გლეხობა არ გამოეპასუხა. ჩინეთის ბურჟუაზია თავიდან ჩანხაის მუშებთან ერთად მოქმედებდა, მაგრამ იგი შემდეგ მათ განუდგა. დარჩნენ რა იზოლაციაში, მუშებმა ბრძოლა შეწყვიტეს. კომუნისტების მცდელობამ – ეროვნულ-რევოლუციაში ორიენტაცია კლასობრივ ბრძოლაზე აეღო, გომინდანის წევრების დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. სუნ იატ სენის მოწაფე და გომინდანის იდეოლოგი დაი ცზი ტაო კომუნისტების დოქტრინის დაგმობით გამოვიდა. იგი მათ ბრალს სდებდა კლასობრივი ბრძოლის ხელოვნურ პროვოცირებასა და გაჩაღებაში. მისი აზრით, კომუნისტების ასეთი ქმედება ეროვნულ რევოლუციას დაღუპვის საშიშროებას უქმნიდა[1]. იგი სუნ იატ

---

1 ჯერ კიდევ 1925 წლის ივნის-ივლისში დაი ცზი ტაომ ორი ბროშურა გამოსცა: „სუნ იატ სენიზმის ფილოსოფიური საფუძვლები" და "ჩინეთის გომინდანი და ეროვნული რევოლუცია". ამ შრომებში კლასობრივი ბრძოლის იდეა სავსებით უარყოფილი იყო. გამორიცხული იყო ჩინეთის პროლეტარიატის ეროვნულ ბურჟუაზიასთან დაპირისპირება. დაი ცზი ტაომ ეროვნული ბურჟუაზია კლასობრივ ბრძოლას .

სენის პრინციპებისგან განდგომას ნიშნავდა, რაც ჩინელი ერის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ასეთი კრიტიკის საფუძვლად დაი ცზი ტაოს მრავალი არგუმენტი მოჰყავდა. მათ შორის, მისი აზრით, ყველაზე მთავარი იყო ის, რომ სუნ იატ სენი კლასობრივ ბრძოლას მხარს არ უჭერდა, რომ ისტორიული მატერიალიზმის და კლასობრივი ბრძოლის

------------------------------

დაუპირისპირა. იგი ამტკიცებდა, რომ კომუნისტები არ შეიძლებოდა "სამი სახალხო პრინციპის" მიმდევრები ყოფილიყვნენ. მისი აზრით, სანამ სამი პრინციპის სახელმწიფო არ შეიქმნებოდა, მანამდე ჩინეთის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო. დაი ცზი ტაოს ამ ნაშრომებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმი წითელი ზოლივით გასდევს, "სამ პრინციპს" იგი მსოფლიო პრობლემების გადამწყვეტამი აყენებს. მისი აზრით, მთელი მსოფლიოს ერების შერწყმის შემდეგ ახალი ერი წარმოიშობა, რომლის ძარღვებშიც სულ სხვა სისხლი იწყებს დინებას და ასეთი ერის მთავარი შემადგენელი ნაწილი ჩინელი ერი იქნება... როდესაც მსოფლიო პროგრესის პროცესში ჩინეთი თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის და მთელ ცისქვეშეთში ჩინური რასა იბატონებს, მაშინ განხორციელდება საყოველთაო-სახალხო კეთილდღეობის "დიადი პრინციპი". დაი ცზი ტაოს აზრით, ნაციის მიზანი - "მინცზუჩუეი", ეს არის მსოფლიო მასშტაბით ჩინური ფილოსოფიური იდეების ძლიერი გამოვლინება, კონფუცის, და სუნ იატ სენის, რჩეული სისხლის და კულტურის გზა. დაი ცზი ტაოს ამ ნაციონალიზმს "გოცზიაჩუეი" ეწოდება. მის ასეთ დოქტრინებს მემარცხენე ციუ ციუ ბომ თავისი შეხედულებები დაუპირისპირა ნაშრომში: "ჩინეთის ეროვნული რევოლუცია და დაიცზიტაოიზმი". ციუ ციუ ბომ მის შეხედულებებს რეაქციული უწოდა. მისი აზრით, დაი ცზი ტაოს რევოლუციის საქმე კონფუციანელობამდე დაჰყავდა, იგი ჩინეთის ეროვნულ რევოლუციას, რომელიც ხალხის მასების ერთიან ფრონტს ეყრდნობოდა, "არისტოკრატიული საწყისებისკენ" უბიძგებდა. ამით დაი ცზი ტაო თავისუფლებისთვის მუშათა და გლეხთა ბრძოლას ხელს უშლიდა და მხოლოდ უმაღლესი არისტოკრატიული კლასების ინტერესებს იცავდა. რაც შეეხება მის ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, იგი ხალხის მასების მოსატყუებლად იყო მოგონილი და "ჩინური ბურჟუაზიული იმპერიალიზმის" პრელუდია იყო.

ქადაგება ეროვნულ რევოლუციას დაღუპვამდე მიიყვანდა. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიებს, ისინი ჩინეთის თვითმყოფადობას და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პირობებს არ შეესაბამებოდნენ და, აქედან გამომდინარე, არც კომუნისტური პარტიისთვის მოიძებნებოდა ადგილი ჩინეთში. თავის გამოსვლებში დაო ცზი ტაო ხშირად იხსენიებდა თურქეთის მაგალითს, სადაც კომუნისტური პარტია აიკრძალა, მისი ლიდერების უმრავლესობა ფიზიკურად მოსპეს, ნაწილმა კი თავს გაქცევით უშველა. ასეთი რეკლამაციით დაო ცზი ტაო ჩინელ კომუნისტებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა. იგი ამბობდა, რომ კომპარტია გომინდანს "არამეგობრულად უმზერდა", ამიტომ გომინდანიც, თავის მხრივ, იძულებული გახდა ეზრუნა, რომ "ხელისუფლება უმეცარ ხალხს ხელში არ ჩავარდნოდა" (47).

ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები - ჩენ დუ სიუ, ტან პინ შანი, და ციუ ციუ ბო, დაიცზიტაოზმის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმნენ. კომუნისტების აზრით, მათი გომინდანიდან განდევნის შემთხვევაში, გომინდანი მუშათა და გლეხთა მასების მხარდაჭერას დაკარგავდა. რადგან გომინდანის ძირითადი იდეა ხალხის მასების ინტერესების დაცვა, მათი პოლიტიკური ეკონომიკური მოთხოვნების მხარდაჭერა იყო, ამიტომ კომუნისტების დათხოვნა მისთვის არასასარგებლო უნდა ყოფილიყო. ტან პინ შანმა და ციუ ციუ ბომ თავის გამოსვლებში გააშუქეს ჩინეთის ერთიანი ფრონტის შიგნით პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებების თანამშრომლობის საკითხები. ამჯერად, გომინდანის მემარჯვენე ფრთის აქტიური მოქმედებით შეშინებული ჩინელი კომუნისტები ოპოზიციური შეურიგებლობისა და პოლიტიკურ შეხედულებათა კონფრონტაციის აუცილებლობის საკითხს დღის წესრიგში აღარ აყენებდნენ. იდეური ბრძოლა, რა თქმა უნდა, გარდაუვალი იყო, მაგრამ მას გომინდანის და ჩინეთის კომპარტიის ურთიერთდამოკიდებულებისათვის ზიანი არ უნდა მიეყენებინა. ამა თუ იმ შეხედულების

ან იდეის წამოწევის, ან უპირატესად ცნობის შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ საერთო-სახალხო კეთილდღეობის საქმისადმი მისი სარგებლობა.

ჩინეთის ბურჟუაზია და მისი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მუშათა კლასზე კომუნისტების გავლენა შეესუსტებინათ. მათ მუშათა კლასის ბრძოლა იმპერიალიზმისგან დათმობების მისაღებად უნდა წარემართათ. ამისთვის კი პოლიტიკური ასპარეზიდან კომპარტიის ჩამოშორება იყო საჭირო. ამიტომ დაი ცზი ტაომ და მისმა თანამებრძოლმა ჩან კაი-შიმ ანტიკომუნისტური ორგანიზაციების შექმნა გადაწყვიტეს. ასეთ საწყისად მათ "სუნ იატსენიზმის მესწავლის საზოგადოება" აირჩიეს. ამ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ჰან ში ციანმა და ხე ჩჟუნ ხანმა ანტიკომუნისტური დემონსტრაციებიც კი მოაწყეს, მაგრამ ჩან კაი-შიმ, როგორც ფხიზელმა პოლიტიკოსმა, საჭიროდ არ ჩათვალა კომუნისტთა თვალში საკუთარი ავტორიტეტის შელახვა და ყველასთვის მოულოდნელად მან ასეთი სახის დემონსტრაციების შეწყვეტის ბრძანება გასცა. ჩან კაი-ში ლენინის პოზიციას ამჯობინებდა. ამ ეტაპზე მას ეს ყველაზე მართებულად მიაჩნდა. რა თქმა უნდა, ჩან კაი-შის ხელისუფლების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებდა, ამიტომ მან დაი ცზი ტაოსთან ერთად გომინდანში თავისი პოლიტიკური ჯგუფი შექმნა. ეს ჯგუფი ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზიის განწყობის გამომხატველი პოლიტიკური ერთეული იყო. დაი ცზი ტაომ და ჩან კაიშიმ მიზანშეწონილად ფრთხილი პოლიტიკის გატარება სცადეს. ფარულად ისინი კომუნისტებს ებრძოდნენ, ხოლო აშკარად და დაუფარავად სამხრეთ-დასავლეთის მილიტარისტების-საშინელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. სუნიატსენიზმის მესწავლის საზოგადოება ორად იყოფოდა. ერთი გუანჯოუში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, ხოლო მეორე - შანხაიში მოღვაწეობდა. პირველი ორგანიზაცია როგორც კომუნისტებს და ლემარ-

ცხენე გომინდანელებს, ასევე მემარჯვენე გომინდანელებსაც ებრძოდა, ამ უკანასკნელთ იგი კონსერვატულ აზროვნების პოლიტიკოსებს უწოდებდა.

გომინდანის ანტიკომუნისტური დაჯგუფებების უთანხმოებებით ისევ მისმა მემარცხენე ფრთამ ისარგებლა და მემარჯვენეს წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადავიდა, ამან თავის ნაყოფი გამოიღო და 1925 წლის დეკემბრის თვეში გომინდანის აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 პლენუმმა გომინდანიდან კომუნისტთა გარიცხვა რეაქციულ ქმედებად ცნო და განაცხადა, რომ ასეთი სახის აქტი რევოლუციური ძალების დაქსაქსვისაკენ იყო მიმართული. პლენუმმა დაადგინა 1926 წ.-ის იანვარში გომინდანის სრულიად ჩინეთის მე-2 ყრილობა მოეწვიათ, ყრილობა გუანჯოუში შედგა. მას ესწრებოდა სრულიად ჩინეთის გომინდანის ორგანიზაციების წარმომადგენლები 22 პროვინციიდან, დანარჩენი ჩინეთის მსხვილი ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან იყვნენ. მუშაობის დაწყებისთანავე ყრილობამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაეწყოთ სუნ იატ სენის ანდერძის ასრულება. ყრილობის ძირითადმა იდეებმა თავისი ასახვა მანიფესტში პოვა. მანიფესტის მიხედვით, გომინდანის ხელმძღვანელობა კვლავ სუნ იატ სენის "სამი პრინციპის" ერთგული რჩებოდა. ყველაზე დიდი შეხლა-შემოხლა კომუნისტთა გომინდანის წევრებად დატოვების მიზანშეწონილობის საკითხმა გამოიწვია. დიდი ხნის დებატების და მერყეობის შემდეგ ყრილობამ კომუნისტებს გომინდანში ყოფნის ნება დართო, იმ პირობით, თუ ისინი თავიანთი საქმიანობის შესახებ პერიოდულად აცნობებდნენ გომინდანს და მცირედ ნიუანსებსაც კი არ დაფარავდნენ. ამიერიდან წევრად მიღების დროს კომუნისტებს უნდა ჰქონოდათ გომინდანის უმაღლესი ადგილობრივი ორგანიზაციის ნებართვა. ასეთი დადგენილება გომინდანში კომუნისტთა რიცხვის შემცირებას ისახავდა მიზნად. კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული ასეთი სანქციები ჩან კაი-შის თაოსნობით იყო მიღებული.

გუანდუნში, 1926 წლის დამდეგისათვის, გომინდანის მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებს შორის, არმიაში, პარტიის ხაზით და პროფკავშირულ მოძრაობაში კონფრონტაციამ იჩინა თავი. ისარგებლეს რა შექმნილი მდგომარეობით, ჩან კაი-შიმ და ცზი ტაომ და ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა კომუნისტების პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორება განიზრახეს. ჩან კაი შიმ ტაქტიკური მანევრი გააკეთა, ყველამ იცოდა, რომ იგი გომინდანის მემარცხენე სამხედრო მოღვაწედ ითვლებოდა, მან უცებ გამოიცვალა პოლიტიკური პლატფორმა და მემარჯვენე ბანაკში აღმოჩნდა[X]. ხუანპუს სამხედრო სკოლის უფროსის თანამდებობა, რომელიც ჩან კაი-შის ეკავა, მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა[XX]. საქმე იმაში იყო, რომ ეს სკოლა ჩინეთის რევო-

---

X ჩინელი ისტორიკოსების შეფასებით ჩან კაი-ში ჯერ კიდევ 1925-1927 წლების რევოლუციის წინა პერიოდში, სუნ იატ სენის სიცოცხლეშივე ჩინელი მუშებისა და გლეხობის მიმართ გარკვეულ ანტიპათიას იჩენდა. იგი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების წინააღმდეგი იყო და არც სუნ იატ სენის "სამი პრინციპის" მიმართ ამჟღავნებდა თავდადებას. ამას მოწმობს 1923 წელს მისი სსრკ-დან დაბრუნების შემდეგ სუნ იატ სენისთვის გაკეთებული მისი საანგარიშო მოხსენება. აქ იგი რუსეთის მუშებს და გლეხებს საბჭოთა მონების კლასად იხსენიებს და საბჭოთა კავშირში ადამიანთა უფლებების დარღვევებს უკეთებდა კომენტარს (48,51).

XX ჩან კაი-ში გომინდანში ხელისუფლების წარმომადგენელი ვერ იქნებოდა, თუ თავიდანვე ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოთა პოზიციებზე დადგებოდა და ბურჟუაზიულ ორიენტაციას გამოიჩენდა. მემარჯვენე გომინდანელებს შორის იყვნენ ჩან კაი-შიზე უფრო ჭკვიანი, გამოცდილი და ავტორიტეტიანი მოღვაწენი, მათ გვერდით იგი ყოველთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. საკუთარი თავის რეაბილიტაციის ერთადერთი შანსი ხუანპუს სამხედრო სკოლა იყო. ეს სკოლა გუანჯოუდან ახლოს მდინარე ჩჟუნცზიანის შესართავთან ხუანპუს კუნძულზე მდებარეობდა. ამ სკოლის ჩამოყალიბებისათვის მზადება 1923 წელს დაიწყო, როდესაც სუნ იატსენმა წითელი არმიის სამხედრო გამოცდილების და კადრების მომზადების სტრუქტურის შესასწავლად საბჭოთა კავშირში ჩინეთის დელეგაცია გაგზავნა და მის

ლუციურ არმიას კვალიფიციურ შევსებას აძლევდა და, ამასთანავე, კონტრრევოლუციის და მილიტარიზმის წინააღმდეგ მთავრობის საყრდენ ძალას წარმოადგენდა. ასე, თანამდებობა ხელისუფლებისაკენ გზის გასაკვალავად ძალიან ხელსაყრელი რამ იყო. სწორედ ამიტომ ჩან კაი-ში ხშირად გამოდიოდა მემარცხენეებთან ერთად კონტრრევოლუციის წინა-

---

მეთაურად ჩან კაი-ში დანიშნა. სსრკ-დან დაბრუნების შემდეგ ჩან კაი-ში ჩინეთის სამხედრო წრეებში საბჭოთა საქმის გულშემატკივრის კარგი მეგობრის რეპუტაციით სარგებლობდა. გახდა რა გომინდანის წამყვანი სამხედრო სპეციალისტი, ჩან კაი-ში სამხედრო სკოლის ჩამოყალიბების კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა, შემდეგ კი სკოლის უფროსი გახდა. მას ხელისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე დაწინაურება გომინდანის არმიის საშუალებით უნდა ეცადა. გუანდუნის პირობებში ძლიერი არმიის შექმნა დახმარების გარეშე სრული უტოპია იყო. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მიმართ სუნ იატ-სენის სასიყვარულო ლოზუნგებიც აქედან გამომდინარეობდა. ყოველივე ეს, ჩანს, კაი-შის დაკვირვებულ თვალს არ გამორჩა და მან, როგორც ყოველთვის, აქაც ტაქტიკა ზუსტი გამოიყენა. იგი დროის კარნახით მოქმედებდა, საჭიროებისდა მიხედვით, საბჭოთა კავშირის კეთილისმსურველი და მეგობარიც იყო, ასევე გომინდანში იგი დიდ ბელადის - სუნ იატ სენის აღმერთებდა, ხოლო კომუნისტებთან მისი კრიტიკით გამოდიოდა. ხუანპუს სკოლაში საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები მუშაობდნენ. ესენი იყვნენ: ა. ჩერეპანოვი, ნ. ბოროდინი, ნ. ტერეშატოვი, და სხვები. მათი შეწევნით ხუანპუს სასწავლებელი ყოველი ექვსი თვის ვადაში 500-ზე მეტ კარგად გაწვრთნილ და სამხედრო საქმის მცოდნე მებრძოლს უშვებდა. ამას ჩინეთის არმიის შექმნის და მისი სამხედრო ძლიერების სათანადო დონეზე აყვანის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სასწავლებლის სტრუქტურის, მასში საბჭოთა სამხედრო სპეციალისტების საქმიანობისა და ჩან კაი-შის მოხერხებული პოლიტიკის შესახებ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ხუანპუს მთავარ მრჩეველს ა. ჩერეპანოვს, თავის [illegible] ჩანაწერებში, რომელიც მან ჩინეთში მოვლენების დროს გააკეთა (49, 85-115).

აღმდეგ. ამის დასამტკიცებელი მაგალითებია მანჭუანების, ჩენ ცზუნმინის, იუნანის და გუანსის მილიტარისტების, სინანელების წინააღმდეგ ბრძოლა, ლიაო ჩჟუნ კაის მკვლელობისთვის სამაგიეროს გადახდა და სხვა. უკვე გომინდანის მე-2 ყრილობაზე ჩან კაი-ში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა. ეროვნული ბურჟუაზია მის ასეთ დაწინაურებას სიხარულით შეხვდა. იცოდნენ რა ბურჟუაზიის მიმართ ჩან კაი-შის სიმპატიების შესახებ, ჩინელ კაპიტალისტებს იმედი ჰქონდათ რომ ჩან კაი-ში მათ იმპერიალისტების, მილიტარისტების, და კომპრადორების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა.

ჩინეთში რევოლუციური მოძრაობის დროს ხშირად ხდებოდა საზოგადოებრივი ძალების გადაჯგუფება. ეს ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ცხოვრებასაც შეეხებოდა. ასე მოხდა რევოლუციის პირველი ეტაპის დასასრულს, როდესაც ეროვნულმა ბურჟუაზიამ და მისმა წარმომადგენლებმა გომინდანის მარჯვენა ფრთაზე გადაინაცვლეს. ამ ახალი დაჯგუფების ზრდისა დ განმტკიცებისათვის დაი ცზი ტაომ და ჩან კაი-შიმ დიდი შრომა გასწიეს. სწორედ ამ ჯგუფმა მოახდინა 1926 წლის 20 მარტის გადატრიალება, რომელიც ჩან კაი-შის სახელთან არის დაკავშირებული. ამ გადატრიალების მიზანი იყო გომინდანის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება, ყველა სოციალური ფენის და კლასის დამორჩილება და ჩინეთის რევოლუციაში ბურჟუაზიის ჰეგემონიის განმტკიცება. გადატრიალება შემდეგნაირად დაიწყო: ჯერ კიდევ 18 მარტს, ჩან კაი-შიმ ხუანპუს სამხედრო სკოლის დაცვის გაძლიერების საბაბით, სამხედრო გემის "ჩჟუნშანის" მეთაურს, კომუნისტ ლი ჩჟი-ლუნს უბრძანა ხომალდი სკოლასთან ახლოს მოეყვანა. როგორც კი "ჩჟუნშანი" დანიშნულების ადგილზე მივიდა ჩან კაი-შიმ მყისვე განაცხადა, რომ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით კომუნისტთა შეთქმულება იწყებოდა. ამის შემდეგ მან 20 მარტს გუანჯოუში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, ლი ჩჟი-ლუნი და ხუანპუს კომუნისტთა

უმრავლესობა დააპატიმრეს. ჩან კაი-შის ჯარებმა ალყა შემოარტყეს სიანგან-გუანჯოუს საგაფიცო კომიტეტს და მისი ხელმძღვანელები დააპატიმრეს. იმავე დღეს დუნშანში მყოფი საბჭოთა სამხედრო მრჩევლებიც დაპატიმრებულ იქნენ. ამ საქმეში ჩან კაი-შის სუნიატსენიზმის მესწავლის საზოგადოება ეხმარებოდა. საბჭოთა მრჩევლებს, და იმ დროისათვის იქ მყოფ ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის წევრს და წითელი ლი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსს ა. ბუბნოვს კომუნისტური გადატრიალების ცდაში დადოთ ბრალი.

ჩან კაი-ში ვერ ბედავდა სსრ კავშირისა და ჩინეთის კომპარტიის წინააღმდეგ აშკარად გამოსულიყო. მისი იდეიალური განცხადებით, ეს სამხედრო აქცია დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ მიმართული პროფილაქტიკური ღონისძიება იყო (50). ორი დღის შემდეგ საბჭოთა და ჩინელი კომუნისტები გაათავისუფლეს პატიმრობიდან. ჩან კაი-შიმ ერთგვარად მოიბოდიშა კიდეც და განაცხადა, რომ მოვლენების ასეთი განვითარება მის მიერ გაცემული ბრძანების არასწორად გაგების და ზოგიერთი ექსტრემისტულად განწყობილი ანტიკომუნისტის მიერ ძალაუფლების გადამეტების შედეგი იყო. თან ჩან კაი-შიმ დასძინა, რომ ასეთ გაუგებრობას საბჭოთა კავშირთან მეგობრულ დამოკიდებულებაზე არ უნდა ემოქმედა. 1926 წლის 20 მარტის ამბების მთავარი შედეგი გომინდანის ახალ, მემარჯვენე ფრთის და მისი ხელმძღვანელის ჩან კაი-შის პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება იყო.

ამ დროისათვის არეულობა სუფევდა ჩრდილოეთ ჩინეთშიც. ჩრდილოელი მილიტარისტული წრეები კვლავ ლონეს ხმარობდნენ ჩინეთში ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. მათ უკან კი იაპონელი, ინგლისელი და აშშ-ის იმპერიალისტური ძალები იდგნენ. ჩრდილოელი მილიტარისტებისაგან სამხედრო გზით ჩინეთის განთავისუფლება ჯერ კიდევ

სუნ იატ სენის იდეა იყო, ძლიერი და კარგად შეიარაღებული არმიის უქონლობის და რევოლუციური ძალების სისუსტის გამო ეს არ ხერხდებოდა. 1926 წლის ზაფხულისათვის მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა: ჩინეთში უკვე არსებობდა ძლიერი ეროვნულ-რევოლუციური არმია და ერთიანი ეროვნულ-რევოლუციური ფრონტი. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთში ლაშქრობის მოწყობის საქმე რეალური ჩანდა. 1926 წლის 1 ივლისს გუანჯოუს ეროვნულმა მთავრობამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც ჩრდილოეთში ლაშქრობის დაწყებას იუწყებოდა. 9 ივლისისათვის ეროვნულ-რევოლუციური არმიის მთავარი ძალები ჩრდილოეთ ჩინეთში რკინიგზით იქნენ გადაყვანილი. ჩრდილოეთის ლაშქრობა იმპერიალისტთა და ჩინელ მილიტარისტთა წინააღმდეგ ჩინელი ხალხის მიერ წარმოებულ ეროვნულ-რევოლუციურ ბრძოლას წარმოადგენდა.

პოლიტიკური და სამხედრო ვითარება 1926 წლის ივლისის დასაწყისისათვის შემდეგნაირად ხასიათდებოდა: ჯერ კიდევ მაისის თვეში, გომინდანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩინეთში იმ დროისათვის არსებული მუშათა და გლეხთა მოძრაობის ფორმებს მცდარი ორიენტაციის მქონე და ექსტრემისტული უწოდა. ამის შემდეგ ჩინელმა კომუნისტებმა, ცოტა არ იყოს, საკუთარი ძალების რწმენა დაკარგეს და მუშათა და გლეხთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა შეწყვიტეს. ის რადიკალური ლოზუნგები, რომელთაც კომუნისტები "30 მაისის მოძრაობის" დროს აყენებდნენ, დღის წესრიგიდან მოხსნეს, მათი ყურადღება ძირითადად რევოლუციური ერთიანობის შენარჩუნებაზე იყო კონცენტრირებული. ამ დროს ჩრდილოეთში, გენერლები ჩჟან ცზო-ლინის და უ პეი-ფუ თავიანთი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ და ხელში იგდეს პეკინი (2, 124). გომინდანის მომხრე გენერალი ფენ იუ სიანი დაამარცხეს და თავის არმიასთან ერთად ჩრდილო-დასავლეთისაკენ უკუაგდეს. ჩრდილოეთში გაძლიერდა რეპრესიები კომუნისტებისა და დემოკრატების წინააღმდეგ. "წითელ საფრთხეს-

თან" ბრძოლის მიზნით, გენერალმა უ პეი ფუმ ხუნანის პროვინციაში წარმატებული შეტევა განახორციელა. ამან გომინდანის სამხედრო წრეებში შეშფოთება გამოიწვია და მათ ჩრდილოეთისკენ ერთიანი ფრონტით შეტევისათვის დაიწყეს მზადება.

ჩრდილოეთის სამხედრო კამპანიის გეგმა საბჭოთა სამხედრო მრჩევლების, მათ შორის, ვ.კ. ბლიუხერის უშუალო ხელმძღვანელობით შედგა. გაითვალისწინეს რა მილიტარისტული არმიების რაოდენობრივი სიჭარბე, პირველი და ძირითადი დარტყმა უ პეი ფუს ჯარის წინააღმდეგ მიმართეს. ეს საომარი მოქმედება უმთავრესად ხუბეის და ხუნანის პროვინციებს ეხებოდა. შემდეგ შეტევა უნდა განვითარებულიყო აღმოსავლეთის მიმართულებით, სუნ ჩუან ფანის არმიის წინააღმდეგ. წარმატების შემთხვევაში მორიგი შეტევა განხორციელდებოდა ჩანჭოუ-პეკინ-ტიანძინის მიმართულებით. გამარჯვების შემთხვევაში მთელი ჩინეთის ტერიტორიაზე ეროვნული ხელისუფლება გავრცელდებოდა. ჩრდილოეთის ლაშქრობა სამ ეტაპად იყოფოდა: პირველი ეტაპი იყო ხუნან-ხუბეის და ცზიანსი-ფუძიანის სამხედრო ოპერაცია, რომელიც 1926 წლის ივლის-დეკემბერში მიმდინარეობდა, მეორე ეტაპი მოიცავდა - ჩჟეცზიანის და შანხაი-ნანკინის სამხედრო იერიშებს და 1927 წლის თებერვალ-მარტში გრძელდებოდა. დაბოლოს, 1927 წლის მაისში ჩან კაი-შის გადატრიალების შემდეგ ხუნანში ჩრდილოეთის ლაშქრობის განახლება, მისი მესამე ეტაპი იყო.

ხუნანში სამხედრო მოქმედებანი ეროვნულ-რევოლუციურმა არმიამ დაიწყო. შეტევები, ქალაქების-ჩანშას, უხანის, და უჩანის მიმართულებით წარმატებით განხორციელდა. ჩრდილოეთის ლაშქრობის პირველ ეტაპზე ჩრდილოელ მილიტარისტებში განხეთქილებებმა და უთანხმოებებმა იჩინა თავი. ფრონტზე ეროვნულ-რევოლუციური არმიისათვის ფრიად ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა. სუნ ჩუან ფანმა, უ პეი ფუს უარი უთხრა თავისი არმიით დახმარებოდა. მან საბრძოლ

მოქმედება მაშინ წამოიწყო, როდესაც ეროვნულ-რევოლუციური არმიას ცზიანსის პროვინცია უკვე დაკავებული ჰქონდა. ფუძიანთან ბრძოლაში სუნ ჩუან ფანმა ფენგტიან-შანდუნის ჯარებისაგან დახმარება ვერ მიიღო. ჩრდილოეთის ლაშქრობაში ეროვნულ-რევოლუციური არმიის ყველაზე დიდ მიღწევას უჩანის აღება წარმოადგენდა. მას დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, დამარცხებული იქნა უ პეი ფუ, რომლის უკანაც იაპონიის, ინგლისის და აშშ მილიტარისტული წრეები იდგნენ. მეორე, უ პეი-ფუს დამარცხებამ, ეროვნულ - რევოლუციური არმიის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა მთელი ძალები აღმოსავლეთით სუნ ჩუან-ფანის წინააღმდეგ საბრძოლველად გადაესროლა. ეს უკანასკნელი თავის ჯარით აღმოსავლეთ ჩინეთის ხუთ პროვინციას-ცზიანსის, ფუძიანს, ანხუის, ჩჟეცზიანს და ცზიანსუს აკონტროლებდა (2;131). სუნ ჩუან ფანმა ეროვნულ-რევოლუციური არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ცზიანსის პროვინციაში 100 ათასიან ჯარს მოუყარა თავი. მათ ეროვნულ-რევოლუციური არმიის ხუთი კორპუსი დაუპირისპირდა. გასცა რა ცზიანსის პროვინციაზე გალაშქრების ბრძანება, ეროვნული მთავრობა, ამასთანავე, ცდილობდა, რომ სუნ ჩუან - ფანის არმიასთან შეტაკებისთვის თავი აერიდებინა. მას მერე, რაც ეროვნული ჯარების იერიში დაიწყო, ეროვნულმა მთავრობამ მთავარსარდალს ცზიანსის პროვინციაში წინსვლის შეწყვეტის თაობაზე ბრძანება გაუგზავნა. ეროვნული მთავრობის გაუბედაობამ და ყოყმანმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სუნ ჩუან-ფანმა ჩან კაი-შისგან ულტიმატურ ფორმაში "გუანდუნის ჯარების" გუანდუნში, ყოფილ დისლოკაციის ადგილზე, დაბრუნება მოითხოვა. ეროვნულ-რევოლუციური არმიის შემდგომ წინსვლაზე თავის შეკავება მილიტარისტთა კონტრიერიშის დაწყებას მოასწავებდა. ეს კი ეროვნული არმიის მიერ მძიმე დანაკარგების ფასად მოპოვებულ წარმატებებს საფრთხეს უქმნიდა. ქ. ნანჩანის აღების წარუმატებლად დამთავრებამ სუნ ჩუან ფანის არმიას უჩა-

ჰის მიმართულებით კონტრიერიშზე გადასვლის საშუალება მისცა. მას უჩან ჩანშას რკინიგზის მიმართულებით დაცვა უნდა გაერღვია და ეროვნულ-რევოლუციური არმიის ზურგში მოქცეოდა. მაგრამ ეს არ მოხერხდა. უჩანიდან მის შესახვედრად ეროვნული ჯარის მე-4 კორპუსი გაემართა, ხოლო ქ. ჩჟეცზიანში მილიტარისტების წინააღმდეგ შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა გუბერნატორის მეთაურობით. სუნ ჩუანფანის არმია იძულებული გახდა ეროვნულ-რევოლუციურ ძალებს შებრძოლებოდა და 1926 წლის 5 ნოემბერს ამ ბრძოლაში იგი სასტიკად დამარცხდა. ეროვნულ-რევოლუციურმა არმიამ 8 ნოემბერს ნანჩანი, ხოლო ოქტომბრის ბოლოს ფუძიანი დაიკავა, 18 დეკემბერს კი ფუჯოუში შევიდა. ჩრდილოეთის ლაშქრობის დაწყებიდან ნახევარი წლის განმავლობაში ეროვნულ-რევოლუციურმა არმიამ ჩინეთის საკმაოდ დიდი ტერიტორიის ხელში ჩაგდება შეძლო, გამონაკლისს მარტო სიჩუანის პროვინცია წარმოადგენდა, მაგრამ აქ ეროვნული მთავრობის ხელისუფლებას ნომინალურად მაინც სცნობდნენ. 1926 წლის ბოლოსათვის ეროვნული მთავრობის ხელისუფლება გუანდუნის, გუანსის, გუიჩჟოუს, ხუნანის ხუბეის ცზიანსის და ფუძიანის პროვინციებზე ვრცელდებოდა. მაშინდელი საკომუნიკაციო საშუალებების იმედით ასეთი ვრცელი ტერიტორიის მართვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ხელისუფლებაში დიდი ხნის პრინციპული დავის შემდეგ რევოლუციური ჩინეთის ახალი დედაქალაქი ქ. უხანი გახდა. მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ჩან კაიში არ შეურიგდა და თავისი სამხედრო შტაბით ცზიანსის ცენტრში - ნანჩანში დარჩა. 1927 წლის 1 იანვარს ქ.უხანი ოფიციალურად გამოცხადდა მთავრობის რეზიდენციად.

ჩრდილოეთის ლაშქრობა ჩჟეცზიანის პროვინციაში გაგრძელდა. ეს ლაშქრობა მეორე ეტაპის დასაწყისი იყო. სამხედრო მოქმედება ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში დაიწყო, იგი თებერვლამდე გაგრძელდა და ხანჭოუს [illegible] დამთავრდა. შანხაიში ძლიერი საგაფიცვო [illegible] მუშები თანაუგრძნობდნენ ეროვნულ-რევო-

ლეციერ არმიას და მასთან შესაერთებლად ემზადებოდნენ. შანხაიში შეიქმნა დროებითი რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც ჩინეთის ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი შედიოდა. ძირითადად ესენი ვაჭრები, მუშები, სტუდენტები, გიმნაზიელები და კომუნისტები იყვნენ. საზღვარგარეთის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებმა თავიანთი ბურჟუაზიის ინტერესების და მისი კერძო მფლობელობის დაცვის მიზნით ჩინეთის საშინაო საქმეებში სამხედრო ჩარევა განიზრახეს. ამიტომ აჯანყების დროს შანხაიში გაიგზავნა ინგლისის, აშშ და საფრანგეთის გაერთიანებული ჯარი 10 ათასი კაცის ოდენობით. გარდა ამისა, ინგლისმა შანხაიში ტანკებიც შეიყვანა. სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ჩან კაი-შიმ არმიის წინსვლა შეაჩერა. ისარგებლეს რა ჩან კაი-შის დათმობით სუნ ჩუან ფანი და უცხოელი ჯარისკაცები შანხაიში შეიჭრნენ და გაფიცულებს სასტიკად გაუსწორდნენ, მათ სიკვდილით ას კაცზე მეტი დასაჯეს (51). მიუხედავად იმისა, რომ შუანხაის მუშათა მეორე აჯანყება დამარცხდა, მან სერიოზული დარტყმა მიაყენა მილიტარისტთა არმიას. სუნ ჩუან ფანი იძულებული გახდა თავისი ჯარი ნანკინის და ცზიანსუს მიმართულებით განელაგებინა. ამის შემდეგ მან არმია დატოვა და მარტის დასაწყისში იაპონიაში გაემგზავრა. ეროვნულ-რევოლუციური არმია კი ნანკინის და შანხაის მიმართულებით აგრძელებდა შეტევებს. მარტის დასაწყისში აღებულ იქნა ქ. უხუ. ეროვნული ძალების ამ წარმატებამ შანხაის მუშათა კლასის ბრძოლის გააქტიურება გამოიწვია და გაფიცვა ხელახალი ძალით განახლდა. 21 მარტს შანხაიში მუშათა შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, მუშები ეროვნულ არმიასთან შეერთებას მოითხოვდნენ, მაგრამ ჩან კაი-შიმ არმია შანხაის მისადგომებთან შეაჩერა და ის იყო, უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ცნობა მიიღო მუშების მიერ მილიტარისტების დამარცხებისა და შანხაის აღების შესახებ. ჩან კაი-შიმ მოულოდნელად შეცვალა თავი-

სი გადაწყვეტილება და არმია შანხაისკენ დაძრა. ამის შემდეგ 23
მარტს აღებულ იქნა ქ. ნანკინი და მილიტარისტთა მანდენის არმიის
დიდი ნაწილი ეროვნულ-რევოლუციურ არმიას ტყვედ ჩაბარდა. შანხაის
და ნანკინის ჩრდილოელი მილიტარისტებისაგან განთავისუფლება ჩრდი-
ლოეთის ლაშქრობის ძლევამოსილად დამთავრების მაუწყებელი იყო. ამ
ლაშქრობაში ეროვნულ-რევოლუციური არმიის გამარჯვებებისათვის უდი-
დესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ჩინელმა ხალხმა თავის ეროვ-
ნულ ჯარს მეტად საჭირო და ყოველმხრივი დახმარება გაუწია. დადე-
ბითი გავლენა იქონია იმანაც, რომ იმპერიალისტთა შორის არსებული
წინააღმდეგობანი ჩინეთის ტერიტორიული დაყოფის და გავლენის სფე-
როების განაწილების შესახებ ჩრდილოელ მილიტარისტებს შორის არსე-
ბულ უთანხმოებებსა და მეტოქეობაში ვლინდებოდა, რაც მათ ხელს უშ-
ლიდა ეროვნულ-რევოლუციური არმიის წინააღმდეგ ორგანიზებულად
გამოსულიყვნენ. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის
მიერ ჩინელი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის მორა-
ლურ და მატერიალურ მხარდაჭერასაც. მიუხედავად ამისა, იმპერიალის-
ტებთან შეთანხმებით ჩინეთის ფეოდალურ-კომპრადორული წრეები ჩინეთ-
ში რევოლუციური პროცესის ხელის შეშლას წარმატებით ახერხებდნენ.
ამას ხელს უწყობდა ჩან კაი-შის და ჩინეთის ბურჟუაზიის ბევრი
თვალსაჩინო წარმომადგენლის უმოქმედო და ლოდინის პოზიცია. ამას
ისიც ემატებოდა, რომ ჩინელი კომუნისტები ეროვნული ბურჟუაზიის მიმართ
უნდობლად იყვნენ განწყობილნი და მისი რევოლუციისაგან ჩამოშორება
უნდოდათ, მათი აზრით, ჩინეთის ბურჟუაზია ბუნებით კონტრრევოლუციუ-
რი იყო და იგი ჩინელი ხალხის ეროვნულ-რევოლუციურ ბრძოლას ზიანს
მიაყენებდა. კომუნისტები მუშათა კლასს ბურჟუაზიით, ხოლო ამ უკანასკ-
ნელს მუშათა კლასით აშინებდნენ და ამით ჩინეთის ამ ორ ძლიერ სო-
ციალურ კლასს შორის მტრობას მუდმივად აღვივებდნენ. კლასებთან
დამოკიდებულებაში ასეთი პოლიტიკის გატარებას არ შეეძლო ჩინე-

თის რევოლუციისათვის ზიანი არ მოუტანა და არც მოხდა. ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზია იმპერიალისტებს დაუახლოვდა. 1927 წლის მარტში ჩინეთის ერთიანი ფრონტის შიგნით ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობანი საგრძნობლად გამწვავდა. ყოველივე ეს ჩინეთის ეროვნულ-რევოლუციურ ბანაკში შემავალ სხვა სოციალურ ფენებში [illegible] გამოხატულ კონფლიქტშია. სოციალურ-პოლიტიკური უთანხმოებანი გომინდანის პარტიასაც შეეხო, ჩან კაი-შის სურდა გომინდანში მემარჯვენე და მემარცხენე დაჯგუფებებს შორის გაჩაღებული ბრძოლა ესარგებლა და გომინდანის ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო. მწვავე სოციალურ-პოლიტიკური შეტაკებების გამოსწორების მიზნით; იგი [illegible] ილტვოდა, რომ ჩინეთში სამხედრო დიქტატურა შექმნილიყო. ჩან კაი-შის კარიერისტული მისწრაფებები და ამბიციები არა მარტო კომუნისტების, არამედ მისი მომხრე გომინდანელების და ეროვნულ რევოლუციური არმიის ხელმძღვანელების საპასუხო კრიტიკას იწვევდა. მემარცხენეთა დაჟინებით გომინდანის 1927 წლის 10 მარტის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც გომინდანში კოლეგიალური მართვა დაწესდა და თავმჯდომარის პოსტი, რომელიც ჩან კაი-შის ეკავა, გაუქმდა. პლენუმმა აღადგინა კოლექტიური მართვის ორგანო-გომინდანის აღმასკომის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც 9 წევრისაგან შედგებოდა. აქედან 4 წევრი ჩან კაი-შის მოწინააღმდეგე იყო. გომინდანის მარტის პლენუმის ეს გადაწყვეტილება ჩან კაი-შის ერთპიროვნული მმართველობის შეზღუდვისაკენ იყო მიმართული, მაგრამ კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებების გატარების გარეშე მას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ჩან კაი-ში რეალურ ძალას ფლობდა. ეროვნულ-რევოლუციური არმია მას ექვემდებარებოდა, დამარცხებული ჩრდილოელი მილიტარისტები მის [illegible] გადადიოდნენ, ხოლო რაც შეეხება ეროვნულ ბურჟუაზიას, იგი სულ უფრო და უფრო ამყარებდა საგარეო ეკონომიკურ კავშირებს,

ძალას იკრებდა და მზად იყო, ჩან კაი-შის ინტერესების დასაცავად გამოსულიყო. უხანის მთავრობის დათმობებით ჩან კაი-შიმ ძიანსის, ანხუის და ჩჟეცზიანის პროვინციებში თავისი პოზიციები განიმტკიცა, შანხაის დემოკრატიულ ძალებზე გავლენა მოიპოვა და იმპერიალისტებთან საერთო ენაც გამონახა. იმპერიალისტები და კომპრადორული ძალები ჩან კაი-შისთან ერთად პროფკავშირების და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ. 1927 წლის მარტში ჩან კაი-შიმ გამოსცა ბრძანებები, რომლებიც ანტიიმპერიალისტურ კამპანიას კრძალავდნენ და უცხოელებს ჩინეთში პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებდნენ. ჩან კაი-შის მიერ საზღვარგარეთელი კაპიტალისტებისათვის გადაცემული ეკონომიკური უფლებებით სარგებლობის მინიჭებამ შანხაიში მასობრივი მანიფესტაციების და აჯანყებების ახალი ძალით აფეთქება გამოიწვია. ჩინეთის დიდ ქალაქებში, მუშათა გამოსვლების შედეგად მოსალოდნელი არასასურველი შედეგების ლიკვიდაციის, უცხოური საწარმოების და საკუთრების დაცვის მიზნით, შანხაისთან 1927 წლის აპრილში კონცენტრირებულ იქნა აშშ, იაპონიის, ინგლისის და საფრანგეთის გაერთიანებული საზღვაო-სამხედრო ძალები. ჩინეთის ეკონომიკაში მოპოვებული გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვის შიშით იმპერიალისტებმა ერთიერთშორის არსებული წინააღმდეგობანი დაივიწყეს და ჩინეთის ბურჟუაზიაზე და გომინდანზე ზემოქმედების მიზნით, ერთობლივად დემარში ჩაატარეს 1927 წლის 24 მარტს საზღვარგარეთის იმპერიალისტური ძალების გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა ქ. ნანკინი დაბომბეს და 11 აპრილს ჩან კაი-შის ულტიმატუმი წაუყენეს (52; 565). ულტიმატუმში ნათქვამი იყო, რომ საზღვარგარეთის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები ჩინეთში არ დაუშვებდნენ კამპანიას მათ წინააღმდეგ, ხოლო ამ საქმეში დამნაშავეები ჩინეთის მხარეს უნდა დაეპატიმრებინა და სათანადოდ დაესაჯა. ჩინეთის მიმართ იმპერიალის-

ტური ქვეყნების პოზიცია ჩან კაი-შისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ მარტის თვეში, როდესაც პეკინში, ნანკინსა და შანხაიში უცხოეთის ჯარები დათარეშობდნენ, ჩან კაი-შიმ კონტრრევოლუციური გადატრიალებისათვის მზადება დაიწყო. 5 აპრილს მან ეროვნული არმიის ყველაზე რევოლუციურად განწყობილი 26-ე კორპუსი შანხაიდან გაიყვანა, შემდეგ შანხაიში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და გაფიცვები, დემონსტრაციები და შეკრებები აკრძალა. გადატრიალების დაწყების ნიშანი 11 აპრილის ულტიმატუმი გახდა. მისი ვადის გასვლის შემდეგ, 12 აპრილს ღამით, იმპერიალისტთა ჯარებმა შანხაის საერთაშორისო სეტლმენტის საზღვრები დატოვეს და შანხაიში მასობრივი დაპატიმრებები მოაწყვეს. კონტრრევოლუციური გადატრიალებები მოხდა სხვა ქალაქებშიც ხანჭოუში, ნინბოში, ფუჯოუსა და ნანკინში. 18 აპრილს ნანკინში ჩან კაი-შიმ მემარჯვენე გომინდანური მთავრობა ჩამოაყალიბა. შანხაის, სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის მსხვილ ქალაქებში მომხდარი გადატრიალების შემდეგ ეროვნული ბურჟუაზია, მემამულეები, კომპრადორები და უცხოელი კაპიტალისტები ერთად შეკავშირდნენ და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას და მუშათა კლასს დაუპირისპირდნენ, მოგვიანებით ამ უკანასკნელს გლეხობაც მიემხრო. კონტრრევოლუციური გადატრიალებების შედეგად აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთში რევოლუცია დაღმავალი გზით წავიდა და მალე მარცხი განიცადა. ცენტრალურ ჩინეთსა და უხანის რაიონში, სადაც მემარცხენე გომინდანელები ხელისუფლებას ინარჩუნებდნენ და ერთიანი ფრონტი არსებობდა, რევოლუცია წინსვლას განაგრძობდა. აქ მუშათა და გლეხთა კლასი წვრილ ბურჟუაზიასთან და ეროვნულ-რევოლუციურ არმიასთან კავშირში რევოლუციის მტკიცე საყრდენს წარმოადგენდა.

1927 წლის 12 აპრილს ჩან კაი-შის მეთაურობით მომხდარი მემარჯვენე გომინდანელების კონტრრევოლუციური გადატრიალება სრული ჩინეთის [illegible] ფრონტის შიგნით მიმდინარე მწვავე სოციალურ-პოლი-

ტიკური წინააღმდეგობების ნათელი გამოვლინება იყო. მიუხედავად იმისა, რომ გუანჯოუში, ნანკინში, შანხაიში, სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის მსხვილ ქალაქებში კონტრრევოლუციური გადატრიალებები მოხდა, ეს სრულიად ჩინეთის მასშტაბით ერთიანი ფრონტის ლიკვიდაციას არ ნიშნავდა. უხანში ჯერ კიდევ არსებობდა მემარცხენე, გომინდანის მთავრობა და ეროვნულ-რევოლუციური არმიის დიდი ნაწილი. მათ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა გადატრიალების მოხდენისთანავე დაიწყეს. პირველად სალაშქროდ 70 ათასკაციანი ჯარი გავიდა უხანიდან. მათ მთავარი დარტყმა პეკინ-ხანკოუს მიმართულებით განახორციელეს. 28 მაისს ბრძოლა მოხდა ჩჟინჩჟოუსა და კაიფენთან ჩრდილოელი მილიტარისტების - ფენტიანის არმიასა და უხანის ეროვნულ-რევოლუციურ არმიას შორის. ფენტიანელები სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ (53, 24). უხანის ეროვნულ-რევოლუციური არმიის სამხედრო პოტენციალს ჩინელ მილიტარისტთა ვერც ერთი არმია ვერ შეედრება, მაგრამ მალე უხანის არმიაში ეკონომიკურმა სიძნელეებმა იჩინა თავი, გაუარესდა ეროვნულ-რევოლუციური არმიის პროდუქტებით და საბრძოლო ტექნიკით მომარაგება. არმიისთვის ეკონომიკური და მატერიალური სახსრების მიმწოდებელი რაიონები კონტრრევოლუციური მოქმედების შედეგად მისგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. ჩინეთის მსხვილმა ბურჟუაზიამ და საზღვარგარეთის იმპერიალისტურმა წრეებმა ისარგებლეს ჩინეთში არმიაში წარმოქმნილი ეკონომიკური სიძნელეებით და აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთში გაბატონდნენ. ეკონომიკური კრიზისის შედეგად ეროვნულ-რევოლუციურ არმიაში კონტრრევოლუციური ამბოხებები დაიწყო. ყოველივე ეს არმიის სიძლიერეს ძირს უთხრიდა. ჩრდილოეთის ლაშქრობის დიდმა ფინანსურმა ხარჯებმა, ვერცხლის ფულის მარაგის შემცირებამ, ჩინეთის სახელმწიფო ბანკების ბანკნოტების ნომინალის უზრუნველყოფა 10%-მდე დაბლა დაიყვანა. ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, 1927 წლის 15 აპრილს ეროვნულმა

მთავრობამ აკრძალა ვერცხლის ფულის უხანიდან გატანა, აიკრძალა ფინანსური გარიგებებისა და ოპერაციების ვერცხლის გამოყენებით წარმოება. ამ ღონისძიებების გატარების შედეგად 10 მლნ-მდე იუანი დაიზოგა, რაც სამხედრო ოპერაციებს მოხმარდა ფინანსებზე კონტროლის დაწესების უზრუნველყოფის მიზნით. ჩინეთში სამხედრო მდგომარეობის ეკონომიკური კომიტეტიც შეიქმნა, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებაში ძირეული გარდატეხის მიღწევა ვერ მოხერხდა. სახელმწიფო ბანკნოტები უფასურდებოდა, ხოლო ეროვნული მთავრობა უშვებდა რა დიდი რაოდენობის ქაღალდის ფულს, ინფლაციურ პროცესს უნებლიედ უწყობდა ხელს. შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა, მოსახლეობას პირველი მოხმარების საგნები არ ჰყოფნიდა, არ იყო საკმარისი პროდუქტები, სურსათი და ა.შ. უხანის მთავრობის მიერ გამოცემული ქაღალდის ფულის მიღებაზე როგორც ჩინელი, ასევე უცხოელი მეწარმეები, ვაჭრები და სხვა სახის მეწარმეებლები უარს ამბობდნენ; უცხოური ბანკების ბანკნოტები, ჩინური ბანკის ანალოგებთან შედარებით, 30%-ზე მეტად ფასობდა. ფართო მოხმარების საქონელზე ფასების სწრაფმა ზრდამ ჩინელ მშრომელთა სოციალური ფენების ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა. დაძაბული ეკონომიკური სიტუაცია ჩინეთის ყველა კლასს რევოლუციის მიმართ მტრულად განაწყობდა. მაგალითად, ხუნანის რაიონის ბურჟუაზია იმპერიალისტების ბანაკში გადავიდა, მათ მემამულეები და მემარჯვენე გომინდანელები მიჰყვნენ. ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზია მერყეობდნენ, მაგრამ გული მაინც კონტრრევოლუციისაკენ მიუწევდათ. მუშათა კლასის ნაწილს და გლეხებს არც კი ესმოდათ რევოლუციის არსი, მისი მიზნები, ისინი ხშირად დროის კარნახით და მატერიალური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, კონტრრევოლუციონერები კი, უხანში ეკონომიკური კრიზისის გაჩენას ისევ მუშებს, გლეხებს და დაბალ სოციალურ ფენებს აბრალებდნენ. გლეხები არბევდნენ ჩინელი მემამულეების კარ-მიდამოს, იტაცე-

ზიხენ საქონელს და მათ მიწის ნაკვეთებს ისაკუთრებდნენ. მათ სათავეში გლეხთა კავშირები ედგათ. გლეხთა კავშირები კონტროლს უწევდნენ პროდუქტების წარმოებასა და გატანას, ასევე არეგულირებდნენ ბრინჯის გატანას, დახმარებას უწევდნენ ღარიბ გლეხებს და ჩინეთის სოფელში თანასწორუფლებიანობის დამყარებისა და მემამულეთა მფლობელობის მოსპობას ითხოვდნენ. თავის მხრივ, ჩინელი მემამულეები, მიწაზე საკუთრების შენარჩუნების და გადარჩენის მიზნით ცდილობდნენ, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, გომინდანი და არმია გლეხებისათვის დაეპირისპირებინათ. ამათმა ანტიგლეხურმა პროპაგანდამ ნაყოფი გამოიღო, ჩინეთის კომპარტიასა და გომინდანში ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები გაჩნდნენ, რომლებიც გლეხობას უკიდურეს ექსტრემისტულად სახავდნენ და ჩინეთის რევოლუციაში გლეხობის აქტიურ როლს საეჭვოდ უარყოფდნენ. ეროვნულ-რევოლუციურ არმიაში ფეოდალურ-კომპრადორული წრეების გავლენა სულ უფრო იზრდებოდა, გომინდანის დიდი ნაწილი კონტრრევოლუციისაკენ გადაიხარა, ამასთან პოლიტიკურ მდგომარეობას ჩინეთის კომპარტიის მიერ დაშვებული პოლიტიკური შეცდომები, რევოლუციაში ძალთა თანაფარდობის შეფასების უუნარობა და პარტიის შიგნით არსებული მერყევი პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო ართულებდა. კონტრრევოლუციური კამპანია ხუბეის, ხუნანის და ძიანსის პროვინციებში, 1927 წლის 15 ივლისს უხანში მომხდარი გადატრიალებით დამთავრდა. ეს გადატრიალება, რომელიც ვან ძზინვეის მეთაურობით მოხდა ჩინეთის 1925–1927 წლების რევოლუციის დამარცხების წინა დღე იყო, იმავე დღეს გომინდანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა რეზოლუცია ჩინეთის კომპარტიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ. ამის შემდეგ უხანში კონტრრევოლუციური ტერორი ჩატარდა. უხანის გომინდანის ხელმძღვანელებმა ჩინეთის წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, ინტელიგენციამ, ეროვნულმა ბურჟუაზიამ ცნეს ჩინეთის მსხვილი ბურჟუაზიის ძალაუფლება

და აღიარეს მისი დომინირებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ერთიანმა ეროვნულ-რევოლუციურმა ფრონტმა კი ჩან კაი-შის წინაშე კაპიტულაცია მოახდინა. აიკრძალა ჩინეთის კომუნისტური პარტია, პროფკავშირები, გლეხთა კავშირები და სხვა მემარცხენე რევოლუციური ორგანიზაციები, ხოლო მათი აქტივისტები დააპატიმრეს,- ან სიკვდილით დასაჯეს. 1925-1927 წლების რევოლუციამ მძიმე მარცხი განიცადა.

ჩინეთის 1925-1927 წლების რევოლუციის დამარცხება მთელი რიგი შინაპოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ხასიათის მიზეზებით და მოვლენებით იყო განპირობებული. ჩინეთის რევოლუციურ ბანაკში სხვადასხვა სოციალური ძალა არსებობდა და თითოეულ მათგანს საკუთარი კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდა. მუშათა და გლეხთა კლასის, ეროვნული და წვრილი ბურჟუაზიის გარდა, ჩინეთის ერთიან რევოლუციურ ფრონტში მემამულე-კომპრადორები, მილიტარისტულ-ბიუროკრატიული და სხვა ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი და დაპირისპირებული სოციალური ჯგუფები იყვნენ გაერთიანებულნი. ასეთი სოციალურ-კლასობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა გომინდანი, ჩინეთის კომუნისტური პარტია, ეროვნულ-რევოლუციური არმია და ბევრი სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია. ჩინეთის მაშინდელი სოციალ-ეკონომიკური განვითარების და პოლიტიკური ვითარების პირობებში, მკვეთრადნიშნულ სოციალურ-კლასობრივი ნიშნის მიხედვით დაყოფა, ჯგუფების მთლის ეროვნულ-პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელი იყო, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ბევრ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერ და გავლენიან სოციალურ ჯგუფს ხელისუფლების ხელში ჩაგდება სურდა. მათ ეკუთვნოდნენ გომინდანის, ჩინეთის კომპარტიის, ჩან კაი-შის პოლიტიკური დაჯგუფების, ჩრდილოელი მილიტარისტების, ეროვნულ-რევოლუციური არმიის ხელმძღვანელობის ძალაუფლებისათვის ბრძოლამ 1925-1927 წლების ჩინეთის შინაპოლიტიკური

მდგომარეობაც მძიმე და დაძაბულ ხასიათს ღებულობდა. ყოველივე ამით სარგებლობდნენ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური წრეები და ჩინეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამორჩილებას ცდილობდნენ.

ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზია ისწრაფოდა სამშობლო საზღვარგარეთის კაპიტალზე დამოკიდებულებისაგან ეხსნა და დამოუკიდებელი კაპიტალისტური განვითარების გზაზე დაეყენებინა. უცხოეთის მონოპოლიების ბატონობისაგან თავის დასაღწევად ეროვნული ბურჟუაზია ხალხის მასებს უნდა დაყრდნობოდა, მაგრამ მას მუშათა კლასის დამოუკიდებლობის ზრდის ეშინოდა. ჩინეთის ბურჟუაზია მუშათა კლასის ძლიერების ზრდაში თავისი პრივილეგიების დაკარგვის საშიშროებას ხედავდა. გარდა ამისა, ჩინეთის მუშათა კლასის და ბურჟუაზიის დაახლოვებას ჩინეთის კომუნისტური პარტია შეგნებულად უშლიდა ხელს. ყოველივე ამან ჩინეთის ერთიანი ფრონტის ძლიერებას ძირი გამოუთხარა. რევოლუციის დროს ჩინეთის ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ ეროვნული ბურჟუაზია წელში ვერ გაიმართა და ისე ვერ მოძლიერდა, რომ ჩინეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმირებაზე და მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე აქტიური გავლენა მოეხდინა. მუშების და გლეხების მდგომარეობა თითქმის ისეთივე დარჩა, როგორიც რევოლუციამდე იყო, გლეხები კვლავ მძიმე საიჯარო, საბატონო გადასახადებს იხდიდნენ. 1925--1927 წლების რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ რევოლუციურმა ძალებმა მათი მოწინააღმდეგეების მიმართ ვერ შეძლეს მთელი ჩინეთის მასშტაბით გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ. ჩინეთის რევოლუცია დაიწყო საყოველთაო აჯანყებითა და გაფიცვებით შანხაისა და სიანგანში, მაგრამ მას ლოკალური ხასიათი ჰქონდა, რაც შეეხება ჩინეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში მიმდინარე ეკონომიკურ მოძრაობას, იგი შედარებით სუსტი იყო.

1925-1927 წლებში მომხდარი გლეხთა აჯანყება, როდესაც გუანდუნის გლეხობამ შემამულეებზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და ძალაუფლება ხელში აიღო, საყოველთაო გლეხურ რევოლუციაში არ გადაიზარდა, გლეხური რევოლუცია არ მოხდა არც 1927 წელს, როდესაც გლეხური მოძრაობის ცენტრმა ხუნანსა და ხუბეიში გადაინაცვლა. ჩრდილოეთის ლაშქრობის დაწყების შემდეგ რევოლუციურ აღმავლობას მხოლოდ ეროვნულ-რევოლუციური არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ჰქონდა ადგილი, ჩინეთის დანარჩენ რაიონებში მილიტარისტთა ძალაუფლება ბატონობდა.

იმის მაგივრად, რომ ერის ყველა ძალის შემაკავშირებლად გამოსულიყო, 1925-1927 წლებში რევოლუციური ბრძოლის დროს ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ერთიანი ფრონტის მიზნით მოკავშირეთა წინააღმდეგ კამპანია გააჩაღა და ამით ეროვნული მოძრაობის ერთიანობას დიდი ზიანი მიაყენა. ჩინელი კომუნისტების მოწოდებები კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ, ჩინეთის ქალაქებსა და პროვინციებში ერთიანი ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის დასუსტებას იწვევდა. მაო თეზისი იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის ერთიანი ბრძოლით გაშლა ეროვნული რევოლუციის წინსვლას განამტკიცებდა, უადგილო და უსუსური იყო და. როგორც შემდგომში პრაქტიკამ აჩვენა, ჩინეთის რევოლუციაზე მან დამღუპველი გავლენა მოახდინა. ჩინელი კომუნისტები საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური ილუზიების მსხვერპლი გახდნენ.

1925-1927 წლების რევოლუციამ ჩინეთს სრული ეროვნული ერთიანობა ვერ მოუტანა, საზღვარგარეთთან დადებული არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები და უცხოეთის პრივილეგიები არ გაუქმდა. გომინდანის I ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ვერ შესრულდა, არ შეიმუშავეს საყოველთაო საარჩევნო სისტემა, არმია კვლავ დაქირავებული დარჩა, მუშებისა და გლეხების ცხოვრების პირობები არ გაუმჯო-

მეცდა და ვერც საყოველთაო განათლების სისტემა შექმნა. ამრიგად სუნ იატ სენის "სამი სახალხო პრინციპი" ცხოვრებაში არ გატარდა. სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და თავისუფლება აუსრულებელ ოცნებებად რჩებოდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩინეთის ეროვნული განთავისუფლებისა და დასახული მიზნების განხორციელებისათვის არსებითი ნაბიჯი გადაიდგა. რევოლუციამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ფეოდალიზმს, რომელიც ჩინეთის ეკონომიკის კაპიტალისტური გზით განვითარების მიუხედავად, მის პროვინციებში პოზიციებს არ თმობდა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Юрьев М.Ф. Установление сотрудничества между КПК и Сунь Ятсеном в 1921-1924 гг. Сунь Ят-сен. 1866-1966. М., 1966.
2. Soong Ching-ling. The struggle for new China. Peking, 1953.
3. Иорданский А. Китай и его силы. М., 1927.
4. *ჩჟუნგო გუნჩანდან ვეი სუნ ჩჟუნშან ჩჟი სივაი ჩჟუნგო მინჩჟუნ. სიანდაო 1925. № 107*[1]
5. Картунова А.И. Деятельность Шанхайского совета профсоюзов в июне-августе 1925 г. Проблемы Востоковедения. М., 1960, № 2.
6. Непомнин О.Е. Особенности происхождения фабричного капитала в Китае (конец XIX - начало XX в.) - Проблемы генезиса капитализма, М., 1970.
7. Меликсетов А.В. История Китая в новейшее время, ч.I. Китай к началу новейшего времени. М., 1980.


---

1 ჩინური ლიტერატურა გამოყენებულია ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორიული მასალებისა და თარგმანების მიხედვით.

8. ჰენ მე ჩეი. მეციან ჩეენცმიეი იეი გენეენ ცმე ცმი. სიანდაო 1927 № 186.

9. Тен Шин-сен (Тен Пин-шань). Пути развития Китайской революции. М., 1927.

10. ციე ციე მი. ჩეენგე გემინ ხე ჩეენგო გენჩანდან, სიანდაო. 1927, № 126.

11. ცაი ხე სენი. გოცმია ჟენ ი იეი მილიდი იანხე. სიანდაო, 1927, № 200.

12. Гельбрас В.Г. О классово-социальной структуре населения Китая в канун победы революции. Китай: общество и государство. М. 1973.

13. Меликсетов А.В. Некоторые особенности формирования рабочего класса Китая к началу новейшего времени. Девятая научная конференция: "Общество и государство в Китае". Тезисы и доклады. М., 1978.

14. Акатова Т.Н. О роли рабочего класса Китая и его союзе с крестьянством в революционной борьбе (1919-1949), М., 1973.

15. Березный А.А. О борьбе демократической и антидемократической тенденции в Китайской революции 1925-1927. Седьмая научная конференция: "Общество и государство в Китае", М., 1973.

16. ჩენ დე სიე. გემინ იეი მინჩეენ. სიანდაო, 1927, № 186.

17. Ходоров А.Е. К событиям в Китае - "Молодая гвардия", 1927, № 5.

18. Виленский-Сибиряков В.Д., Движущие силы китайской революции. "Юный коммунист". 1926, № 20.

19. Chen Kung-Po. The Communist Movement in China. N.Y. 1966.

20. Миф П.А. Китайская революция. М., 1932.

21. ჟენმინ ჟიბაო 21.9.1982.

22. გუანმინ ჟიბაო 06.12.1981

23. Мугрузин А.С. Аграрные отношения в Китае в 20-40 годах. М., 1970.

24. Мугрузин А.С. К вопросу о специфике классового состава сельского населения в Китае накануне победы революции. Китай: общество и государство. М., 1973.

25. Тяпкина Н.И. О клановой организации организации в китайской деревне первой половины XX в. Социальная и социально-экономическая история Китая. М., 1979.

26. Глунин В.И., Мугрузин А.С. Крестьянство в Китайской революции и революционный процесс на Востоке. История и современность. М., 1982.

27. Малухин А.М. Китайское крестьянство в революции 1925-1927. М., 1974.

28. Курбатов В.П. К вопросу о социальных сдвигах в Китайской деревне (к постановке проблемы). Пятая научная конференция: "Общество и государство в Китае". Тезисы и доклады. М., 1974.

29. Мугрузин А.С. Революционность китайского крестьянства и ее традиционные корни. "Информационный бюллетень ИДВ:. 1980. № 2, ч.2.

30. ჩჟენგო ცზინდაი ში იანცზიუ ლუნცენ (ჩინეთის ახალი და უახლესი ისტორიის ნარკვევები. სტატიების კრებული), ჩანჩუნი, 1981.

31. ჩჟენგაი ცზინდაი ცზინცზი ში (ჩინეთის ეკონომიკა ახალ და უახლეს პერიოდში 1840–1949) ტ.2 პეკინი, 1979.

32. Меликсетов А.В. Характер социальных противоречий в Китае в новейшее время. Вторая научная конференция по проблемной истории Китая в новейшее время. Тезисы и доклады. М., 1977.

33. Тяпкина Н.И. Кланы как элемент традиционной социальной структуры Китайской деревни первой половины XX в. Шестая научная конференция "Общество и государство в Китае". Тезисы и доклады. М., 1972, ч.2.

34. Тяпкина Н.И. Залог земли в Китае первой четверти XX в. Тезисы и доклады. М., 1978.

35. Анжаров А. Классы и партии современного Китая. М., 1926.

36. Альский М. Кантон побеждает. М., 1927.

37. Березный А.А. К вопросу о характере революции 1925-1927 гг. Четвертая научная конференция.

38. *გო ღეხენ, ღიან მანსიარ. მიღენ ღაგემინ მიციღი, მეღი ღიერძენ. "ღიმი იანცმიე". 1983. N 2.*

39. Юрьев М.Ф. Революция в Китае. М., 1968.

40. *ხენცი ჰიარ ჰიარ. 1958. N 11*

41. История современной китайской революции, под редакцией Хе Гань Чжи. Перевод с китайского. М., 1959.

42. Ден Чжун-ся. Краткая история профсоюзного движения в Китае. М., 1952.

43. Капица М.С., Советско-китайские отношения. М., 1958.

44. *"ხაი ბაო" 29.7.1925*

45. *"რეენგო გენძენ". 1925 N 12*

46. Цай Цю-бо. Национальная революция Китая и ленинизм. Справочные материалы по истории китайской революции. Т.II, Пекин, 1939.

47. "ჩჟენჩჟი ჩჟოუბაო". 3.5.1926. N 10

48. Лео Чжун-кай. Сборник произведений. Пекин. 1963.

49. Черепанов А.И. Записки военного советника в Китае, М., 1964.

50. "შენ ბაო" 21.3.1926.

რუსუდან პეგრელაძე

## სიხური სეპარატიზმის კონფესიური და პოლიტიკური ასპექტები თანამედროვე ინდოეთში

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში სიხთა ლიდერებმა მოგვიანებით შექმნილი პოლიტიკური პარტიის "აკალი დალ"-ის დახმარებით შეძლეს დიდი წარმატებისთვის მიეღწიათ სიხური ერთობის განმტკიცებისა და კონსოლიდაციის საქმეში. აკალისტებმა ბრძოლით დააარსეს სიხური წმინდა ტაძრების გურდვარების მაკონტროლებელი დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებდა რელიგიურ დისციპლინას და კულტის რეფორმას, სიხთა რეფორმატორებმა ფენჯაბური დააკანონეს ყველა სიხის საყოველთაო ენად.

1918 წ. სიხური ერთობა გადაიქცა პოლიტიკურ ერთეულად ხოლო მისმა წევრებმა მიიღეს ადგილები ფენჯაბის საკანონმდებლო კრებაში.

30-იანი წლების ბოლოს ინდოეთში გამოჩნდა დამოუკიდებლობის მიღების ტენდენციები, რამაც თავის მხრივ, არცთუ უსაფუძვლოდ შეაშინა ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმები, რომლებიც ინდუსებთან შედარებით უმცირესობას შეადგენდნენ. 1940 წ. მუსლიმებმა მიიღეს ე.წ. "იახორის რეზოლუცია", რომელიც ითვალისწინებდა ინდოეთის ორად გაყოფას და მუსლიმური პაკისტანის შექმნას (5, გვ. 231). პაკისტანის შექმნის მოთხოვნა აშინებდა სიკხებს, რამდენადაც აწყობდა ფენჯაბის მტატის შესვლა იმ ქვეყნის შემადგენლობაში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მუსლიმები შეადგენდნენ. 1940 წ. "აკალი დალ"-მა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა ინდოეთის გაყოფის შემთხვევაში, სიკხებისთვის შექმნილიყო საკუთარი წმინდა სიკხური სახელმწიფო-ხალისტანი.

1947 წ. აგვისტოში, როდესაც ინდოეთმა მიიღო დამოუკიდებლობა, მკაცრად განისაზღვრა საზღვრები ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – ინდოეთსა და პაკისტანს შორის. ინდოეთის დაყოფას მოჰყვა ახალი სისხლიანი ვაქხანალია. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა ფენჯაბში. სიკხებმა იარაღი აღმართეს მუსლიმების წინააღმდეგ. ათასობით მუსლიმი ოჯახი ულმობლად გაანადგურეს ინდუსების მოკავშირე სიკხებმა. სისხლს სისხლითვე უპასუხეს ოდესღაც მიჩუმებულმა მუსლიმებმა, მათ თითქმის მთლიანად გაწმინდეს დასავლეთი რაიონები სიკხებისა და ინდუსებისგან.

სიკხები იძულებული იყვნენ დარჩენილიყვნენ ინდოეთის შემადგენლობაში, რათა არ გადაშენებულიყვნენ საბოლოოდ (1, გვ. 17).

ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მიღებამ დიდი პრობლემები შეუქმნა სიკხებს. სიკხიზმი განიცადა ერთგვარი რეფორმაცია. ახალ ფენჯაბში სიკხი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდა. ჩიხში მოქცეული "აკალი დალი" ცდილობს ხელოვნურად შექმნას დაბრკოლება ფენჯაბში მოსახლე სიკხებსა და ინდუსებს შორის, მისი ლიდერები გა-

მილიან მოთხოვნით სასწრაფოდ შეიქმნას ფენჯაბზე მოლაპარაკე წმინდა სიკხური შტატი.

1948 წ. "აკალი დალის" ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე თარა სინგხი ხმამაღლა აცხადებდა: "ჩვენ გვსურს შევქმნათ ჩვენი ეროვნული კულტურისა და ტრადიციების მატარებელი პროვინცია" (2, გვ. 43).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ფენჯაბზე მოლაპარაკე შტატის შექმნის მომხრეთა შორის სიკხების გარდა იყვნენ ის ინდუსებიც, რომლებიც იზიარებდნენ და არ უარყოფდნენ ფენჯაბის შტატის ძირითად ენის შემოღების იდეას. ეს მცირე რაოდენობის ინდუსები ძირითადად ცხოვრობდნენ იმ რაიონებში, სადაც ფენჯაბი საკმაოდ ფესვგადგმული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული ტერიტორია კომპაქტურად იყო დასახლებული მიწათმოქმედი სიკხების მიერ, სწორედ ამიტომაც ინდუსებს არ სურდათ მათთან კონფრონტაცია.

ინდუსების უმცირესობამ შეიმუშავა გეგმა - "საჭირო არ არის ფენჯაბის გაყოფა. უფრო უპრიანი იქნებოდა შექმნილიყო ე.წ. მაჰა ფენჯაბი (დიდი ფენჯაბი)". ინდუსების მეორე შედარებით უფრო ძლიერი დაჯგუფება კატეგორიულად მოითხოვდა შტატის გაყოფას. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ძირითადად ის ინდუსები, რომელთა ენა ახლოს იდგა ჰინდისთან. ინდუსების ამ ნაწილმა, არაერთხელ მოაწყო პოლიტიკური გამოსვლები ჰინდიზე მოლაპარაკე მოსახლეობისთვის ახალი შტატის ჰარიანას შექმნის მოთხოვნით (6, გვ. 62). როგორც ზემოთაღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, ერთიანობა არც ინდუსებს შორის არსებობდა.

მოგვიანებით, არაერთი განხეთქილება მოხდა კონსოლიდირებული სიკხების რიგებშიც. მაშინ როცა სიკხების ძირითადი მასა სრულიად უკომპრომისოდ იბრძოდა წმინდა სიკხური შტატისათვის, გარდა,

წევრები საკმაოდ კარგ. ურთიერთობას ინარჩუნებდნენ ხარიანას მომხრე ინდუსებთან. ამ უკანასკნელთ თან სდევდათ შიში იმისა, რომ სიკხების მიერ შექმნილ შტატში ისინი აღმოჩნდებოდნენ მკვეთრად შესამჩნევ უმცირესობაში (3, გვ. 39).

აქვე შეიძლება გამოიყვეთოს მესამე ჯგუფიც. მას მიეკუთვნებიან სიკხი პოლიტიკოსები, ისინი საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ ინდოეთის ეროვნულ კონგრესში და მცირე სიკხური ფენჯაბის შექმნის იდეა საფრთხეს უქმნიდა ამ პოლიტიკოსების მდგომარეობას საზოგადოებაში. ფენჯაბის გაყოფის მოწინააღმდეგე იყო ინდოეთის მთავრობაც, მას არ სურდა პაკისტანის მოსაზღვრე ტერიტორიაზე შექმნილიყო შტატი, რომლის ხელმძღვანელობაშიც მოხვდებოდნენ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები. ჯ. ნერუს – კომუნალიზმის მოწინააღმდეგეს – ფენჯაბის გაყოფა მიაჩნდა, სწორედ კომუნალისტური იდეების განხორციელების შესანიშნავ წყაროდ, შეარყევდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის პოზიციებიც, რომელიც ინდოეთის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ წარმოადგენდა ყველაზე მძლავრ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში "აკალი დალ-ის" ლიდერები შეეცადნენ შეეცვალათ მოქმედების ტაქტიკა, მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს წმინდა სიკხური პარტია ვერ შეძლებდა საკუთარი ძალებით შებრძოლებოდა ინდოეთის ეროვნულ კონგრესს (6, გვ. 63-65). აკალისტებს არ შესწევდათ უნარი შეექმნათ მძლავრი კოალიცია, რათა მისი საშუალებით დაპირისპირებოდნენ საკმაოდ ფესვგამდგარ ინდოეთის ეროვნულ კონგრესს, ამიტომ ტარა სინგხმა აირჩია ერთადერთი სწორი გზა შეეყვანა "აკალი დალი" ინდოეთის ეროვნული კონგრესის შემადგენლობაში. 1948 წ. "აკალი დალი" იღებს გადაწყვეტილებას და ოფიციალურად წყვეტს არსებობას, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია.

ამ სწორმა პოლიტიკამ არაერთი წარმატება მოუტანა აკალისტებს. მინისტრთა კაბინეტში თანაბრად ნაწილდება პორტფელები სიქხებსა და ინდუსებს შორის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში მკვეთრად იზრდება სიქხების ადგილები.

1952 წ. არჩევნების წინ ტარა სინგხმა მოუწოდა აკალისტებს გამოყოფოდნენ ინდოეთის ეროვნულ კონგრესს, არჩევნებში გამარჯვების იმედით ფრთაშესხმული "აკალი დალის" წევრები გამოეხმაურნენ ლიდერის მოწოდებას, მაგრამ ეროვნული კონგრესის დატოვებამ მათ წარმატება არ მოუტანა. ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა დიდი უპირატესობით (34,8% - 14,7%) მოუგო მეტოქე პარტიას და ერთპიროვნული ლიდერი გახდა (4, გვ. 18).

შეურაცხყოფილი ტარა სინგხი მიმართავს ახალ ხერხს, თამაშობს რა სიქხების რელიგიურ მისწრაფებაზე, იმავდროულად იგი ცდილობს ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს ჯ. ნერუზე. დესტაბილიზაციით შეშინებული ინდოეთის პრემიერ-მინისტრი იძულებული იყო ტარა სინგხთან ერთად მიჯდომოდა მოლაპარაკების მაგიდას. ხანგრძლივი პოლიტიკური ბატალიების შემდეგ ჯ. ნერუ წავიდა კომპრომისზე.

1955 წ. მოლაპარაკების საფუძველზე ფენჯაბმა შეიერთა ახალი ტერიტორია. ფენჯაბის საკანონმდებლო კრება გაიყო ორ რეგიონალურ კომიტეტად, მათ ნაწილობრივ გადაეცათ ძალაუფლება. ერთი წლის შემდეგ შტატის ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილებები. ფენჯაბის მთავარ მინისტრად დაინიშნა ყოფილი აკალისტი კაირონი.

1956 წ. ამოიწურა დროებითი სიმშვიდე. აკალისტი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი ხელმეორედ შევიდნენ ეროვნული კონგრესის შემადგენლობაში.

კაირონმა გაწმინდა ფენჯაბის საკანონმდებლო კრება ძველი კონგრესისტებისგან, პარალელურად იგი ებრძოდა კომუნისტების [illegible] გამოვლინებას. -

1960 წ. არჩევნებში აკალისტებმა წამოაყენეს ფენჯაბი სუბას მოთხოვნა, მათმა ლიდერებმა, მოგვიანებით კი დამაჯერებელმა გამარჯვებამ, ბრძოლის ახალი ასპარეზი მისცა სიკხებს, რომლებიც ამჯერად პრინციპულად მოითხოვდნენ ფენჯაბის გაყოფას. კაირონი დაუპირისპირდა მათ და სიკხების პოლიტიკურ გამოსვლები სისხლში ჩაახშო.

1962 წ. ოქტომბერში ინდოეთსა და ჩინეთს შორის წარმოქმნილმა უთანხმოებამ შეიარაღებული კონფლიქტის სახე მიიღო. "აკალი დალი" მოერიდებულად იყენებდა არსებულ მდგომარეობას, სასწრაფოდ შეიქმნა თავდაცვის სიკხური კომიტეტი. ჩინეთის პრობლემით დაკავებული ინდოეთის მთავრობამ დროებით დაივიწყა ფენჯაბი, რამაც აკალისტ ლიდერებს შეუქმნა ხელსაყრელი მომენტი შტატის გაყოფის მოთხოვნისათვის. ამ პოლიტიკურ ბრძოლაში "აკა ლი დალი"-ს გვერდით გაერთიანდნენ კომუნისტები და ჯანხანგოვლები, შეიქმნა საკმაოდ სერიოზული კოალიცია, რომელმაც მოსვენება დაუკარგა შტატის ხელმძღვანელობას. "რკინის კაირონი" ძლიერი გახდა რაიმე შეეცვალა. შტატის გაყოფის საშიშროება სრულიად აშკარა გახდა. კაირონის დაჯგუფება რეალურ დახმარებას ვერ ღებულობდა დელისკანაც.

ამასობაში, 1964 წ. გარდაიცვალა ჯ. ნერუ, ძლიერი საყრდენგამოცლილი კაირონი იძულებული გახდა გადამდგარიყო, ჯ. ნერუს ადგილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაიკავა ბ. შასტრიმ, ამ უკანასკნელმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია აბობოქრებულ ფენჯაბს.

1965 წელს მიმდინარე ინდოეთ-პაკისტანის ომმა შეიტანა გარდატეხა ფენჯაბის გაყოფისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ინდოეთის ეროვნულ კონგრესში თავი იჩინა ფრაქციონერთა დიდმა განხეთქილებამ, ცენტრს უტევდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. აკალისტები ხმამაღლა მოითხოვენ ფენჯაბი სუბას, ამ შტატში მოსახლეობის

ხნის უნდა ყოფილიყვნენ სიქხები. მეორე მხრივ, ინდოეთის ოფიციალური მთავრობამ ვერ შესძლო გვერდი აევლო ინდუსების მოთხოვნისათვის, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ინდოეთის ეროვნული კონგრესის გავლენიანი პირები. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ფენჯაბი გაყვეს, მას გამოეყო ინდუსების დიდი ნაწილი და შეიქმნა ახალი შტატი – ხარიანა, მის ტერიტორიაზე დასახლდნენ ძირითადად ჰინდიზე მოლაპარაკე ინდუსები. სიქხებმა მიიღეს ფენჯაბზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებული მცირე ფენჯაბი. ეს გაყოფა სიქხთა პოლიტიკური ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისი იყო.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. The Punjab Crisis (Challenge and Response). Delhi, 1985.
2. Kapur Anup Chand. The Punjab Crisis (An Analytical Study). New Delhi, 1985.
3. McLeod W.H. The Evolution of the Sikhs Community (Five Essays). Oxf., 1976.
4. Oberoi Ch. From Punjab to Khalistan. Political Affairs, 1987, vol.60, No1.
5. Религия и секуляризм на Востоке. М., 1993.
6. Бельский А.Г. Бельский, Фурман Д.Е. Сикхи и индусы. Религия, политика, терроризм. М., 1992.

იულიან ბეგრელაძე

## რაჯივ განდი და სიქხების საკითხი

ინდოეთის პოლიტიკური ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც შეირყა ინდოეთის ეროვნული კონგრესის ავტორიტეტი. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა სიქხების პარტიამ "აკალი დალმა" და "ჯანატა პარტიასთან" ერთად შექმნა კოალიცია. აკალისტები ყოველ ძალას ხმარობდნენ პენჯაბის მმართველობაში ადგილების დასაკავებლად. დაიწყო მწვავე საარჩევნო ბრძოლა, რომელიც 1980 წ. დამთავრდა "აკალი დალისა" და მისი მომხრეების მარცხით, სიქხთა ერთობა კარგავდა ხელმძღვანელი პარტიების მფარველობას. ქვეყანაში იწყებოდა პოლიტიკური კრიზისი, რასაც ეკონომიკური სიძნელეებიც დაემატა. სიქხი მეწარმეები ძლიერ კონკურენციას განიცდიდნენ ინდუსი მეწარმეების მხრიდან. დროთა განმავლობაში გაიზარდა ანტისამთავრობო და ანტიინდუსური განწყობილებაც (2, გვ. 224-228).

"მწვანე რევოლუციის" წლებში იზრდება სოციალურად სხვადასხვა დონეზე მყოფ გლეხებს შორის არსებული სხვაობა. ქალაქებში სიქხის შეუძლებელი იყო სამუშაოს პოვნა. პენჯაბის სახელმწიფო დაწესებულებებში ადგილები შეივსო ინდოეთის ეროვნული კონგრესის მომხრეებით.

1928 წ. პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა სიქხების ახალი ლიდერი ბხინდრანვალე, იგი "აკალი დალის" მფარველობით დაიმედებული მოუწოდებს სიქხებს იარაღით განდევნონ პენჯაბიდან ინდუსები და შექმნან წმინდა სიქხური სახელმწიფო – ხალისტანი, ბხინდრანვალეს ძირითადი მხარდამჭერნი იყვნენ უმუშევარი სიქხი ახალგაზრდები. პენჯაბის მმართველები შორიდან თვალყურს ადევნებდნენ ბხინდრანვალეს მოქმედებას და ხელს არ უშლიდნენ ექსტრემისტების გამოსვლებს, ისინი იმედოვნებდნენ, რომ უმოკლეს დროში ბხინდრან-

ვალეს მომხრეები დაუპირისპირდებოდნენ "აკალი დალის", რაც საშუალებას მისცემდა კონგრესის წევრებს უმტკივნეულოდ დაემკვიდრებინათ ნანატრი ადგილები ფენჯაბის მმართველობაში.

ბჰინდრანვალე თავისი მცირერიცხოვანი შეიარაღებული ჯგუფით გამაგრდა ქ. ამრიტსარში მდებარე სიქხების სალოცავ "ოქროს ტაძარში". მალე ექსტრემისტების მოქმედება უმართავი გახდა. პოლიტიკური მდგომარეობა ფენჯაბში იმდენად დაიძაბა, რომ ოფიციალური დელი იძულებული იყო შემოეღო (1983 წ.) საპრეზიდენტო მმართველობა. 1984 წ. ინდირა განდიმ შტურმით აიღო "ოქროს ტაძარი", მოკლეს 1200 კაცი, მათ შორის ბჰინდრანვალეც. შეურაცხყოფილმა სიქხებმა განახორციელეს ახალი შეტევები (3, გვ. 267).

1984 წ. 31 ოქტომბერს რელიგიური შურისძიების მსხვერპლად იქცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, ამ უკიდურესად გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში 1984 წ. ნოემბერს პრემიერ-მინისტრის პორტფელი ჩაიბარა რაჯივ განდიმ, ახალმა პრემიერმა გადაწყვიტა მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა ფენჯაბის პრობლემა. ყოველგვარი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა დაქვემდებარებოდა ინდოეთის კონსტიტუციას. პირველ რიგში საჭირო იყო სიქხი ტერორისტებისაგან მოეშორებინათ "აკალი დალის" ის ლიდერები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფენჯაბის გამოყოფას ინდოეთისაგან, ამავე დროს რაჯივ განდი არ გამორიცხავდა წასვლას მთელ რიგ დათმობებზე.

"აკალი დალი" კატეგორიულად სვამდა საკითხს ინდირა განდის მმართველობის პერიოდში დაპატიმრებული სიქხი ექსტრემისტების გათავისუფლების შესახებ, მოითხოვდა ინდოეთის ეროვნული კონგრესიდან დაეთხოვათ ის პირები, რომლებიც აქტიურად ერეოდნენ ფენჯაბელი ახალგაზრდობის მიერ მოწყობილი ანტისამთავრობო მანიფესტაციების ჩახშობაში. ისინი ასევე მოითხოვდნენ 1984 წ. მარტში მიღებული მთავრობის საწინააღმდეგოდ მიმართული მშვიდობიანი აქციების და

ექსტრემიზმის ამკრძალავი კანონის გაუქმებას.

მთავრობამ გაათავისუფლა 1984 წ. "ოქროს ტაძრის" შტურმის დროს პატიმრობაში აყვანილი "აკალი დალის" ზოგიერთი ლიდერი, მიუხედავად ამისა სიკხმა ტერორისტებმა 1984 წ. მაისში განახორციელეს რამოდენიმე სისხლიანი აქტი, შეიწირეს 80-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. ფენჯაბში ათაერთხელ მოეწყო თავდასხმა ინდოეთის ეროვნული კონგრესის წევრებსა და მათ ოჯახებზე, უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ინდუსებსა და სიკხებს შორის (9, გვ. 761).

"აკალი დალიში" შემავალი უმრავლესობა სრულ სოლიდარობას უცხადებდა ტერორისტებს. რაჯივ განდი ცდილობდა მოლაპარაკების მაგიდასთან მიეწვია პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლონგოვალი. მოლაპარაკების წარმატებით ჩატარების მიზნით, მთავრობამ პატიმრობიდან გაათავისუფლა 1400 სიკხი.

1985 წლის 24 ივლისს რაჯივ განდისა და ლონგოვალს შორის, ფენჯაბში მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით დაიდო ორმხრივი შეთანხმება. მთავრობამ ვალდებულება იკისრა მიეცა კომპენსაცია იმ ოჯახებისთვის, რომლებიც დაზარალდნენ ფენჯაბში არეულობის დროს. ბევრი სიკხი დაბრუნდა თავის ძველ სამუშაო ადგილზე. ციხეებიდან უნდა გამოეშვათ ის ჯარისკაცები, რომლებიც ქ. ამრიცსარში ტაძრის გათავისუფლებისას აიყვანეს. ფენჯაბის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ქ. ჩანდიგარჰი, მთავრობის დახმარებით უნდა გადაჭრილიყო ფენჯაბსა და ხარიანას შორის არსებული რამოდენიმე სადავო საკითხი წყლის რესურსების გამოყენების თაობაზე.

დადებულმა ხელშეკრულებამ სიკხი ექსტრემისტების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა ლონგოვალის მკვლელობა. ეს იყო თავისებური პროტესტი 1985 წლის სექტემბერში ჩატარებული არჩევნების მიმართ (6, 28.03.1987).

"აკალი დალის" ზოგიერთი ლიდერი დარწმუნებული იყო პარტიის გამარჯვებაში, და ამიტომ მხარს უჭერდა არჩევნების ჩატარებას. მათი პროგნოზები გამართლდა. "აკალი დალმა" მიიღო მთელი ხმების 38,5% და 73 ადგილი ფენჯაბის საკანონმდებლო კრებაში. ცენტრალური ხელისუფლება მიესალმა ამ გამარჯვებას. დელიში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წმინდა სიკხური ინტერესების დამცველი აკალისტები შტატის მმართველობაში მისვლის შემდეგ, მოაწესრიგებენ ურთიერთობას ინდოეთის ეროვნულ კონგრესს, მთავრობასა და სიკხ ექსტრემისტებს შორის.

მაგრამ მოხდა სრულიად საპირისპირო: "აკალი დალის" წარმატებით ფრთაშესხმულმა ტერორისტებმა მეტი დაუნდობლობით დაიწყეს თავიანთ მტრებთან ანგარიშის გასწორება. 1986 წ. დასაწყისშივე ფენჯაბში დაიღუპა 650 ინდუსი, სიკვდილის მოლოდინის შიშით შეპყრობილმა თითქმის 3.000 ინდუსმა ოჯახმა იძულებით მიატოვა საცხოვრებელი ადგილები. 1

არსებული დაძაბულობის ესოდენ სწრაფი ესკალაციის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს 1985 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი მოთხოვნის შეუსრულებლობა ცენტრალური მთავრობის მხრიდან. კერძოდ: ფენჯაბს 1986 წლის ბოლოსაც არ გადაეცა დაპირებული ქ. ჩანდიგარხი. ამ საკითხზე [illegible] კომისიამ ორი წლის განმავლობაში ვერ შესძლო იმ ტერიტორიის შერჩევა, რომელიც ხარიანას უნდა შეერთებოდა ქ. ჩანდიგარხის სანაცვლოდ. მოუგვარებელი დარჩა ორ შტატს შორის წყლის რესურსების გამოყენების [illegible] [illegible] კომპრომისი, [illegible] კანონი ამნისტიის შესახებ, იგი [illegible] შეეხებოდა იმ სიკხ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც 1984 წ. "ოქროს ტაძრის" შტურმის დროს გაიქცნენ ეროვნული არმიიდან (4; გვ. 27).

"აკალი დალი" [illegible] [illegible] [illegible] დამცველე [illegible]

მებზე პასუხს სთხოვდა პენჯაბის მთავარ მინისტრ ბარნალას, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა რ. განდისთან 1985 წ. მიმდინარე მოლაპარაკებებში, მას ბრალად სდებდნენ სიკხების ინტერესების უგულებელყოფას და ეროვნულ კონგრესთან ფარულ კავშირში შესვლას. ბარნალა ყოველ ღონეს ხმარობდა ბრალდების მოსახსნელად, იგი არწმუნებდა თავის ოპონენტებს, რომ მას არასდროს უღალატია თანამოძმეთათვის.

1986 წლის დასაწყისში რაჯივ განდის მთავრობამ კვლავ გადასდო პენჯაბისათვის ქ. ჩანდიგარხის გადაცემის საკითხის განხილვა, ამ ფაქტით უკმაყოფილო სიკხი ექსტრემისტების ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ინდირა განდის მკვლელის ქვრივი, დაიკავა "ოქროს ტაძარი". პენჯაბის მმართველებმა დახმარებისათვის მიმართეს ინდოეთის ოფიციალურ მთავრობას. სამთავრობო ჯარებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ტაძარში გამაგრებულებს, მალე ტერორისტები იმდენად გათამამდნენ, რომ იმავე წლის აპრილში მიიღეს დეკლარაცია სიკხური სახელმწიფო – ხალისტანის შექმნის შესახებ – დედაქალაქით დელი, ამავე დროს აღიმართა ჯერ არარსებული სახელმწიფოს დროშა.

მთავრობამ დაავალა ბარნალს ბოლო მოეღო ტაძარში მიმდინარე არეულობისათვის. 1986 წლის 30 აპრილს პოლიციამ ალყა შემოარტყა "ოქროს ტაძარს", მაგრამ იქ მყოფი ყველა გაიქცა (1, გვ. 101).

1987 წ. სიკხებმა ახალი ძალებით განახორციელეს რამოდენიმე ტერორისტული აქტი, ოთხი თვის განმავლობაში პენჯაბში სისხლიანი შეტაკებების შედეგად გარდაიცვალა 350-მდე ინდუსი (5, გვ. 179). შტატის ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო ვარდაქების შეჯანა არსებულ დაპირისპირებულობაში. 1987 წლის თებერვალში ქ. ამრიცსარში შეკრებილმა უხუცესებმა სამღვდელოებამ "აკალი დალი" დაშლილად გამოაცხადა. მის ნაცვლად შეიქმნა ახალი პარტია "გაერთიანებულ

აკალი დალი".

ამ გაერთიანების თავმჯდომარეობა უნდა ეკისრა სინგხ მანს, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა, "ოქროს ტაძრის" ხელ-მძღვანელთა შორის თავი იჩინა სერიოზულმა განხეთქილებამ. ეს ფაქ-ტი არ დარჩენილა რაჯივ განდის ყურადღების მიღმა, მან მთავრობის მიერ მიცემული დავალების შეუსრულებლობის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა ფენჯაბის მთავარი მინისტრი ბარნალი, ხოლო 1987 წლის 12 მაისს შტატში შემოიღო საპრეზიდენტო მმართველობა. ბარნა-ლის მმართველობის 19 თვის განმავლობაში მოკლულ იქნა 1400-ზე მეტი ადამიანი (8, გვ. 20–21).

საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შემდეგაც ფენჯაბში ვერ მოხერხდა დაძაბულობის განმუხტვა. მთავრობამ საბოლოოდ და-კარგა კონტროლი მდგომარეობაზე. არ არსებობდა მოქმედების ერთია-ნი პროგრამა. რეპრესიები მატულობდა. 1988 წ. პარლამენტმა მიი-ღო 59-ე შესწორება კონსტიტუციაში, რომლითაც საპრეზიდენტო მმართველობის ვადა ოთხ წლამდე გაზარდა. ზედიზედ ჩატარდა ოპერა-ციები პაკისტანთან არსებული საზღვრების გასამაგრებლად. პოლიცი-ის მიერ ტერორისტებისგან იწმინდებოდა ადრე მიუვალი ის ადგი-ლები, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ძირითადად შეიარაღებული ტე-რორისტული ჯგუფები. 1988 წ. წარმატებით ჩატარდა ოპერაცია "შავი ჭექა-ქუხილი", რის შედეგადაც "ოქროს ტაძარი" მთლიანად გაიწმინდა ექსტრემისტებისგან.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, ფენჯაბი ისევ დარჩა ცხელ წერტილად. მოკლული თუ პატიმრობაში აყვანილი ტერორისტების ადგილები დაიკავეს სხვა მათმა თანამოაზრეებმა. პოლიციას მიეცა საკმაოდ დიდი უფლებები, მოგვიანებით კანონის დარღვევის ფაქტები აღინიშნა თვით წესრიგის დამცველთა რიგებშიც.

ამავე დროს გაიზარდა უდანაშაულოდ დაკავებულ პირთა რაო-

დენობა, მათ თვეების მანძილზე ამყოფებდნენ ციხეებში გასამართლების გარეშე. მხილებულ იქნა პატიმართა წამებისა და უკანონო მკვლელობის არაერთი შემთხვევა. პოლიციის თვითნებობამ გაზარდა შურისმაძიებელთა რიცხვი, შეიქმნა ახალი შეიარაღებული ჯგუფები, რომლებმაც იატაკქვეშეთიდან შეუტიეს თავიანთ მტრებს.

ცენტრალური მთავრობა ცდილობდა გამოენახა ის ძალა, რომელთანაც შეიძლებოდა მოლაპარაკებების წარმოება. თუ ადრე, 1985 წელს ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ზომიერი პოლიტიკის გამტარებელ აკალისტებზე, 1987 წლისათვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, არსებულ ვითარებაში საჭირო გახდა ურთიერთობების მოგვარება უშუალოდ ექსტრემისტებთან. ამ მიზნით 1988 წლის მარტში გაათავისუფლეს ბჰინდრანვალეს ნათესავი ჯასბირ სინგხ როდე. მის ავტორიტეტულობაში დარწმუნებული მთავრობა იმედოვნებდა, რომ როდე გააერთიანებდა ყველა ექსტრემისტულ დაჯგუფებას და აიძულებდა მათ დაეწყოთ მოლაპარაკება მთავრობასთან. ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა.

როდემ თავი ვერ გაართვა მასზე დაკისრებულ მისიას და საკუთარ უძლურობაში დარწმუნებული მალე გამოეთიშა პოლიტიკურ თამაშს. რაჯივ განდიმ დახმარებისთვის მიმართა "აკალი დალის" ყველაზე რადიკალურად განწყობილი ფრაქციის ლიდერს მანნს, რომელიც 1984 წლიდან სასჯელს იხდიდა, როგორც ინდირა განდის მკვლელობაში ეჭვმიტანილი.

მიუხედავად იმისა, რომ მანს დაჰპირდნენ ციხიდან გათავისუფლებასა და ფენჯაბის მთავარი მინისტრის პოსტს, მან უარი განაცხადა მთავრობასთან თანამშრომლობაზე (1, გვ. 104).

1989 წლის არჩევნებს ინდოეთი შეხვდა მკვეთრად გაუარესებული პოლიტიკური მდგომარეობით, განხეთქილებამ თავი იჩინა არა მარტო ფენჯაბის მმართველ წრეებში, არამედ რაჯივ განდის მთავრობაშიც, მაღალი თანამდებობის მქონე პირები ამხილეს კორუფციაში.

წინა წლებში ჩრდილში მდგომმა ოპოზიციონერებმა ახალი ლიდერის ვ. პ. სინგხის მეთაურობით გააჩაღეს სერიოზული წინასაარჩევნო კამპანია. ყველა ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ "ეროვნულ ფრონტში". ერთმანეთის კვალდაკვალ შესუსტდა "აკალი დალისა" და "ინდოეთის ეროვნული კონგრესის" გავლენა. მოქიშპე აკალისტებმა მალე დაკარგეს სიკხი მასების მხარდაჭერა. სამაგიეროდ, დიდი აქტიურობა გამოიჩინეს აკალისტების ახალმა ჯგუფმა "აკალი დალი მანნმა" (1,გვ.105).

პენჯაბის საკანონმდებლო კრების არჩევნები არ შედგა, ინდოეთის პარლამენტში შექნილად მოხვდნენ ინდოეთის ეროვნული კონგრესის მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები. პენჯაბისათვის განკუთვნილი 13 ადგილიდან - 6 დაიკავა "აკალი დალი მანნმა"; მაშინ როცა ეროვნულმა კონგრესმა მიიღო მხოლოდ 2 (7,30.11.1993). აკალისტებმა შესძლეს 13 დამოუკიდებელი კანდიდატის გაყვანაც. ექსტრემისტული ძალების ამ გამარჯვებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ინდოეთის მთავრობას. რაც შეეხებათ ინდუსებს, ისინი ნაკლებ აქტიურობას იჩენდნენ პარლამენტში თავისი ინტერესების გამტარებელი პირების გასაყვანად. ინდუსები თვითონ შეეგუენ შიშის ქვეშ ცხოვრებას. მათ უნარი არ შესწევდათ რამე შეეცვალათ არსებულ მდგომარეობაში. 1989 წ. ნოემბრის არჩევნებმა მმართველობის მთლიანი სადავეები სიკხებს ჩაუგდეს ხელში. პენჯაბს სათავეში ჩაუდგა სიმრანჯიტ სინგხ მანნი, ხოლო დელში მთავრობის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ვ. პ. სინგხი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Бельский А.Г., Фурман Д.Е. Сикхи и индусы. Религия, политика, терроризм. Москва, "Наука", 1992.

2. Религия и секуляризм на Востоке, М., "Наука", 1993.
3. The Punjab Crisis, Challenge and Response. Delhi, 1985.
4. Chaudhry D.R. Punjab Accord and Hariana. Punjab Today. Delhi, 1987.
5. Madhu Sudan Misra, Politics of Regionalism in India (with Specific Reference to Punjab), Delhi, 1988.
6. India Today.
7. Indian Express.
8. Sunday, 24.05.1987.
9. Singh Gopal, A History of the Sikh People. Delhi, 1989.

ზაზა ტენთეშაშვილი

## პაგანის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია ბირმაში (1044–1369 წწ.)

ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ბირმის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში უძველესი ეთნიკური ჯგუფები – მონები სახლობდნენ. შემდეგ მათ თანდათანობით ფეხი მოიკიდეს მდინარე ირავადის შუაწელში. მაგრამ აღმასვლა ვეღარ შეძლეს აქ გაბატონებული ტიბეტურ-ბირმანელი ტომების მხრიდან დაპირისპირების გამო. შემდგომში ეს უკანასკნელნი ცნობილი გახდნენ პიუს ხალხის სახელწოდებით. დაახლოებით 2 ათასზე მეტი წლით თარიღდებიან ის პირველი წერილობითი წყაროები, რომლებიც ბირმის ქვეყნის არსებობის შესახებ გვამცნობენ. მათ შორის ყველაზე საინტერესო წყაროებად ჩი-

წერი ქამთააღმწერები გამოდიან. ისინი მოგვითხრობენ ჩინეთის ძლიერი სამეფოს – შუა გამორჩენილი მხედართმთავრის ჩჟუ გელიანის ჩრდილოეთ ბირმაში ლაშქრობის შესახებ ჩვ.წ.აღ-მდე 227 წელს. თუ ვირწმუნებთ ძველი ჩინური ქამთააღმწერთა ცნობებს, ბირმის ჩრდილოეთში ჩვ.წ. აღ-მდე III ს. რამდენიმე დამოუკიდებელი სამეფო და ტომობრივი გაერთიანება არსებობდა. მათგან ყველაზე ძლიერი მენხეს სამეფო იყო, რომელიც მჟიდჯერ ეებრძოდა ჩინელებს (5.108). III-IV სს. ჩრდილოეთ ბირმაზე გამავალი სავაჭრო გზები გაუქმდა, ჩინელმა დამპყრობლებმა ჩრდილოეთით დაიხიეს და ადგილობრივი მატიანეებში აღარ ფიგურირებენ ცნობები ბირმის შესახებ. ბირმის ჩრდილოეთ ნაწილში გაძლიერდა ნან ჩჟაოს სახელმწიფო, რომელიც ძველი ჩინეთის პოტენციური და საშიში მეტოქე იყო. სამხრეთ ბირმის მონების ქალაქებს ჩინეთთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ და ამიტომ ჩინურ ქრონიკებში არაფერი მოიხსენიება მონების შესახებ. შესაძლოა მონებმა ბირმის სხვა ხალხებთან შედარებით, უფრო ადრე შექმნეს თავიანთ სახელმწიფოებრიობა, ააშენეს ქალაქები და დაიმკვიდრეს შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად ამისა ბირმის ტერიტორიაზე მყოფი სახელმწიფოებიდან საიმედო წყაროები მხოლოდ პიუს სახელმწიფოზე – შრიკშეტრაზე მოიპოვება. ეს უკანასკნელი მდ. ირავადის შუაწელში მდებარეობდა. პიუს ბირმელების მონათესავე ჯგუფად ითვლებოდა და დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადა მათთან. XIII საუკუნემდე შრიკშეტრას ყოფილი დედაქალაქი ტარეკიტარა ინარჩუნებდა დედაქალაქის სტატუსს, რაც პავანთა სახელმწიფოს დედაქალაქმა პაგანმა ვერ შეძლო. 832 წელს ტანების დინასტიური ქრონიკების თანახმად, ნანჩჟაოს ჯარმა მიწასთან გაასწორა პიუს დედაქალაქი და მონებად აქცია მისი 3 ათასი მაცხოვრებელი. აშკარაა, რომ პიუს დედაქალაქის დაცემის შემდეგ ბოლო მოეღო ამ სახელმწიფოს არსებობას.

ამის შემდეგ მრიკმეჭრას შესახებ ცნობები აღარ მოიპოვება.

ბირმის აღზევებულმა ბელადებმა, რომლებიც ბირმის საზოგადოებების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების სადავეებთან იდგნენ, ბრძოლა დაიწყეს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლამ შუა ბირმის მზარდ ქალაქში - პაგანში გადაინაცვლა. ქ. პაგანი თანდათანობით იკრებდა ძალას და ბირმის ცენტრი ხდებოდა. ბირმელი მემატიანეები ამ ქალაქის დაარსებას IX ს. შუახანებით ათარიღებენ. მათი გადმოცემით, წარჩინებულმა პინბუმ 850 წელს პაგანს მაღალი ქვითკირის კედელი შემოავლო. წარჩინებულმა სორახანმა კი მის მახლობლად 1000 წელს ბუდისტური სალოცავი ააშენა (7,80). შემდეგ სორახანი ტახტიდან ჩამოაგდო მისმა კარისკაცმა ჩაუნპიუმ და თვითონ გაბატონდა, მაგრამ მალე იგი პაგანის შვილებმა დაატყვევეს და ბერად აღკვეცეს. პაგანის მმართველი გახდა სორახანის უფროსი შვილი საიკა-ტე, რომელიც ჩაუნპიუს შვილმა ანირუდმა დაამხო და 1044 წ. ტახტს დაეუფლა. ამ წელს მიიჩნევენ პირველი სახელმწიფოს დაარსების თარიღად, რომელსაც პაგანთა სახელმწიფოებრიობა და შემდეგში თავის საზღვრებში თითქმის მთელი ბირმა გააერთიანა, ფაქტიურად პაგანთა სახელმწიფო მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ შეიქმნა. ანირუდ ანირუდას ტახტზე ასვლის დროისათვის ბირმელები მდ. ირავადის შუაწელს უწევდნენ კონტროლს. 1044 წელს კი პაგანთა სახელმწიფოს მხოლოდ ირავადის ცენტრალური ნაწილი ეკავა. ჩრდილოეთით მისი საზღვარი თანამედროვე ბირმის ქალაქ მანდალაისთან გადიოდა, სამხრეთით ქ. პაგანის ქვემოთ, ხოლო დასავლეთით მდ. ჩინდუინის შუაწელს ესაზღვრებოდა.

ბირმის ქრონიკების თანახმად, 1057 წლამდე ქვეყნის ისტორიაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა. მხოლოდ 1057 წელს ანირუდამ ილაშქრა ტატონში და ამის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა პაგანთა სახელმწიფოს. იმავე წელს ანირუდას სასახლის კარზე

გამოჩნდა ბუდისტი ბერი მინ. არახანი. მან ანირუდა პურიკანულ ბუდიზმს აზიარა და პაგანიდან განდევნა მკრეხელი არიები.

ანირუდას წინაშე მდ. ირავადის ქვემო წელის და ბირმის სამხრეთი სანაპიროს შემომტკიცების ამოცანა იდგა. აქ გაბატონებულ მონებს, რომელთაც პიუს სახელმწიფო ეკუთვნოდათ, საკმაოდ ძლიერი ჯარი ჰყავდა. ანირუდას მათ დასამარცხებლად რამდენიმე სამხედრო ექსპედიციის ჩატარება მოუწევდა, მაგრამ წარმატება ანირუდას მაინც ხვდა წილად. მან ქ. პეგუსთან დადო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საფრთხის შემთხვევაში ანირუდა ჯარით გამოვიდა პეგუს მხარეზე. ქ. პეგუ და მისი მიმდებარე ტერიტორიები აღმოსავლეთის მთიელი ტომების გამუდმებულ შემოსევებს განიცდიდნენ. სწორედ ამიტომ ანირუდამ თავისი ჯარი განალაგა პეგუსა და მის შემოგარენში. მთიელები დაამარცხეს, მაგრამ ანირუდამ პეგუდან ჯარები არ გაიყვანა და XI ს-ის 50-იან წლებში მას მთელი სამხრეთი სანაპირო დაემორჩილა. რაც შეეხება ქ. ტატონს, იგი იზოლაციაში აღმოჩნდა და დროთა განმავლობაში დაქვეითების გზას დაადგა. ტატონის და მონების სამხრეთ ქალაქების ხელში ჩაგდებამ ანირუდას პაგანთა სახელმწიფოს საზღვრების გაფართოების საშუალება მისცა.

პაგანთა სახელმწიფოს აყვავებას ხელი შეუწყო არა მარტო ბუდიზმის გავრცელებამ, არამედ აგრეთვე ბირმაში საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზების გაყვანამ, რის შედეგადაც ბირმა დაუკავშირდა ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნების ბაზრებს და ახლო ურთიერთობები დაამყარა ინდოეთთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან და ცეილონთან. სამხრეთით მდებარე ტერიტორიების შემომტკიცების შემდეგ ანირუდამ ილაშქრა ბირმის ჩრდილოეთით და პაგანთა სახელმწიფოს საზღვრები მთიანი მასივებისკენ გადასწია. 1077 წელს ანირუდა მოულოდნელად გარდაიცვალა და პაგანების დაპყრობით პოლიტიკას ამით წერტილი დაესვა. იმავე წელს პაგანთა ტახტზე ავიდა მისი შვილი

შან ლუდანი, რომელიც ქრონიკებში სოლუს სახელით არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ კაგანთა სახელმწიფო მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საკმაო ტერიტორიებს და რესურსებს ფლობდა, იმან ლუდანი არ დააკმაყოფილა. მამამისის მიერ წარმოებული დაპყრობებით და კაგანთა სახელმწიფოს საზღვრები თანამედროვე ქ. მერგუიმდე გადასწია. როდესაც 1083 წელს ბირმელებმა დაპყრობილი ტერიტორიები დატოვეს, აჯანყებამ იფეთქა და მერგუი კვლავ გამოეცალათ კაგანებს ხელიდან. მალე მონა იანმაკანმა ხელთ იგდო კაგანი, მოკლა შან ლუდანი (6,51). შეიარაღებულ წინააღმდეგობას შან ლუდანის მხედართმთავარი ტილუინმანი განაგრძობდა. ტილუინმანმა ბირმელთა ციტადელისკენ ჩაუსხეს ხეობის მიმართულებით დაიხია. ამის შემდეგ ქ. კაგანი მეფის ანაბარა დარჩა და იანმაკანმა იგი ადვილად იგდო ხელთ. ქალაქის ბირმელი მოსახლეობა მონებად აქციეს ან გაანადგურეს. ამის შემდეგ ჩაუსხეს ხეობაში ადგილობრივმა არისტოკრატიამ აირჩია კაგანის ახალი მეფე. ეს იყო თილუინ მანი, ყველაზე პოპულარული მხედართმთავარი, რომელიც ბირმის არმიის ნარჩენებს ეყრდნობოდა. შან მოკლე დროის განმავლობაში შეძლო შეეკრებინა არმიის ნარჩენები და მათგან ძლიერი ჯარი ჩამოეყალიბებინა. ამასობაში ჩაუსხეს ხეობაში მონები გამოჩნდნენ, მაგრამ სილქინ მანზე თავდასხმა ვერ გაბედეს. ეს უკანასკნელი პირველი გადავიდა შეტევაზე და მონებს სასტიკი მარცხი აგემა. იანმაკანი მოკლულ იქნა, ხოლო ბირმელები კი ფეხდაფეხ დაედევნენ გაქცეულ მონებს, აღიდგინეს თავიანთი ბატონობა ირავადის დელტაზე და ხელთ იგდეს მონების ქალაქები (6.66). დატყვევებული მონები თილუინ მანმა გაათავისუფლა და კაგანთა სახელმწიფოში ისინი უფლებრივად ბირმელებს გაუთანაბრა. უფრო მეტიც, თილუინ მანმა მონებს ბევრი პრივილეგიები მიანიჭა და ისე მოხდა, რომ XI ს-ის ბოლოდან მონების ენა კაგანთა სახელმწიფოში დამოუკიდებელ სახელმწიფო ენად

ჩამოყალიბდა. ამიერიდან მონი წარჩინებულები სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებში, ხოლო ბირმის კულტურაზე სულ უფრო საგრძნობი ხდება მონების გავლენა. 1084 წ. პაგანებმა ზავი დადეს მონებთან და მათ ურთიერთობაში მშვიდობიანი პერიოდი დაიწყო, ერთადერთი კონფლიქტი მოხდა არაკანის მეფესთან, რომელიც მონების დასახმარებლად მოიწევდა, მაგრამ იგი დამარცხდა და არაკანი პაგანთა სახელმწიფოს ვასალი გახდა. თილუინ მანის მმართველობის დროს 1103 წ. და 1106 წწ-ში დაიდო ხელშეკრულებები ჩინეთთან, რომელთა თანახმადაც პაგანის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა ინდოეთ-ჩინეთის სავაჭრო მაგისტრალი, როგორც ცნობილია, ბირმა-ჩინეთის სამხრეთ საზღვარზე დათარეშობდნენ სიჩუანის ტომები და საფრთხეს უქმნიდნენ ინდოეთ-ჩინეთის კუთვნილ სავაჭრო ქარავნებს (2. 93).

თილუინ მანის საქმიანობა მარტო ვაჭრობის განვითარებისთვის ხელის შეწყობაში არ გამოიხატებოდა, მან ინდოეთში პაგანთა სახელმწიფოს ხარჯზე აღადგინა ბუდისტების ტაძარი ბოდ გაია, რომელიც ინდოეთში ბუდიზმის გავლენის შესუსტების შემდეგ საგრძნობლად დაზიანდა. ამის შემდეგ პაგანთა სახელმწიფო ბუდიზმის ცენტრი ხდება და აქ ჩამოდიან ბუდისტი ღვთის მსახურები იმ ქვეყნებიდან, სადაც ეს რელიგია დაცემის გზას ადგა. თილუინ მანის მოღვაწეობა ფიქსირებულია წარწერებში, რომლებიც მან ქ. პრომში (ყოფილი შრიქშეტრა) დატოვა. ქ. პრომი კვლავ აღორძინდა პაგანთა სახელმწიფოს ზენიტში ყოფნის დროს. პრომის წარწერა, რომელიც 1093 წლის 3 ივლისით არის დათარიღებული, მოგვითხრობს 10 წლის განმავლობაში თილუინ მანის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, წარწერებში მოთხრობილია ქვეყნის აგრიკულტურის განვითარების, წყალსაცავების და დამბების მშენებლობის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორი მაღალი იყო პაგანის მოსახლეობა თილუინ მანის, რომლის

სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა და ხალხის ცხოვრების დონე უმჯობესდებოდა. გარდა ამისა, წარწერებში მოთხრობილია ხალხმრავალი ტრადიციული დღესასწაულების, საგანმანათლებლო რეფორმების გატარების და ქმა მრაკანის ნაპირზე ბიბლიოთეკის აშენების შესახებ. წარწერებში დაწვრილებით არის მოთხრობილი ქ. პაგანში მეფის სასახლის მშენებლობაზე, პიუს კულტურაზე და ა.შ.

თილუინ ხანის სიკვდილის შემდეგ (1113 წ.) ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გაჩნდა. სხვა მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, ბირმა წარმოადგენდა იარაღის ძალით შეკავშირებული სოციალური და ეთნიკური ჯგუფების ერთობას. ყოველი მათგანი დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდა. ბირმელებმა შეძლეს პიუს ხალხების აბსორბირება, მონები, შანები და არაკანელები ვერ ურიგდებოდნენ დამოკიდებულ მდგომარეობას. თილუინ ხანის მემკვიდრის კანსუ I მმართველობის პირველ წლებში ხშირი იყო ანტისამთავრობო გამოსვლები. კანსუ I შეძლო მონების შანების და არაკანელების დამორჩილება და თავისი ძალაუფლების განმტკიცება (1, 20). ამის შემდეგ კანსუ I თავისი სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა ქვეყნის ჩრდილოეთით და შეიელთა ურჩი ტომები დაამარცხა. ეს უკანასკნელნი ახდენდნენ სავაჭრო გზების ბლოკირებას და საფრთხეს უქმნიდნენ პაგანთა სამეფოს ჩრდილოეთ რაიონების ეკონომიკურ განვითარებას.

კანსუ I დროს ბირმელთა არისტოკრატია ილაშქრებს პაგანთა სამეფოში მონების გამოყენების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ხდება მონების დათხოვნა საეკლესიო თანამდებობებიდან და ბირმელების დაწინაურება მათ ადგილას. გარდა ამისა ჟამთააღმწერლები აღარ იხსენიებენ კოლექტიურ მონებს და XII საუკუნიდან ისტორიული ძეგლები ძირითადად ბირმანული დამწერლობით არიან წარმოდგენილი. XII საუკუნეში პაგანთა სახელმწიფო იწყებს ჩამოყალიბებას

როგორც ტერიტორიალური, ისე სოციალური ნიშნის მიხედვით, ამ დრო-ისათვის შექმნილი იქნა I კანონთა კრებული. გამყარდა ხელისუფ-ლების ორგანიზაციული - იდეოლოგიური საფუძველი, ჩამოყალიბდა ბიშა-ჯონის ერთიანი სისტემა და შეიქმნა სახელმწიფო და კერძო მი-წათმფლობელობის კატეგორიები (2, 41).

XII საუკუნეში აქტიურად მიმდინარეობდა ტაძრების მშენებ-ლობა, რაც მომდევნოში ქვეყნის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვა. წელიწადნახევრის განმავლობაში ბირმელებმა შეძლეს მეავეჯის უზარ-მაზარი ტაძრის აგება, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის 1/5 მოხმარდა. პაგანთა სამეფოში XII ს-ში შექმნილი ორგანიზაციულ-პოლიტიკური სისტემა 1287 წლამდე არსებობდა, ხოლო ბირმის დამ-ხასიათებელი სტრუქტურები პაგანთა სამეფოს დაცემის შემდეგაც შე-მორჩნენ და XIX ს-ის ბოლომდე მოაღწიეს. პაგანთა სახელმწიფოს ტე-რიტორია იყოფოდა მხარეებად, რომელთაც კარეინები, ტაიკები და ნუინამამები ეწოდებოდათ. კარეინები პაგანთა სამეფოს ცენტრში იმ-ყოფებოდნენ. მათ ადმინისტრაციული და სამართლებრივი თვალსაზრისით პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავათ. ტაიკები - რაც პაგანთა ენა-ზე "მეთორთხილს" ნიშნავდა, ბირმელების მიერ იქნენ შემოსაზღვრულ-ნი XI ს-ის I ნახევარში. ტაიკები ჩვეულებრივად შუა ბირმაში მდე-ბარეობდნენ, ისინი ერთიანდებოდნენ და პროვინციას ქმნიდნენ. ტაი-კების გარშემო გარეთ ნუინამები ანუ დაპყრობების შედეგად ხელში ჩაგდებული მიწები იწოდებოდნენ. ეს მიწები მოიცავდნენ მონების ქალაქებს ძვ. ირავადის დელტის ნავსადგურებს და მოკიური მთიან რაიონებს. ნუინამების საზღვრებზე განლაგებული იყო მრავალრიცხო-ვანი ციხესიმაგრეები, რომელთაც "მიჯი" ეწოდებოდა. განსაკუთრე-ბით მრავლად იყო ასეთი ტიპის ციხე-სიმაგრეები ჩრდილო და აღმო-სავლეთ რაიონებში. საგარნიზონო სამსახურს, როგორც წესი, ისე ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ტომები ასრულებდნენ. საერთოდ

კი პაგანთა სახელმწიფოს საზღვრებს ძირითადად ვასალური ტომები იცავდნენ. ყველა პროვინციულ დასახლებაში ყველაზე მცირე ადმინისტრაციულ ერთეულს სოფელი - "რვა" წარმოადგენდა, ხოლო ქალაქებში კი ასეთ ერთეულად კვარტალი - "არაპი" წარმოადგენდა. თვითონ პაგანთა სახელმწიფოს დედაქალაქი, ბირმის სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, გამაგრებული არ იყო და უკვე XI ს-ის ბოლოს იგი საკმაოდ გაიზარდა, გასცდა თავის ძველ კედლებს, ხოლო ახლის გარშემო კედელი არ აშენებულა. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ იმ დროისათვის ქ. პაგანს მტრის შემოსევა არ ელოდებოდა, ხოლო როცა ასეთი საშიშროება წარმოიქმნა, პაგანთა სახელმწიფოს მეფეებს ძალა არ შესწევდათ, რომ ქალაქის გარშემო რამდენიმე კმ-ის სიგრძის კედელი აეშენებინათ (4, 103).

პაგანთა მეფის ხელისუფლება აბსოლუტური იყო. ყველა სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, ადმინისტრაციული თუ სხვა სახის საქმიანი აქცია მხოლოდ მისი ნებართვის შემდეგ ღებულობდა ოფიციალურ სახეს. სხვა მეზობელი სახელმწიფოების მონარქებისგან განსხვავებით, მეფე არ განასახიერებდა თავის თავში სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლებას. სამღვდელოება ყოველთვის ინარჩუნებდა განსაზღვრულ დამოუკიდებლობას.

პაგანთა დინასტიისთვის დამახასიათებელი იყო ხელისუფლების უზურპაცია და მონარქების იძულებით ხელისუფლებისგან ჩამოშორება. პაგანთა სახელმწიფოს 14 მეფიდან მხოლოდ ორი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით და რამდენიმე შემთხვევაში მოხდა მემკვიდრისთვის ძალაუფლების გადაცემა შინაომების გარეშე. ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ბირმაში მეტად რთული იყო. ბირმის მონარქებს ჰყავდათ მრავალი ცოლი და საყვარელი, რომელთაგან ხშირად რამდენიმე ათეული ტახტის მემკვიდრე გროვდებოდა. იმ შემთხვევაში თუ რომელიმეს ტახტზე აიყვანდნენ, მას მთელი სიცოცხლის მანძილზე დევნიდნენ მეტოქეები. მონარქის შემდეგ სოციალური მდგომარეობის მიხედვით მო-

დიოდნენ მინისტრები - "ამატები". XII ს-ის წყაროებში მოიხსენიება ე.წ. "მინისტრთა საბჭო", რომელშიც 5 ამატი შედიოდა. მინისტრთა საბჭოს მთავარი მინისტრი იყო "მახასმანი". იგი წარმოადგენდა ასევე უმაღლეს მოსამართლეს, ხოლო ხუთი ამატიდან აირჩეოდა ფინანსთა მინისტრი, მხედართმთავარი, სახელმწიფო საქმეთა მინისტრი და მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულების პროვინციათა მმართველები. მინისტრების უფლება ვალდებულებანი არ იყო მკვეთრად გამიჯნული. უფრო სწორედ ისინი მეფის მრჩევლები იყვნენ. ისეთი თანამდებობაც კი, როგორიც იყო მხედართმთავრის თანამდებობა მხოლოდ სამხედრო მდგომარეობის დროს მოქმედებდა. ბირმულ წყაროებში ხშირად გვხვდება ტიტული - "სუკრი", რომელიც ნიშნავდა რომელიმე პროვინციის ან სოფლის თავკაცებს. კიდევ იყო სამეურნეო დანიშნულების რეგიონის მეთაურის თანამდებობა "სუკრი". მათ გარდა იყო ადმინისტრაციული სტრუქტურების მოხელეები, რომელთაც "ტუიმ-სუკრი" ეწოდებოდა. სუკრის თანამდებობა ზოგჯერ მემკვიდრეობით გადადიოდა. ამ თანამდებობაზე ქალებიც ინიშნებოდნენ და შემდეგში მათ შეეძლოთ უფრო მაღალ თანამდებობაზეც მოხვედრილიყვნენ. მატიანეებში გვხვდება სხვა თანამდებობებიც. ესენია: "კალანი" და "სამპიენ". ეს თანამდებობები ძირითადად მინისტრების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. ჰქონდათ მათ სასამართლო ფუნქციები და სუკრისგან განსხვავებით, ტერიტორიებს არ მართავდნენ. მათ ეხმარებოდნენ გადასახადის ამკრეფები, რეესტრების და დოკუმენტების გადამწერები, მიკრიკები და სხვები. გარდა ამისა, სასახლის კარზე არსებობდა მრავალი სპეციალური დანიშნულების თანამდებობა, რომელთა საშუალებითაც მოქმედებაში მოდიოდა სასახლის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები და სხვა ატრიბუტები, მათ შორის სასახლის კურტიზანები, ასტროლოგები, ქორეოგრაფები, მუსიკოსები და დიდგვაროვანთა მეძლები (პ. 44). პაგანთა სახელმწიფოს სოციალური კატეგორიები საკმაოდ დასრულებული

სახით არსებობდნენ XI ს-ის ბოლოსთვის თავისუფალ მიწათმოქმე-
დებს და ხელოსნებს გააჩნდათ საკმაოდ ფართო უფლებები. მათ შეეძ-
ლოთ გამოსულიყვნენ სასამართლო პროცესზე არისტოკრატიის და სა-
მღვდელოების წინააღმდეგ. თუ მონა თავისი განთავისუფლების საფა-
სურს გადაიხდიდა, იგი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იქცეო-
და. პაგანთა სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურის საფუძვლად საზო-
გადოების თავისუფალ და დამოკიდებულ წევრებად დაყოფა მიიჩნეო-
და. თავისუფალთა შორის იყვნენ მოხელეები, ვაჭრები, სამღვდელოების
წარმომადგენლები, ხელოსნები, თავისუფალი მიწათმოქმედები - "ასა-
ნები", პაგანთა სახელმწიფოს არისტოკრატია იყოფოდა ძველ გვაროვ-
ნულ და ახალი სასახლის კარის არისტოკრატიად. მას ეკუთვნოდა სამოხე-
ლეო აპარატიც და ისინი ერთად წარმოადგენდნენ პაგანების უმაღლეს
სოციალურ ფენას.. ამ სოციალური ფენის შემადგენლობაში უმაღლესი
სამხედრო პირები, მევახშეები და ვაჭრები შედიოდნენ. პაგანთა
სახელმწიფო მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მნიშვნელოვან
სავაჭრო გზაზე. სწორედ ამიტომ მევახშეები და ვაჭრები სამეფოში
სოლიდურ ძალას წარმოადგენდნენ. პაგანთა სახელმწიფოს თავისუფალი
მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ ხელოსნები, სამთო-
მომპოვებელ წარმოებაში დასაქმებული მუშები და გლეხები. პაგანთა
სახელმწიფოში მეტად რთული იყო სამიწათმოქმედო ურთიერთობები. მი-
წები იყოფოდა სახელმწიფო, კერძო და სამონასტრო სამფლობელოებად.
ფორმალურად ქვეყნის სამიწათმოქმედო ფონდის მესაკუთრედ მეფეს მი-
იჩნევდნენ, მაგრამ სინამდვილეში მისი უფლებები ფეოდალურ კანონ-
სამართალით იყო შეზღუდული. ამ ხრივ საკმაოდ გაძლიერდნენ მონა-
სტრები, რომელთა საკუთრებაში მყოფი მიწის ფართობები სულ უფრო
იზრდებოდა. ამან გამოიწვია XIII ს-ში მონასტრებს შორის მწვავე
კონფლიქტი და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირება.

პაგანთა სახელმწიფოში ჩამოყალიბდა აღმოსავლური ტიპის დეს-

პოტია, რომლის ვიაზშიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობ-და მონათმფლობელობა და გვარტომობრივი ურთიერთობები. ამას თან ერთვოდა ის მდგომარეობა, რომ პაგანთა სახელმწიფოს გარეუბნებში, სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, სოციალური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობდა. ყოველივე ეს აფერხებდა პაგანების სახელმწიფოების სტრუქტურას. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებობდა მრავალი ბუდისტური ტაძარი, რომლის სოციალურ-პოლიტიკური ინტერე-სები არ ემთხვეოდა სახელმწიფო ინტერესებს. საბოლოოდ ეს იწვევდა პაგანთა სახელმწიფოს შინაპოლიტიკურ დესტაბილიზაციას, რასაც მო-ყვებოდა ცენტრისტული ტენდენციების განვითარება და ამის გამო პა-განთა სახელმწიფოსათვის 1044–1325 წლებში დამახასიათებელი იყო და-ცემის და აღმავლობის პერიოდების ხშირი მონაცვლეობა.

პაგანთა სახელმწიფოს ისტორიაში XII ს-ის მეორე ნახევარი პოლიტიკური სირთულეებით აღინიშნა. ამ პერიოდში ტახტზე რამდენიმე მეფე შეიცვალა. ქრონიკები არ მეტყველებენ მათი მმართველობის შე-სახებ და მხოლოდ გვაწვდიან ინფორმაციას XII ს-ის ბოლოს მიმდინარე რეფორმების შესახებ. მეფე კანსუ I ქრონიკების მიხედვით, 1167 წელს მოკლულ იქნა თავისი შვილის ნარატის მიერ, რომელმაც 1170 წლამდე იმეფა. იგივე ბედი ეწია მას 1174 წელს, როდესაც ტახტზე ავიდა კანსუ II. ქრონიკების მიხედვით, 1165 წ. კანსუ I-ის სიკ-ვდილამდე ორი წლით ადრე ტახტზე ავიდა ნარატუ, რომელმაც უდიდესი ტაძრის დჰამაიანჯის მშენებლობა დაიწყო. ეს მშენებლობა მალე შე-წყდა, რაც უჩვეულო იყო პაგანთა სახელმწიფოსათვის, რადგანაც როგორც ცნობილია, ტაძრების მშენებლობა ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდათ. ცეილონურ წყაროებში, რომელიც 1165 წლით არის დათარიღებული, მო-თხრობილია იმის შესახებ, რომ იმავე წელს ცეილონის მეფემ გაგზავ-ნა ექსპედიცია პაგანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რის შედეგადაც აღებულ იქნა მლირავალის, ელეჯანს შეებარე მიიმეღა ურთ-ერთი ვასალი (5.31).

მეფე კანსუ II სახელი დაკავშირებულია რელიგიურ რეფორმებთან, რომელიც მან გაატარა ცეილონელი ღვთისმსახურების საშუალებით. ცეილონსა და ჰაგანთა სახელმწიფოს შორის მშვიდობის დამყარების შემდეგ ცეილონიდან შემოიჭრა ორთოდოქსალური ბუდიზმი. ამ რელიგიამ სწრაფად მოიკიდა ფეხი ჰაგანთა სახელმწიფოში და ხელთ იგდო მიწის საკმაოდ ვრცელი ფართობები და ქვეყნის სხვა სიმდიდრეები. სწორედ ამიტომ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა ყოველმხრივ შეეზღუდა იგი. უნდა აღინიშნოს, რომ ბუდისტური სამღვდელოება ჰაგანთა სახელმწიფოს დაბალ სოციალურ ფენებშიც არ იყო პოპულარული. XII ს-ის ბოლოს ჰაგანთა სახელმწიფო აღარ აწარმოებს დაპყრობით ომებს, რადგანაც მის მეზობლად ძლიერი სახელმწიფოები აღმოცენდნენ და მათგან თავდაცვის მიზნით, ჰაგანთა სახელმწიფოს ხელისუფლება, უფრო მეტ ყურადღებას ეკონომიკის განვითარებას და შინაპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას უთმობდა. კანსუ II-ის მემკვიდრე გახდა მისი შვილი ნატომია (1211-1231). ქრონიკების მიხედვით იგი იყო კანსუ II-ის ყველაზე უმცროსი, მეხუთე შვილი. მას ჰყავდა სხვა ძმებიც, რომლებსაც კანსუ II-ის მემკვიდრეებად ცნობდნენ. ისინი კანსუ II-ის თავისი საყვარლებისგან ჰყავდა შეძენილი. ნატომიას ხშირად უჯანყდებოდნენ თავისი ძმები, მაგრამ უშედეგოდ. ნატომიას მმართველობის დროს ჩრდილოეთით მოეწყო დიდი სამხედრო ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ჰაგანთა სახელმწიფოს დაცვას მანების და მთიელთა ტომებისაგან. მათგან თავდაცვის მიზნით, 1128 წ. ნატომიამ ააშენა ჩრდილოეთ საზღვარზე კაუნსინის დიდი ციხე-სიმაგრე(7,39). მიუხედავად იმისა, რომ კანსუ II-ემ რელიგიური რეფორმები გაატარა, ბუდისტურ სამღვდელოებაში მაინც მოხდა განხეთქილება. ამ კონფლიქტის ხასიათი, რომელიც ქვედა ფენებიდან მომდინარეობდა, განპირობებული იყო ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებით ბუდისტი ღვთისმსახურების თავაშვებული საქციელის გამო. ბირმაში ბუდისტური სა-

მღვდელოება ყველაზე მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელად და მაღალ სოციალური ფენების მჩაგვრელად იყო გადაქცეული. სწორედ ამიტომ ბუდისტური ეკლესიის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაქვეითდა. ბუდისტურ ეკლესიას უნდობლობა გამოუცხადეს თვით საკუთარმა ღვთისმსახურებმაც. მათ დატოვეს თავიანთი სამსახურის ადგილი, ტყეს მიაშურეს და ასკეტური ცხოვრება დაიწყეს. ამის შედეგად პაგანთა სახელმწიფოში ტყეებსა და მიუვარდნილ ადგილებში აღმოცენდა მრავალი კუსტარული ტიპის ტაძარი, რომელიც ბუდიზმის დაცვას ემსახურებოდა და კონფლიქტში იმყოფებოდა ბუდისტურ ეკლესიასთან. ეს უკანასკნელი კი გამოდიოდა რა ურიცხვი სიმდიდრის და ვრცელი მიწის ფართობების მფლობელად, უპირისპირდებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, რითაც ძირს უთხრიდა პაგანთა სახელმწიფო ძლიერებას.

XIII ს-ის II ნახევარში პაგანთა სახელმწიფოს მეფეთა უმრავლესობა პირადი ცხოვრებით იყო დაინტერესებული და სახელმწიფო საქმეებით თავს არ იწუხებდა. მათ დროს დაეცა ქვეყნის ეკონომიკა და შეჩერდა ტაძრების მშენებლობა. ესენი იყვნენ უზანა I (1231--1235), მისი ძმა კლაკვა (1235-1249), უზანა II (1249-1256) და ბანიანი (1256 - ). ქრონიკებში ისინი მეტად ცუდად იხსენიებენ. მემატიანე ამბობს, რომ ამ მეფეებს უყვარდათ დროს ტარება, ნადირობა და სულ არ აინტერესებდათ სახელმწიფო საქმეები. მიუხედავად ქრონიკების დოკუმენტური მოწმობისა, ამრი "უვარგისი" მეფეების შესახებ, სინამდვილეს მაინც არ შეესაბამებოდა. აღნიშნულმა მმართველებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სახელმწიფოსთვის დაებრუნებინათ სამღვდელოების მიერ მიტაცებული მიწები და უფლებრივად შეეზღუდათ ბუდისტური მონასტრები.

კანსუ II უკანასკნელი მეფე იყო, რომელმაც ბუდისტური მონასტრები და ტაძრები პრივილეგიებით აღჭურვა და მრავალრიცხოვანი სა[illegible] აშენა. შემდეგ ნაფორიამ და უზანა I-მა მინიმუმამდე დაიყვანეს ეკლესიისთვის გასაცემი შესაწირავების რაოდენობა.

მიუხედავად ამისა, მათ მაინც ვერ შეძლეს ბუდისტური ტაძრების მზარდი ძლიერების შეზღუდვა. პაგანთა სახელმწიფოს უკანასკნელმა მეფემ კანსუ III-მ (1256-1287) ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სახელმწიფო მიწების ბუდისტური სამღვდელოებისთვის გადაცემაში პრიორიტეტი ამ უკანასკნელთ ენიჭებოდათ (3. 46). მეფე კიასვას დროს 1249 წელს ყველა დასახლების მისადგომებთან დადგმულ იქნა ქვის დაფა, რაზეც ამოკვეთილი იყო ედიქტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყაჩაღები და ბანდიტები სიკვდილით დაისჯებოდნენ, ხოლო წვრილმანი ქურდები გაძევებული იქნებოდნენ სახელმწიფოდან. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ XIII-ს პაგანთა სახელმწიფოში ქურდობამ და ყაჩაღობამ საშიშ მასშტაბებს მიაღწია და მეფეებს ჩვეულებრივი "პოლიციური" საშუალებით აღარ შეეძლოთ მათთან ბრძოლა. რა თქმა უნდა ყაჩაღების ქვეშ იგულისხმებოდნენ ცალკეული ტომებიც, რომლებიც რეგულარულად ესხმოდნენ თავს პაგანთა სახელმწიფოს ცენტრალურ რაიონებს.

კანსუ III-ს აღარ ძალუძდა, რომ პაგანთა სახელმწიფოს მთლიანობა შეენარჩუნებინა. XIII ს-ის II ნახევრიდან პაგანთა სამეფოში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ არისტოკრატთა სხვადასხვა სოციალური ფენები და ხშირი იყო მათ შორის შეტაკებები. გარდა ამისა, ისინი უპირისპირდებოდნენ ბუდისტურ ეკლესიას და სასახლის კარს. ამასთან ერთად სახელმწიფოს სამხრეთში ტომები ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგნენ, ხოლო ჩრდილოეთში კი მრავალმა ტომმა დამოუკიდებლობაც კი გამოაცხადა. კანსუ III მათ წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნიდა და ყველაზე დიდი აჯანყებები მონების და შანების მეთაურობით ჩახშობილ იქნა. ამის შემდეგ 1211 წელს იენანის პროვინციის გუბერნატორმა ჩინეთის სახელმწიფოს მონღოლმა მმართველმა ყუბილაი ხანმა პაგანთა სახელმწიფოში გაგზავნა ელჩობა, რომელთაც დიდძალი თანხა მოსთხოვეს ხარკის სახით. ბირმის სასახლის კარმა

ეს მოთხოვნა შეურაცხყოფად მიიღო. ელჩები არც კი მიუშვეს აუდიენციაზე პაგანთა მეფესთან. ერთი წლის შემდეგ ბირმელთა არმიამ გაანადგურა ერთ-ერთი მთიელი ტომი, რომელიც ჩინეთის მხარეს რეგულარულად უხდიდა ხარკს. ასეთი შემთხვევა, ადრეც ყოფილა და ჩინეთის განაწყენება არ გამოუწვევია, რადგანაც ჩრდილოეთის მთიელ ტომებს, როგორც ბირმის, ისე ჩინეთის მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ. ამჯერად ხუბილაიმ ამ ინციდენტს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რადგანაც იგი ურჩი მეზობლის დასჯის შესანიშნავ საბაბს წარმოადგენდა. 1273 წელს ხუბილაიმ გაგზავნა პაგანთა სამეფოში სამი რწმუნებული რომელთაც დატყვევებული ტომის ბელადის განთავისუფლება და ხარკის დაუყოვნებლივ გადახდა მოითხოვეს. ზემოთ ხსენებული პირები ჩინეთში არც კი დაბრუნებულან. ბირმელი ქრონიკების მიხედვით, ისინი განრისხებული მეფის ბრძანებით დახოცეს. შესაძლებელია, რომ ეს ასე არ ყოფილიყო, რადგანაც როგორც ჩინეთის, ისე პაგანთა სახელმწიფოს ელჩებს ხელშეუხებლად მიიჩნევდნენ. გარდა ამისა, კახსუ III-მ, რომელსაც ელჩების მკვლელობას მიაწერდნენ, მინგალაზედის წარწერაში აღნიშნავდა, რომ ელჩები ხელშეუხებელნი იყვნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ელჩები ხელთ იგდეს ჩრდილოეთის მთიელთა ტომებმა, გაძარცვეს და შემდეგ დახოცეს ისინი. ამას მოწმობს კიდევ ერთი ფაქტიც, რომ 1275 წელს ხუბილაიმ გააგზავნა თავისი სამხედრო მოსამსახურე ელჩების მოსაძებნად. ექსპედიციის შემდეგ ხუბილაის წარუდგინეს ანგარიში, სადაც ნათქვამი იყო, რომ პაგანთა სახელმწიფოში მიმავალი გზა მეამბოხეებს ჰქონდათ დაკავებული და იმის იქით არავის არ უშვებდნენ. სასაზღვრო კონფლიქტები გრძელდებოდა. იმ ტომებმა, რომლებმაც ჩინეთის სიუზერენიტეტი ცნეს, მთელი თავიანთი ძალები პაგანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართეს. მონღოლები კარგად იცავდნენ თავიანთი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს და მათ წინააღმდეგ ნებისმიერი ქმედება არასასურველი შედეგებით იყო გაპირობებული.

1277 წელს ბირმელთა სამხედრო რაზმი თავს დაესხა ერთ-ერთ მთიელ ტომს და გაანადგურა იგი. ამას მოჰყვა მონღოლთა მხრიდან დამსჯელი ექსპედიციის მოწყობა. მონღოლები შეიჭრნენ ბირმის საზღვრებში, ხოლო ამ ექსპედიციის მონაწილე კი ცნობილი მოგზაური მარკო პოლო იყო, რომელიც იმ დროისათვის ხუბილაის სამსახურში იმყოფებოდა. მონღოლთა რაზმის მეთაური იყო იუნანის პროვინციის გამგებელი ნასირედინი, რომელსაც პირად რაზმში 12 ათასი არაბი მხედარი ჰყავდა[1]. მონღოლთა სამხედრო რაზმები მდ. ირავადის ხეობას დაუყვნენ და შეეჯახნენ პაგანთა არმიას. ეს იყო გრანდიოზული ბრძოლა, რომელშიც ჩინეთის არმია სრული შემადგენლობით მედიოდა, 60 ათასიანი ბირმელთა არმიამ სასტიკი დამარცხება განიცადა. ქრონიკების მიხედვით ბირმელებს ჩინეთის უზარმაზარი ჯარი ებრძოდა, მაგრამ, როგორც სხვა ისტორიული წყაროებით ირკვევა, პაგანთა არმიას ჩინელების მცირერიცხოვანი ჯარი შეებრძოლა და ამ უკანასკნელის წარმატება სამხედრო ხრიკებმა განაპირობეს. ამის შემდეგ დაიწყო პაგანთა სახელმწიფოს რღვევა. 1281 წელს მონები, რომლებიც მარტაბანში აჯანყდნენ, თავს დაესხნენ ბირმელთა გუბერნატორს და მოკლეს იგი. ბირმელთა არმიის ყოფილი ოფიცერი, ეროვნებით მონი ვარერუ გადავიდა მონების მხარეზე და მისი დახმარებით მონებმა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთიდან განდევნეს ბირმელები. ერთდროულად აჯანყება დაიწყო ქ. პეგუში. მას სათავეში ჩაუდგა პეგუს პროვინციის მმართველი ტარაბია. 1283 წელს კანსუ III-მ თავისი მხედართმთავარი რაჯასანკრამა გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად ტანლუინში. რაჯასანკრამამ ხელთ იგდო ტალას ციხე-სიმაგრე ბირმის სამხრეთით.

---

1 მონღოლთა იმპერატორის ჯარი მრავალეროვანი იყო იმის გამო, რომ მონღოლთა იმპერიის საზღვრები აზიის კონტინენტის ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა, მასში ამ ტერიტორიაზე დასახლებული თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელი იყო გაერთიანებული.

მიუხედავად ამ წარმატებისა მონების წინააღმდეგ შემდგარი ექსპე-დიცია სასურველი შედეგით არ დამთავრებულა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვარერუს და ქარაბიას ძალების გაერთიანებამ კანსუ III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად. პაგანთა სამეფოს განუდგა არაკანიც. შანების თავადებიც აღარ უცნობდნენ სამხედრო რაზმებს დასახმარებლად, ისინი რეგულარულად თავს ესხმოდნენ კარიუნთა სამფლობელოებს და იკავებდნენ ჩაუსხეს ხეობის დიდ ნაწილს. 1283 წელს მონღოლები კვლავ შეიჭრნენ პაგანთა სამეფოში და დაამარცხეს ბირმელთა ჯარი კაუნსინთან. მათ ზემო ბირმა თავიანთ პროვინციად გამოაცხადეს. კანსუ III-მ გაიგო მონღოლთა მიერ პაგანების ჯარის დამარცხების შესახებ და სამხრეთით გაიქცა. პაგანთა სახელმწიფოს მხედართმთავრები მონღოლთა წინააღმდეგ დამოუკიდებლად აგრძელებდნენ ბრძოლას, მაგრამ ისინი იძულებული გახდნენ დაეთმოთ ციხე-სიმაგრეები, ასევე ქალაქი კონკანი და ჩრდილოეთის ცენტრი ტაგაუნი, რომელიც საბოლოოდ დაიმორჩილეს 1284 წლის იანვარში. მდ. ირავადის დელტაში კანსუ IIII-მ დაარსა თავისი სამხედრო ბანაკი და დროებით შეძლო აქ განმტკიცებულიყო. ამის შემდეგ 1285 წელს მან ჩინეთში გაგზავნა ორი ელჩობა, რომელთა საშუალებითაც გამოხატა თავისი მორჩილება მონღოლთა მმართველების წინაშე. ხუბილაი, რომელიც სამხრეთში ხანგრძლივი ომების წარმოებით არ იყო დაინტერესებული, დაეთანხმა პაგანთა სახელმწიფოს ელჩებს აღარ გაეგზავნა დამსჯელი ექსპედიციები იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი რეგულარულად გადაუხდიდნენ ხარკს. მიიღო რა სასიხარულო ცნობა კანსუ III-მ, გადაწყვიტა პაგანთა სახელმწიფოში დაბრუნება. იგი მდ. ირავადის ზემოთ აუყვა თავის გემით. როდესაც იგი პრომის კუშერნიაში ჩავიდა იგი მოკლა უზურპატორმა - მისმა ერთ-ერთმა შვილმა და თავი ბირმის მეფედ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, მან თავის მიზანს ვერ მიაღწია, რადგანაც ქ. პაგანში ტახტისთვის კიდევ უფრო ძლიერი პრეტენდენტები იბრძოდნენ.

ხუბილაიმ პაგანთა სახელმწიფოსგან ხარკი ვერ მიიღო. გარკვეული ხნის ცდის შემდეგ მან თავის შვილიშვილს ე სუ თემურს უბრძანა სამხრეთით ულაშქრა. ამ უკანასკნელმა პაგანთა სახელმწიფოს დედაქალაქამდე გზა უბრძოლველად გაიკვლია და ბირმის მთელი რიგი პროვინციები დაიმორჩილა. მონღოლებს სურდათ, რომ ხელში ჩაეგდოთ ინდოეთის ოკეანეზე გასასვლელი. ასეთ სტრატეგიულ ტერიტორიად ბირმა მიაჩნდათ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბირმის მრავალი პროვინცია იგდეს ხელთ, მაინც ვერ მოახერხეს დარჩენილი სათავადოების და ტომების დასახლებული ტერიტორიების დამორჩილება. მათი ლაშქრობის შემდეგ უკვე აღარ არსებობდა აღრინდელი ძლიერი პაგანთა სახელმწიფო, რომელიც მონღოლებს შესაძლოა პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით გამოეყენებინა. მონღოლებმა ისე როგორც თავის დროზე ნანჩაოს ჯარებმა დატოვეს სამხრეთ ბირმა და ჩრდილოეთით უკუიქცნენ. ამაში დიდი დამსახურება მიუძღოდა სიცხესა და ეპიდემიას. უკან გაბრუნების წინ მონღოლებმა ბირმა ორ პროვინციად დაჰყვეს. ერთი იყო ჩინჩიანი, რომელიც 1284 წელს დაარსდა (მისი დედაქალაქი იყო ტაგაუნი), ხოლო მეორე მიანჩჟუნი, რომელიც დასაწყისშივე მონღოლთა ვასალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა (მისი დედაქალაქი გახდა ქ. პაგანი). მას მართავდა კლაკვა, რომელიც ტახტზე 1289 წლის 30 მაისს ავიდა. კლაკვამ მიიღო საპატიო სახელი რუინასიანი.

განამტკიცეს რა ხუბილაის ხელისუფლება ბირმაში, მონღოლებმა დატოვეს ეს ქვეყანა და მიანჩჟუნის პროვინციის მართვა რუინასიანს მიანდეს. ამ უკანასკნელმა დაიწყო მოკავშირეების ძებნა, რადგანაც მარტო დარჩენილს ძალიან გაუჭირდა შემოსულ ტომებთან და სათავადოებთან ბრძოლა, მალე მას მოკავშირეები გამოუჩნდნენ. ესენი იყვნენ სამი ძმა შანი-ასანკხია, რაჯასანკრამი და სინხაბუ, რომლებმაც პაგანთა სახელმწიფოს დაცემის მომენტისთვის ხელთ იგდეს კარუინები

და ჩაუკსეს ხეობა. მოულოდნელი იყო ბირმელთა საგვარეულოს ციტა-დელში შანების ხელისუფლების განმტკიცება. XIII ს-ის მეორე ნახე-ვრიდან შანები ჩაუკსეს ხეობაში იწყებენ ფეხის მოკიდებას, მაგ-რამ ისინი გამოდიან არა მტრებად, არამედ როგორც ვასალები და მო-კავშირეები. მათგან შედგებოდა უკანასკნელი პაგანი მეფეების არმი-ის ბირთვი. ისინი ცდილობდნენ, რომ სამხედრო სამსახურისთვის სა-მეფო დომენის საგვარეულო მიწები დაებრუნებინათ შანებისთვის. რის შედეგადაც აღნიშნულ რეგიონში შანებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. აღზრდილი იყვნენ რა პაგანში, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდ-ნენ მთიელ თანამოძმეთაგან. ისინი იყვნენ ბუდისტები და პაგანთა სასახლის კარზე ადგილს იკავებდნენ წარჩინებულთა შორის. გარდა ამისა, როგორც ბირმელთა არისტოკრატიას, ისე მათაც კარუნებში გააჩნდათ დასაყრდენი, რაც მათ გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა.

საეჭვოა, რომ რუინასიანს ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელად მიაჩნდა. მან, როგორც კი მოახერხა ცენტრალურ ბირმაში ხელისუფლე-ბის კონსოლიდაცია, ხელი მოჰკიდა შანი ძმების დამორჩილების საქ-მეს. იგი დახმარებისათვის ჩავიდა პეკინში და ეახლა მონღოლთა იმ-პერატორს. შემორჩენილი წყაროების მიხედვით გაურკვეველია თუ რო-გორ დამთავრდა რუინასიანის აუდიენცია პეკინში. ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს და გაასახლეს მინსაინში, რომელიც შანი ძმების სამფლობელოს წარმოად-გენდა. ერთი წლის განმავლობაში მონღოლებმა იგი პაგანთა სახელმ-წიფოს მეფედ გამოაცხადეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ შანი ძმები სა-ხელმწიფოს მისი სახელით მართავდნენ. 1299 წლის 10 მაისს რუინა-სიანი მოკლულ იქნა ასანკხის ბრძანებით და ძმებმა ტახტი მის მა-რიონეტ მეფეს, სოხნის გადასცეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით შანი ძმები პაგანთა ტახტზე პრეტენზიას არ აცხადებდნენ. ისინი პაგანთა დინასტიის ავტორიტეტს იყენებდნენ ბირმელებთან ურთიერთობაში.

სოხნის მოწინააღმდეგეს მისი ძმა კუმარაკასაპა წარმოადგენდა. იგი გაიქცა ჩინეთში და დააჩქარა ურჩი ძმების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის მოწყობა. 1300 წელს მონღოლებმა კუმარაკასაპა ბირმის მეფედ გამოაცხადეს, სამშობლოში დააბრუნეს და თან დამსჯელთა რაზმიც გააყოლეს. კუმარაკასაპამ პაგანს ადვილად მიაღწია და ხელთ იგდო იგი. სოხნი გაიქცა თავის ძმებთან მინსაინში. კუმარაკასაპა მეორედ ავიდა ტახტზე. 1300 წელს მონღოლები დაიძრნენ ჩაუსხეს ხეობისკენ და 1301 წლის იანვარში ალყა შემოარტყეს მინსაინს. ისინი 3 თვის განმავლობაში ცდილობდნენ აეღოთ ქალაქი, მაგრამ უშედეგოდ. მონღოლი ჯარისკაცები სიცხეს ვერ უძლებდნენ, რადგანაც გაზაფხული ბირმაში წელიწადის ყველაზე ცხელი დრო იყო. გარდა ამისა, იფეთქა სხვადასხვა სახის ეპიდემიებმა. სურსათის მხრივ მონღოლები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებული გახდნენ მათი ძმების მიერ შეთავაზებულ ხარკს დასჯერებოდნენ და უკან გაბრუნებულიყვნენ. მათ თან გაჰყვათ კუმარაკასაპა. ამის შემდეგ მონღოლები ბირმაში აღარ გამოჩენილან. გაიგო რა ექსპედიციის კრახის შესახებ, იმპერატორმა ბრძანება გასცა ჩინეთის არმიის მხედართმთავარი და ყველა ოფიცერი სიკვდილით დაესაჯათ. მონღოლთა მხრიდან შემდგომი რეპრესიებისგან თავიდან აცილების მიზნით, შანმა ძმებმა პეკინში გაგზავნეს ელჩობა ხარკით, რითაც იმპერატორის ძალაუფლება ცნეს. ამის შემდეგ 1303 წელს მონღოლებმა გააუქმეს ჩინმიანის პროვინცია ზემო ბირმაში, ხოლო მანამდე - მიანჩეუნისა. სოხნი მეფობდა პაგანში 1325 წლამდე. მის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი უკანა V (1325-1369). 1369 წლის შემდეგ ქრონიკებსა და სხვა მატიანეებში ცნობები პაგანთა მეფეების შესახებ აღარ ფიგურირებენ. შესაძლებელია, რომ პაგანთა სახელმწიფოს უკანასკნელი მმართველების ხელისუფლებას, რამდენადმე რელიგიურ-ცერემონიალური მნიშვნელობა ჰქონდათ და ასევე უკანასკნელი ავასელი ხალიფების

მსგავსად მათ პოლიტიკურ ძალაუფლებას სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნდა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Азовский И.П. Бирма, М., 1971
2. Васильев В.Ф. Бирма, М., 1954.
3. Шнайдер С.С. Бирма, М., 1951.
4. Щербаков М.Г. Бирма, М., 1956.
5. Hall D.G. Burma. London, 1960.
6. Phayre A. History of Burma. London. 1886.
7. Smith D.E. Religion and Politics in Burma. Princeton. 1965.


ლალი ქთარაშვილი

## ბრუნეი - მშვიდობის სასუფეველი

### (ისტორიული ცნობა)

ბრუნეის - დარ უს-სალამის ანუ მშვიდობის სასუფევლის ტერიტორია შეადგენს 5,765 ათას კვ.კმ-ს. იგი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუნძულ კალიმანტანის (ბორნეო) ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, საზღვაო გზების მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე.

ადრინდელი ბრუნეი გვევლინება ერთ დროს ძლიერი სახელმწიფოს მემკვიდრედ, რომელიც მოიცავდა კუნძულ კალიმანტანის დიდ ნაწილს და ფილიპინების არქიპელაგის ზოგიერთ სამხრეთ კუნძულებს. მას მეტად საინტერესო ისტორია აქვს. დადგენილია, რომ უძველესი არქეო-

ლოგიური ფენა, რომელშიც აღმოჩენილია ქვისა და ძვლის იარაღები, სამარხები, განეკუთვნება 40000 წლის წინანდელ პერიოდს. ამ ტერიტორიის მოსახლეობას წარმოადგენდა ნეგრო-ავსტრალოიდური მონათესავე ეთნიკურ-რასობრივი ტიპი. მათი ძირითადი საქმიანობა იყო მონადირეობა, მეთევზეობა და შემგროვებლობა.

ჩვ. წ-მდე III ათასწლეულში მათ შეერიათ პროტომალაიური ტალღა, რომელსაც ახლა "დაიაკების" სახელით იცნობენ. ანთროპოლოგიურად ისინი უფრო ახლოს იყვნენ მალაიურ რასობრივ ტიპთან.

I ათასწლეულის ბოლოსათვის კალიმანტანის ჩრდ. ნაპირზე დაიწყო მალაიელთა მიგრაცია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდა. ამან გამოიწვია დაიაკების ნაწილის ასიმილირება, ნაწილმა კი - ქვეყნის სიღრმეში გადაინაცვლა.

პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომელთა არსებობაც არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, დათარიღებულია 1200 წლის წინანდელი პერიოდით. ამ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს სამთავროების სახე ჰქონდათ.

უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ბრუნეის არსებობა ცნობილი იყო ჩინელებისათვის. ბრუნეი მოიხსენიება ძველ ჩინურ ქრონიკებში 518, 523 და 616 წლებით დათარიღებულ ანალებში. მოიპოვება ცნობები პო-ლის და ეო-პოტის ქვეყნების შესახებ, რომლებიც ჩინეთის საზღვრებიდან სამხრეთით 45 დღის სანაოსნო გზაზე მდებარეობდნენ. სავარაუდოა, რომ საუბარია ერთ-ერთ ქვეყანაზე, რომელიც დღევანდელი ბრუნეის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ბრუნეი იყო ერთად-ერთი სახელმწიფო (ჩრდ. სუმატრის გამოკლებით), რომელიც აწარმოებდა ქაფურის ექსპორტს, რასაც ფართო გამოყენება ჰქონდა ჩინურ, ინდურ და არაბულ მედიცინაში. სუნის დინასტიის ქრონიკებში (წიგნი 489) აღნიშნულია, რომ 977 წელს ჩინეთს ესტუმრნენ ბრუნეის ელჩები, რომელთაც თან ჩამოიტანეს ქაფური. ქა-

ფერი გააქრონდათ ბრუნეიდან ჩინეთს და სხვა ქვეყნებს XVI-XVII სს-ებშიც, რის შესახებაც ცნობები მოიპოვება ევროპელი მოგზაურების ტ. პირეშის, ფ. ალბას, ა. პიგაფეტის ჩანაწერებში.

ბრუნეის ისტორიაში უდიდესი კვალი დატოვა ინდურმა ცივილიზაციამ. ინდური რელიგიურ-კულტურული გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო XV-XVII საუკუნეებში. სხვადასხვა ეტაპებზე ბრუნეიში ბატონობდა ინდუიზმი და ბუდიზმი. ადრეული ბრუნეის სახელმწიფოები აგებული იყვნენ ინდურის მსგავსად, სახელმწიფოს მმართველები ატარებდნენ ინდურ სახელებსა და ტიტულებს. ბრუნეიში დამზადებული მატერიალური კულტურის ნიმუშები განიცდიდნენ ინდურის აშკარა გავლენას.

პირველი ევროპელი, რომელმაც ფეხი დადგა ბრუნეის მიწაზე, იყო იტალიელი ლუდოვიკო დე ვარტემა, რომელმაც იმოგზაურა აქ 1505-1507 წწ., მოგვიანებით ეს ქვეყანა მოინახულა ესპანელმა დუარტე ბარბოზამ და პორტუგალიელმა ჟორჟ მენდესმა. უკვე 1526 წ. პორტუგალიელებმა ბრუნეისთან დადეს სავაჭრო ხელშეკრულება. XVI ს-ის ბოლომდე ბრუნეისათვის ბრძოლა ესპანელებსა და პორტუგალიელებს შორის მიმდინარეობდა. შემდეგ ამ ბრძოლაში ჩაებნენ ინგლისი და ნიდერლანდები.

უკანასკნელი აღმავლობის პერიოდი ბრუნეის სახელმწიფოსათვის იყო XVI ს-ის შუა ხანები, როდესაც აქ მართავდნენ სულთან საიფ-ულ-რიჯალი და ჰასანი. ამ დროისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა განვითარებული ფეოდალურ-მონარქიული სისტემა, რომელიც ფუნქციონირებდა XIX საუკუნის დასაწყისამდე. XVII საუკუნიდან დაიწყო სახელმწიფო დაცემის ხანა. დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების მიერ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობაზე კონტროლის დაწესებამ ბრუნეის ეკონომიკის როლი დააქვეითა და გამოიწვია მისი კაყინვა.

XVIII ს-ის დასაწყისისათვის ნიდერლანდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა კალიმანტანის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრუნეის სახმელეთო საზღვრებამდე.

XIX ს-ის დასაწყისისათვის ბრუნეი მეტად დასუსტებული იყო ქვეყანაში მიმდინარე შინაომების გამო. შემცირდა მოსახლეობა. საინტერესოა, ბრუნეის პერიფერიების მდგომარეობა ამ პერიოდში. ბრუნეის ცენტრალური ნაწილისაგან განსხვავებით, აქ აქტიურად მიმდინარეობდა საგარეო ვაჭრობა ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით, რის შედეგადაც წარმოიქმნა გემთმფლობელთა ფენა – ნაქოდა, რომლის წარმომადგენლებიც აქტიურად ცდილობდნენ ხარკის გადახდისაგან თავის არიდებას. ცენტრალური ხელისუფლება ძალიან ცდილობდა ხარკის აღებას, რასაც ხშირად შეიარაღებული წინააღმდეგობა ხვდებოდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ბრიტანეთმა ბრძოლა ბრუნეიზე სრული პრიორიტეტის მოსაპოვებლად. ჩრდ. კალიმანტანში მოღვაწეობდა ინგლისის წარმომადგენელი ბრუკი, რომელიც ცნობილია "თეთრი რაჯას" სახელით. მისი გონივრული და აქტიური მოღვაწეობის შედეგად ბრუნეის სულთანმა თხოვნით მიმართა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას დახმარებისათვის, რათა ბოლო მოღებოდა შინააშლილობასა და საზღვაო ყაჩაღობას. საპასუხოდ დიდმა ბრიტანეთმა 1845 წელს ბრუნეიში გაგზავნა სამხედრო ესკადრა.

დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის მოწინააღმდეგეებმა 1846 წ. მოაწყვეს შეიარაღებული გამოსვლა. ბრძოლა ინგლისელთა გამარჯვებით დამთავრდა. 1846 წ. დეკემბერში დადებული იქნა ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთსა და ბრუნეის შორის, რომლის მიხედვითაც ბრუნეი შედიოდა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შემადგენლობაში. ამ ხელშეკრულებამ დააკანონა დიდი ბრიტანეთის კოლონიური ბატონობა ბრუნეიზე.

აღსანიშნავია, რომ ბრუნეის სრული დაკაბალების პროცესს, წინააღმდეგობაც ხვდებოდა, კერძოდ, 1880–1885 წ., როდესაც ფახტ-

ზე იმყოფებოდა სულთანი აბდულ მუმინი. შემდგომ ეს წინააღმდეგობანი შესუსტდა და 1888 წ. დაიდო ხელშეკრულება ბრუნეიში ბრიტანეთის პროტექტორატის დამყარების შესახებ.

რაც შეეხება ეკონომიკას, XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში მისი განვითარება მეტად დაბალ დონეზე იმყოფებოდა, მრეწველობის ძირითადი დარგი იყო ქვანახშირის წარმოება XX ს-ის 20-იანი წლებისათვის მნიშვნელოვნად განვითარდა კაუჩუკის წარმოება, მაგრამ 30-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ეს მნიშვნელოვანი წამოწყება საბოლოოდ ჩაკლა. ერთი პერიოდი აქტიურად აწარმოებდნენ ოპიუმს, რაზეც პრიორიტეტი სახელმწიფოს გააჩნდა.

20-იანი წლების ბოლოსათვის ბრუნეის სასულთნო გამოირჩეოდა ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობით.

ქვეყნის ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა ნავთობის აღმოჩენის შემდეგ. იგი შემთხვევით ხასიათს ატარებდა. 1903 წ. კუნძულ ბერენბარგის ქვანახშირის საბადოს დამუშავების დროს ამოხეთქა ნავთობმა. ეს საბადო ეკუთვნოდა სულთანს. 1906 წ. ნავთობი აღმოაჩინეს მირის რაიონში. 1907 წლიდან ნავთობის ძიებას იწყებს რამდენიმე საზღვარგარეთული კომპანია. 1913 წლიდან ბრუნეის წიაღისეულის საგულდაგულო კვლევას აწარმოებს ინგლისურ-ჰოლანდიური კომპანია "როიალ დაჩ შელი". 1914 წ. ლაბში აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადო, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა სასულთნოს მდგომარეობა.

1929 წლიდან აქტიური მოღვაწეობა დაიწყო "ბუნეი შელ პეტროლიუმმა", რომელიც დროთა განმავლობაში სასულთნოს "არაოფიციალურ მეპატრონედ" იქცა.

1928 წ. ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე აღმოაჩინეს ნავთობის ახალი საბადოები, ხოლო 1929 წლიდან დაიწყო მათი დამუშავება. 1931 წელს საფუძველი ჩაეყარა ნავთობის ექსპორტს ბრუნეიდან.

1941 წლის 16 დეკემბერს იაპონელთა მიერ აშშ-ის კუთვნილ სამხედრო პორტზე პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ, ბრუნეი მოექცა იაპონიის ოკუპაციის ქვეშ. იაპონელები შეეცადნენ დაემყარებინათ ლოიალური ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამაგიეროდ ინგლისელთა ერთი ნაწილი ინტერნირებული იქნა, ნაწილი კი მოათავსეს საკონცენტრაციო ბანაკებში. იაპონელებს ბრუნეიდან გაქონდათ დიდი რაოდენობით ნავთობი 1945 წ. 10 ივნისს ინგლისელთა და ავსტრალიელთა ჯარები გადმოსხდნენ ბრუნეის ნავთობსარეწ რაიონებში. რამდენიმე კვირაში ბრუნეი გაწმენდილი იქნა იაპონელი ოკუპანტებისაგან.

ომის შემდგომ პერიოდში ინგლისმა განაახლა თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარება ბრუნეიში, ოღონდ ამას აკეთებდა უფრო სიფრთხილით 1848 წ. ბრუნეიში დააწესეს უმაღლესი კომისრის თანამდებობა, იგი უშუალოდ ემორჩილებოდა ბრიტანეთის მთავრობას. 1959 წლის სექტემბერში ინგლისმა ბრუნეის მიანიჭა კონსტიტუცია, რაც იყო თვითმმართველობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. კონსტიტუციის მიხედვით, უმაღლესი ხელისუფლება გადაეცა სულთანს. მაგრამ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი კვლავ ახორციელებდა კონტროლს თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობათა სფეროებზე.

1979 წლის 7 იანვარს ბრუნეიმ და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბრუნეისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე. (1983 წლის ბოლოსათვის). 1984 წლის 1 იანვრიდან მან მოიპოვა დამოუკიდებლობა. ქვეყანაში დღემდე მოქმედებს 1959 წელს მიღებული კონსტიტუცია.

1962 წ. - სულთნის წინააღმდეგ მოწყობილი გამოსვლების დროს ქვეყანაში გამოაცხადეს საგანგებო მდგომარეობა. კონსტიტუციის მთელი რიგი პუნქტების მოქმედება დროებით შეაჩერეს, მმართველობა ხორციელდებოდა სულთნის დეკრეტების საფუძველზე.

სულთანს ეკუთვნის მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ამასთან იგი არის ბრუნეის მუსლიმთა რელიგიური წინამძღოლიც.

სულთნის კარზე მოქმედებს რიგი სათათბირო ორგანოებისა. რელიგიური საბჭო, მინისტრთა კაბინეტის საბჭო, მემკვიდრეობათა საკითხების საბჭო.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შეყვანილია სულთნის ორი ძმა, რომლებიც მას ეხმარებიან ქვეყნის მართვაში.

ბრუნეის ყავს კარგად შეიარაღებული არმია, რომლის მნიშვნელოვანი ძალაა ბრუნეის მალაიელთა სამეფო პოლკი, რომელშიც შედის 4450 ჯარისკაცი, მათ შორის 250 ქალია. მას ჰყავს სახმელეთო ჯარები (3600 კაცი), საჰაერო (300), საზღვაო (300) ჯარები. ისინი შეიარაღებულნი არიან ფრანგული და ინგლისური იარაღით.

ქვეყანას ჰყავს აგრეთვე გურკხების დაქირავებული ბატალიონი 900 კაცის რაოდენობით. იგი ექვემდებარება ინგლისელთა ხელმძღვანელობას. მის ძირითად ფუნქციებში შედის ნავთობისა და გაზის მომპოვებელი საწარმოების დაცვა.

საინტერესოა რომ ამ სახელმწიფოში არ არის რეგისტრირებული არც ერთი პოლიტიკური პარტია (1985 წ. შეიქმნა ბრუნეის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც გამოდიოდა ქვეყანაში საყოველთაო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, მხარს უჭერდა მმართველობის საპარლამენტო ფორმის შემოღებას, მაგრამ იგი დაიშალა 1988 წლის იანვარში).

ბრუნეიში არ არსებობს ერთიანი პროფკავშირული ორგანიზაცია. ფუნქციონირებს მხოლოდ დარგობრივი პროფკავშირები.

ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება მთლიანად დამოკიდებულია ნავთობზე, რომელმაც ბრუნეი მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანად აქცია, ერთ სულ მოსახლეზე 20-22 ათასი დოლარი შემოსავლით

(1993), რამაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას 1992 წ. საშუალება მისცა ბრუნეი აღარ ჩაეთვალა განვითარებად ქვეყნად, ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის გამო.

მსოფლიო ბაზარზე ფასების მერყეობამ ბრუნეის შემოსავალი შეამცირა 4,9 მლრდ დოლარიდან (1980 წ.) 2,07 მლრდ. დოლარამდე, რაც აიძულებს ქვეყანას მოახდინოს ეკონომიკის დივერსიფიცირება და შეამციროს ქვეყნის ეკონომიკის სრული დამოკიდებულება ნავთობზე (ქვეყნის სავალუტო შემოსავლის 99%-ს ნავთობი იძლევა). ვარაუდობენ, რომ ყოველწლიურად 150–160 ათასი ბარელი ნავთობის მოპოვების შემთხვევაში ქვეყნის მარაგი ამოიწურება დაახლოებით 25 წელიწადში.

ქვეყანაში ვითარდება ისეთი ახალი დარგები, როგორებიცაა საფეიქრო და კვებითი მრეწველობა, ავეჯის წარმოება, სოფლის მეურნეობა და სხვა.

ფულადი ერთეულია ბრუნეის დოლარი. 1 ამერიკული დოლარი უდრის 1,4579 ბრუნეის დოლარს (1994 წ. მონაცემებით).

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მოქალაქეს გარანტირებული აქვს უფასო სამედიცინო მომსახურება, განათლება. აქ არ იხდიან სახელმწიფო გადასახადებს. მოსახლეობაზე გაიცემა სესხები სახლების, მანქანების შესაძენად. ბრუნეის პირველი ადგილი უჭირავს ერთ სულ მოსახლეზე ავტომანქანათა რაოდენობის მიხედვით. ათწლეულების მანძილზე სახელმწიფო სტიპენდიის ხარჯზე ახალგაზრდობა ღებულობდა განათლებას საზღვარგარეთის ქვეყნებში.

1985 წ. ბრუნეის დედაქალაქ ბანდარ-სერი-ბეგავანში გაიხსნა პირველი უნივერსიტეტი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბრუნეი გაწევრიანდა მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციაში (1984 წ. იანვარი), ბრიტანეთის თანამეგობრობაში (1984 წ.), ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში (1984 წ. იანვარი), გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (1982 წ. სექტემბერი).

1993 წ. მონაცემებით, ბრუნეის მოსახლეობის რაოდენობა 300.000 არ აღემატებოდა.

ზაზა მენთეშაშვილი

## იაპონიის კულტურა 1945-1965 წლებში

ომის შემდგომი გარდაქმნები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სოციალური ხასიათის ძვრები, კაპიტალიზმის აღმავალი და სწრაფი ტემპით განვითარება უშუალო გამოძახილს პოულობდა იაპონური ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების, განათლების და კულტურის სხვა მრავალ დარგში. გაიზარდა კულტურის, როგორც იაპონური საზოგადოების პროგრესის, მისი სოციალური, პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების განმსაზღვრელის და მაორგანიზებელი ფენომენის. როლი. იაპონური კულტურის (1945-1965) განვითარების წლები ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

პირველი - ქვეყნის კაპიტულაციის გამოცხადებიდან (1945) 1952 წლის სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებამდე, როდესაც იაპონია საბოლოოდ გამოვიდა საომარი მდგომარეობიდან და მშვიდობა მოიპოვა. მეორე - 1952-1965 წწ., როდესაც იაპონიაში ე.წ. მასობრივი კულტურის ინდუსტრიის შექმნა ხდება, რაც ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი გაძლიერებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა არნახული ზრდით და საერთაშორისო ასპარეზზე იაპონიის, როგორც წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნის, აღიარებით აღინიშნა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იაპონიის ხელოვნებასა და ლიტერატურაში, დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაციის აქტიური პროცესი დაიწყო. ფართოდ გაიშალა კულტურის დარგებში დემოკრატიული პრინციპების დანერგვისათვის ბრძოლა. ხშირად კულტურაში დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენლები იაპონიის ხელისუფლებას ოპოზიციაშიც კი ედგნენ. ამის მიზეზი იაპონია-აშშ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცება იყო. 50-60-იანი წლების დასაწყისში

იაპონიის მოსახლეობის დამოკიდებულება ხელისუფლების პროამერიკული კურსის მიმართ არაერთგვაროვანი იყო, ყოველივე ეს აღნიშნულ პერიოდში იაპონიის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თავის გავლენას ახდენდა და, ბუნებრივია, კულტურის დარგებშიც უშუალოდ აისახებოდა ქვეყნის კულტურული ცხოვრების ეს პერიოდი. იგი რთული პოლიტიკური მოვლენებით და სოციალური ძვრების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, აღსავსე იყო მრავალი წინააღმდეგობრივი ხასიათის ტენდენციებით. იაპონიის კულტურა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში თანამედროვე იაპონური ბურჟუაზიული საზოგადოების პირმშოდ ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, ომის შემდგომი წლების იაპონურმა კულტურამ დიდი თანამედროვე, ამერიკული და დასავლეთ-ევროპული კულტურების გავლენა განიცადა, რომელმაც თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნების გარდა, დასავლეთის კულტურის ბევრი ელემენტი შეისისხლხორცა, და მას თავისი, იაპონური ინტერპრეტაცია მისცა. 1945–1965 წლების იაპონიის სახვით ხელოვნებაში მთელი სისრულით არის წარმოდგენილი მოდერნისტული ტიპის მიმდინარეობანი: კონცეპტუალიზმი, ჰიპერრეალიზმი, კონსტრუქტივიზმი, ინტუიტივიზმი, სიურრეალიზმი, სხვადასხვა სახის აბსტრაქციონიზმი, მოდერნიზმი, იმპრესიონიზმი, პოპ არტი და სხვ. იგივე შეიძლება ითქვას პოპულარული მუსიკის ჟანრების – ჰარდ როკის, ჰევი როკის, ბიტის, ანდაგრაუნდის, ავანგარდის და ჯაზ როკის შესახებ. 1945–1965 წლებში იაპონიაში ელვისებური სისწრაფით ვრცელდება განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების თეატრის სიახლეები: ჰეპენინგი, მიკრო თეატრი, კომიქსი. იაპონურ სცენაზე, ეროვნული ნაწარმოებების გარდა, იდგმება ნაწარმოებები ევროპის და ამერიკის თანამედროვე მწერლების შედევრების მიხედვით.

ანტიფაშისტური კოალიციის ქვეყნების გამარჯვების შემდეგ (1945) იაპონიაში მიიღეს კანონების მთელი რიგი, რომლებიც მმართველობის ძველი, ომისდროინდელი ფორმების და მეთოდების შეცვლისაკენ

იყო მიმართული. გაუქმდა იაპონიის საიდუმლო პოლიცია და ფაშისტურ-ბიუროკრატიული ორგანოები, შეწყდა მათი კონტროლი და ჩარევა კულტურის დარგებში, საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური და კულტურის მოღვაწეები, გაუქმდა ცენზურა კინოზე, თეატრსა და ფერწერაზე. იაპონიის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესზე აშშ-ის საოკუპაციო ხელისუფლებამ დააწესა კონტროლი. იაპონიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამერიკის სამხედრო-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის ქვეშ აღმოჩნდა. შეიქმნა სამოქალაქო ინფორმაციის სპეციალური სამმართველო, რომელიც ხელმძღვანელობდა კულტურის დარგებს. მისი ამოცანა იყო იაპონიაში მილიტარისტული იდეოლოგიის და მონარქიზმის ყოველგვარი გამოვლინებისა და ნაციონალისტური თეორიების წინააღმდეგ ბრძოლა, ამ ტრადიციულ ისტორიულ წარსულს სინთოისტური რელიგია უმაგრებდა საფუძველს. მას შემდეგ, რაც იაპონიის მმართველმა წრეებმა სინტო თავის პოლიტიკურ ინტერესებს დაუქვემდებარეს, სახელმწიფო სინთოიზმი ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს იდეოლოგიური იარაღი გახდა. რელიგიურ პრაქტიკაში რიტუალების ინსტიტუტების დომინირებამ და სუსტად განვითარებულმა დოგმატიკამ განსაზღვრეს სინთოს სპეციფიკური თავისებურებანი. ჯერ იმპერატორს, ხოლო შემდეგ იაპონიის სხვა ხელმძღვანელ წრეებს, ყოველთვის ჰქონდათ სინთოს რიტუალური ბაზისის საჭიროებისამებრ გამოყენების საშუალება მისთვის ხელსაყრელი იდეოლოგიური ზედნაშენის შექმნის მიზნით. სინთოისტურ იდეოლოგიაში იაპონია წარმოდგენილი იყო, როგორც ღვთიური სამყოფელი", რომელშიც იმპერატორის წინაპრები-ღმერთები ცხოვრობდნენ. სწორედ აქედან წარმოდგებოდა იდეა - თანამედროვე იაპონელი ერის უნიკალური ფიზიკური სტრუქტურების და თვისებების არსებობისა, რომლებიც მას მსოფლიო ბატონობის უფლებას ანიჭებდა (I, 199). სახელმწიფო სინთოს ფორმების პროცესში იაპონიის მმართველი წრეები სულაც არ ცდილობენ უკვე ჩამო-

ყალიბებულ ტრადიციულ რელიგიურ წარმოდგენებს, ისინი მათ ოსტატურად უსადაგებენ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების წესსა და პოლიტიკურ საჭიროებებს. ამ მხრივ საყურადღებოა სახელმწიფო სინტოს საფუძველი - იმპერატორის კულტის არსი. უფროსების წინაშე ოჯახის შვილთა უმცროსი თაობის წარმომადგენელთა მოკრძალებულობის კონცეფცია ცალკეული ოჯახის ფარგლებს გასცილდა და ის სრულიად იაპონური მასშტაბით გაფართოვდა. მთელი იაპონელი ერი ერთ დიდ ოჯახად გაერთიანებად ცხადდებოდა, რომლის სათავეშიც, საკრალური გენეალოგიით, მმართველობის უფლებამინიჭებული იმპერატორი იდგა. მამა-პაპათა კულტი იმპერატორის წინაპრების ღვთიურ კულტამდე იყო აყვანილი, ხოლო შვილთა მოკრძალებულობის ინსტიტუტი სავალდებულო სახელმწიფო მორალური კოდექსის რანგს უტოლდებოდა. ეს უკანასკნელი კი, იმპერატორისადმი თავდადების, ერთგულების, მისი უდიდებულესობის პიროვნებისადმი თაყვანისცემის სტრუქტურებსა და ინსტიტუტებში თავისებურ სუბლიმაციას განიცდიდა. სინტოს ნებისმიერ დროს სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის სპეციფიკა თანამედროვე იაპონიაშიც არის შესაძლებელი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სინტო ამჟამადაც რჩება მტკიცე საყრდენად იდეოლოგიაში ძველი რელიგიურ-პოლიტიკური ტრადიციების შესაძლო შემობრუნების გზაზე. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხებამ წერტილი დაუსვა სახელმწიფო სინტოს არსებობას. 1947 წლის კონსტიტუციამ რელიგიის თავისუფლება გამოაცხადა. იაპონიაში მიმდინარე ომის შემდგომი საყოველთაო დემოკრატიზაციის დროს სინტოისტური რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა დიდ მიღწევად ითვლებოდა. აიკრძალა სინტოიზმის, როგორც სახელმწიფო კულტის, ღვთისმსახურება, შეწყდა სინტოისტური ტაძრების მიერ სახელმწიფო-ფინანსური დოტაციებით სარგებლობა, ყველა სინტოისტური ორგანიზაცია, ტაძარი, სასულიერო სასწავლებელი, აკლდამები სახელმწიფოს გამოეყო. სახელმწიფო სასწავლებლებში აიკრძალა სინტოისტური დოქტრინების

გავრცელება. სინთოიზმი ყველა დანარჩენ რელიგიებს უფლებრივად გაუთანასწორდა. ქვეყნის ახალმა კონსტიტუციამ გააუქმა იმპერატორის ე.წ. "ხორციელი ღმერთის" ტიტული, უწმინდესი ადამიანის წოდება. ხოლო რელიგიის აღიარების არჩევანი ხელუხლებლად დატოვა. ამით ისარგებლეს იმპერატორმა და სასახლის კარმა და სინთოიზმი თავიანთ ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადეს. იმპერატორის ეს ნაბიჯი სინთოიზმს, სხვა რელიგიებთან შედარებით, განსაკუთრებულ პრივილეგირებულ სტატუსს ანიჭებდა და მის ძველ სახელმწიფო სტრუქტურას განამტკიცებდა, გარდა ამისა, იაპონურ ტრადიციულ ინსტიტუტებზე აშშ საოკუპაციო ხელისუფლების შეტევის პოლიტიკა ქრისტიანობის გავრცელებასაც უწყობდა ხელს. იაპონიაში მომსახურე ქრისტიანმა მისიონერებმა სკოლებისა და სხვა სახის საგანმანათლებლო სასწავლებლების ისეთი ტიპები შექმნეს, რომლებიც იაპონიაში ქრისტიანობის, ამერიკული ცხოვრების წესის და კულტურის პროპაგანდას გასწევდნენ. აშშ საოკუპაციო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იაპონიის განათლების სისტემის გარდაქმნა იყო. ამ ღონისძიებაში აშშ-ი იაპონიის კულტურასა და საზოგადოებრივი ცხოვრების "სწრაფი ამერიკანიზაციისათვის" ერთადერთ ხელშემწყობ საშუალებას ხედავდა. ქვეყნის კულტურის სხვადასხვა სფეროში ხელმძღვანელობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ამერიკელების თაოსნობით შეიქმნა სპეციალური სამოქალაქო ინფორმაციისა და განათლების სამმართველო. ამ ორგანიზაციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იაპონური სკოლებიდან მილიტარიზმისა და ულტრანაციონალიზმის გამოვლინებანი ამოეძირკვა. დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ახალი საგანმანათლებლო სისტემა შეიქმნა. ამის შემდეგ იაპონიაში, განათლების დარგში, დეცენტრალიზაცია მოხდა და აშშ-ის მაგალითზე ახალი განათლების სისტემა შეიქმნა. თუ ადრე იაპონური სკოლის მმართველობის სადავეები განათლების სამინისტროს ეპყრა ხელთ, ახლა ისინი სპეციალური

არჩევითი კომიტეტების ხელში იყო თავმოყრილი (2. 184). პროგრე-
სულ ცვლილებებს ხელი შეუწყო იაპონიის კონსტიტუციამაც, რომლის
ახალი რედაქცია ითვალისწინებდა ომის პერიოდში და მანამდე არსებუ-
ლი სასკოლო პროგრამების გადასინჯვას. სწორედ ამიტომ, მორალის,
ეთიკისა და ისტორიის ძველი სასწავლო პროგრამების ნაცვლად, რომ-
ლებიც ნაციონალიზმისა და მილიტარიზმის იდეებით იყო გაჟღენთილი
ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის მიხედვით, შემოღებულ იქნა
ეგრეთწოდებული სოციალურ მეცნიერებათა სპეციალური კურსი. იგი
იაპონელ მოსწავლეებს მსოფლიოში მიმდინარე ისტორიული და სოციალუ-
რი პროგრესების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა და ხელს
უწყობდა სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე ჩატარებას.

იაპონიის დემოკრატიზაციის მიზნით, მოკავშირე სახელმწიფოე-
ბის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი ეროვნულ კინემატოგრაფიასა და
თეატრში ძირეულ გარდატეხას ითვალისწინებდა. უპირველეს ყოვლისა, -
მათი შეთვებით გაუქმდა ძველი. ფაშისტური ხელისუფლების მიერ შე-
მოღებული კანონები კინოს და თეატრის ფუნქციონირების შესახებ,
ლიკვიდირებულ იქნა მათზე კონტროლის ბიუროკრატიული აპარატი.
1945 წლის შემოდგომის დასაწყისიდან იაპონური კინოსა და თეატრის
შეფობა დაეკისრა სამოქალაქო ინფორმაციისა და განათლების სამმართ-
ველოს.

ამ უკანასკნელმა იაპონური კინოსა და თეატრის განვითარების
დასაჩქარებლად მრავალი დირექტივა გამოსცა. მათში ყურადღება გამა-
ხვილებული იყო კინოსა და თეატრში არსებული შემოქმედებითი მიმარ-
თულების დემოკრატიულ ორიენტაციაზე. მილიტარისტული ეტატიზმის წი-
ნააღმდეგ ბრძოლაზე, ლიბერალური მოძრაობისადმი ხელის შეწყობაზე,
სინდისის, სიტყვის, კრებების თავისუფლების მხარდაჭერაზე. ახლად
შემუშავებული დირექტივების ცხოვრებაში გატარების შედეგად იაპო-
ნიაში კულტურის განვითარების ისეთი პირობები უნდა შექმნილიყო,

რომელთა არსებობაც ქვეყნის კულტურას თავისუფლების გზით წაიყვანდა და მილიტარისტული კურსის რეორგანიზაციის საშიშროებას თავიდან აიცილებდა. ამერიკელებს აფიქრებდათ ის გარემოება, რომ იაპონური თეატრი, კაბუკი, რომელიც თავისი დაარსების დროიდან, – 1603 წლიდან მიყოლებული, ფეოდალური ტრადიციებით საზრდოობდა და თავის წარმოდგენებსა და დადგმებში ფეოდალისადმი ერთგულებას და შუასაუკუნეობრივი შურისძიების წესს ფართო აფიშირებას უკეთებდა, ყოველივე ეს, საოკუპაციო ხელისუფლების აზრით, ფეოდალური იდეოლოგიის განმტკიცებას და რეაქციული ძალების, კონსოლიდაციას უწყობდა ხელს. ამიტომ ამერიკულმა ცენზურამ გულდასმით გადასინჯა იაპონიის ტრადიციული თეატრების – კაბუკის და ძიორურის ათეულობით პიესა, რომლებშიც შურისძიება აქტატიზმი, საბრძოლო განწყობა, ვასალური ერთგულება, ქალთა დისკრიმინაცია ძალადობისა და სისასტიკის სცენები იყო ასახული და აკრძალა ისინი X. არსებითი ხასიათის შეზღუდვები შეეხო იაპონურ კლასიკურ თეატრს – ნოოს, რადგანაც ნოოს თეატრის გმირულ-სათავგადასავლო ეპოსის თემატიკა ძირითადად გასართობ-სანახაობრივი ჟანრისა იყო, მასში წამყვან როლს ასრულებდა საყოფაცხოვრებო სცენები, სიუჟეტები და საცეკვაო პიესები, მათი დიდი ნაწილი ცენზურას უვნებლად გადაურჩა.

კინემატოგრაფიის დარგში გატარებული გარდაქმნები კინომეწარმეთა ფედერაციის მეთაურობით დაიწყო. ამ ორგანიზაციამ აკრძალა ძველი

---

X: ძიორურის თეატრი, რომელიც XI ს. დაარსდა კლასიკურ თოჯინურ თეატრს წარმოადგენდა. ძიორურის სასცენარო რეპერტუარს ძველი საგმირო-დრამატული ეპოსი ედო საფუძვლად. ამ ეპოსის თხრობითი ინტერპრეტაცია ძირითადად სიმღერის სახით წარმოებდა. ამ თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ტიკამაცუ მონძაემონი (1653–1724) და კავატაკე მოკუამი (1816–1893). ძიორურის თეატრის წარმოდგენების დროს თოჯინური სცენების არანჟირება ტექსტის სიმღერით კითხვაში გამოიხატებოდა. მუსიკალური აკომპანემენტისთვის ეროვნულ სიმებიან საკრავს, სიამისენს იყენებდნენ.

ფილმები, რომლებშიც ფარულად იყო აღიარებული ნაციონალისტურ-მონარქისტული იდეები, მილიტარისტული განწყობა, ან არასწორად იყო ინტერპრეტირებული პოტსდამის დეკლარაციის არსი და ა.შ. გარდა ამისა, იაპონური კინემატოგრაფია იაპონელებს შორის საუკეთესო გასად მიიჩნევა. ომის შემდგომ პერიოდში აღინიშნებოდა კინოქრონიკული ჟანრების წახალისება ხელისუფლების მხრიდან. 1946 წლიდან ასეთი სახის პროდუქციის გამოშვება ორმა მსხვილმა კინოსაპროდიუსერო კომპანიამ - "ნიჩიეიმ" და "ასახი ეიგასიმ" დაიწყო.

1945 წლიდან იაპონიაში იქმნება ბევრი დემოკრატიული ლიტერატურული საზოგადოება. ისინი თავიანთ რიგებში პროგრესულად მოაზროვნე იაპონელ მწერლებს და პოეტებს აერთიანებდნენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ცნობილი დემოკრატი მწერლები: დრამატურგი ქალი მიამოტო იურიკო, ციგა ნაოია, ენო კოძი, ფუძიმორი სეიკიჩი, ტანიძაკი ძიუნიჩირო, ნოგამი იეკო და სხვები. 1945 წლის 30 დეკემბერს დაარსდა ახალი იაპონიის ლიტერატურული საზოგადოება. მისი პერიოდული გამოცემები "ბუნგაკუ სიმბუნი" და "ბუნგაკუ ძიხო" სისტემატურად აქვეყნებენ თანამედროვე იაპონელი მწერლების ნაწარმოებებს, რომლებსაც კულტურის დემოკრატიული და პროგრესული გზით განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე საყოველთაო დემოკრატიული აღმავლობა პოეზიასაც შეეხო. პროგრესულად მოაზროვნე მწერლებმა და პოეტებმა შექმნეს ლიტერატურული გაერთიანება - "სენგო ხა". მის დამაარსებლებს შორის იყვნენ: იამამოტო სიძუკა, სასაკი კიიჩი, ცებოი სიგეძი, (რომელმაც ცნობილი ლექსების კრებული "კაძიცე" გამოსცა). მხატვრული ნაწარმოებების გარდა "სენგო ხა" კრიტიკულ გამოცემებსაც უთმობდა ყურადღებას. ამ ლიტერატურული გაერთიანების პირველი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი არა მასახიტო იყო. მის შემოქმედებას და, საერთოდ, "სენგო ხას" საქმიანობას ნათელი ზოლივით გასდევს ომისადმი უარყოფითი დამოკი-

დებულება. ლიტერატორების, მწერლებსა და პოეტების ჯგუფი არა მასახიერის მეთაურობით თავდაუზოგავად იბრძოდა ხელოვნების პოლიტიკისაგან გამიჯვნისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. "სენგო ხას" ორგანიზაციას მეორენაირად "ომის შემდგომ ჯგუფს" უწოდებნენ. მან ძველი ისტორიულ მეცნიერებებსა და ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე საკუთარი თანამედროვე დემოკრატიული კონცეფცია შეემუშავებინა. თეორიის სფეროში, ახალი დემოკრატიული დებულებების შესაბამისად, "ომის შემდგომი წლების ჯგუფი" საკუთარი ლიტერატურული პრაქტიკის ცვლილების გზას დაადგა. მათი შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი იყო ძველი და ტრადიციული მიმართულებისა და ჟანრებისაგან გამიჯვნა, ნატურალიზმსა და ინდივიდუალიზმზე უარის თქმა. ყოველდღიური ცხოვრების პრობლემების, ინტიმური განცდების ასახვისა და გააზრების გარდა, ლიტერატურა, მოწოდებული იყო ახალი მხატვრული ხერხების საშუალებით გაეშუქებინა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ძვრები და პროცესები. "სენგო ხას" ახალი საზოგადოებრივ-ესთეტიკური მსოფლმხედველობა აისახა ნომა ხიროსის შემოქმედებაში. მისი ნაწარმოებები - "ბნელი სურათი", "ახალგაზრდული შრე"; "ორი სიცოცხლე" ომისშემდგომი იაპონიის საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავენ. მოთხრობა "ბნელი სურათი" მთავარი გმირი, სტუდენტი ფუკამი სინსკე, "წყვდიადის ეპოქის" ინტელიგენციას მიეკუთვნება. ნომა ხიროსის გმირი იბრძვის იაპონური ინტელიგენციის უფლებათა დასაცავად, მასზე ხელისუფლების დიქტატის გაუქმებისათვის და ნორმალური სამუშაო პირობების შექმნისათვის. იგი აღიარებს არსებული მილიტარისტული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას, მაგრამ სამართლიანობისთვის ბრძოლის დროს მემარჯვენეთა და მემარცხენეთა მოძრაობების შორის მერყეობს, მას, ერთის მხრივ, მემარცხენეთა რადიკალური პოლიტიკური მოთხოვნები აშინებს, ხოლო მეორეს მხრივ კი, მემარ-

ჯვენეთა გაუბედაობისა და მილიტარისტებთან სიახლოვისა ერიდება. ამ უკანასკნელთა მიმართ ფუკაში სინსკე ანტიპათიას განიცდის. მოწავალი ინტელიგენციის თავისებური პერსონაჟის შექმნით ნომა ხირო-სი ფართო საზოგადოებრიობას აჩვენებს, თუ რაოდენ ძნელია ომისდრო-ინდელი იაპონური ინტელიგენციისთვის პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწი-ლეობის მიღება. ომის შემდგომი დროის ახალგაზრდობის განწყობა და საზოგადოებრივი აზრი ასახულია უმეძაკი ხარუოს ნაწარმოებებში. მისი გმირები ხასიათის სიმტკიცითა და სულის სიძლიერით არ გამოირ-ჩევიან, მაგრამ მათთვის უცხო არ არის ისეთი ადამიანური თვისებე-ბი, როგორიცაა მეგობრობა, სიყვარული, თავდადება და პატრიოტიზ-მი. მთლიანად ნაწარმოებებს პესიმისტური პათოსი გასდევს, ესენია: კუნძული "საკურაძიმა" და "ხინოხატე" (დღის ბოლო). ნაშში აღწერი-ლია მილიტარისტული იაპონიის არმიაში ჯარისკაცთა ყოფა, მათი მძი-მე მდგომარეობა, რომელიც უაზრო სამხედრო დისციპლინისა და არაადა-მიანური წვრთნის შედეგი იყო. ნაწარმოებთა ერთ-ერთი ძირითადი თემაა იაპონელი ხალხისათვის ომისაგან მიყენებული ტანჯვის წარმოჩენა. ამ მხრივ, აღსანიშნავია კამბაიასი აკაცუკის "კოჭი" (სოფრიელე) და ოტა იოკოს "სიკაბანე ნომაჩი" (გვამების ქალაქი). ომის შემდგომ-მი იაპონელი მწერლებისათვის დამახასიათებელია დეკადენტური გან-წყობაც. განსაკუთრებით ისინი თავს იჩენენ ნაკამურა სინიჩიროს შე-მოქმედებაში. მის რომანში "სინო კატე-ნო მოჭო-ნი" (სიკვდილი ჩრდილქვეშ), მთავარი გმირის მსოფმხედველობას და აზრებს სიკვდი-ლის თემა იპყრობს. ნაწარმოებში დაწვრილებით არის აღწერილი მთავა-რი პერსონაჟის ტანჯვა-ვაებით აღსავსე ცხოვრება, რომელიც მისი ახ-ლობელი ადამიანების უდროო დაღუპვამ გამოიწვია. ჯერ მას ბედისწე-რამ ახალგაზრდა მეგობარი ქალი გამოაცალა ხელიდან, შემდეგ დედა, მამა, უდროოდ წავიდა ვეიდაც, რომელიც მშობლების სიკვდილის შემ-

დევ მას ეელობას უწევდა. მზის ჩასვლისას წამოწეული საღამოს ჩრდილები ნაკამურას გმირის წარმოსახვაში მისი ახლობელი ადამიანების სიკვდილის აჩრდილთა ასოციაციას იწვევენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები საზოგადოებრივ-ლიტერატურული გამოცემების სიმრავლე-ნაირფეროვნებით აღინიშნება, ესენია: "ბუნგეი", "სიუნ ძიუ" (ლიტერატურული დათვალიერება), "სინ სეი" (ახალი ცხოვრება), 4 "კაიძო" (აღორძინება), "ნინგენი" (ადამიანი), "სეკაი" (სამყარო), "ტემბო" (პანორამა) და სხვები. ამ გამოცემებში იბეჭდებოდა ტანიძაკი ძიუნიჩიროს, მასამუნე ხაკუჩოს, ნაგაი კაფუს და იაპონური ლიტერატურის ბევრი სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლის ნაწარმოებები. იაპონიის ომის შემდგომი წლების სინამდვილე აისახება ნაგაი კაფუს ნაწარმოებებში: "ოდორიკო" (ბალერინა), "კუნსიო" (მედალი). ანტისაომარი სულისკვეთებითაა გამსჭვალული სიგა ნაოიას შემოქმედებაც, მათ შორის, აღსანიშნავია "ფერმკრთალი მთვარე" (ხაირირო ცუკი) და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი იაპონელი მწერლების შემოქმედებაში ომის შემდგომი იაპონიის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური საკითხები ნაკლებად არის გაშუქებული, ძირითადად ყურადღება ომისა და მშვიდობის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზეა გამახვილებული.

კინემატოგრაფიის სფეროში კრიტიკული და დოკუმენტური კინო მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩეოდა. 1947 წელს კინოკომპანიებში - "ნიკიეისა" და "ასახი ეიგასიაში" საფუძვლიან საკადრო ცვლილებებს და გადაჯგუფებებს ჰქონდა ადგილი. დემოკრატიულ ელემენტთა გააქტიურებამ და ხელმძღვანელობის განახლებამ ამ კომპანიების შემოქმედებითი პათოსი ძირეულად შეცვალა. კინოპროდუქციამ აშკარად გამოხატული დემოკრატიული სახე მიიღო, იაპონელი მაყურებელი რეალისტური კინოპროდუქციის მძლავრი ნაკადის შემეცნებით-კრიტიკულ აღქმას ვერც კი აპერპებდა. ჯერ ერთი, მისი მორალურ-ფსიქოლოგიური აზრი,

რომელიც იმისდროინდელ ტრადიციებზე იყო ჩამოყალიბებული, საერთაშორისო და შინაპოლიტიკური სიტუაციის ახლებურად შეცნობის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, იაპონური ცხოვრების რეალისტურ გაშუქებაზე მაყურებლის რეაქცია არაერთგვაროვანი და, ხანდახან, წინააღმდეგობრივიც იყო. თუ ფილმი მაყურებელში დადებით ემოციურ განწყობას შექმნიდა, იგი უსათუოდ ტაშით ჯილდოვდებოდა. საპირისპირო შემთხვევაში ეკრანის მიმართულებით გასროლილი ქვები, ჯოხები და საამისოდ გამიზნული სხვა სახის საგნები მიფრინავდნენ, იყო უკმაყოფილების შეძახილები, მაყურებელი ტოვებდა დარბაზს. ხშირი იყო კინოეკრანის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევებიც, მისი ჩამოხევის, დაჭრევის, ან დაწვის სახით და ა.შ.

პროგრესული ქრონიკალური კინემატოგრაფია იაპონიაში კონსერვატორების მხრიდან წინააღმდეგობას განიცადა. მათ ხელს არ აძლევდათ იმისდროინდელი ფაქტების რეალური გაშუქება. ისინი ისევ "ამომავალი მზის ქვეყნის" ძველ დიდებაზე ოცნებობდნენ და მილიტარისტული იაპონიის დროინდელი პროპაგანდისტული ფილმების ჩვენებას და ახალი, ნაციონალისტური სულისკვეთებით აგებული ფილმების შექმნას მოითხოვდნენ. დიდი წინააღმდეგობა შეხვდა დოკუმენტურ ფილმს "პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის ქრონიკას". მის ერთ-ერთ სერიაში, იაპონიის კომუნისტურ პარტიაზე ისტორიულ-დოკუმენტური ეტიუდის ჩვენებისას, კინოთეატრებში შეიარაღებული დაცვის გამოძახება გახდა საჭირო. კონსერვატორებმა ძალდატანებით შეცვალეს დოკუმენტური ფილმის - "ატომური ბომბის აფეთქების შედეგების" რეალისტური სიუჟეტიც. კინოქრონიკიდან ამოიღეს ომის დაწყების მიზეზების ობიექტური გაშუქება და შეფასება, ამ ომში იაპონიის ჩათრევის პროცესი, სამხედრო დამნაშავეთა საქმიანობა, აშშ-ის მიერ საერთაშორისო ასპარეზზე ანტიიაპონური საქმიანობა და მის მიერ იაპონიისათვის "ატომური გაკვეთილის" საშუალებით ჭკუის სწავლება (5, 123). 40-იანი წლების

მეორე ნახევარი იაპონურ კინოს ბაზარზე ამერიკული პროდუქციის მო-
ზღვავებით აღინიშნება. აშშ-დან ჩამოსული კინოდესანტი ძირითა-
დად თავისუფალ სასიყვარულო თემაზე შექმნილი პროდუქციისაგან შედ-
გებოდა. ასეთი თემატიკის ფილმების ეკრანზე გამოჩენა იაპონელი
მაყურებლისათვის მოულოდნელ სიახლეს წარმოადგენდა და ხალხში გარკ-
ვეული პოპულარობითაც სარგებლობდა. ახასიათებდა რა ამერიკული
კინოს გავლენას, კანადელი სოციოლოგი ნარმან მაკლოენი წერდა, რომ
ამერიკული კინო ხელს უწყობდა მის ფარგლებს გარეთ პროვინციული
ყოფისა და აზროვნების დაძლევას, მეცნიერებისა და ავქმის განვი-
თარებას, იგი ხალხს არა მარტო სიამოვნებას ანიჭებდა, არამედ
ჭკუასაც ასწავლიდა, მიზანიც თავმას მისი ოცნებების მეგობრად ევლი-
ნებოდა... განსაკუთრებით ეს სასიყვარულო თემატიკის ნაწარმოებებს
შეეხებოდა, რომლისაგანაც ახალგაზრდობა ბევრს სწავლობდა. ბაძავ-
დნენ რა კინოვარსკვლავებს, ისინი მათი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მა-
თი გრძნობების სიფაქიზე ახასიათებდათ და მათი სიყვარულით თაყვანს
სცემდნენ და უყვარდათ (3, 233) სიყვარულის ფიზიკური მხარის დემონს-
ტრაცია, რომელიც საკმაოდ მყარად ფიქსირდებოდა იაპონიის კინოს ბა-
ზარზე წარმოდგენილ ამერიკულ ფილმებში, იაპონიის კინემატოგრაფიაში
უშუალო ვარიაციას პოულობდა, გაჩნდა სასიყვარულო თემის მეოხებით
სოლიდური მოგების შედარებით იოლად მიღების საშუალება, ამიტომ ია-
პონელმა კინემატოგრაფისტებმა სწრაფად გამართეს ეროვნული "სასიყვა-
რულო" კინოპროდუქციის კონვეიერი და მალე ასეთი ჟანრის ამსახველი
ფილმებიც მომრავლდა. ასეთთა შორის იყო ეროტიკული ტიპის ფილმები
"სეპუნ ეიგა" და სექსუალური სიუჟეტების - "ხადაკა ეიგა". ამას-
თან, გავრცელდა "სიშიშვლის დემონსტრაცია სიახლოვის შემდეგული
ფორმებით", რომლებშიც ძირითადად 15-16 წლის ასაკამდე პერსონაჟე-
ბი ფიგურირებენ. ითვალისწინებდა რა იაპონელი მაყურებლის ძლიერ
მიდრეკილებას არასრულწლოვანი ეროტიკული კომბინაციების მიმართ,

ამერიკელი კინომკვლევარი და კულტუროლოგი მელვინ დე ფლერი, იაპონური ინტერპრეტაციის მქონე ამერიკული კოცნის კულტურას, ახალგაზრდა იაპონელის სასიყვარულო კერის იკებანას უწოდებდა (4,87). ამ მხრივ აღსანიშნავია მრავალსერიანი – "მოსწავლე გოგონა და მასწავლებელი" და პოპულარული "ღამის კოცნა". ეს იაპონური ფილმები მოწონებით სარგებლობდნენ როგორც ეროვნულ, ასევე საზღვარგარეთულ საზოგადო წრეებში, განსაკუთრებით პოპულარულნი იყვნენ საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და არმიაში.

ომის შემდგომი წლების იაპონიაში ეროვნული თეატრი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. თეატრების შენობების დიდი ნაწილი დაზიანებული და უვარგისი იყო, გარდა ამისა, საოკუპაციო ჯარებს თეატრის ბევრი შენობა სამხედრო მზაბებად და საცხოვრებელ კორპუსებად ჰქონდათ გამოყენებული. იაპონური თეატრის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე საზღვარგარეთ იყო გაქცეული, არ იყო მატერიალური სახსრები, წარმოდგენების მკვეთრი შემცირების გამო შემოსავალი უმნიშვნელო იყო. იაპონური თეატრის აღორძინებას მისმა დემოკრატიულად განწყობილმა ნაწილმა მოჰკიდა ხელი. ამ მხრივ ყველაზე ქმედითუნარიანი "ძენსინძას" ჯგუფი აღმოჩნდა. ამ ჯგუფმა ომის შემდეგ დადგა ფრანგი მწერლის ჟან რიშარის სპექტაკლი "ჟელონი" და ამერიკელი დრამატურგის ლილიან ხელმანის პიესა "რაინის დარაჯი". ორივე დადგმა ანტიფაშისტური შინაარსის იყო და საოკუპაციო ხელისუფლების მოწონება დაიმსახურა. იაპონური თეატრის სხვა, არანაკლებ პოპულარულმა ჯგუფმა, "ბუნგაკუძამ" და "ხაიუძამ" დადგეს ა. ჩეხოვის "ალუბლის ბაღი" და ნ. გოგოლის "რევიზორი". დამდგმელები იყვნენ ცნობილი იაპონელი რეჟისორები – ცნობილი იაპონელი მხატვარი იტო კისაკუ. აღორძინებული იაპონური თეატრის ცნობილი ჯგუფის "ბუნგაკუძას" შედევრი – "ქალის ცხოვრება" გახდა. ივი მორიმოტო

კაორუმ დადგა. ამ სპექტაკლმა დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. მასში გადმოცემულია ქალის ცხოვრების ისტორია, რომელიც შეძლებული ოჯახის მექონით დაიწყო და შემდეგ მას, სიმდიდრის განუსაზღვრელი ოდენობით შეძენის გზაზე, ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა. მთავარი როლი ცნობილმა მსახიობმა ქალმა სუგიმურა ჰარუკომ შეასრულა. მისმა გმირმა ფულის გულისათვის საყვარელი ადამიანის ღალატიც განიზრახა და ბოლოს, როდესაც წამოწყებული საქმე უშედეგოდ და უიღბლოდ დამთავრდა, მას ქმარმა და ქალიშვილმა ზურგი შეაქციეს და ბედის ანაბარა დატოვეს. ასეთი მძიმე სიუჟეტური სპექტაკლები ომის შემდგომი იაპონიის პოპულარული თეატრის – სინგეკისთვის ტრადიციად იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ მძაფრი შინაარსის მქონე სპექტაკლები იაპონელ მაყურებელს საკმაოდ იზიდავდა, ამ მხრივ ნიშანდობლივია ისაკა მიკიოს ხელმძღვანელობით დადგმული "მუკი ტოძიუ" (თავისუფლება და იარაღი). სინგეკის თეატრის აღორძინების და შემოქმედებითი აღმავლობის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ცნობილ იაპონელ კულტურის მოღვაწეს ხიძიკატა იესის, რომელიც იაპონიის მილიტარიზმის დროს საპყრობილეში იჯდა და გამოსვლის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩაერთო იაპონური თეატრის შემოქმედებით საქმიანობაში.

1947 წლიდან ამერიკული კულტურის უშუალო გავლენით ფეხს იკიდებს და შემდგომში სწრაფად ვითარდება ამერიკული სტრიპ-შოუ. ამ სანახაობრივმა წარმოდგენამ საოკუპაციო ხელისუფლების მხრიდან დიდი ხელშეწყობა მიიღო. გამოიყენეს ამერიკული კოლეგების "მდიდარი" გამოცდილება, იაპონელმა რეჟისორებმა შექმნეს ოკეანის გაღმელი სტრიპტიზის უფრო სრულყოფილი ვარიანტი. სტრიპ-შოუს პირველი დადგმა, რომელსაც "ვენერას დაბადება" უწოდეს, 1947 წლის იანვარში ტოკიოში იყო დემონსტრირებული. ამიერიდან იაპონიაში პროფესიონალიზმის უქონლობის გამო, ჯერ გაუბედავად იწყება მსგავსი შოუ წარმოდგენების გამართვა; ხოლო თანდათანობით, ამერიკული სტრიპტიზის ვარიაციების

ჩამოსვლის და სპექტაკლების გახსნის შემდეგ, ხდება სწრაფი თეატ-რების რაოდენობის ზრდა და 1955 წლისათვის იაპონიაში მათი რიცხვი 16-მდე აღწევს (6. 43).

ომის შემდგომ წლებში განსაკუთრებით დიდ სიძნელეებს განიცდი-და იაპონიის ტრადიციული თეატრის ერთ-ერთი წამყვანი ჟანრი-ნოო. ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების გარდა, ნოოს აწუხებ-დნენ საოკუპაციო ხელისუფლების შეზღუდვები და რეგლამენტაციები. საოკუპაციო ხელისუფლება ნოოს ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებს იგნორირებას უკეთებდა და მათ ანტიდემოკრატიულ შეფასებას აძლევდა. მდგომარეობა გამოასწორა ნოოგაკუ კიოკაის ასოციაციის შექმნამ. იგი ნოოს ხელოვანთა გაერთიანებას წარმოადგენდა და მისი მიზანი იყო ნოოს ხელოვნების დეგრადაციისა და სრული გაქრობისაგან გადარჩენა. ასოციაციის ხელშეწყობით ბევრი ძველი სპექტაკლი აღადგინეს და მოკ-ლე ვადაში წარმოადგინეს იაპონიის სცენაზე. ნოოგაკუ კიოკაის დახ-მარებით ნოოს თეატრის ჯგუფები მათთვის ყველა აუცილებელი რეკვიზი-ტებით იქნა უზრუნველყოფილი (7. 66). იაპონიის მსხვილ ქალაქებში – ოსაკაში, ტოკიოში, კიოტოსა და ნიიგატაში ჩამოყალიბდა ნოოს სკოლე-ბი, რომლებიც ახალგაზრდა მსახიობებს და ნოოს სტილის მუსიკოსებს ამზადებდნენ. ნოოს ჟანრის პოპულარიზაციისა და იაპონელ ხალხში მისი ტრადიციული დიდების აღდგენისათვის ორგანიზებულ იქნა პერიო-დული ჟურნალის – "ნოოს" გამოცემა. ასეთი ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შედეგად ნოოგაკუ კიოკაის ასოციაციამ საგრძნობლად მოკლე დროის მონაკვეთში შეძლო ნოოს თეატრის ტრადიციების აღდგენა, მისი განვითარება, მისი წარმოდგენების თანამედროვე მოთხოვნების შესა-ბამისად გადახალისება. ყოველივე ამის შემდეგ ნოო როგორც ტრადი-ციული არისტოკრატული წრეებისთვის, ასევე ფართო დემოკრატიული აუ-დიტორიისათვისაც ხელმისაწვდომი გახდა.

კულტურის სფეროში საყოველთაო აღმავლობა დაეტყო იაპონურ სახ-

ვით ხელოვნებასაც. როდესაც მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, იაპონურ სახვით ხელოვნებაში "ჭეშმარიტი იაპონიზმის იდეის" გავლენა ჭარბობდა, იგი ომამდელი იაპონიის ხელოვანთა საორიენტაციო ქვაკუთხედი იყო. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა ტრადიციული იაპონური ფერწერული მიმდინარეობის ნიხონგის წახალისებლად, ხოლო ევროპულ ტრადიციებზე აღზრდილი იაპონელი მხატვრები ხელისუფალთაგან დევნას განიცდიდნენ. ომის დამთავრების შემდეგ, იაპონურ სახვით ხელოვნებაში ევროპული ორიენტაციის მქონე მხატვართა და მოქანდაკეთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. აღორძინდა თავისუფალი ხელოვნების დამოუკიდებელი ასოციაცია-დოკურიცუ ბიძიუცუ კიოკაი. განახლებული სტრუქტურით დაიწყო მოღვაწეობა მხატვრული კულტურის ასოციაცია - ბიძიუცუ ბუნკა კიოკაიმ, ხოლო თავისუფალი ხელოვნების ასოციაციამ გახსნა ევროპული სახვითი ხელოვნების ჟანრებისა და მიმდინარეობების შემსწავლელი სკოლები. იაპონური ფერწერის ტრადიციულ სკოლებში უკვე აშკარა იყო ევროპული ფერწერისა და ქანდაკების გავლენა. ასეთი ხასიათის შემთხვევებმა, იაპონური სახვითი ხელოვნების ტრადიციულ და თანამედროვე მიმდინარეობებს შორის არსებული უთანხმოებანი და წინააღმდეგობანი მკვეთრად შეარბილა.

იაპონიის კულტურული ცხოვრების ფართო დემოკრატიზაცია 40-იანი წლების ბოლოს, ე. წ. "შემობრუნების კურსით" შეიცვალა. გაძლიერდა ხელისუფლების კონტროლი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაზე, შეიზღუდა დემოკრატიული ინსტიტუტები და ხელოვნების ბევრ დარგზე მკაცრი ცენზურა დაწესდა. 1949 წლის ივნისიდან 1950 წლის თებერვლამდე იაპონიაში ჩატარდა ე. წ. "საზოგადოების მავნე იდეებისაგან დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებანი". ხელისუფლების ეს შინაპოლიტიკური აქცია "წითლების დევნაში" გამოიხატა.. რეპრესირებულ იქნენ კომუნისტური მსოფლმხედველობის მქონე მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები და მათი მოწაფეებიც, არაკეთილსაიმედოთა წმენდა

იაპონურ კინემატოგრაფიასაც შეეხო. სამუშაოდან დაითხოვეს მსხვილი კინოკომპანია – "ტოხოს" 270 თანამშრომელი, აქედან 100-ზე მეტი პროფკავშირის წევრი იყო. "წითლების წმენდის" შედეგი ობიექტი ერთ-ერთი უმსხვილესი კინოკომპანია "სიოჭიკუ" გახდა. 1950 წლის 3 მაისს ოკუპანტთა ჯარების მთავარსარდლის დუგლას მაკ-არტურის ბრძანების მიხედვით კულტურის დაწესებულებებს, უწყებებს და სამმართველოებს წინადადება მიეცათ "ეროვნული კულტურა და საზოგადოება მავნე იდეოლოგიური ზემოქმედებისაგან დაეცვათ" (ნ. 113). იაპონურ კინემატოგრაფიაში პოლიტიკური კლიმატის შეცვლამ კინოს ბაზარზეც, ადრინდელთან შედარებით, მოახდინა სათანადო ცვლილებები. სულ სხვა ჟანრის ფილმები დამკვიდრდა ეკრანზე. ახალი ფილმების მიზანი იყო იაპონიის მილიტარისტული კურსის ჩაქარება და ყოფილი სამხედრო რეჟიმის აღდგენა. ასეთი ტიპის ფილმებიდან აღსანიშნავია "განთიადი 15 აგვისტოს", რომელშიც დამაჯერებლად არის ნაჩვენები მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობა ომის შემდგომ პერიოდთან შედარებით. რაც შეეხება იაპონურ ტრადიციულ თეატრებს: ნოოს, ბუნრაკუს, სინკოკუგეკის, ამ სარეპერტუარო და იდეოლოგიური ხასიათის შეზღუდვები მოეხსნათ და, შემოქმედების მხრივ, არჩევანის სრული თავისუფლება მიეცათ. გაიზარდა მსგავსი სულისკვეთებით გამსჭვალულ პიესათა რიცხვიც. თეატრალურ წარმოდგენებში იმატა ისეთმა საბრძოლო სცენებმა, რომლებშიც ხდებოდა, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების დემონსტრირება. ასეთი ჟანრის პიესა იყო "მიამოტო მუსასი", რომელიც სინკოკუგეკის თეატრმა დადგა. აღნიშნული პიესის მთავარი გმირი ზედმიწევნით სრულყოფილად ფლობს სამურაის ხმალს, მტერთან ორთაბრძოლაში მხოლოდ გამარჯვებული გამოდის, მას არ ეშინია კბილებამდე შეიარაღებული რამოდენიმე მოწინააღმდეგისა, თამამად ებმება მათთან ბრძოლაში, კენპოს ილეთებით იგერიებს მათ და მხოლოდ იშვიათ კრიტიკულ შემთხვევებში იყენებს

ხმალს. მისი ხმლის ერთი გაელვება საკმარისია ათიოდე კაცის მო-საკლავად. "მიამოტო მუსასის" იაპონიის ყველა კუთხეში დიდი წარ-მატება ხვდა წილად. სპექტაკლის მიმდინარეობის დროს მაყურებელი აღტაცებას ვერ მალავდა, ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდა და ზოგჯერ საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ მაყურებელი სცენაზე აიჭრებო-და ხოლმე და წარმოდგენაში აქტიურად ებმებოდა. ეს განსაკუთრებით საბრძოლო სცენების დროს ხდებოდა. ხშირად თეატრის მესვეურნი იძულებულნი ხდებოდნენ წესრიგის დამცველთათვის მიემართათ, რაც ხშირად მაყურებელთა თეატრიდან გაძევებით, ან დაპატიმრებით თავ-დებოდა. სცენაზე სამურაი წარმოდგენების ასეთი წარმატება იმას მოწმობდა, რომ წლების მანძილზე მეომრული სულისკვეთებით აღზრდი-ლი იაპონელი მაყურებლები კვლავ საბრძოლო განწყობილების ტყვეობა-ში იმყოფებოდნენ და თავისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფი-ლებას მებრძოლი პათოსით გამსჭვალულ წარმოდგენებში პოულობდნენ.

განათლების სფეროში, *"შემობრუნების კურსის" თანახმად, ზო-გადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები ძი-რეულად შეიცვალა. კვლავ შემოღებულ იქნა მორალის და ეთიკის კურ-სი, განახლდა ულტრანაციონალიზმის პროპაგანდა, იმპერატორის კულ-ტის და მილიტარიზმის ხოტბა და ქება-დიდება. 1950 წლიდან სახელ-მძღვანელოების ბევრ ახალ გამოცემაში შემოქვეყნებული იყო ძველი მეთოდოლოგიური ხასიათის დებულებები. ძველი მილიტარისტული ცხოვ-რების წესის აღორძინებას ხელს უწყობდა დღესასწაულებისა და სპორტული შეჯიბრებების დროს ჯერ კიდევ აკრძალული ომამდელი საზე-იმო და ცერემონიული მარშების გამოყენება. "შემობრუნების კურსი" განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1950 წლიდან კორეაში ომის და-წყების დროიდან. იაპონიაში დემოკრატია შესაზღუდავად მობილიზებულ იქნენ სამხედრო-საზღვაო ქვეითი ჯარები და პოლიცია. 50-იან წლებ-ში ქვეყნის კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო იაპო-

ნელ კინემატოგრაფისტთა პროგრესული ძალების კონსოლიდაცია. 1951 წელს მათი ძალისხმევით შეიქმნა "დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა კავშირი". მისი მოღვაწეობის პირველი შედეგი იყო იამამოტო საცუოს ფილმი "ძალადობის ქუჩა". ახალი პროგრესული მოძრაობის მაჩვენებელი იყო დამოუკიდებელი კინოკომპანიის "სინსეი ეიგას" შექმნაც. ამ პერიოდის დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო კუროსავა აკირა[I]. კუროსავამ შექმნა ისეთი შედევრები, როგორიცაა: "რასიომონი", "ხაკუჩი" (დოსტოევსკის "იდიოტის" მიხედვით), "იკირუ" ("ცხოვრება"). ამ ფილმებმა 1954 წელს ბერლინის კინოფესტივალზე პრემია დაიმსახურა. იაპონიის კინოსთვის ეს საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა იყო. კუროსავას წყალობით იაპონური კინემატოგრაფია მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. იაპონელ პროგრესულ კინომოღვაწეთათვის ომის თემა შემოქმედების ძირითად თემად იქცა. ასეთი შინაარსის ფილმებიდან აღიარება მოიპოვა "ტოხოს" კომპანიაში გადაღებულმა ფილმმა "მატა აუ ხი მადე" ("მომავალ შეხვედრამდე"). იგი ანტისაომარ თემაზე იყო გადაღებული ცნობილი ფრანგი მწერლის რომენ როლანის ნაწარმოების "პიერთა ლუსის" მიხედვით. ფილმის რეჟისორია იმაი ტადასი, რომლის ფილმებიც ძირითადად ომის საშინელებების სააშკარაოზე გამოტანით და ანტიმილიტარისტული სულისკვეთებით გამოირჩევა. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი მეორე ფილმიც "კიკე ვადაცუმი-ნო კოე" ("გესმოდეთ

---

I კუროსავა აკირა, ყველაზე პოპულარული იაპონელი რეჟისორი, დაიბადა 1910 წელს. მან კინოში მოღვაწეობა დაიწყო როგორც სცენარისტმა, რეჟისორი გახდა 1943 წელს. მის პირველ ფილმს "სუგატა სანშიროს" დიდი წარმატება ხვდა წილად. მის სხვა ფილმებს, რომლებიც ომის შემდგომ, 40-იან წლებში გადაღებული, წარმატება არ მოჰყოლია. მსოფლიო აღიარება კუროსავას 1951 წელს გადაღებულმა ფილმმა "რასიომონმა" მოუტანა. ამ ნაწარმოებმა ვენეციის საერთაშორისო ფესტივალზე დიდი პრიზი მიიღო.

ხმა ოკეანისა"). ორივე ფილმმა 1950 წელს იაპონური გაზეთის "ტოკიო სიმბუნის" მიერ მოწყობილ კონკურსში პირველი - მეორე ადგილები გაინაწილა, ხოლო მესამე ადგილი, ასევე, წილად ხვდა ანტისამხედრო სიუჟეტის ფილმს "გაქცევა გათენებისას". დემოკრატიის დასაცავად და კორეაში ომის შეწყვეტის მომხრე იაპონელი ლიტერატორებიც გამოვიდნენ. ამ მხრივ, ყველაზე პოპულარული, ისაკავა ტაცუძო იყო. მის კალამს ეკუთვნის რომანი - ეპოპეა "კაძენი სიოგუ ასი" ("ლერწამი ქარში"), რომელიც იაპონელ ხალხს მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიის თავიდან აცილებისა და მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. რომანში აღწერილია იმპერატორის არმიის ცხოვრების წესი, მოთხრობილია მასში გამეფებული დრომოჭმული, არაადამიანური დისციპლინის შესახებ. სრულყოფილადაა გადმოცემული იაპონიის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი - ომის დასასრულიდან, 1947 წლის თებერვლამდე მაკ-არტურის მიერ იაპონიაში გაფიცვების ამკრძალავი ბრძანების გამოცემამდე. ისაკავა აკრიტიკებს იაპონური რეაქციისა და ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლების შეთანხმებას - იაპონიის ეროვნული აღმავლობისა და პროგრესის გზით წაყვანის შესახებ. ანტისამხედრო და ანტიმილიტარისტული შინაარსის გარდა, ისაკავას ნაწარმოებები ხასიათდება ჰუმანიზმით, ადამიანური გრძნობების სიწმინდით და ერთგულების ქადაგებით. ასეთებია: "ნინგენ ნოკაბე" ("ადამიანთა კედელი"), "ფუან-ნო ტანრი" ("შფოთიანი დროის მორალი"), "აი ნო ოვარი-ნო ტოკი" ("როცა სიყვარული ქრება").

50-იანი წლების დასაწყისიდან ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდის "ატარასი სენგო-ხა" ("ახალი ომისშემდგომი ჯგუფი"). მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: აბე კობო, ხოტა იოსიე და იტო სეი. აბე კობოს ნაწარმოებთაგან აღიარება მოიპოვეს მისმა სატირულმა რომანებმა "კაბემ" ("კედელი"), "სუნა ნო ონნამ"

("ქალი ქვიშაზე") და "ხირობა ნო კოდოკუმ" ("მარტოდმარტო მოედან-ზე"). რომანის - "მარტოდმარტო მოედანზე" მთავარი გმირს არ სურს აკეთოს ის, რასაც მას შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა კარნახობს, სხვისი ნების შესრულებით იგი საკუთარ თავს ვერ დაუპირისპირდება. მანკიერ მხარეებთან და ძალადობასთან ბრძოლაში ის დაღუპვის პირამდე მიდის. მაგრამ საბოლოოდ მაინც იმარჯვებს იმ ძალის საშუალებით, რომელიც მას სიმართლის რწმენამ მიანიჭა. მშვიდობისა და სამართლიანობისათვის თავგანწირვის სურათებს ვხვდებით ხოტა იოსიე მოთხრობებში "ხაგურუმა" ("კბილანები") და "ძიკანი" ("დრო"). ავტორი აღწერს ტერორისა და ძალადობის სცენებს იაპონიის არმიის მიერ ოკუპირებულ ჩინეთის ტერიტორიაზე, იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ჩინელი ხალხი იყო ჩავარდნილი, მწერალი მოუწოდებს იაპონელ და ჩინელ ხალხს ერთიანი ძალით გამოვიდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში. ბოლოს, უნდა აღინიშნოს იაპონელი მხცოვანი მწერლის იბუსე მასუძის რომანი "იოხაი ტაიტიო" ("ერთგული მეთაური"), რომელშიც იაპონელი ჯარისკაცის მწარე ბედის პერიპეტიებია აღწერილი. რომანის მთავარი გმირი იაპონიის არმიის ლეიტენანტია. იგი ომში მძიმედ იჭრება და საავადმყოფოში გადაჰყავთ. ლოგინად ჩავარდნილი, ის სიგრძე-სიგანით წარმოიდგენს ომის მთელ მიმდინარეობას და მისი გააზრების შემდეგ სულიერად ავადდება, ყურად არ იღებს მეგობრების, ახლობლების მტკიცებას, რომ ომი უკვე კარგა ხანია დამთავრდა. ის ხშირად გამოდის ქუჩაში, გამვლელ-გამომვლელს აჩერებს და ეკითხება ომის მსვლელობის შესახებ. მას არავისი და არაფრის არ სჯერა. ირგვლივ მხოლოდ მეომრებს ხედავს და მათ იერიშისაკენ მოუწოდებს, ეძახის მათ, რომ იბრძოლონ, სანამ მტერი არ დამარცხდება და იაპონია არ გაიმარჯვებს. გმირის თავისებური ცოცხალი პორტრეტის შექმნით იბუსე მასუძი "ერთგულ მეთაურში" აკრიტიკებს ომის შედეგად იაპონია-

ში გაბატონებულ ჰეგემონისტურ-პატრიოტულ შეხედულებებს, რომლებიც უკვე მშვიდობიანობის დროს, როგორც იაპონელი, ისევე სხვა ხალხების მიერ არ შეიძლებოდა ნორმალური აღქმის საგანი გამხდარიყო.

50-იანი წლების შუახანებში იაპონიაში, ეკონომიკური აღმავლობის, ტექნიკის განვითარების, წარმოების გაზრდის საშუალებით, ეროვნული არქიტექტურის განვითარებამ არნახულ ტემპებს მიაღწია. იაპონური ტრადიციული არქიტექტურის თავისებურებანი და მისი კონსტრუქციული და სივრცობრივი თვისებები მკვეთრად განსხვავდებოდა ევროპის ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებული საშენებლო და არქიტექტურული ტრადიციებისა და ნორმებისაგან. მაგალითად, 60-იან წლებში, როდესაც ევროპასა და ამერიკაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას უპირატესობა ენიჭებოდა. მათგან განსხვავებით, იაპონელთა უმრავლესობა ტრადიციული ტიპის ხის სახლების მშენებლობას უჭერდა მხარს[X].

---

X იაპონიის ეროვნული არქიტექტურის ისტორია 12 საუკუნეზე მეტს ითვლის. იაპონური შენობების კონსტრუქციები და მათი შენების სტილი აიხსნება ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით. 50-იანი და 60-იანი წლების იაპონიისათვის საცხოვრებელი სახლის ფართოდ გავრცელებული ტიპი კვლავ ტრადიციული ხის სახლი იყო. ასეთი კონსტრუქციული საფუძველია ხის კარკასი. კედელი საყრდენის ფუნქციას არ ასრულებს. სახლის საპირისპირო მხარეების ორი კედელი თავისებური ხის ბადით დაფარული ვებერთელა ჩარჩოა, რომელზედაც გაჭიმულია ნახევრად გამჭირვალე ქაღალდი ორივე კედელი მოძრავ კონსტრუქციას წარმოადგენს, იგი შეიძლება მოიხსნას, ასევე, გაიწიოს და ფანჯრის მოვალეობაც შეასრულოს. ტრადიციული ხის სახლი არ არის მონოლითურ საძირკველზე აშენებული. იგი გარდიგარდმო და ვერტიკალურად მდებარე საყრდენების თავისებურ კონსტრუქციას ეფუძნება და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მათი გამოცვლა სახლის დაუნგრევლად. ასეთი საძირკველი ძლიერი მიწისძვრების დროს ძალისმიერ ტალღებს და ვიბრაციას შთანთქავდა. საგანგებოდ უნდა ითქვას სახლის კარკასის შესახებ. იგი მეტად მსუბუქი იყო და ზამბარისებური დრეკადობის უნარი ჰქონდა.

ძირეული გარდატეხა იაპონურ არქიტექტურაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 50-იან წლებში აშენებულ ნაგებობებში შეიმჩნეოდა ტრადიციული იაპონური და თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის მიღწევათა გამოყენებანი, მაგრამ მათში მნიშვნელოვნად დომინირებდა იაპონური ინტერიერის ფუნქციონალური და დეკორატიული თავისებურებანი. ევროპულად განსწავლულმა ცნობილმა იაპონელმა არქიტექტორებმა - ტაკიძავა მაკოტომ, სატუო მაცუომ, ისიმოტო კიკუძის და სხვებმა დააარსეს თანამედროვე არქიტექტურული საზოგადოება - "ბუნრიხა კენტიკუ კაი". ამ საზოგადოებამ, ევროპულ სამშენებლო და იაპონურ ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნა არქიტექტურის იაპონური სტილი, რომელმაც შემდგომში მსოფლიო არქიტექტურაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. ომისშემდგომი იაპონური არქიტექტურის სიახლეების პრაქტიკაში განხორციელებას ხელს უშლიდა ტრადიციული წესები, გარდა ამისა, ძირითადი ოფიციალური მშენებლობა, რომელიც სახელმწიფო სუფსიდიებით სარგებლობდა, უკიდურესი ეკლექტიზმით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა თავისი გაიტანა და, უკვე, 50-იანი წლების დასაწყისში, თანამედროვე არქიტექტურამ იაპონიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი (22.

---

ქარიშხლის, ან მიწისძვრის დროს კარკასის შემადგენელი მხარეები რიგრიგობით იწყებდნენ მოძრაობას, ერთი მხარის ენერგიას მეორე შთანთქავდა და, ამგვარად, სახლიც უვნებელი რჩებოდა. სახურავის ფორმის შექმნისას ზუსტად ითვალისწინებდნენ მზის სხივების დაცემის კუთხეს და მათ აქტივობას წლის სხვადასხვა პერიოდში. სახლის სახურავი იაპონელს ზაფხულში თაკარა მზისგან, ხოლო ზამთარში თოვლისგან იცავდა. ამავე დროს, სახლის სახურავის კონსტრუქცია ქაღალდგადაკრულ კედლებს წვიმის წვეთებისაგან იცავდა. ტრადიციული ხის სახლის ინტერიერი მეტად თავისებური იყო. შინაგანი მტიხრავი კედლები, რომლებსაც "ფუსუმა" ეწოდებოდა, გასაშლელი იყო. თავისი მოძრავი კონსტრუქციით "ფუსუმა" საცხოვრებელს სახლს აძლევდა ფართობის, დროისა და ბუნებრივი არსებობის შესაბამისად გამოყენების საშუალებას.

203). ამ დროისათვის ჩამოყალიბებული იყო თანამედროვე იაპონური არქიტექტურული სკოლები, რომელთა სათავეში იდგნენ მსოფლიოში აღიარებული არქიტექტორები: საკაკურა ძიუნძო, ასიხარა იოსინობუ, მაეკავა კუნიო, იამადა მამორუ მათ ძალისხმევით დაიწყო ბევრი არატრადიციული სტილის ახალმშენებლობა მათგან ყურადსაღები ნიმუშია ქალაქ ხიროსიმას მშვიდობის პარკის შენობების კომპლექსი, რომელიც 1952 წელს აშენდა ტანგე კენძოს პროექტით. ეს არქიტექტურული ანსამბლი ატომური დაბომბვის მსხვერპლთა თავისებურ მემორიალს წარმოადგენდა. მასში იდეალურად არის შერწყმული კულტურული მემკვიდრეობის მიერ დატოვებული ტრადიციული და ნოვატორული ელემენტები, ტანგე კენძომ (რკინა-ბეტონის კონსტრუქციულ სიახლეთა და შენობათა მწკრივის გამოყენებით) შენობათა მწკრივის ერთიანი, მთლიანი კარკასი შექმნა. მისი დიდი ნაწილი შუშით არის დაფარული, რის წყალობითაც შენობის მაღალმხატვრულად გაფორმებული ინტერიერის ყოველ კუთხეს ძლიერი შუქი ეფინება. ნაგებობის ასეთი კონსტრუქციული ტიპი გამოყენებულია ცუდას კოლეჯის და მისი ბიბლიოთეკის აგებისას. ქალაქ ხიროსიმას საბავშვო ბიბლიოთეკის და ნუმაძუს ტიპოგრაფიის შენობათა კონსტრუქციების დროს. ბევრი იაპონელი არქიტექტორი, შენობის თანამედროვე სტილის გადაწყვეტისას და ინტერიერის სივრცობრივი განფენილობის პრობლემათა გადაჭრის დროს, ეროვნულ-ტრადიციულ მემკვიდრეობაში ეძებდა გამოსავალს, რაც გამოიხატებოდა ტრადიციული ატრიბუტების მქონე რკინა-ბეტონის კარკასიანი შენობების აგებისა და მისი ინტერიერის გარემოსთან ორგანულ დაკავშირებაში. ამ შემთხვევაში ბუნებრივი გარემო, ტყე, ბაღი, ან სხვა ნებისმიერი სახის გამწვანება, ისე გამოიყენებოდა, როგორც დეკორატიული ფაქტორი. ასეთი ტიპის ნაგებობებიდან აღსანიშნავია: საკაკურა ძიუნძოს მიერ აგებული კამაკურას ხელოვნების მუზეუმის შენობა, ქალაქ იო-კოგამას საკონფერენციო დარბაზი, ქალაქ

კიოტოს საფოსტო უწყების შენობა და ტოკიოში აშენებული იაპონიის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული მუზეუმი ტანიგუჩი, 50-იანი წლების არქიტექტურულ ძეგლთა უმრავლესობას ახასიათებს ფუნქციონალიზმი, კონსტრუქციათა ზედმიწევნით ზუსტი ლოგიკა და დეკორატიული სისადავე. შენობის ესთეტიური სახისმეტყველება განისაზღვრება კონსტრუქციულ ელემენტთა და შინაარსის გადმოცემის სიზუსტით, ადვილად გასაგები არქიტექტურული მჭერმეტყველებით და ცალკეული დეტალების სიმეტრიული განლაგებით.

50-იანი წლების მიწურულს იაპონიის არქიტექტურაშ მრავალი სტილისტური ხასიათის ცვლილებები განიცადა. ფართოდ გამოიყენებოდა მონოლითური ბეტონის კონსტრუქციები. ამან შენობათა ექსტერიერის ძირფესვიანი შეცვლა გამოიწვია. გაჩნდა ახალი ფასადური გარეგნობის ნაგებობები, რომელთა ცალი მხარე (მაგალითად, ჩრდილოეთის მხარე) სრულიად ყრუ კედლებით იყო აშენებული, მათთვის დამახასიათებელი იყო კუთხოვანი სიგლუვე და კონფიგურაციათა მრუდი მწკრივსეული ფორმები. 50-იანი წლების დასასრულს სილუეტთა მკაფიო ხაზოვანი გრაფიკა და შეშით განწყობილი ზედაპირები პლასტიკური მასების მწკრივმა შეცვალა, გამოყენებულ იქნა განწყობის შუქ-ჩრდილოვანი კონტრასტული მეთოდები, რომლის საშუალებითაც ბევრმა შენობამ თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური სახე და კოლორიტი მიიღო. იაპონელი ხუროთმოძღვრების აზრით, ამით შენობების არქიტექტონიკა უფრო სახისმეტყველი, ადვილად შეცნობადი, და პრაქტიკული გახდა (22, 212). ასეთი ტიპის თანამედროვე ნაგებობათაგან აღსანიშნავია იაპონელი ოსტატის ტანგე კენძოს მიერ აგებული ქალაქ კურასიკას მუნიციპალიტეტის შენობა, რომელიც აიგო 1960 წელს. აგრეთვე, ქალაქ კიოტოს კულტურის ცენტრი და ქალაქ სეტაგაიას საზოგადოებრივი თავშეყრის დარბაზი, რომლებიც აგებულია არქიტექტორ მაეკავა კუნიოს პროექტით: 60-იანი წლების დასაწყისიდან

იაპონელი არქიტექტორები ფართოდ იყენებდნენ ფერთა სხვადასხვაობას არამარტო ინტერიერის, არამედ შენობის გარეგნული იერსახის დასამშვენებლად. ამ მიზნით გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის რელიეფი მოზაიკა და დეკორატიული პანოები. ასეთი სახის შენობებიდან გამოირჩევა მაეკავა კუნიოს საფესტივალო დარბაზი ქალაქ ტოკიოში და სატო ტაკეოს კულტურის ცენტრი ქალაქ სოფუში. ეროვნული არქიტექტურის განვითარებას ბიძგი მისცა 1964 წლის საერთაშორისო ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებამ. ამ დროს იაპონიის არქიტექტურის წინაშე დღის წესრიგში იდგა რთული ამოცანა. მოკლე ვადაში უნდა აშენებულიყო სპორტული მოედნები და სხვა ნაგებობანი, უნდა ჩატარებულიყო სასტუმროთა, ძველი სპორტული შენობების სწრაფი რეკონსტრუქცია. ოლიმპიური სამზადისისათვის მოიწვიეს საინჟინრო-საკონსტრუქტორო ფირმები და ცნობილი არქიტექტორები. მათი ძალისხმევით სწრაფად აშენდა ახალი გიგანტური სპორტკომპლექსები: ერთი ქალაქ ეიოგიში, ხოლო მეორე - კომაძავას პარკში. პირველი სპორტკომპლექსის არქიტექტორი ტანგე კენძო იყო, ხოლო ინჟინერ-კონსტრუქტორი - ცუბოი იოსიკაძუ. ეიოგის სპორტული კომპლექსი ორი გიმნაზიუმისგან შედგებოდა, ერთი 15 ათასი მაყურებლისთვის იყო გათვალისწინებული, ხოლო მეორე - 4 ათასისთვის. ორივე შენობას გიგანტური ზღვის ნიჟარის ფორმა აქვს და ძველი ბუდისტური ტაძრის ასოციაციას იწვევს (9,62). ამ შენობების კონსტრუქციების მეტად საინტერესო და გაბედული გადაწყვეტა მის ფუნქციონალურ თვისებებთან და კომფორტის ულტრათანამედროვე ხასიათთან იყო შეხამებული. რაც შეეხება კომაძავას პარკში აღმართულ სპორტკომპლექსს, აქ მთელი ყურადღება დათმობილი აქვს არა მარტო კომპლექსის შემადგენელი ცალკეული შენობების კონსტრუქციულ მთლიანობას, არამედ საერთო ანსამბლის დაგეგმარებასაც, რითაც იაპონური კულტურის ეს შედევრი თანამედროვე ლანდშაფტური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშს წარმოად-

გენს (10,422), მისი ავტორები არიან, მურატა მასატიკა და ასიხარა იოსინობუ. ეიოგის ნაგებობისგან განსხვავებით, ამ კომპლექსში ჩანს ოსტატთა მიზანსწრაფვა, თანამედროვე არქიტექტურის მაგალითზე ხაზი გაუსვან ეროვნულ-ტრადიციული ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობითობას. კომპლექსის ყველა ნაგებობა ცენტრალური მოედნის ირგვლივ არის განლაგებული, ხოლო შუაში 250 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის კოშკი დგას, რომელსაც გიმნაზიუმი და 22 ათას კაცზე გათვალისწინებული სტადიონი ესაზღვრება. ტრადიციული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობითობა და ულტრათანამედროვე სტილი განსახიერებულია უენოს პარკში მდებარე მაეკავა კუნიოს მიერ აგებულ ტოკიოს კულტურის ცენტრის შენობაში. უენო ბუნკა კაიკავა - ასე ეწოდება მაეკავას ამ შედევრს, რომელმაც "ასახი სიმბუნის" ("დილის მზე") პრიზი მიიღო. მაეკავა კუნიო ლეკორბუზიეს[X] მოწაფე იყო. ლე კორბუზიეს სკოლის მიმდევართა არქიტექტურული ნიმუშები გამოირჩეოდა ფორმების და მოხატულობის სიზუსტით, კარგად გამოკვეთილი ფუნქციონალური სტილით და მაღალმხატვრულობით. სწორედ ამიტომ, ლე კორბუზიეს სკოლის წარმომადგენლებს ბევრი კერძო სამშენებლო ფირმა და კომპანია იწვევდა სამუშაოდ (11,213). 60-იანი წლების დასაწყისის იაპონური არქიტექტურის განვითარებაში ტანგე კენძოს უდიდესი წვლილი მოუძღოდა. მისი შემოქმედება სივრცობრივი კომპოზიციების მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა და ყოველთვის გეომეტრიული დეტერმინანტით იყო განსაზღვრული. ამ მხრივ აღსანიშნავია ტინანის კულტურის ცენტრი ქალაქ კოფუში

---

X ლე კორბუზიე სახელგანთქმული შვეიცარელი არქიტექტორის შარლ ედუარდ ჟანერე გრის (1887-1965) ფსევდონიმი იყო. იგი ცნობილ არქიტექტორ გროპიუსთან ერთად თანამედროვე არქიტექტურის ფუძემდებლად ითვლებოდა. მისი მოწაფეები იყვნენ შესანიშნავი იაპონელი არქიტექტორები: ხორიგუტი სუტემი, მაკოტო ტაკიძავა, კიკუძი ისიმოტო, მაეკავა კუნიო და სხვები.

იამასანის პრეფექტურის, პრესისა და რადიოცენტრი, რომელიც ფუძის მთის ძირშია აშენებული და ანსამბლი თანაბარ მწკრივში ჩამდგარი რამდენიმე კოლონიისაგან შედგება. ტანგე კენძოს არქიტექტურული სტილი არც მძლავრი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს გამოხატავს, ამის დამადასტურებელია ქალაქ ტაკამაცუში აგებული სპორტის სასახლე.

1960-1965 წლები იაპონიაში ქალაქების ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებოდა. ფართოდ გაიშალა ახალი საცხოვრებელი კვარტლების მშენებლობა. ქალაქის გარეუბნებთან წარმოქმნილი ახალი რაიონები ქალაქ-თანამგზავრებად იწოდებოდნენ, მათ თავიანთი დამოუკიდებელი სავაჭრო ცენტრები, სკოლები, ადმინისტრაციული დაწესებულებები და საავადმყოფოები ჰქონდათ. ასეთებია: კორის რაიონი ქალაქ ოსაკას გარეუბანში და ტამადაირა-ტოკიოს მახლობლად (14,25). სწრაფი ურბანიზაციის შედეგად, მეგაპოლისების დასახლებების თავიდან აცილების მიზნით, 60-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა იაპონელ არქიტექტორ-მეტაპოლისტთა ჯგუფი. მეტაპოლისტთა თეორიის სიმბოლური განსახიერება იყო დაუსრულებლობის პრინციპზე აგებული "მზარდი სტრუქტურა". იგი ქალაქმშენებლობის კონტექსტში პარალელური მაგისტრალების, მრავალსართულიანი შენობებისა და ქალაქის სხვა სასიცოცხლო არტერიების ერთიან კომუნიკაბელურ სისტემას ქმნიდა. მეტაპოლიზმის კონცეფცია, დასავლეთის არქიტექტურის უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით და გადაწყვეტის რაციონალური ხერხების გამოყენებით, ისწრაფოდა იაპონური ქალაქის ზრდის ფაქტორი მუდმივ ცვალებად ფენომენად გადაექცია, ხოლო ქალაქური ორგანიზმისთვის აუცილებელი ელემენტები საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის შესაბამისი გაეხადა. ამიტომ ტანგე კენძომ, სხვა წამყვან იაპონელ არქიტექტორებთან ერთად, გრანდიოზული მეტაპოლისების შენების პროექტების შედგენა დაიწყო. მალე მან "ტოკიოს არქი-

ტექტორული გარდასახვის პროექტი" გამოაქვეყნა, იგი მეტაბოლისტურ კონცეფციაზე იყო დაფუძნებული (17;182-183). 60-იანი წლების იაპონიაში ქალაქების ზრდის დ· მასთან დაკავშირებული სოციალური ტიპის პრობლემების გადაჭრა ვერ მოხერხდა. ქალაქური დასახლების დინამიური და უსაზღვრო ზრდის თეორია უკრიტიკოდ გამოიყენებოდა და მას რეალური ცხოვრებისეული გამოცდილება და დაკვირვება აკლდა. "ტოკიოს არქიტექტურული გარდასახვის" პროექტი იაპონელთა მიერ შეფასებული იქნა როგორც ნიჭიერი და ექსტრავაგანტური ჩანაფიქრი, რომლის განხორციელება რეალობასთან დაკავშირებული არ იყო.

50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების პირველ ნახევარში იაპონური გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა სახის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად იმატა იაპონური ტრადიციული გამოყენებითი ხელოვნების პროდუქციის პოპულარობამ, ხოლო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა იაპონური გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმის ექსპორტი. ტრადიციულ-გამოყენებითი ხელოვნების ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო: კერამიკა, ფაიფურის მხატვრული გაფორმება, ხელით ქსოვა, რკინის და ლაქის სამკაულებისა და ნაკეთობების წარმოება და ბამბუკის დამუშავება (15,39). გამოყენებითი ხელოვნების ყველა ამ სახეს საერთო კომპოზიციური და ფერწერული საფუძველი ჰქონდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ორნამენტაციის ფაქიზი და თავისუფალი სტილი, სუფთა ზედაპირის ნაყშიანთან ჰარმონიული თანაფარდობა, გაფორმებისა და მოყვანილობის პოზიციური მთლიანობა. 60-იანი წლების იაპონურ-გამოყენებით ხელოვნებაში, ზოგადმხატვრული პრინციპების ურყევად დაცვის მიუხედავად, ხელოვნების ნიმუშები არ ხასიათდებოდა შესრულების ერთფეროვნებითა და ჩანაფიქრის მონოტონურობით. ყოველი მათგანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ჟანრობრივ გარემოს ქმნის, რაც ნათლად ვლინდება ხელოვანთა ინდივიდუალურ კომპოზიციებ-

ში. რასაკვირველია, შემოქმედებით პროცესში ხდება მასალის რაობისა და საგნის დანიშნულების გათვალისწინებაც. იმის შემდგომი წლების იაპონური კერამიკა ჩინებულად უხამებს ისტორიულ თავისებურებებს, ეროვნულ ტრადიციებს და თანამედროვეობას. ამ ნიმუშებში სხვადასხვა საუკუნეში ჩამოყალიბებული და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული შესრულების სტილისა და მანერების არსებობა არც კი იგრძნობა[X]. გამოყენებითი ხელოვნების ნამდვილი ესთეტიკური ღირებულების მატარებლად ხალხური კერამიკა ითვლებოდა. ამიტომ ცნობილი იაპონელი პროფესიონალი კერამიკოსები თავიანთ შემოქმედებას ტრადიციულ კერამიკას უკავშირებდნენ. გამორჩევით დგანან უხუცესები: 95 წლის გადაცილებული ხამადა სიოძი და კატო ტაიკური, ასაკავა ტიოძო, იმაძუმი იმაემონი, მათ ეროვნულ კერამიკულ ხელოვნებაში, დიდი წვლილისა და ასაკობრივი ხანდაზმულობის გამო, 1980 წელს მიენიჭათ

---

X იაპონური საყოფაცხოვრებო-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმთა მაღალმხატვრული ღირსებები უძველესი დროიდან არის ცნობილი. XIX საუკუნის დასასრულამდე იაპონური ხელოვნება ე. წ. "გამოყენებით" და "მხატვრულ" სახეებად იყოფოდა. ყოველ ოსტატურად შესრულებულ ნამუშევარს, იქნებოდა ეს ფერწერული, კერამიკული თუ სხვა მხატვრული ჟანრის ნიმუში, "ბიძიუცუ" ("ხელოვნება") ეწოდებოდა. "ბიძიუცუდ" წოდებული ნაკეთობანი დიდი რაოდენობით გადიოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ისინი ძირითადად შემკული იყო ფრთოსანი ურჩხულების გამოსახულებებით, სამურაის ცხოვრების და ბრძოლის ამსახველი სცენებით, ნადირობის აღწერით, იკებანას მხატვრული კომპოზიციებით, სხვადასხვა ჯიშის ყვავილთა (უმთავრესად ქრიზანთემას) გაერთმთლიანების და გეიშების გამოსახულებებით. გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობანი, ძირითადად, კომერციისათვის იყო გამიზნული და ხშირ შემთხვევაში ნამდვილი ხელოვნებისაგან შორს იდგა. 60-იანი წლების იაპონური გამოყენებითი ხელოვნება მთლიანად ინარჩუნებდა თავის ტრადიციულ სახეს, რომელსაც ხშირად თანამედროვე ინტერპრეტაცია ჰქონდა. როგორც წესი, ამ შემთხვევაში ნაკეთობის ფორმა ჰარმონიულად ერწყმოდა მის დანიშნულებას და ფუნქციონალურ ღირსებებს, ხოლო ესთეტიკური გამომხატველობა ეფუძნებოდა მის არქიტექტონიკასა და კომპოზიციურ პროპორციებს.

"ნინგენ კოკუხოს" ტიტული. ამ ტიტულის მფლობელად გახდომა მხოლოდ სახელგანთქმულ და ასაკოვან იაპონელ მეთოქმედებს შეეძლოთ. ტრადიციული სტილის გარდა, 60-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ახალი სტილის კერამიკოს-დეკორატორებიც: კავაი კანძირო, საკაიდა კაკიემონი, იასუხარა კიშეი, ტაკი ქაძუო, კანო მიცუო და სხვები. 1959 წელს ბელგიის ქალაქ ოსტენდში საერთაშორისო კერამიკულ გამოფენაზე მათმა ნამუშევრებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ლაქის სამკაულების და მორთულობების წარმოებას იაპონიაში დიდი ხნის ისტორია აქვს. ქვეყანაში ცენტრალური, ხალხური საწარმოების არსებობა თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. იგი მარტო წარსულის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას კი არ წარმოადგენს, არამედ პროფესიონალური გამოყენებითი ხელოვნების საერთო სტილისტურ მიმართულებებზე განსაზღვრულ გავლენასაც ახდენს[X].

---

X იაპონიაში თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნება არაერთგვაროვნად გამოიყურება. მისი წარმომადგენლები შემოქმედებითი ინდივიდუალობით გამოირჩევიან და მრავალ შემოქმედებით მიმართულებებს, სამხატვრო სკოლებს წარმოადგენენ. გამოყენებითი ხელოვნების პროფესიონალ ოსტატთა შორის ორი დაჯგუფება არსებობს: ერთნი ტრადიციულ შემოქმედებას განეკუთვნებიან, მეორენი კი - ახალს და ავანგარდისტულს. გარდა ამისა, არსებობს ხელოვანთა შუალედური ჯგუფებიც, რომლებიც უპირატესობას ტრადიციულ და თანამედროვე ელემენტთა ორგანულ ერთიანობას ანიჭებენ. ტრადიციული მიმართულებების წარმომადგენლები იაპონიის გამოყენებითი ხელოვნების საზოგადოებაში არიან გაერთიანებული (ნიხონ კოგეიკაი). ამ საზოგადოების მხატვრები იაპონიაში ყოველწლიურად აწყობენ თავიანთი ნახელავის გამოფენას. მეორე, არანაკლებ ცნობილი საზოგადოება არის სახალხო მხატვრული ხელობის ასოციაცია (ნიხონ მინგეი კოგეიკაი). სახალხო მხატვრული ხელობების ესთეტიკური წესების მქონე თანამედროვე სტილის გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობები გამოირჩევა თავისი ინდივიდუალიზმით, მათი ხასიათი და ფორმა დამოკიდებულია ნედლეულზე და დანიშნულებაზე. ფერების ტონალობის სისუფთავე და საგანგებოდ შერჩევა ხაზს უსვამს ფაიფურის ნაწარმის სილამაზეს. დიდი პოპულარობით სარგებლობს, აგრეთვე ნაკეთობის გამჭვირვალე, ან ზედმიწევნით თეთრი სახეები (23, 146). იაპონელ ხელოვანთა აზრით, კერამიკული ნაკეთობანი, გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, კლასიკური მანიპულაციებისა და ჩანაფიქრთა გადმოცემის მეტ შესაძლებლობებს ფლობენ, იგივე შეიძლება ითქვას ბამბუკის და ხის ნატიფი წნელებისაგან შესრულებულ ნახელავზე, რომელთა ძირითადი ნიშანიც ნაჩვრეთებიანი მრავალსახოვანი კომ-

თანამედროვე ტექნოლოგია უძველესი დროიდან ყალიბდებოდა. 60-იანი წლების დასაწყისში იაპონური გამოყენებითი ხელოვნება შემოქმედების ტრადიციული მეთოდების მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. ქვეყანაში მრავლად არსებობდა ლაქის ნაკეთობათა წარმოების ხელოსნური ცენტრები. ყოველ მათგანს თავისი გამორჩეული ტექნოლოგია და ინდივიდუალური ხელწერა გააჩნდა[X]. ლაქის ნაკეთობათა უხუცეს ოსტატთაგან გამოირჩევა ყველაზე სახელგანთქმული მაცუდა გონროკუ იგი 1896 წელს დაიბადა და 1955 წელს "ნინგენ კოკუხოს" ტიტული მიიღო. გონროკუ თავის შემოქმედებაში მხოლოდ ტრადიციული

------------------------------

კომპოზიციის შექმნა და მისი ჰაეროვანი სტრუქტურის ხაზგასმა (13,84). იაპონური გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი მიმართულების გეომეტრიული, ან ბუნებრივი ორნამენტის ძიება იყო. ჩუქურთმისა და ნაკეთობის ფორმის მხატვრული ერთიანობა და ორნამენტაციის მიმართ დამოკიდებულება, ნაყშის და მოხატულობის შერჩევა იაპონურ გამოყენებით ხელოვნებაში, მისი ევროპული ანალოგიისგან განსხვავებით, რამდენადმე უჩვეულოდ გამოიყურებოდა, მოხატულობის და ფორმის თანადაქვემდებარება გაცილებით თავისუფალი და კონტრასტული ხასიათისა იყო. დეკორი ლარნაკის ცენტრში, ან ზარდახშის ხუფი მართკუთხა ფრთაზე მოთავსების ნაცვლად, ნაკეთობის ნებისმიერ ნაწილში ფიგურირებს, ზოგჯერ განფენილობას იცვლის და ერთი სიბრტყიდან მეორეში გადადის. იაპონელ ოსტატთა აზრით, ასიმეტრიული დეკორის ბჭონე ნაკეთობის ადგილმდებარეობის შეცვლისას მნახველი თანდათანობით და მოულოდნელად აღმოაჩენდა ნახელავის კომპოზიციურ სიახლეს, რაც მასში ესთეტიკურ განცდებს უფრო აძლიერებდა.

X საერთო მათ შორის ის იყო, რომ ყოველი მათგანი თავის ტექნოლოგიაში ლაქის ხის - ურუსის წვენს იყენებდა. ურუსის წვენს სხვადასხვაგვარად ღებავდნენ და ფერთა კომპოზიციას ადგენდნენ. ეს უკანასკნელი მკაცრად ინდივიდუალური ხასიათის იყო და მასში ყოველი ხელოსნური ცენტრისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი სტილი ფიგურირებდა. ნაკეთობის ლაქით დაფარვამდე ხდებოდა მისი ზედაპირის მომზადება. ლაქით დამუშავებისათვის გამიზნული ზედაპირი ძირითადად ხისგან, პაპიე მაშესგან, ქსოვილისა და რკინისაგან იყო დამზადებული. მოსამზადებელი პროცედურის გავლის შემდეგ ხდებოდა ნახელავის მორთვა, ამისათვის გამოიყენებოდა გრავირება, ჩუქურთმება, ინკრუსტაცია და მოხატვა. არ იყო გამორიცხული ტექნიკური ხერხების კომბინირებული გამოყენება, ოქრო-ვერცხლით დამუშავება და ა.შ.

ტექნოლოგიის მეთოდებს იყენებდა. მის მიერ შექმნილი შედევრებისაგან აღსანიშნავია მსოფლიოში აღიარებული ლაქის ლარნაკები, ლამბაქები, საფერფლეები და კარადები. ამ უკანასკნელთა გარეგანი სახე და ინტერიერი პეიზაჟებით და ნატურ-კომპოზიციებითაა მოხატული. ლაქის სხვა, აღიარებული ოსტატების - ტაკახასი სეცურის, საძი ტადასის, ცუძი მიცუსკეს შემოქმედების ნიმუშები გაბედული სტილით, ღრმა ინდივიდუალიზმით და მაღალი მხატვრობით გამოირჩევიან. ლაქის გარდა, მათი შემოქმედება საყოფაცხოვრებო-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმთა ფერწერული ხერხებით დამუშავებასაც მოიცავს.

ბამბუქის ნაკეთობანი, ლაქის ნაკეთობებისაგან განსხვავებით, მეტი უბრალოებით და კომპოზიციის სიმარტივით გამოირჩეოდა. ბამბუკის ნაკეთობები, გამოყენებითი ხელოვნების სხვა სახის ნიმუშებთან შედარებით უფრო გამოიყენებოდა საყოფაცხოვრებო პირობებში და, ამასთანავე, მათი შეძენაც დიდ ხარჯებთან არ იყო დაკავშირებული. გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგში უნდა აღინიშნოს სიოინო სიოუნსაის შემოქმედება. მან 1960-1965 წლებში ბამბუკის ნაკეთობათა მრავალ გამოფენაზე გაიმარჯვა და ბოლოს "ნინგენ კოკუხოს" ტიტული დაიმსახურა. მის გარდა, ბამბუკის ოსტატური დამუშავების პროფესიონალებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ხაიასი სიოგეცუსაი და ტანაბე ტიკუუნსაი, ხის მხატვრული დამუშავების უბადლო ოსტატებად კი, ოგავარა სეშპა და ინაგო ხიგასისენრი ითვლებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიაში 1965 წლისთვის 4200-ზე მეტი ფაიფურის ქარხანა იყო და მათ პარალელურად ქვეყანაში კიდევ 50-ზე მეტი კუსტარულ-კერამიკული საწარმო მოქმედებდა, კუსტარული ტიპის საწარმოთა პროდუქცია თანამედროვე ტექნოლოგიური წესით დამზადებულ ნაწარმს წარმატებით უწევდა კონკურენციას. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ხის დამამუშავებელ და სამკაულების დამამზადებელ წარმო-

ზებშიც. გამოყენებითი ხელოვნების კუსტარული საწარმოები ძირითა-
დად კიუსიუს, ხონსიუს, იკინავასა და თოხოკუს კუნძულებზე იყო
თავმოყრილი (20, 147).

დემოკრატიული ძვრები ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებასაც შე-
ეხო. ეროვნული მუსიკის დარგში მასობრივი დემოკრატიული მოძრაო-
ბის სულისჩამდგმელებს იაპონიის მუსიკის მოყვარულთა საზოგადოე-
ბა - როონი (კინროსია ონგაკუ კეგიკაი) და სამუსიკო გაერთიანება
"ნიხონ - ნო უტაგიე" ("იაპონიის მომღერალი ხმები") წარმოადგენ-
დნენ. როონის დამფუძნებელი კრება შედგა 1949 წლის მიწურულს,
ოსაკაში შეიქმნა ქალაქ ოსაკის მუსიკის მოყვარულთა გაერთიანება,
რომლის მაგალითზე იაპონიის ბევრ მსხვილ ქალაქში ჩამოყალიბდა
როონის გაერთიანებები. 1955 წლისთვის იაპონიაში როონის უკვე
20-ზე მეტი ორგანიზაცია არსებობდა, ხოლო 1961 წელს გაერთიანება-
თა რიცხვმა 90-ს გადააჭარბა. სულ როონის ორგანიზაციები 500 ათა-
სზე მეტ წევრს ითვლიდნენ (21, 162). როონის ძირითადი ამოცანა
იაპონელი ხალხის მუსიკალური კულტურის დონის ამაღლება იყო. როო-
ნი ყველაზე მეტად სტუდენტთა და მშრომელთა წრეებში იყო პოპულა-
რული. ფართო საზოგადოებრიობის მიზიდვის მიზნით, როონი მართავდა
საესტრადო და კლასიკური მუსიკის კონცერტებს, ასეთ კონცერტებზე
ბილეთების საფასური საზოგადოების ყველა სოციალური ფენისათვის
ხელმისაწვდომი იყო. გარდა ზემოაღნიშნული კონცერტებისა, იდგმებო-
და საოპერო ჟანრის სპექტაკლებიც, რომლებშიც საზღვარგარეთიდან
მოწვეული მსახიობებიც მონაწილეობდნენ. დიდი ყურადღება დაეთმო
მოსახლეობის მუსიკალური განათლების საკითხს. ამ მიზნით, როონის
წევრები სისტემატურად კითხულობდნენ საჯარო ლექციებს საზოგადოე-
ბის ფართო წრეებისათვის, საშუალო სასწავლებლებსა და ფაბრიკა-
-ქარხნებში აარსებდნენ საგუნდო სიმღერის წრეებს, ინსტრუმენტულ
ანსამბლებს და ა.შ. იაპონიაში მუსიკალური კულტურის პოპულარიზა-

ციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა როონის ტოკიოს გაერთიანების ყოველთვიურმა ორგანომ - ჟურნალმა "ხიბიკიმ". მის ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა თანამედროვე იაპონური მუსიკის პრობლემები, დასავლეთის ქვეყნების ესტრადის სიახლენი, უახლესი ჟანრები და მიმდინარეობანი და, ამასთანავე, მიმდინარეობდა ეროვნულ-ტრადიციული სამუსიკო ხელოვნების პროპაგანდაც (20, 174). 60-იანი წლების თანამედროვე იაპონური მუსიკა დიდი ჟანრობრივი სხვადასხვაობით და, ამასთან ერთად, თვითმყოფადობითაც ხასიათდებოდა[X]. თანამედ-

---

X 60-იანი წლების დასაწყისის თანამედროვე იაპონურ მუსიკას სამი ძირითადი მიმართულება ჰქონდა. ტრადიციული, თანამედროვე ეროვნული და დასავლური. იაპონურ ეროვნულ მუსიკას VI-VII საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. ამ საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონიაში ბუდისტური საკულტო მუსიკის გავრცელებას. XVI საუკუნიდან მოყოლებული, იაპონიაში ევროპული მუსიკა იკიდებს ფეხს, ხოლო 1868 წლის რევოლუციის შემდეგ იგი საყოველთაოდ მიღებული ხდება. მისი პოპულარობის ზრდამ და იაპონური გავლენიანი წრეების უშუალო ჩარევამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1872 წელს ტოკიოში კონსერვატორიის გახსნას. სულ მალე ტოკიოს კონსერვატორია ევროპის სამუსიკო სკოლის ცენტრად იქცა. იაპონური ტრადიციული სკოლის მუსიკა ძირითადად ეროვნულ საკრავებზე სრულდებოდა, მათ შორის იყო როგორც სიმებიანი, ასევე სასულე და დასარტყმელი ინსტრუმენტები. სიმებიანი საკრავებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ციტრა, ჩამოსაკრავი და მოსაზიდი ინსტრუმენტები, მაგალითად, სამისენი, არანაკლებ პოპულარული იყო ბარაბანი, რომელიც იაპონურ ოჯახურ ინსტრუმენტად ითვლებოდა. ფართოდ იყო გავრცელებული ხისგან დამზადებული სასულე საკრავები: ფლეიტა, ფლაჟოლეტი, ჰობოი, ფუე (სიაკუხაჩი, ხიტირიკი) და სხვები. იაპონურ მუსიკაში დასარტყმელ ინსტრუმენტთა მრავალი სახეობა გამოიყენებოდა. მაგალითად, გონგი, დაირა, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ტემპის და რითმის განსაზღვრა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ორმაგი დოლი - ცუცუმი, რომელიც ფორმით ქვიშის საათს ჩამოჰგავდა, და ჩვეულებრივი ფორმის დოლი-ტაიკო. ტრადიციული მუსიკა იაპონური ეროვნული თეატრის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ხშირად, წარმოდგენის არანჟირების მიზნით, სხვადასხვა ჟანრის მუსიკალურ ეტიუდებს ასრულებდნენ. ისინი ძირითადად ეროვნულ-ტრადიციული რეპერტუარიდან იყო აღებული და მათ "ნაიასის" უწოდებდნენ. ტრადიციული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო კომპოზიტორი მიიაგი მიჭიო (1889-1956), იგი დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა ტრადიციულ სამუსიკო სკოლას, მან განავითარა რიტუალური მუსიკა და ტრადიციული და თანამედროვე მუსიკალური ფოლკლორი ერთმანეთს დაუკავშირა.

როვე ეროვნული სამუსიკო სკოლის ფუძემდებლად ითვლებიან – იასუძი კიოსე, მაცუდაირა იოსიცუნე და იფუკუბე აკირა. მათ შემოქმედებაში ძველი ტრადიციული მუსიკალური ფოლკლორი ორგანულად უკავშირდება თანამედროვე მუსიკალური კომპოზიციების ახალ მეთოდებს. მათი სიმფონიები დაწერილია როგორც იაპონური, ასევე, ევროპული ყაიდის ორკესტრებისათვის. ბევრ მათგანზე გავლენა მოახდინეს რაველის, სკრიაბინის, პროკოფიევის, დე ბიუსის და სტრავინსკის შემოქმედებამ.

ახალი დასავლური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია უხუცესი იაპონელი კომპოზიტორი და დირიჟორი იამადა კოსაკუ იყო. მან მრავალი საოპერო და საბალეტო დასი შექმნა. იაპონიაში მისი წყალობით ჩაეყარა საფუძველი კამერულ ორკესტრებსა და ანსამბლებს. 1950 წელს იამადა კოსაკუს მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო ეროვნული ხელოვნების ფესტივალი[X]. სულ იამადამ 2000-ზე მეტი ნაწარმოები შექმნა, მისი ბალეტები იდგმებოდა საზღვარგარეთის ცნობილ თეატრებში ერთ-ერთი მათგანი დაიდგა ლონდონის თეატრ კოვენტ გარდენში ანა პავლოვას მიერ. ხოლო ოპერა "შავი გემები" ("კუროფუნე") საოპერო მუსიკის თაყვანისმცემლებმა პარიზის გრანდ ოპერის სცენაზე იხილეს. იამადა კოსაკუ და მისი სკოლის მიმდევრები უფრო ევროპული კლასიკის ტრადიციების გამგრძელებლები იყვნენ. იაპონიაში კომპოზიტორთა უმრავლესობა ახალ კომპოზიტორთა ასოციაციაში (სინძიკაი) იყო გაერთიანებული. ომის შემდგომი წლების ცნობილი მუსიკოსებიდან აღსანიშნავია კომპოზიტორები: ოკი მასაო, მუსიკალური აკადემიის და ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი, მოროი საბურო, ცნობილი კომპოზიტორი და თეორეტიკოსი, "მუსიკალური ფორმების თეორიის" ავტორი. ოკი მასაოს ორი სიმფონია ნაციონალური პრე-

------------------------------

X იამადა კოსაკუმ 1915 წელს დააარსა იაპონიაში პირველი სიმფონიური ორკესტრი, ხოლო 1925 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა იაპონიის ფილარმონიის საზოგადოება. შემდეგ, 1929 წელს, მან ტოკიოს ფილარმონიის ორკესტრი, ხოლო 1939 წელს ჩამოაყალიბა სრულიად იაპონიის სიმფონიური ორკესტრი.

მიით დაჯილდოვდა. რაც შეეხება მის შემოქმედებას, იგი ძირითადად კინოფილმებისა და საბალეტო მუსიკის სფეროებს მოიცავდა. მორიო საბურის მონაფე იყო თვალსაჩინო იაპონელი კომპოზიტორი დანი იკუმა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი საქმიანობა 12 წლის ასაკში დაიწყო. ტოკიოს კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში იგი ორკესტრებს დირიჟორობდა. დანი იკუმამ 1954 წელს ევროპის ქვეყნებში იმოგზაურა და დაბრუნებისას დაწერა ოპერა "კიკიმიმი ძუძუკი" ("ჯადოსნური ხელსახოცი"), რომელიც პირველად 1955 წელს ქალაქ ოსაკას ოპერის თეატრში დაიდგა. დანი იკუმა მრავალი კამერული ნაწარმოების ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია ტრიო და საცეკვაო სიუიტა, რომლებიც დასავლურ სტილშია გადაწყვეტილი. მან იაპონური კინოფილმებისათვის ბევრი ნაწარმოები შექმნა, რითაც ეროვნული მუსიკის განვითარების დარგში თავისი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა. იაპონელი კომპოზიტორების საშუალო თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია შესანიშნავი იაპონელი მწერლის აკუტაგავა რიუნოსკეს შვილი აკუტაგავა იასუსი. იგი ცნობილია, როგორც თეორეტიკოსი, დირიჟორი, პიანისტი. აკუტაგავამ დაწერა მუსიკა საკმაოდ გახმაურებული იაპონური კინოფილმებისათვის: "ბრინჯი", "თავისუფალი ძმები", "ჯოჯოხეთის კარიბჭე". საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, კომპოზიტორი მაიუძუმი , ომის შემდგომი იაპონიის მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს. მისმა ნაწარმოებმა "კიკკი მონძიმ" დიდი აღიარება მოიპოვა და 1951 წელს თანამედროვე მუსიკის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდა. მაიუძუმი ტოსიოს თანამედროვე სტილის კომპოზიცია, რომელსაც სახელად "უცნობი" დაერქვა, ასევე პრემირებულ იქნა, მან ხელოვნების ეროვნული ფესტივალის უმაღლესი ჯილდო მიიღო. გარდა აღნიშნული ნაწარმოებებისა, მაიუძუმი ტოსიოს მრავალი საბალეტო კომპოზიცია აქვს შექმნილი, განსაკუთრებით მელოდიურობით გამოირჩევა ფილმებისათვის

("შავუნერთა სოფელი" და "თქმულება ტიუძენძის ტაძარზე") დაწერილი მუსიკა.

1945-1965 წლებში იაპონური მუსიკალური ცხოვრების ცენტრებია ტოკიო, ოსაკა, ნაგოია, და კიოტო. ტოკიოს და ოსაკას კონსერვატორიების გარდა, ეროვნული მუსიკის განვითარების დარგში.დიდი წვლილი მიუძღოდა ტოკიოს მუსიკალურ აკადემიასაც. ამ აკადემიასთან არსებობდა იაპონიაში უდიდესი სიმფონიური და იაპონიის რადიომაუწყებლობის ორკესტრები. არანაკლებ პოპულარული იყო ოსაკაში არსებული კანსაის სიმფონიური და ნაგოიას ფილარმონიის ორკესტრები. მიუხედავად იმისა, რომ სამუსიკო-შემოქმედებით ასპარეზზე ბევრი ახალი ოპერა იქმნებოდა, საოპერო მუსიკის ჟანრმა იაპონიაში მაინცდამაინც სახელი ვერ გაითქვა. ომის შემდგომი წლების იაპონიაში ორი მსხვილი საოპერო ჯგუფი არსებობდა, ერთი იყო ფუძივარა, ხოლო მეორე - ტოკიოს სამუსიკო კომპანიის ჯგუფი, ნობორი კანეკოს ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი განაგებდა ტოკიოს საოპერო ჯგუფების უმრავლესობას. ომის შემდგომი წლების იაპონიაში შეიქმნა ორი ცნობილი დასი ნაგატი და კანსაი (27, 179). იაპონიის მუსიკალური ცხოვრება არ ჩამორჩებოდა მსოფლიო კულტურის მასშტაბით მიმდინარე მოვლენებს. მაგალითად, მოცარტის დაბადების 200 წლისთავის აღსანიშნავად, 1955-1956 წლების სამუსიკო სეზონზე, ოსაკაში ჩატარდა მრავალი კონცერტი, სადაც მოცარტის ფორტეპიანოსათვის დაწერილი თითქმის ყველა ნაწარმოები შესრულდა, ხოლო სამუსიკო საზოგადოება ნიკიკაიმ "ფიგაროს ქორწინებაც" კი დადგა. ამავე სეზონზე ტოკიოს ფილარმონიისა და მუსიკალური აკადემიის ნაკრებმა გუნდმა შეასრულა ბახისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები. 60-იანი წლების დასაწყისი იაპონიაში დიდი საგასტროლო აქტივობით აღინიშნებოდა. ბევრი საზღვარგარეთელი მუსიკოსი ჩავიდა საგასტროლოდ იაპონიაში, ხოლო მათმა იაპონელმა კოლეგებმა მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანა-

ში გამართეს საპასუხო კონცერტები. გაიზარდა იაპონელ მუსიკოსთა რიცხვი საერთაშორისო კონკურსების მონაწილეთა შორის. პიანისტი მაცუურა ტოიაკი ჩაიკოვსკის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა, ხოლო შემდეგ პარიზში ჩატარებულ ჟაკ ტიბოსა და მარგარიტა ლონგის სახელობის კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა. სახელი გაითქვა ახალგაზრდა მევიოლინე ქალმა კუბო იოკომ. მას ჩაიკოვსკის მეორე საერთაშორისო კონკურსზე მეორე ადგილი ხვდა წილად. გარდა ამისა, მსოფლიოში აღიარებულ საუკეთესო მევიოლენთა შორის იაპონელი იასუდა კენიტაროც იყო. მან ევროპისა და ამერიკის მსხვილ ქალაქებში 30-ზე მეტი კონცერტი ჩაატარა და საზღვარგარეთელ თაყვანისმცემლებს გააცნო იაპონური ტრადიციული კლასიკური შემოქმედება. 1945-1965 წლებში იაპონიაში ზედმიწევნით კარგად განვითარებული მუსიკალური თვითმოქმედება, ხოლო ყოველ იაპონურ ქალაქსა თუ სოფლის ტიპის დასახლებაში არსებობდა საგუნდო წრეები და მოყვარულთა ორკესტრები. 1952 წლის დეკემბერში ტოკიოში შედგა სრულიად იაპონიის საგუნდო ფესტივალი, რომელსაც "იაპონიის მომღერალი ხმები" ("ნიხონ-ნო უტაგოე") ეწოდა. მისი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო იაპონური ხალხური და ტრადიციული მუსიკის მოამაგე სეკი აკიკო. "მომღერალი ხმების" მეორე ფესტივალი 1963 წლის დეკემბერში გაიმართა. წინა ფესტივალთან შედარებით, ამ საყოველთაო ღონისძიებაში გაცილებით მეტი მომღერალი და მუსიკოსი მონაწილეობდა, მათმა რიცხვმა 40 ათასს გადააჭარბა. ამ ფესტივალის მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანა იაპონიის სამუსიკო ცენტრმა - ონგაკუ სენტამ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამუსიკო ცენტრი შეიქმნა ძირითადად იაპონელი ხალხის პირადი შეწირულობებისა და მეცენატთა მიერ გაღებული თანხების შეგროვების შედეგად. იგი აერთიანებდა სრულიად იაპონიის მუსიკოსებს, პოეტებსა და კომპოზიტორებს, ქონდა თავისი პერიოდული ორგანო, რომლის საშუალებითაც ეწეოდა იაპონური ეროვნული კულტურის

პროპაგანდას.

1955–1965 წლები აღინიშნებოდა იაპონურ ფერწერაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრებით. მოღვაწეობა განაახლეს ომის დროს აკრძალულმა მხატვართა გაერთიანებებმა კოკუგა კაიმ (ჩაპონური ფერწერის საზოგადოება) და დოკურიცუ ბიძიუცუ კეიკაიმ (დამოუკიდებელი ხელოვნების ასოციაცია); შეიქმნა ახალი შემოქმედებითი გაერთიანებანი: ძენეი ბიძიუცუ კაი (ავანგარდული ხელოვნების საზოგადოება), მოდერნ არტ კეიკაი (თანამედროვე ხელოვნების ასოციაცია). ეს საზოგადოებანი ყოველწლიურად აწყობდნენ როგორც იაპონელი, ასევე საზღვარგარეთელი მხატვრების გამოფენებს. ჯერ კიდევ 1947 წელს, იაპონიაში ორგანიზებულ იქნა ევროპელ შემოქმედთა გამოფენა. 1951 წელს მოეწყო მატისისა და პ. პიკასოს ნამუშევრების გამოფენა. ამის შემდეგ უკვე იაპონელი მხატვრებიც აწყობენ გამოფენებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1951 წელს ვენეციაში ჩატარდა საერთაშორისო გამოფენა, სადაც იაპონური ფერწერული ტილოებიც იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, იაპონელი მხატვრების ფერწერული ნამუშევრები გამოფენილი იყო ნიუ-დელში, 1952 წელს კარნეგში, პიტსბურგში, ევროპისა და ამერიკის სხვა მსხვილ ქალაქებში. ზემოაღნიშნულ პერიოდში იაპონური ფერწერა შემოქმედებით ძალთა ტრანსფორმაციას განიცდიდა. ფერწერის ტრადიციულ-ეროვნული (ნიხონგა) და ევროპული (იოგა) სკოლების თემატიკისა და შესრულების ტექნიკურ ხერხებს შორის სხვაობა აშკარა იყო. იაპონიაში მილიტარისტული და შოვინისტური პოლიტიკის მეშვეობით ტრადიციულ ფერწერაში თავი იჩინა ფორმალიზმისა და ეპიგონიზმის გაძლიერებამ. ევროპული ფერწერული სკოლის წარმომადგენლები იაპონიაში მთელ რიგ შეზღუდვებს განიცდიდნენ. 50-იანი წლებიდან ტრადიციონალისტებმა დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი წარსულის კრიტიკულად შეფასება ამის შედეგად, იაპონელ მხატვართა უფროს (ფუკუდა ხეიხაჩირო, იამამოტო კიუძინი, ოკუმურა ტოგიო) და

უმცროს (ხიეკა კაძეო, ასაკურა სეცუ, სუგიამა იასუსი) თაობებს შორის ეროვნული განხეთქილება მოხდა. უფროსი თაობა, ძირითადად, ევროპული ხელოვნების პრინციპებს აღიარებდა და ტრადიციული ფერწერული მეთოდებითა და ხერხებით შემოქმედებითი სიახლის მიღწევას ესწრაფოდა. ამ ჯგუფის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფუკუდა ხეიხაჩირო (1892-1974) იყო. იაპონური ხელოვნებათმცოდნეობა მას XVII საუკუნის დეკორატიული ფერწერის სახელგანთქმულ წარმომადგენლებს კორინს და სოტაცუს ადარებდა. 1958 წელს ფუკუდამ შექმნა მსოფლიოში აღიარებული შედევრი "წყალი". ხელოვნების ეს ნიმუში მწვანე და მეწამულ ფერთა ურთიერთგადასვლის თავისებურ მხატვრულ სახეს ქმნის, რომელიც ღრმა ინდივიდუალურობით ხასიათდება. კომპოზიციას დეკორატიული ფორმა და შინაარსი აქვს, რაც ბუნებრივი ფენომენის რეალისტურ სახისმეტყველებას სულაც არ ახშობს, პირიქით, იგი სრულყოფილად გადმოსცემს წყლის ნაკადის ნატურალურ დინამიკას და სიცოცხლის სისავსეს (28,45). ფუკუდა ხეიხაჩიროს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია შესრულების ტექნიკური მხარისა და თემატური არჩევანის მკაცრი რეგლამენტაცია. ასეთი ტენდენცია იაპონური ფერწერის ტრადიციულ სკოლას წითელი ზოლივით გასდევდა. ჟანრობრივი მოწყენილობის თავიდან აცილების მიზნით, ბევრი ტრადიციონალისტი ფერმწერი თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობდა დასავლეთევროპული ფერწერული სიახლეების გათვალისწინებით, ამან იაპონურ ფერწერაში გამოიწვია ე.წ. მეორეული სტილის შექმნა. მისმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ფუჯიტა ცუგუძიმ შემოქმედების ტრადიციული წვრილხაზოვანი მანერის და გარემოხატულობის დახვეწილი ფორმების შენარჩუნებით შეძლო თანამედროვე სტილის ნამუშევრების შექმნა, ამ მხრივ აღსანიშნავია ფუჯიტა იოსაკა, რომელმაც ტრადიციულ სიუჟეტთა გამოყენებით ბევრი თანამედროვე ტიპის სურათი დახატა. მან ტრადიციული ხერხების გამოყენებით ოქროს ფონზე გადაიტანა

ფერწერული კომპოზიციები. მერეული სკოლის ცნობილ მხატვრებს მარუკი ირის და მარუკი ტოსიკოს ეკუთვნით ფერწერული ტილო "ატომური ბომბი", რომელიც ომის შემდგომი იაპონური ფერწერის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშად ითვლება.

50-იანი წლების შუახანებში იაპონურ მხატვრობაზე გავლენას ახდენდა ევროპული ფერწერა, საგრძნობლად გაიზარდა ევროპული ორიენტაციის მქონე იაპონელ მხატვართა რიცხვი. ისინი თავიანთ შემოქმედებაში ასახავდნენ თანამედროვე იაპონურ ცხოვრებას. რეალისტი მხატვრებიდან შემოქმედებითი აქტივობით გამოირჩეოდნენ – ნაკატანი ტაი, იოსიი ტადასი, ცუძი ხისასი და სხვები. იაპონურ ფერწერაში გაიზარდა სხვადასხვა ფორმალისტური მიმდინარეობის – სიურეალიზმის, აბსტრაქციონიზმის, ფოკიზმის წარმომადგენელთა რიცხვი. რადგანაც მათი უმრავლესობის სტილი საკმაოდ ეკლექტიკურ ხასიათს ატარებდა და შესრულების მოდერნისტული ხერხების მრავალფეროვნებით ხასიათდება, ამიტომ ძნელდება ლაპარაკი თანამედროვე იაპონური ფერწერის წარმომადგენლების რომელიმე კონკრეტული, ფორმალისტური მიმდინარეობისადმი კუთვნილებაზე.

50 – 60-იანი წლების დასაწყისში იაპონიაში ფართოდ გავრცელდა აბსტრაქციონიზმი. მისი მიმდევრები იყვნენ ცნობილი იაპონელი მხატვრები – კავაბატა მინორუ, კავაგუჩი კიგაი და უძიარა ტეპეი. იაპონელ აბსტრაქციონალისტთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა შემოქმედებაშიც შეიმჩნეოდა იაპონური კულტურული ტრადიციების ძლიერი გავლენა. ასე მაგალითად, ცუმუმი სიგერუს შემოქმედებაში იეროგლიფური კალიგრაფიის გავლენა იგრძნობოდა, მაედა ძიოსაკოს ნახატებში ბუდისტური ხაზწერილი სიმბოლიზმი დომინირებს, ოკადა კენძოს აბსტრაქტულ სურათებში კი ტრადიციული ეროვნული ყოფა-ცხოვრების საგნები (შარფი, ძვირფასეულობა, ბამბუკის ნაკეთობები და სხვა) ფიგურირებდა, იგი ფართოდ იყენებდა იაპონური ბაღის აღწერასაც.

1945-1965 წლების იაპონურ გრაფიკაზე ძლიერ გავლენას ახდენდა ეროვნული კულტურა. მასში გამორჩეული პროფესიონალიზმი და შესრულების მაღალმხატვრული ხელოვნება იყო განსახიერებული. ხეზე ფერადი გრავირების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გამოიხატებოდა ვირტუოზულ ტექნიკაში, კომპოზიციებისა და სილუეტის ოსტატურად შერჩევაში. ამ დროისათვის იაპონიაში საკმაოდ პოპულარული იყო დასავლური ტექნიკის სახეები: ლითოგრაფია, ოფორტი, ლინოლეუმზე გრავირება, მაგრამ ტრადიციული ხეზე გრავირება იაპონურ ხელოვნებაში ძირითადად მაინც წამყვან დარგად რჩებოდა. შუა საუკუნეების დროინდელი გრავიურის უკიო ესგან განსხვავებით (როდესაც შემოქმედებით პროცესში სამი ხელოსანი, მხატვარი, ამომჭრელი და მბეჭდავი მონაწილეობდა), თანამედროვე გრავიურაში "სოსაკუ ჰანგა" ყველა სამუშაოს თვითონ მხატვარი ასრულებდა. საქვეყნოდ იყვნენ ცნობილი იაპონელ მხატვარ-გრაფიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენლები - ონჩი კოსირო, ხირაცუკა უნიჩი, მაეკავა სემპანი, ამაგუჩი გენი და იოსიდა მასაძი. ონჩი კოსიროს შემოქმედება კოსმოპოლიტურ ავანგარდიზმს განეკუთვნება. მისი აბსტრაქტული სურათები, სხვა იაპონელი მხატვრებისაგან განსხვავებით, ნაკლები ეროვნულ-ტრადიციული შეფერილობით ხასიათდება. ხირაცუკა უნიჩის შემოქმედებას კი პირიქით, ეროვნული პათოსი გასდევს. მის ნამუშევართა უმეტესობა შავ-თეთრი გრავიურაა, მათში ძირითადად გამოკვეთილია იაპონური პეიზაჟები, ტაძრები, ქანდაკებები და სხვა სახის ნაკეთობები. იმ ნაწარმოებთა უმრავლესობა, რომლებიც სოციალურ პრობლემატიკას ეხმაურებოდა, მაეკავა სემპანის და იამაგუჩი გენის მიერ იყო შესრულებული მათი შემოქმედება მძაფრი ეროვნული კოლორიტით ხასიათდებოდა და სხვა ნამუშევრებისაგან გამოირჩეოდა იაპონელი მუშებისა და გლეხების ყოფა-ცხოვრების რეალისტური აღწერით. თავისებური თვითმყოფადობა ახლავს მუნაკატა სიკოს და საიტო კიოსის მხატვრო-

ბას, რომელთა ნამუშევრები მრავალჯერ დაჯილდოვდა საერთაშორისო გამოფენებზე პრემიებით. მის ქმნილებებში ხშირად გვხვდება ბუდისტური სიუჟეტები, ეროვნული ფორმები და დეკორატიული ორნამენტაცია. მათთვის დამახასიათებელია აგრეთვე მრავალფეროვანი თემატიკა და ექსპერიმენტი. საერთაშორისო გამოფენებზე მიღწეულმა წარმატებებმა იაპონურ სახვით ხელოვნებაში გრავიურის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონიეს. 1956 წელს ვენეციაში გრაფიკის საერთაშორისო გამოფენაზე მუნაკატა საკომ მთავარი პრიზი მიიღო. სან პაოლოში საერთაშორისო პრიზის მფლობელი გახდა ხამაგუჩი იოძო; ხოლო 1958 წელს ლუგანოში იამაგუჩი გენმა დიდი პრიზი დაისაკუთრა. გრაფიკის განვითარების დარგში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გრავიურის იაპონურ (ნიხონ ხანგა კეიკაი) და ფორმატიული გრაფიკის ასოციაციას (ძოკეი ხანგა კეიკაი).

ომის შემდგომ წლებში იაპონიის სახვითი ხელოვნების დარგებიდან სწრაფად ვითარდებოდა ლითოგრაფია. მხატვრობის ამ დარგს თავიანთი კვალი დაამჩნიეს მასუდა იოსინობუმ, იძუმი სიგერომ, მიიაგა სიგეომ, ეი კიუმ და სხვებმა. ისინი თავიანთ შემოქმედებაში თავისუფალ დემოკრატიულ იდეალებს აღიარებდნენ და ამ მსოფლმხედველობით ახლოს იყვნენ იაპონურ დაბალ სოციალურ ფენასთან. მათი შემოქმედება გამსჭვალული იყო სამოქალაქო პათოსით. ამ სულისკვეთების საზოგადოებრივმა აზრმა მხატვრული გარდასახვა ხელოვნების ეროვნულ და ინტერნაციონალური ფორმების სინთეზში ჰპოვა. იაპონური გრაფიკული ხელოვნების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა კომერციული რეკლამის განვითარებამ[1]. სარეკლამო პლაკატების შექმ-

---

1 კომერციული რეკლამა იაპონიაში, როგორც ხელოვნების დარგი, XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა და დასრულებული სახით იგი მხოლოდ XX საუკუნის 30-იანი წლებში ჩამოყალიბდა. მისი სრულყოფილი სახის შექმნაზე ევროპულმა სარეკლამო ხელოვნებამ დიდი გავლენა იქონია. მეორე მსოფლიო ომმა ერთებით შეაჩერა კომერციული რეკლამის განვითარება, ხოლო შემდეგ, 50-იანი წლებიდან, იგი ხელახალი ძალით იწყებს აღორძინებას და კომერციული რეკლამის ოსტატები [illegible] სხვისი ნების შემსრულებლად გვევლინებოდნენ,

ნამ, ანუ როგორც მათ შემდეგ უწოდებდნენ, გრაფიკულმა დიზაინმა, იაპონიის სახვით ხელოვნებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო მან საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. 1952 წელს შეიქმნა სრულიად იაპონიის სარეკლამო ხელოვნების ასოციაცია. მისი დამაარსებლები იყვნენ იაპონური გრაფიკული დიზაინის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ხარა ხირომუ, კონო ტაკასი, კამაკურა იოსაკუ და სხვები. ომისშემდგომი წლების იაპონიაში ფართოდ გავრცელდა ევროპული წარმოშობის მინიატიურული გრაფიკა, რომლის ყველაზე პოპულარული სახეობა იაპონიაში ექსლიბრისი იყო. გრაფიკული ხელოვნების ამ სახეობის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წილი შეიტანა იაპონელ ექსლიბრისტთა ასოციაციამ. მისი მოღვაწეობის სფეროში შედიოდა საქვეყნოდ აღიარებულ ლი ჩვეულებრივი და მინიატიურული კალენდრების გამოშვება. იაპონურ კალენდარს ამშვენებდა ექსლიბრისტ მხატვართა საუკეთესო ნამუშევრები. გარდა ამისა, ექსლიბრისტები აფორმებდნენ წიგნებისა და ჟურნალების ილუსტრირებულ გამოცემებს, ფართოდ იყო გავრცელებული, აგრეთვე, ყდების ექსლიბრისული გაფორმებაც.

ომის შემდგომი იაპონიის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები მონუმენტურ ქანდაკებასაც შეეხო. 1947 წელს შეიქმნა მეორე ეპოქის საზოგადოება (ნიკი კაი), რომელმაც ეროვნული სკულპტურის აღორძინებას მოჰკიდა ხელი. ამ მხრივ წარმატებები მოიპოვა ხელოვნების თავისუფალ მოღვაწეთა ასოციაციამ, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ახალგაზრდა იაპონელი მოქანდაკეები. ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ინიციატივით ეწყობოდა ყოველწლიური გამოფენები, იწვევდნენ ევროპელ კოლეგებს, ჩატარდა ევროპული კულტურის დღეები იაპონიის მსხვილ ქალაქებში, რაც იაპონიაში ევროპული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციას უწყობდა ხელს. დასავლური კულტურის დარგში ფართო მასშტაბის გამოფენა პირველად

1951 წელს გაზეთ "მაინიჩის" მიერ იქნა ორგანიზებული. 1952 წელს იაპონიაში მოეწყო იტალიური სკულპტურის გამოფენა, 1954 წელს – პ.პიკასოს სკულპტურული ნამუშევრების ექსპოზიცია, ხოლო 1959 წელს ჩატარდა ქანდაკების საერთაშორისო გამოფენა. 50-იანი წლების მონუმენტური სკულპტურის სამყაროში გაჩნდა ცნობილი იაპონელი მოქანდაკეების სახელები, ესენი იყვნენ: კინოუჩი იოსი, ასაკურა ფუმიო, კიტამურა სეიბო, ხონგო სინი და სხვები. აღიარება მოიპოვა კიკუჩი კაძუოს სკულპტურამ "მშვიდობა", რომელიც დაიდგა მშვიდობის პარკში. ომის შემდგომ იაპონიაში მონუმენტური სკულპტურა დემოკრატიული ტენდენციების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამაზე მეტყველებს მონუმენტური ქანდაკების სიმბოლური ფიგურები და ანსამბლები. 1950-1965 წლებში იაპონელ ქანდაკებაში ფეხს იკიდებს თანამედროვე კლასიკური სტილი. ამ მხრივ აღსანიშნავია ფუნაკოსი იასიტაკის "ნაეკოს პორტრეტი", ხონგო სინის – "მიმველი ჭაბუკის პორტრეტი", ოკამოტო სოზოს – "ქალის პორტრეტი", და სხვა. ამასთან ერთად იტალიური მოდერნისტული ქანდაკების უშუალო გავლენის შედეგად, 50-იანი წლების მიწურულში იაპონიაში სწრაფად ვრცელდება აბსტრაქციონისტური მიმართულებები. ისინი წარმოდგენილია კასაგი სუეოს, ხორიუჩი მასაკაძოს, ენცება კაცუძოს ნამუშევრებით. საერთაშორისო მასშტაბით სახელი გაითქვა ნაგარე მასაიუკის ქანდაკებებმა. 1960 წელს მან შექმნა სკულპტურული კომპოზიცია ტოკიოს საკონცერტო დარბაზისათვის, ხოლო 1963 წელს საერთაშორისო გამოფენაზე იაპონურ პავილიონში მის მიერ შესრულებულმა კედლის რელიეფმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ომის შემდგომი წლების იაპონური საერთო – სახალხო ხელოვნების ერთ – ერთ ყველაზე პოპულარული დარგი იყო იკება-

ნა[X].

იკებანას ხელოვნება 1945-1965 წლების იაპონიაში ეროვნუ-ლი თვითმყოფადობისა და მსოფლიოში აღიარებული მაღალმხატვრული გა-მოვნების თავისებურ სიმბოლოს წარმოადგენდა. იკებანამ მნიშვნელო-ვანწილად შეუწყო ხელი თანამედროვე ევროპის ქვეყნებში იაპონური კულტურის ესთეტიკური აღქმის და აღიარების საქმეს. ყოველივე ამის შედეგად, 60-იანი წლების დასაწყისიდან, ევროპის ქვეყნების სამ-ხატვრო სასწავლებლებში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს იკებანას ხელოვნების სწავლება, მის შესახებ მრავალფეროვანი ლიტერატურის გამოცემა. არსებითი მნიშვნელობის იყო ის ფაქტი, რომ იაპონური საერთო-ესთეტიკური პრინციპების გავლენით დასავლეთ ევროპის მხა-

---

X იკებანა ყვავილების მხატვრული კომპოზიციების ხელოვნებას ეწო-დებოდა. სიტყვა-სიტყვით მისი თარგმანი "გაცოცხლებულ ყვავილს" ნიშნავს. სხვანაირად მას "ყვავილების არანჟირებას" უწოდებენ. აზრობრივად იკებანა შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც "ყვავილთა გაცოცხლება". თუ გათვალისწინებული იქნება ის ფაქ-ტი, რომ იკებანას შედგენის დროს მოჭრილი ყვავილები კომპოზი-ციურად ახალი სიცოცხლის მინიჭებას განიცდიან, მაშინ იკებანა "ყვავილთა აღდგომის", ან "ხელმეორედ დაბადების" შინაარსს იძენს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ იკებანას შედ-გენას საფუძვლად უდევს ყვავილთა სიცოცხლის ხანგრძლივობა არა პირვანდელი სახით, არამედ მათი სიცოცხლის სხვა მოდელის შექმნის და სხვა რეალობის შემოღების გზით. იკებანას დაარსე-ბას VI საუკუნეს მიაკუთვნებენ. იგი თავდაპირველად ღმერთების თაყვანისცემის რიტუალების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. შემდეგ თანდათანობით იაპონელის ყოფა-ცხოვრებაშიც შეიჭრა. იკებანას ხელოვნების ისტორია ეტაპობრივად შემდეგნაირად იყოფა: VI საუკუნე - XIV საუკუნის პირველი ნახევარი; XIV საუკუნის მეორე ნახევარი - XVI საუკუნე; XVII საუკუნე - XIX საუკუნის პირველი ნახევარი და XIX საუკუნის მეორე ნახევარი დღევანდ-ლამდე (25, 62). ყოველი პერიოდი იაპონური სამხატვრო-კულ-ტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი თავისებური სტრუქტუ-რული ცვლილებებით და კანონიერებით ხასიათდებოდა. ხოლო იაპო-ნიის კულტურული კომპლექსების ცვალებადობის გამომხატველი უშუ-ალოდ აისახებოდა იკებანას ხელოვნებაში.

ტურული შემოქმედების თავისუფლება და შემოქმედების ახალი ინტერპრეტაცია განიცადეს. მიუხედავად ამისა, ხშირად ევროპელ ხელოვანთა შეხედულებები იკებანაზე, როგორც მსოფლიო კულტურის ფენომენზე, არაპროფესიული და არაკომპეტენტური იყო. მათი აზრით, იკებანა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო და შესრულების მხრივ მარტივ მიდგომას საჭიროებდა. იგი დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთ დარგად განიხილებოდა და "დროის მოსაკლავ" საშუალებად იყო მიჩნეული (26, 201). სამწუხაროდ, იკებანას შესახებ ასეთი წარმოდგენის არსებობას, იგი შესრულების პროფესიონალური დონიდან დილეტანტურ საწყისამდე ჩამოჰყავდა და იაპონიის ფარგლებს გარეთ მას ფსევდოკულტურულ ფენომენად აქცევდა. იკებანას ხელოვნება, რომელიც საყოველთაო ტრადიციული კულტურის გზით ვითარდებოდა, იაპონიის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ცნობიერების თითქმის ყველა თავისებურებას მოიცავდა, იგი სპეციფიკურ მიკროსამყაროს წარმოადგენდა და იაპონური კულტურის რთული სტრუქტურული მოდელის განუყოფელი ნაწილი იყო (27,15). იკებანას ახასიათებდა კომპოზიციური ასიმეტრიულობა, ალეგორია და სიმბოლიზმი, ყოველივე ეს კი, ისტორიულად იყო შერწყმული დროისა და სივრცის აღქმასა და წელიწადის დროთა ცვალებადობასთან.

იკებანას კონსტრუირება იეროგლიფურ პრინციპზე იყო აგებული. როგორც იეროგლიფის, ასევე, იკებანას არსის გაგებისათვის მისი შემადგენელი სიმბოლური ელემენტების მნიშვნელობისა და მათი შეერთების პრინციპის ცოდნა იყო აუცილებელი. იკებანას სტრუქტურა სამი ძირითადი ღერძული ტოტისაგან შედგებოდა. ეს სამი ღერძული ტოტი სამ საწყისს აღნიშნავდა - ეს იყო ცა, დედამიწა და ადამიანი. იკებანას სტრუქტურაში ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი ჭურჭელი იყო, რომელშიც მცენარეებს ათავსებდნენ. ჭურჭლის სხვადასხვა ფორმა იკებანას აგების სტილს განსაზღვრავდა. მცენარეული საფარის და ტოტების არანჟირება, ფერთა მიხედვით ყვავილების შერჩევა

მკაცრ ნორმებს ექვემდებარებოდა. იკებანას კომპოზიციური მრავალფეროვნება და მხატვრული შეფასების კრიტერიუმი, ძირითადად, მის სტილს და მიმდინარეობას ეფუძნებოდა, ხოლო სტრუქტურას კი, კომპოზიციის ფორმა და სკოლა განსაზღვრავდა. იკებანას ძირითადი სტილიდან აღსანიშნავია - რიკას სტილი, ნაგეირე, ცურიბანა, ხეიკა, სეიკა და მორიბანა. სკოლებიდან - იკენობო, ოხარა და სოგეცუ რიკას ტიპის კლასიკური ტრადიციული კომპოზიციის პირველი კომპონენტი (ცასინი) იყო ფიჭვის ტოტი, მის გარშემო ხდებოდა კომპოზიციის სხვა ელემენტების კანლაგება. მეორე კომპონენტის ( მიწა-ჯაი) ელემენტები პირველის გარშემო ეწყობოდნენ. მესამე კომპონენტი-ადამიანი (სოე) სხვა დანარჩენი ელემენტების ერთიანობას განამტკიცებდა და მათ მხატვრულად აფორმებდა. რიკას სტილის კომპოზიციები მონუმენტურობით და კლასიციზმით ხასიათდებოდა. ნაგეირეს სტილის კომპოზიცია მცენარეთა კომპონირების შედარებით უფრო მარტივ ფორმას ეყრდნობოდა. ნაგეირეს სტილის იკებანა სამი ფორმით იყო წარმოდგენილი; სწორხაზოვანი - სტატიური, დახრილი და აშვერილ-დინამიური. ნაგეირეს სტილით იკებანას კომპონირება ხდებოდა ინტელექტუალურ საფუძველზე. აუცილებლად ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, თუ რა მიზეზით, ან მიზნით სრულდებოდა იკებანა და როგორი ინტერიერი უნდა დაემშვენებინა მას. ცურიბანა ნაგეირეს მონათესავე სტილი იყო, ოღონდ მას, ძირითადად, ჰქმნიდნენ დაკიდებულ ჭურჭელში. ყვავილების თაიგულს ნავისმაგვარ ფორმის ლარნაკში, ან კალათში ათავსებდნენ. იაპონელ შემოქმედთა აზრით, ასეთი ფორმის იკებანა ასოცირებული იყო ნავის ზღვაში გასვლასთან, იგი ადამიანის ცხოვრების მორევში გადაშვების წინ გზის დალოცვის თავისებურ სიმბოლოს წარმოადგენდა (29.263).

ხეიფას სტილის იკებანა იქმნებოდა მაღალ ლარნაკში, ან მაღალყელიან ჭურჭელში. ამ სტილის უბადლო ოსტატი ხოენ ოხარა იყო.

იხარას სკოლა იკებანას ხუთ ძირითად ფორმას სცნობდა: ეს იყო - კასკადური, დახრილი, სწორხაზოვანი, ამვერილი და კონტრასტული. ხშირად შერწყმის როლს ბამბუკის ნაირგვარი ფორმის ტოტები ასრულებდნენ. ამ სტილის იკებანას იაპონიაში, ძირითადად, სტუმრების მიღების წინ ქმნიდნენ. ამ შემთხვევაში იკებანა ორი ძირითადი ტოტისაგან შედგებოდა: ერთი იყო "სტუმარი", მეორე კი - "მასპინძელი". "სტუმარი" უფრო მკვეთრი და მუქი ფერის ყვავილებით იყო შემკული, ხოლო "მასპინძელს", შედარებით, სადა მსუბუქი ფერის მცენარეთა კომპოზიცია ამშვენებდა. რაც შეეხება სეიკას სტილს, იგი, იკებანას ზემოთ ჩამოთვლილი ტიპებისაგან განსხვავებით, ძირითად ყურადღებას დედამიწას უთმობდა - ეს იყო მცენარეული საფარი და მისი სპეციფიკური განლაგება მთავარი ტოტის გარშემო. სეიკას სტილის იკებანას სამივე შემადგენელი ნაწილი სინათლის წყაროსკენ იყო მიმართული, ისე, როგორც ეს ბუნებაში ხდებოდა. სეიკას სტილისათვის გამოიყენებოდა კომპონირების სწორხაზოვანი ფორმა. იაპონელ ხელოვანთა აზრით, სეიკას სტილის იკებანა მეტი სახისმეტყველებით და ძლიერი გამომხატველობითი ფუნქციით ხასიათდებოდა (13,79). მორიბანას სტილი მეტად თავისებურად გამოიყურებოდა. ასეთი სტილის იკებანაში მცენარეები ჭურჭლის პირს არ უნდა შეხებოდნენ. ჭურჭელი ასრულებდა მცენარეთა ფესვების როლს. ამისათვის ბრტყელი ლარნაკი მზადდებოდა და მასში ყვავილების ჩამაგრება სპეციალური სამარჯვების - კენძანა და სიპპოს საშუალებით ხდებოდა.

იკენობოს სკოლა იკებანას ხელოვნების ისტორიაში პირველი იყო. იგი XV საუკუნის შუახანებში წარმოიშვა. იკენობოს სკოლას საფუძვლად უდევს უძველესი ნატურფილოსოფიური პრინციპები, რომლებიც ადასტურებენ მიკრო და მაკრო სამყაროს დუალისტურ სტრუქტურას. ნათელი (იანი) და ბნელი (ინი) საწყისები იკებანაშიც ფიგურირე-

ბენ. იკენობოს სკოლის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ყოველ ყვავილში და იკებანას ნებისმიერ სხვა შემადგენელ დეტალებში არსებობდა სამყაროს შექმნის საწყისები, ამიტომ იკებანას ხელოვნების ნიმუშები, როგორც გარესამყარო, ღვთის მადლით იყო გაჯერებული, ეს კი ადამიანთა მოდგმაზე ღვთის ნების აღსრულებას უწყობდა ხელს (26, 72). 1945-1965 წლებში იკენობოს სკოლა შუასაუკუნეობრივი კულტურის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და სეკულარიზაციის პროცესს განიცდიდა, ამასთანავე, იგი რელიგიურ-ფილოსოფიურ ხასიათს ინარჩუნებდა. იკენობოს და ოხარას სკოლებისაგან განსხვავებით, სოგეცუს სკოლა, შედარებით, თანამედროვე სტილის კომპოზიციებით ხასიათდებოდა. ამ სკოლის მიმდევრები იკებანას ნაციონური კალიგრაფიისა და სკულპტურის მონათესავე ხელოვნებად მიიჩნევენ. სოგეცუ დაარსდა 1926 წელს, იკებანას აღიარებული ოსტატის, სოფუ ტესიგაჰარას მიერ. სულ მოკლე დროში ამ სკოლამ ფართო აღიარება მოიპოვა. სოგეცუს სკოლის ესთეტიკური ნორმებით შედგენილი იკებანა დემონსტრირებული იყო საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის და აშშ-ს გამოფენებზე (24, 88).

------------------------------

X ჩინური მითოლოგიის მიხედვით იან არის მამაკაცური საწყისი, ინ კი-ქალური. ისინი სახიერდებიან როგორც პოლარული კოსმიური ძალები, რომელთა ურთიერთმოქმედების საშუალებითაც სამყაროს სასიცოცხლო პროცესები უსასრულობამდე არსებობენ. სიტყვა "ინ", რომელიც ჩინურ მითოლოგიაში პირველ ადგილზეა დასახელებული, ბნელეთის სიმბოლოს წარმოადგენს, იგი ასოცირებულია სიცივესთან, სინოტივესთან, სიღბოსთან, დამყოლობასა და პასიურობასთან; ხოლო "იან" - ეს არის სინათლე, სიმტკიცე, ურყეობა, აქტიურობა, ძალა და ა.შ. მითოლოგიის მიხედვით, "ქალისა და კაცის შეერთება-ეს იგივეა, რაც ცისა და დედამიწის კოსმიური შეუღლება ჭექა-ქუხილის დროს" (30, 143). ინდოჩინეთის ქვეყნების მითოლოგიაში მთვარე, დედამიწა და წყალი ქალური საწყისებია, ხოლო მზე, ცეცხლი და სითბო-მამაკაცური. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ბინარული, ოპოზიციური შეფასებით მითოლოგიურ ცნობიერებას ქვეყნიერების სასიცოცხლო ძალები წესრიგში მოჰყავდა.

50-იანი და 60-იანი წლების პირველი ნახევარი ომის შემდგომი იაპონიის ისტორიაში ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ იაპონია მსოფლიოს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იმყოფებოდა. 1951 წლისათვის მან უკვე ეკონომიკის განვითარების ომამდელ დონეს მიაღწია. ეყრდნობოდა რა ეკონომიკურ წარმატებებს 60-იანი წლების დასაწყისში, იკედას მთავრობამ, იაპონიის საზოგადოებაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების მიზნით "ადამიანის ფორმირების პროგრამა" (ხიტო ძუკური) მიიღო. ამ პროგრამით სახელმწიფო განათლების დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაბამისი გარდაქმნების გატარებას გულისხმობდა, სურდა გააუმჯობესებულიყო იაპონელი ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა, განემტკიცებინა მათში თავდადებითი ინსტინქტი და პატრიოტიზმი. გარდა ამისა, სამეცნიერო-ტექნიკური განათლების დონის ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად, გაფართოვდა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ქსელი. ამან საგრძნობლად გაზარდა სტუდენტთა კონტინგენტი. საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 1950 წ. 23%-დან 1965 წ. 29%-მდე გაიზარდა (20,34) 1962 წელს საშუალო სკოლების ბაზაზე შეიქმნა ახალი ტიპის სასწავლებლები, ხუთწლიანი სწავლების ვადის ტექნიკური კოლეჯები, სადაც წარმოებდა საშუალო პროფილის ტექნიკური კადრების მომზადება, გარდა ამისა, ზნეობრივი აღზრდის გაძლიერების მიზნით გატარდა ბევრი ღონისძიება. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო 1958 წელს საშუალო სკოლებში შემოღებული მორალური აღზრდის პროგრამა, რომელიც იაპონელი ხალხის ნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის იყო გამიზნული (22, 81).

იაპონიის ეკონომიკური განვითარების სწრაფმა ტემპებმა, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ, საგრძნობლად შეცვალა ქვეყნის სულიერი კლიმატი. დამწერლობაში აღმოცენდა ე.წ. "საშუალო ლიტერატურა" ("ტიუკან სესეცუ"), რომელსაც შუალედური მდგომარეობა ეკავა "სუფთა კლასიკურსა" ("ძიუნსუი ბუნგაკუ") და "ქუჩის ლიტერატურას" შორის. "საშუალო ლიტერატურის" თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო იამაოკა სოხაჩი, რომელიც მრავალი ისტორიული რომანის ავტორი იყო. მათ შორის აღსანიშნავია "ტოკუგავა იეასუ" რომელშიც XVII საუკუნის ისტორიული მოვლენები და ფაქტებია გაშუქებული. ნაწარმოები შეეხება იაპონიის ერთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გაერთიანების ისტორიას . რომანი გამოქვეყნდა კორეა-იაპონიის სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობის დროს, მასში განსახიერებულმა ანტისაომარმა მოვლენებმა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა სულისკვეთებამ" ტოკუგავა იეასოს" საყოველთაო აღიარება მოუპოვეს (16,67). 60-იანი წლების დასაწყისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ნიკა ფუმიოს საყოფაცხოვრებო თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. მათ შორის აღსანიშნავია "ხები ტო ხატო" ("გველი და მტრედი"), "ვაიკეკო ტო სიუტი" ("სახელის გატეხა"), "აო შუგი" ("მწვანე პური"), "კაო" ("სახე") და სხვები. ნივა ფუმიოს ნაწარმოებთა უმრავლესობა ავტობიოგრაფიული ჟანრისა იყო. "მწვანე პურში" აღწერილია ბუდისტი მოძღვარის ძეისაის ცხოვრება, რომელსაც ცოდვით სავსე განვლილი წლების გახსენება ტანჯავს. მას სჯერა, რომ დროთა განმავლობაში დაძლევს საკუთარ თავს, მაგრამ ხანში შესულს უკვე აღარ შეუძლია ხორციელი ცოდვებისაგან თავის დაღწევა და ხსნის ერთადერთ გზას აღსარებასა და ბუდას გულმოწყალეობაში ხედავს. ნივა ფუმიოს შემოქმედებისათვის უცხოა საზოგადოებრივი პოლიტიკური და სოციალური პრობლემების სააშკარაოზე გამოტანა. მის ნაწარმოებთა უმრავლესობა ეთიკური და მორალური ხასიათის პრობლემატიკას ეხება.

ხშირად ასეთი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში ავტორი ცნობილი ავსტრიელი ფსიქოლოგის ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებასა და იაპონურ ტრადიციულ-ბუდისტურ მორალს ეყრდნობა (18).

იაპონური კულტურის განვითარების ომის შემდგომი პერიოდი (1945-1965) ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დროის მონაკვეთი იყო. ამ პერიოდში კულტურის სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებასა და იაპონური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განახლებას. 1945-1965 წლებში იაპონურ კულტურაში დემოკრატიული ცვლილებების ჩამოყალიბების შედეგად ხდება პროგრესულად მოაზროვნე შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმოქმნა, რომლის მოღვაწეობის ძირითად თემას ადამიანის პიროვნებაზე ზრუნვა, მისი სოციალური ყოფის, სულიერი ფასეულობებისა და შინაგანი სამყაროს ასახვა წარმოადგენდა. ამ წლების განმავლობაში იაპონური კულტურაში მომხდარი პროგრესული ძვრები ნათლად მოწმობდა იმას, რომ ქვეყნის სულიერი ცხოვრების ძირითადი მიზანი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის გატარება და ჰუმანიზმის იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლა იყო.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ტამამურო ფუმიო. სინბუცუ ბუნრი (სინთოს და ბუდიზმის გამიჯვნა), ტოკიო, 1977.
2. Education in Japan, Tokyo 1971, vol.V.
3. Mcluhan M. Understanding media: the extensions of man. N.Y. 1964.
4. De Fleur M.L. Theories of mass communication. N.Y., 1970.
5. Ивасаки А., История японского кино, М., 1966.
6. Bell D. The cultural contradictions of capitalism. N.Y., 1976.

7. Who is who among Japanese artists. Tokyo, 1961.

8. Japan, its land, people and culture. Tokyo, 1958.

9. Николаева Н., Современное искусство Японии, краткий очерк, М.,1968.

10. Современная Япония, М., 1968.

11. Танге К., Архитектура Японии, М., 1976.

12. Hasegawa Nyozekan. The Japanese character. A cultural profile. Tokyo, 1962.

13. Григорьева Т.П. Японская художественная традиция, М., 1979.

14. Осака, Токио, 1973.

15. Николаева Н. Декоративное искусство Японии, М., 1972.

16. აება ჯაკაო. სეწნი ბ.წმაკონიინ (თხის ნემეცეიმი დისენიაკუჩა), ტოკიო, 1966.

17. Навлицкая Г.Б., Проблемы развития послевоенного японского города, Япония: культура и общество в эпоху НТР,М.,1985.

18. Эдо Д., Молодые писатели Японии."Иностранная литература", 1961, № 4.

19. Kusano E. Stories behind Noh and Kabuki plays. Tokyo, 1967.

20. Kato H. Japanese popular culture. Studies in mass communication and cultural change. Westport, 1973.

21. Morton W.S. Japan, its history and culture. Devon, 1973.

22. Kawabata J. Japan the beautiful and myself. Tokyo-London, 1974.

23. ოდა მაკოტო. გეიშიცე რო ეენქო (ხელოვნება და ქრიტიცია), ტოკიო, 1963.

24. Пронников В., Икэбана или вселенная, запечатленная в цветке. М., 1985.

25. Ikenobo Senei, Ikebana, Tokyo, 1960.

26. იკედა მასაჰირო, იკებანა იკებანა (ცოცხალი ყვავილთა იკებანა) ტოკიო, 1975.

27. Бродский В.Е., Японское классическое искусство, очерки, живопись, графика, М., 1969.

28. Иенага С., История японской культуры, М., 1972.

29. Suzuki D.T, Zen and Japanese Culture, L., 1959.

30. Gulik R. van, Sexual life in Ancient China, Leiden, 1961.

გამომცემლობის რედაქტორი ს. გელაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.03.96
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,23
ტირაჟი 500 შეკვეთის N 24
ფასი სახელშეკრულებო